# კვირის პალიტრა

№ 34 (495) ◆ 23 – 29 აგვისტო. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

გვ.7

## „რაც მეტად დაგვიწყებს ჩიჩხინს, მით მალე დაიშლება“



### მე კი არა, მელაკუდამ ქნაო...

ასეთი განცხადებით პუტინმა „ორიანი“ მიიღო...

რბილად რომ ვთქვათ, პრეზიდენტმა პუტინმა იცრუა და დიპლომატიური ეტიკეტიც დაარღვია, რაც მას ღირსებას ოდნავაც არ ჰმატებს.

ასეთი მითური მესამე ძალა კარგა ხანია, ოჯახში მყავს – ჩემი 4 წლის შვილიშვილი რაღაცას რომ გააფუჭებს, გვეუბნება, – მე კი არა, მელაკუდამ ქნაო.

ტუზკოზირს მაშინ ჩავალთ, როდესაც ყველაზე მაღალი კარტი იქნება გასაჭრელი.

## „ნუ შეეშინდება გია ბარამიძეს, თავდაცვის მინისტრობას არ ვაპირებ“

გვ.7

რა აჩუქა პრეზიდენტმა კობა დავითაშვილს?!

*ინტერვიუ ჩემპიონებთან:*

## რატომ ეძახიან ზვიადაურს კომბლეს?

გვ.13,34

– ღმერთო, ხომ იცი, ჯაბანი არ ვარ, გამარჯვებაში დამეხმარე-მეთქი. არ გამწირა მადლიანმა!





– ამხელა შტანგის მერე ჭიქის აწევა არ უნდა გამიჭირდეს

## „ამბობთ, სააკაშვილი არ გვიყვარსო და მისი ინიციალები MC გულზე გაგვიკრავთ“

### სამამულო ომის ამსახველ ფილმებში მინახავს ასეთი სიტუაცია

...ჩემმა მეუღლემ იარაღს წამოავლო ხელი და იქითკენ გავარდა, სადაც სოფლის დასაცავად თავს იყრიდნენ კაცები. ბავშვებთან ერთად შედარებით უხიფათო კუთხეში მივიკუნჭე, ვეუბნებოდი, – არ შეგეშინდეთ, ლოცვას რომ დავასრულებ, სროლაც შეწყდება-მეთქი. ჭურვის აფეთქება სახლს რომ შეაზანზარებდა, უნებლიეთ ლოცვას ვწყვეტდი, ჩემი 10 წლის გიორგი მეხვეწებოდა, – დედა, ლოცვა არ შეწყვიტო, ილოცე, რომ სროლა შეწყდესო... ისე შემოგვიტიეს, ვიფიქრე, ბავშვები შიშისგან დამეხოცებიან-მეთქი და მეზობლის სარდაფს მივაშურე...

გვ.12

## „სანამ აქ ვიცხოვრებ, ქართველი ვიქნები“

ექსკლუზიური ინტერვიუ საქართველოში ეფ-ბი-აი-ს წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან

გვ.11

– ტერორიზმი, ნარკოვაჭრობა და იარაღით უკანონო ვაჭრობა პრიორიტეტულად მიგვაჩნია, ასევე, კორუფცია, ადამიანთა უფლებების დარღვევისა და კიბერდანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა.

## ვინ არიან და რა გეგმები აქვთ რუს კაზაკებს სამაჩაბლოში?!

### „ხვალ თუ არა ზეგ, გაქცეული ოსი და კაზაკი მობრუნდებიან და განაახლებენ ბრძოლას“



ეს ორგანიზაცია შევარდნაძის ხელისუფლებას რუსებმა „შემოუგდეს“. მაშინ ეს ამბავი ჩვენებმა დიდი სიხარულით აიტაცეს. მართლაც, ჩავიდა ქართველი კაზაკების ატამანი აფხაზეთში და მერე რა გააკეთა? გაიარ-გამოიარა და თბილისში დაბრუნდა, ერთი ტყვიაც არ გაუსვრია. ან ახლა რა გააკეთეს სასარგებლო სამაჩაბლოში? რუსი კაზაკების ბანდები ისევ დათარეშობენ. ისინი რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ლოცვა-კურთხევით არიან გამოგზავნილი.

„კაზაკი“ თურქული სიტყვაა და თავისუფალ, თავზეხელაღებულ, სამართლიანობისთვის თავდადებულ მებრძოლს ნიშნავს. რა არის ამაში ცუდი, თუ ქართველი კაზაკების რიგებში გაწევრდება? მაგალითად, ჩვენი კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი ლევან მამალაძეა. მისი ბაბუა კაზაკი იყო, გვარად მედვედი. კაზაკი ჰყავს წინაპარი ვალერი ჩხეიძესაც. ბევრ ქართველს სისხლის ანალიზი რომ აუღო, კაზაკი იქნება(!?).

გვ.6,27

*სამხედრო თემაზე:*

გვ.8,9

## არმიის პრობლემები, რომლებიც აგვისტოს ბრძოლებმა გამოავლინა

ჯავშანჟილეტების გარდა, მეორე მნიშვნელოვან პრობლემად იქცა ღამის ხედვის საშუალებების ნაკლებობა, რის გამოც მოწინააღმდეგის დივერსანტებმა რამდენჯერმე მოახერხეს, 10-15 მ-ში მიახლოებოდნენ ქართველთა სანგრებს(!).



გარკვეული პრობლემა გვქონდა სამხედრო დაზვერვის ეფექტიან მუშაობასთან დაკავშირებით...

შემდგომ ბრძოლებში იმავე შეცდომების დაშვება, მიუტევებელი ცოდვა იქნება, რისი უფლებაც აღარ გვაქვს...

მიუხედავად ამდენი ნაკლოვანებისა, აღსანიშნავია მთავარი მიღწევაც – „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამით მომზადებულმა სამმა ქართულმა ბატალიონმა, განსაკუთრებით კი „კომანდომ“, მიიღო ასე აუცილებელი საბრძოლო გამოცდილება...

თუ გაგრძელება არ იქნა, სხვანაირად, 2004 წლის ცხინვალის აგვისტოს მოვლენები მომავალმა თაობამ შეიძლება შეაფასოს ისე, როგორც შეფასდა 1998 წლის მაისის გალის ავანტიურა და 2001 წლის კოდორის ავანტიურა.

### აბაშიძის „დანატოვარმა“ და ხელისუფლების წაყრუებამ ტრაგედია დაატრიალა

## მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო

სამწუხაროდ, უსაფრთხო ეს ზაფხული ნამდვილად არ აღმოჩნდა იმ ადამიანებისთვის, რომელთა მანქანები ჩაქვის პლაჟზე ტანკსაწინააღმდეგო ნაღმით აფეთქდა...

საუბედუროდ, პლაჟებზე და განსაკუთრებით ჩოლოქის მახლობლად, ჯერ კიდევ შეიძლება იყოს ტანკსაწინააღმდეგო, და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებიც კი. არადა, საკურორტო სეზონი აჭარაში პიკს აღწევს.

უსინდისო ადამიანები შეიძლება ბევრნი იყვნენ, მაგრამ სინდისიერებმა ხომ უნდა მიაქციონ ყურადღება. **ვინ არის დამნაშავე?!**

## დედა ღვთისმშობლის მადლი გვფარავდეს!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## კიდევ ორი ნაღმი აღმოაჩინეს

ჩაქვში, სასტუმრო „ოაზისთან" ნაღმზე აფეთქების დროს დაზიანებულთაგან ორის მდგომარეობა კრიტიკულია. აშოტ სურმანიანმა და ვახთაზარ ექიზარიანმა, რომლებიც ბათუმის პირველ საავადმყოფოში იმყოფებიან, ქვედა კიდურები დაკარგეს. თუმცა, ექიმები ირწმუნებიან, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. დანარჩენი დაზარალებულების მდგომარეობა შედარებით სტაბილურია. ერთი მათგანი ჩაქვის, ოთხი კი, ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფებიან. ჩაქვის სანაპიროზე განნაღმვითი სამუშაოები 22 აგვისტოსაც გაგრძელდა. სამართალდამცველებმა ინციდენტის ადგილიდან 200 მეტრის დაშორებით საკანალიზაციო ჭაში კიდევ ერთი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი აღმოაჩინეს. მოგვიანებით, სამართალდამცველებმა ბავშვების დახმარებით მეორე ნაღმიც იპოვეს.

— ჩხრეკა ყველა საეჭვო ადგილზე ხელახლა ჩატარდება, — განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ. ინციდენტთან დაკავშირებით ბათუმში საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი ჩავიდა. რომელმაც განაცხადა, რომ მსგავსი ფაქტი აღარ განმეორდება, მომხდართან დაკავშირებით კი სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება.

## სამაჩაბლოში დანაღმულ ზონებს განნაღმავენ

ე.წ. სამხრეთ ოსეთში რამდენიმე დღეა ატარებენ მონიტორინგს რუსი სამშვიდობოები. სამხედრო დამკვირვებლები ქართულ და ოსურ სოფლებს ათვალიერებენ. მათი განცხადებით, შემოიღობება განსაზღვრული ტერიტორიები და იქ დაიწყება განნაღმვითი სამუშაოები. რეგიონში მონიტორინგი შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებით ტარდება და დაახლოებით ორ კვირას გასტანს. მონიტორინგის მიზანი ზონაში უკანონო ფორმირებებისა და იარაღის აღმოჩენა-განადგურებაა.

## პოზიცია: პასი-პეტერსონი

ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე ქართულ-ოსურ მხარეებს კონფლიქტის ზონის დაუყოვნებლივ დემილიტარიზაციისკენ მოუწოდებს. სოლომონ პასი ჯარის რეგიონიდან გაყვანის შესახებ მიხეილ სააკაშვილისეულ გადაწყვეტილებას მიესალმება და დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტს, ედუარდ კოკოითსაც იმავეს მოუწოდებს. სოლომონ პასმა ამის შესახებ წერილობით მიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს და ზედმიწევნით კრიტიკულად შეაფასა კონფლიქტის მოგვარების პროცესში რუსეთის ფედერაციის გაუმართლებელი პოზიციები. პასი მზად არის სამშვიდობო მოლაპარაკებებში შუამავლობა იკისროს და კონფლიქტში დაპირისპირებულ მხარეებს კონფერენციაზე სოფიაში უმასპინძლოს.

ევროსაბჭოს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე, ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრი იან პეტერსონი კი საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას ემხრობა და სპეციალურ განცხადებაში შეშფოთებას გამოთქვამს ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენების გამო. პეტერსონი დაპირისპირებულ მხარეებს თავშეკავებისკენ მოუწოდებს და მიესალმება პასისა და საქართველოს ხელისუფლების ინიციატივას, რომელიც პოლიტიკური პროცესის სტიმულაციას ითვალისწინებს. „დადებითი სიგნალია, როცა საქართველოს პრეზიდენტი თანხმობას აცხადებს, სამხრეთ ოსეთს საქართველოს ფედერაციაში ფართო ავტონომიური სტატუსი მიანიჭოს", — აღნიშნავს პეტერსონი.

## კოკოითი ვერ ისვენებს

კოკოითის ხელისუფლება შეიარაღებას აძლიერებს. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა 21 აგვისტოს ღამე კონფლიქტის ზონაში, ქართულ პოზიციებზე, სანგარში გაათია, საიდანაც კარგად ჩანდა ოსების შეიარაღება, მათ შორის, მძიმე ტექნიკა. გიორგი ბარამიძის განცხადებით, ქართული შენაერთები სრულ სამხედრო მზადყოფნაში არიან. „ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს მოსახლეობის უსაფრთხოების დასაცავად. ჩვენ მშვიდობა გვსურს. ქართულ სახელმწიფოს კონფლიქტის მხოლოდ ამ გზით დარეგულირება უნდა. ჩვენ მივაღწიეთ საბრძოლო დაპირისპირების შეწყვეტას, ახლა შევეცდებით მშვიდობიანი მეთოდებით გავაგრძელოთ ჩვენი პოლიტიკური ბრძოლა, რათა მივაღწიოთ იმ მიზანს, რასაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჰქვია", — განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა. ჯარისკაცების მსგავსად მხნეობას ინარჩუნებს დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ქართული სოფლების მოსახლეობაც. ისინი კატეგორიულად აცხადებენ, რომ სოფლებს არ დაუთმობენ სეპარატისტებს. ორთვიანი ბლოკადის შემდეგ, ცხინვალის გავლით, დიდი და პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში ყველა ქართული და ოსური ოჯახისთვის ჰუმანიტარული დახმარება შეიტანეს. საქართველოს ხელისუფლებამ 4600 კომლს თითო-თითო ტომარა პურის ფქვილი გაუგზავნა.

## რუსი დიპლომატები განაწყენდნენ

საქართველოში რუსეთის საელჩოს წინ მიმდინარე ინტერნეტაქციის გამო საელჩოს ხელმძღვანელობამ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტით მიმართა. გასული კვირის განმავლობაში თითქმის ყოველდღე, საელჩოს შენობის წინ, საღამოს საათებში ერთმანეთთან ინტერნეტით გაცნობილები საპროტესტო აქციას მართავდნენ საქართველოს კონფლიქტის ზონებიდან რუსი სამხედროების გაყვანის, რუსეთის რეაქციული პოლიტიკის დაგმობის და ა.შ. მოთხოვნით.

საელჩოს სპეცსამსახურის ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლებას აქციის შეწყვეტის მოთხოვნაზე რეაგირება არ მოუხდენია, რაც თურმე რუსი დიპლომატების გულისწყრომას იწვევს. ამავე დროს რუსეთის თავდაცვის სამინისტრო თავისი სამხედრო ძლევამოსილების დამტკიცებას რუსეთ-საქართველოს საზღვართან ცდილობს. ფედერაციის შეიარაღებული ძალები ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნებს გადიან, რომელშიც 2000 ჯარისკაცი და 100 ერთეული სამხედრო ტექნიკა მონაწილეობს. როგორც რუსეთის თავდაცვის სამინისტრო იუწყება, საქართველო-რუსეთის საზღვართან წვრთნები კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდება. „ამ რთულ ვითარებაში ჩვენს ტერიტორიასთან ასე ახლოს რუსების ამგვარი ქმედება დაძაბულობას ქმნის და სასურველი იქნებოდა, რუსეთის ხელმძღვანელობა, დამრიგებლური განცხადებების ნაცვლად, თავად მოქცეულიყო კორექტულად. ჩვენ ვცდილობთ არ ავყვეთ ემოციებს", — განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ.

## არარეალური წინადადება

„პუტინმა არ იცის, ვინ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სააკაშვილს კი ირგვლივ რუსეთის პრეზიდენტის მეხოტბეები ახვევია. დროა, დაიწყოს მოლაპარაკებები ჩეჩნებსა და ქართველებს შორის", — აცხადებს კობა დავითაშვილი. მისი თქმით, საქართველოს დაღუპავს რუსეთის ინტერესების გათვალისწინება.

„დადგა დრო, საქართველომ დაიბრუნოს ისტორიული როლი კავკასიაში. საქართველო ყოველთვის იყო კავკასიის გამაერთიანებელი. აუცილებელია დაიწყოს მოლაპარაკებები ჩეჩნეთის კანონიერ ხელისუფლებასთან, ასლან მასხადოვთან ქართველი სამშვიდობოების ჩეჩნეთში გაგზავნასთან დაკავშირებით", — აცხადებს დავითაშვილი.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის, რამზან კადიროვის განცხადებით, „ხუთი ათასი ჩეჩენი მზად არის მშვიდობის შესანარჩუნებლად ცხინვალში შევიდეს", — იუწყება რადიოსადგური „ეხო მოსკვი". კადიროვის თქმით, თურმე მას ამ თხოვნით ე.წ. სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა მიმართეს. ვიცე-პრემიერი მიხეილ სააკაშვილს ჩეჩნეთში ჩასვლასაც სთავაზობს და აცხადებს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა თურმე არ იცის, რა არის ომი. „დაე, ჩამოვიდეს და ნახოს როგორ გაწამდა ხალხი", — აცხადებს კადიროვი.

## ხატი სამაჩაბლოში დაიდებს ბინას

ხელვაჩაურის მცხოვრებლებმა თურქეთიდან საქართველოში ივერიის ღვთისმშობლის ხატი ჩამოაბრძანეს, რომელიც სვიმონ კანანელისა და ანდრია პირველწოდებულის გზას გაივლის და სამაჩაბლოში დაიდებს ბინას. ამ აქციით გვინდა გავაცოცხლოთ ისტორიული რწმენა. მოვილოცოთ სრულიად საქართველო და საბოლოოდ ხატი ჩვენს ოს ქრისტიან ძმებს გადავცეთ საჩუქრად, ნიშნად ჩვენი ისტორიული ძმობისა, — ამბობენ ხელვაჩაურელები და წმინდა მსვლელობის მონაწილე ლაზები.

## ახალი სტრატეგია საინგილოსთვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრები ქართველების მიმართ სრულიად ახალ პოლიტიკას განახორციელებს. განათლების მინისტრის, ალექსანდრე ლომაიას განცხადებით, აზერბაიჯანის ქართულენოვანი სკოლების პედაგოგები, სამინისტროს ინიციატივით პროფესიულ გადამზადებას და სპეციალურ წვრთნებს გაივლიან.

მინისტრის თქმით, მასწავლებელთა წვრთნები 2 ეტაპად ჩატარდება. გადამზადების პროგრამის პირველ ეტაპს სამინისტრო 27 აგვისტომდე განახორციელებს. გადამზადებას კახის რაიონის 6 ქართულენოვანი სკოლისა და კახის ინტერნაციონალური სკოლის ქართულენოვანი სექტორის 104 მასწავლებელი გაივლის. პარალელურად, პროფესიული სწავლება ჩაუტარდება ზაქათალის რაიონის დაბა ალიაბადის, სოფელ მოსულის და ბელაქნის რაიონის სოფელ ითითალას სკოლების ქართულენოვანი სექტორების 57 მასწავლებელს.

აზერბაიჯანის ქართულენოვანი სკოლების პედაგოგთა პროფესიული გადამზადების პროგრამის მეორე ეტაპი ზამთარში, 1-დან 10 დეკემბრამდე ჩატარდება. საქართველოსა და ქართული კულტურის უკეთ გასაცნობად, საინგილოში მცხოვრებ ბავშვებს საქართველოში ჩამოიყვანენ და კოჯორში დაასვენებენ. კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში 15 000-მდე ქართული წარმოშობის მოქალაქე ცხოვრობს. რეგიონში 12 ქართულენოვანი სკოლაა, რომელშიც 388 მასწავლებელი 2345 მოსწავლეს ასწავლის.

## სამუშია პრეზიდენტობისთვის იბრძოლებს?

„პრეზიდენტის არჩევნების შესახებ" კანონის შესაბამისად, თვითგამოცხადებული აფხაზეთის პრეზიდენტობის ყველა კანდიდატმა აფხაზური ენის ცოდნაზე ტესტი უნდა გაიაროს, რომლის შედეგების დადგენა საარჩევნო კომისიასთან არსებულ ლინგვისტურ კომისიას ევალება. კანონის ერთ-ერთი დებულების მიხედვით, პრეზიდენტობის კანდიდატს აფხაზურ ენაზე 10 წუთის განმავლობაში ნებისმიერ თემაზე უნდა შეეძლოს საუბარი.

თვითგამოცხადებული აფხაზეთის პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, სახელმწიფო კომპანია „ჩერნომორენერგოს" გენერალურმა დირექტორმა, სერგეი ბაღაფშმა წარმატებით გაიარა ტესტი. ტესტირება გაიარეს ასევე პრეზიდენტობის კანდიდატებმა, პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯიმბამ და საგარეო საქმეთა ექსმინისტრმა სერგეი შამბამ.

აფხაზეთის ე.წ. რესპუბლიკის პრეზიდენტობისთვის კიდევ ერთი, არააფხაზი აპირებს ბრძოლას. მოძრაობა „თეთრი ლეგიონის" მეთაური ზურაბ სამუშია საარჩევნო კომისიისგან პასუხს დღე დღეზე ელოდება. განაცხადი კომისიაში საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მიიტანეს და კომისიის თავმჯდომარეს, სერგეი სმირს ჩააბარეს. სავარაუდოდ, სამუშიას რეგისტრაციაზე უარს იმ მოტივით ეტყვიან, რომ მას აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ცხოვრების დამადასტურებელი არანაირი ცნობა არა აქვს.

## ხაჯიმბა მოითხოვს!

სოხუმის ხელისუფლება აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში ინციდენტის თავიდან ასაცილებლად, საქართველოში გაეროს სპეცწარმომადგენლობასა და გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებს საქართველოს მესაზღვრეთა მიერ 30 ივლისს თურქული გემისთვის ცეცხლის გახსნის ფაქტის დაგმობისკენ მოუწოდებს.

თვითგამოცხადებული აფხაზეთის პრემიერ-მინისტრმა, რაულ ხაჯიმბამ თავისი პრეტენზიები განუცხადა სოხუმში გაეროს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელს, ჰაიდი ტალიავინსა და საქართველოში გერმანიის საელჩოს პირველ მდივანს, მირკა შირბახს.

სოხუმის ხელისუფლების ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ 30 ივლისს სოფელ ეშერასთან თურქული გემისათვის ცეცხლის გახსნით, ქართულმა მხარემ დაარღვია 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულება, რაც გაერომ შესაბამისი შეფასების გარეშე არ უნდა დატოვოს.

## არ წახვიდე „მტრის" ჯარში!

აფხაზი სეპარატისტები მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს აფხაზურ ჯარში სამსახურს სთხოვენ. იმის გამო, რომ ჭუბურხინჯში მცხოვრები ქაჯაიების ოჯახის წევრი ქართულ ჯარში მსახურობს, დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა 21 აგვისტოს მთელი ოჯახი გამოასახლეს გალის რაიონიდან(!). ქაჯაიები საცხოვრებლად ზუგდიდში გადმოვიდნენ. აფხაზები „მტრის", ანუ საქართველოს ჯარში სამსახურს ყველას უკრძალავენ.

## ჩუბაისი „მოუვლის" ყველაფერს(!)

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს უშიშროების კომიტეტის წევრის, მიხაილ მარკელოვის აზრით, ქართულ-ოსური კონფლიქტის შეწყვეტა მხოლოდ რუსეთს შეუძლია. რადიოსადგურ „ეხო მოსკვის" ეთერში გამოსვლისას მან განაცხადა, რომ ამის გაკეთებას მოსკოვი საქართველოზე ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით შეძლებს.

„ჩვენ ბატონი ჩუბაისი გვყავს", — განაცხადა მარკელოვმა. რუსული კომპანია „რაო ეესი", რომლის ხელმძღვანელი ანატოლი ჩუბაისია, სს „თელასის" აქციების 75%-ის მფლობელია. გარდა ამისა, კომპანიის საკუთრებაშია „თბილსრესის" მე-9-10 ენერგობლოკები, ჰიდროელექტროსადგურები „ხრამი-1" და „ხრამი-2" კი 25-წლიანი მართვის უფლებით აქვს გადაცემული.

მარკელოვის ამგვარი გამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო სასაცილოდ ჟღერს რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის მიერ საქართველოსა და ქვეყნის ხელისუფლების მისამართით გაკეთებული ალოგიკური განცხადებები. თვით რუსებისთვის არ იქნებოდა ურიგო, მარკელოვის მსგავსი აგრესორები და შოვინისტები აელაგმა.

## სკანდალი ტაბაწყურში

ათამდე კაცი დაშავდა ახალქალაქის რაიონში 20 აგვისტოს მომხდარი ინციდენტის შედეგად. ტაბაწყურის მოსახლეობამ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გამართა. ისინი ფულად კომპენსაციას ითხოვდნენ. მომიტინგეთა დაშლა პოლიციის რაზმმა სცადა. მოსახლეობასა და სამართალდამცველებს შორის ხელჩართული ჩხუბის შედეგად დაშავებულია ხუთი პოლიციელი. დაკავებულია აქციის 5 მონაწილე პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და მათზე თავდასხმის გამო. სიტუაციის დასარეგულირებლად, ტაბაწყურში 21 აგვისტოს სპეცრაზმი შეიყვანეს.

იმის მიუხედავად, რომ მოსახლეობა პროტესტის გამოხატვას აღარ აპირებს, სამართალდამცველთა განცხადებით, მსგავსი ქმედების შემთხვევაში, აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ მკაცრი ზომები გატარდება. მილსადენის მშენებლობა კი გაგრძელდება.

## ინაიშვილი პორტის გაყიდვას ეწინააღმდეგებოდა —

ფოთის პორტს ახალი უფროსი ჰყავს. ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე თემურ მიმინოშვილი საქმიანობას უკვე შეუდგა.

ფოთის პორტის ყოფილმა უფროსმა ჯემალ ინაიშვილმა თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება 9 აგვისტოს დაწერა და ამის მიზეზად ის გარემოება დაასახელა, რომ არ ეთანხმება ეკონომიკის ახალი მინისტრის სტრატეგიას, კერძოდ, პორტის გაყიდვის ინიციატივას.

ფოთის პორტის ახალი უფროსი პორტის გაყიდვაზე მხოლოდ ზოგადად საუბრობს. თემურ მიმინოშვილი არ გამორიცხავს ნავსადგურში მკვეთრი საკადრო ცვლილებების გატარებასაც.




## აღნიშნეს ჰესის გარდაცვალების წლისთავი

გერმანიაში ფაშიზმის ნაპერწკალი დროდადრო სკანდალურად აალდება ხოლმე. 22 აგვისტოს, გერმანიის ქალაქ გონზიდელში ნეონაცისტების აქცია გაიმართა. ქალაქის ქუჩებში გამოსულ სამი ათასზე მეტი ადამიანი ადოლფ ჰიტლერის თანამებრძოლის, რუდოლფ ჰესის გარდაცვალების მე-15 წლისთავს აღნიშნავდა. მათ მიტინგის მოწყობის თანხმობა სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად მოიპოვეს. თუმცა ნეონაცისტებსა და პოლიციელებს შორის შეხლა-შემოხლა მაინც მოხდა. პოლიციამ 70-ზე მეტი აქციის მონაწილე იარაღის უკანონო ტარებისათვის დააპატიმრა. ნეონაცისტების ამგვარი აქციები ყოველწლიურად უკვე ტრადიციად იქცა. ყოველ წელს მასში მონაწილეობის მისაღებად ნეონაცისტები მთელი გერმანიიდან იკრიბებიან.

## მსოფლიოს სუპერქალები

ჟურნალ „ფორბსის" ვერსიით, მსოფლიოს ასი ყველაზე გავლენიანი ქალის სიას სათავეში აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში, კონდოლიზა რაისი ჩაუდგა. მეორე ადგილზეა ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე უი. საპატიო მესამე ადგილი წილად ხვდა ინდოეთის ეროვნული კონგრესის ლიდერს, სონია განდის.

მეოთხე და მეხუთე ადგილებს აშშ-ის პირველი ლედი ლორა ბუში და სენატორი ჰილარი კლინტონი იყოფენ. ყველაზე ძლიერთა ათეულში აზიის კიდევ 2 წარმომადგენელი შევიდა. ინდონეზიის პრეზიდენტმა მეგავატი სუკარნოპუტრიმ და მისმა ფილიპინელმა კოლეგამ, გლორია აროიომ მერვე და მეცხრე ადგილები დაიკავეს.

„ფორბსი" ამგვარ სიას პირველად აქვეყნებს. მასში სულ 28 ქვეყნის წარმომადგენლები შევიდნენ, მათ შორის — პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, მწერლები და ხელოვნების მოღვაწეები, ასევე სამეფო ოჯახების წევრები.

## ახალი გრიპი

აზიის ქვეყნების მცხოვრებლებს ქათმის გრიპის ახალი, საშიში ფორმა ემუქრებათ. ჩინელმა მეცნიერებმა ადამიანისთვის სასიკვდილო ვირუსის შტამი ღორებს აღმოუჩინეს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენლების განცხადებით, ვირუსის ეს სახეობა ჩინეთში მეღორეობის რამდენიმე ფერმაშია აღმოჩენილი. ის იმითაა საშიში, რომ შეიძლება, ადამიანს გადაედოს.

წელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რამდენიმე ქვეყანაში ქათმის გრიპით 27 კაცი გარდაიცვალა. შარშანდელმა ეპიდემიამ კი რამდენიმე ათეული ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მაშინ ჩინეთის, მალაიზიის, ვიეტნამისა და ტაილანდის ხელისუფლებები იძულებულნი გახდნენ, დაახლოებით 200 მილიონი ინფექციის გამავრცელებელი შინაური ფრინველი გაენადგურებინათ.

## ბერლუსკონი კეკლუცობს

იტალიელი ექიმის, პიერო როზატის განცხადებით, იტალიის პრემიერ-მინისტრს, ყველაზე მდიდარ იტალიელს, სილვიო ბერლუსკონის, რომელიც სიქაჩლეს ებრძვის, თმის ტრანსპლანტაციის ოპერაცია გაუკეთდა, ოპერაცია თავად როზატიმ გააკეთა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ბერლუსკონი თავშეხვეული ნახეს.

იტალიის პრემიერის ექიმის თქმით, ოპერაციის შედეგები მხოლოდ ორი თვის შემდეგ გამოჩნდება. „სასწაულს ვერავინ მოახდენს... თუმცა გაუმჯობესება აუცილებლად იქნება" — თქვა როზატიმ. წლის დასაწყისში ბერლუსკონის თვალების ირგვლივ კანის გადაჭიმვის ოპერაციაც გაუკეთებია.

CMYK

# დათვს ქრონიკულად „ბაბაია" არ უნდა ვექახოთ...

## „ნულიდან რომ ვიწყებდეთ, საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, სამწუხაროდ, ჩვენ ხშირად „მინუს ერთიდან" გვიწევს დაწყება



ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენების პარალელურად, თანდათან მკაფიო და ერთსახოვანი ხდება საქართველოსადმი რუსეთის დამოკიდებულებაც — ეს აღარ არის „კარგი" და „ცუდი" რუსეთის პოლიტიკური ბრძოლა საქართველოსთან და ზოგადად, კავკასიასთან. საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ საქართველოს მისამართით გაკეთებული განცხადებები უფრო და უფრო ემსგავსება ერთმანეთს. როგორც არ უნდა განვითარდეს ცხინვალის რეგიონში მოვლენები, ეს ფაქტორი უკვე მეტყველებს ქართული პოლიტიკის წარმატებაზე. არა მხოლოდ დამოუკიდებლობის დღიდან, არამედ უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე, რუსეთთან ურთიერთობის გარკვევა საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ჩრდილოეთით, კავკასიის გადაღმა მცხოვრებ „დათვს" ომი გამოვუცხადოთ, თუმცა იმასაც უნდა მივხვდეთ, რომ საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში ყველა ანდაზის პირდაპირი ინტერპრეტაცია არ გამოგვადგება და დათვს ქრონიკულად „ბაბაია" არ უნდა ვეძახოთ, რაც არ უნდა დიდი და საშიში იყოს იგი.

წლების მანძილზე „ფეთქებადი" სიურპრიზებით მხოლოდ რუსი სამხედროები „გვანებივრებდნენ"... დღეს, როდესაც ბათუმური რევოლუციიდან რამდენიმე თვეა გასული, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი წარბშეჭმუხვნით მხოლოდ ასლან აბაშიძეზე და მის მიერ აჭარაში დატოვებულ „სიურპრიზებზე" არ უნდა ლაპარაკობდეს — ერის წინაშე ჩადენილი დანაშაულის ტოლფასია შენივე თანამოძმეების წინააღმდეგ ჩოლოქის მიმდებარე ზღვისპირეთის დანაღმვის ბრძანების გაცემა. მაგრამ არანაკლები დანაშაულია, თვეების მანძილზე მხოლოდ პოლიტიკურ კონკურენტებს, ან ბათუმის ცენტრალური ბაზრის მოვაჭრეებს ებრძოდე და, წინასწარ არსებული ინფორმაციის მიუხედავად, საკურორტო სეზონზე(!) პლაჟების განნაღმვა (მიუხედავად მოსახლეობის მხრიდან გაფრთხილებისა. — დ.გ.) არასრულყოფილად ან საერთოდ არ ჩაატარო. შეცდომებზე სწავლა კარგია, მაგრამ ეს შენი თანამოქალაქის მოკვეთილი კიდურის ფასად არ უნდა ხდებოდეს... ეს უკვე გულგრილი დამოკიდებულება კი არა, ბოროტებაა. თუმცა დღეს მაინცდამაინც არც იმას ულხინს, ვისაც ყველა კიდური საღი აქვს — შინაგან საქმეთა სამინისტროდან გათავისუფლებული ათასობით პოლიციის თანამშრომელი კვლავაც სოციალურად დაუცველი რჩება. ალბათ მათთვის დიდი შეღავათი არ უნდა იყოს იმის ყურება, თუ როგორი დაგემოვნებით აკნატუნებს მზესუმზირას კისერში „პლატოკჩაფენილი", ცინცხალ „ფოლქსვაგენთან" მდგომი პატრულის თანამშრომელი. თუმცა, მაინც დიდად მოხარულები დავრჩებით, თუ საპატრულო პოლიციის მუშაობაში მზესუმზირის ჭამა ერთადერთი ნაკლი იქნება...

თვისებრივად ახალ საგადასახადო კოდექსზე მსჯელობა და განცხადებები კვლავაც მსჯელობა-განცხადებებად რჩება. დოლარი კი ვარდნას განაგრძობს და გადანახული, უკანასკნელი მწვანე კუპიურებით ხელში სავალუტო პუნქტებთან მდგომი მოსახლეობა უახლოეს მომავალში ფასების მოსალოდნელ, კიდევ უფრო „საშინელ" მომატებაზე ლაპარაკობს. ეს ის შემთხვევაა, რომელზეც ბოლშევიკები სამამულო ომის დროს ამბობდნენ „ბოლტატ — ვრაგუ პამაგატ". თუმცა მაშინ, დამაჯერებლობის მიუხედავად, ხალხს და ქვეყანას მაინც კონკრეტული მიზნები და ამოცანები ჰქონდა და არც ბრძოლით დაკავებულ სტრატეგიულ მაღლობებს თმობდა ვინმე...

ასეა თუ ისე, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკასა და ეკონომიკაში მიღწეული მცირედი წარმატებების ფონზე, წლების შემდეგ, საქართველო კვლავაც კეთილი, უფროსი მეგობრების იმედად რჩება. „მეგობრებს" კი პრობლემები უჩვენოდაც თავზე საყრელი აქვთ — ერაყსა და ზოგადად, აღმოსავლეთში ტერორისტთა მასობრივ დაპატიმრებებს პერმანენტულად ცვლის მასშტაბური ტერაქტები, ნავთობი კი კატასტროფული სისწრაფით ძვირდება.

თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს საქართველოს ყოფაზე მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებს, ან რამდენად მჭიდრო კავშირშია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა და ეკონომიკა გლობალურ, მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკასათან, ვესაუბრებით პოლიტოლოგ **ალექსანდრე რონდელს**:

**— რამდენად შეიძლება უკავშირდებოდეს ცხინვალის რეგიონში მოვლენათა განვითარების უარყოფითი და დადებითი ტენდენციები მსოფლიო პოლიტიკაში არსებულ ვითარებას? უკანასკნელ პერიოდში ქართული საზოგადოებრიობისთვის თანდათან უფრო ცხადი ხდება, რომ ცხინვალის პრობლემა მხოლოდ დიდ სახელმწიფოთა მოლაპარაკების შედეგად შეიძლება მოგვარდეს. მეორე მხრივ, ისიც საკითხავია, გაიფუჭებენ თუ არა ერთმანეთთან ურთიერთობას მსოფლიოს ზესახელმწიფოები ერთი პატარა პროვინციული ქალაქის გულისთვის...**

— რასაკვირველია, „ერთი პატარა პროვინციული ქალაქი" ცხინვალი, ისეთი ეკონომიკური, გნებავთ, საერთაშორისო პოლიტიკური მნიშვნელობისა არ გახლავთ, რომ მის გამო მესამე მსოფლიო ომი დაიწყოს და ამერიკა და რუსეთი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაეკიდონ. თუმცა, ცხინვალის რეგიონს დღეს იმხელა მნიშვნელობა კი აქვს, რომ ამ ქვეყნებს შორის ვაჭრობის მნიშვნელოვან ფსონად იქცეს. მოგეხსენებათ, რომ რუსეთსა და ამერიკას მთელ მსოფლიოში პოლიტიკურ-ეკონომიკური ბრძოლის არაერთი ფრონტი აქვთ ერთმანეთთან გახსნილი — დღეს უკვე თამამად შეიძლება ცხინვალიც ერთ-ერთ ფრონტად ჩავთვალოთ, რომელსაც ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში გადამწყვეტი არა, მაგრამ გარკვეული, თუნდაც მცირედი მნიშვნელობა მაინც ექნება. დასავლეთი ხედავს, რომ გაჩნდა შანსი რუსეთზე გავლენის მოხდენისა, რათა საქართველო და, აქედან გამომდინარე, კავკასია — ეს უმნიშვნელოვანესი პლაცდარმი — მის გავლენას „გამოგლიჯოს". მეორე მხრივ, რაც უფრო დამძიმდება საქართველოს მხარეს „სასწორის პინა", პუტინს ექნება იმის თქმის საშუალება თავისი ხალხისთვის, რომ რუსეთს „კისერზე" ტვირთად ჩამოკიდებული ცხინვალი დასავლეთისგან ამხელა ზეწოლად არ უღირდა. ასეთი მსჯელობა დღეს უფრო ფანტასტიკად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მსგავსი ტენდენციები რუსულ პოლიტიკაში უკვე სახეზეა — ამაზე თუნდაც საქართველოსადმი დამოკიდებულებაში დაწყებული ერთსახოვნების პროცესიც მიგვანიშნებს. „კეთილმოსურნე" და „აგრესიული" რუსი სამხედროებისა და პოლიტიკოსების განცხადებები ერთმანეთისგან უკვე დიდად აღარ განსხვავდება... საკითხი საკმაოდ მრავალმხრივი და რთულია — აქ მხოლოდ საქართველოსადმი მხარდაჭერაზე არ არის ლაპარაკი. როგორც გითხარით, ამერიკას და რუსეთს ერთმანეთთან რამდენიმე ფრონტი აქვთ გახსნილი, სადაც წარმატებას ხან ერთი აღწევს, ხან მეორე. დღეს რუსეთს გარკვეული გავლენა აქვს ერაყში მიმდინარე პროცესებზე. კიდევ უფრო ქმედითი ბერკეტები გააჩნია მას ავღანეთში — ეს პრობლემა, მიჩუმათების მიუხედავად, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის თანდათან მწვავდება. მოსკოვი გავლენას ინარჩუნებს ცენტრალურ აზიაშიც. თუმცა ეკონომიკის წყალობით, ძალთა თანაფარდობას მთლიანობაში კვლავაც ვაშინგტონი აწონასწორებს. საერთაშორისო პოლიტიკაში აქტიურობა კოლოსალურ ხარჯებს მოითხოვს, ამ მხრივ კი, თავად მოგეხსენებათ, ვის უფრო კარგად აქვს საქმე...

**— თუ ერაყში განვითარებულ მოვლენებს, მისი ნავთობსადენის დაბლოკვისა და აფეთქებების გამო ნავთობის კატასტროფულად გაძვირებას გავითვალისწინებთ, არც დასავლეთს უნდა ჰქონდეს საქმე მთლად კარგად. მეორე მხრივ, რუსეთს შეეძლო შექმნილ კრიზისულ ვითარებაში საკუთარი ნავთობის მარაგის მეშვეობით ნავთობის მსოფლიო ფასებზე გარკვეული გავლენაც მოეხდინა. მიუხედავად ამისა, პუტინი კვლავაც ბლოკავს უდიდეს რუსულ ნავთობმწარმოებელ კომპანია „იუკოსს"...**

— ეს ალბათ ის შემთხვევაა, როდესაც პოლიტიკას ეკონომიკაზე წინ აყენებენ. „იუკოსთან" და მის ბოსთან პუტინს დღეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვს გამართული. თუ „იუკოსი" დამარცხდა, ეს ურჩ ოლიგარქებზე რუსეთის პრეზიდენტის ძლევამოსილი გამარჯვება იქნება. რასაკვირველია, ნავთობის ექსპორტის გაზრდით რუსეთს შეეძლო თავისი ზეგავლენა გაეძლიერებინა ნავთობის მსოფლიო ბაზარზე. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ეს მაინც დროებითი იქნებოდა და სიტუაციის გათვლის შემდეგ, როგორც ჩანს, პუტინმა თავს უფლება მისცა, მარცხენა ხელით სხვა საქმე ეკეთებინა, მარჯვენათი სხვა — ეკონომიკაში მნიშვნელოვან წარმატებებზე მსჯელობის პარალელურად, ის ებრძვის ამ ეკონომიკას, რათა პოლიტიკაში ადგილი საბოლოოდ განიმტკიცოს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ერაყში ალბათ ვითარება კიდევ კარგა ხანს დარჩება მოუწესრიგებელი — ერაყული წინააღმდეგობის ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ლიდერი ალ-სადრი უკვე დროის გაყვანის პოლიტიკას მიმართავს. ალბათ ამას თავად ამერიკელებიც კარგად ხვდებიან, მაგრამ გაერთიანებული სარდლობის ჯარებიც საკმაოდ მწვავე რეალობის წინაშე დგანან და ამოსუნთქვა მათაც სჭირდებათ... ასე რომ, როგორც ჩანს, საერთაშორისო ბაზარზე, ზრდის ტენდენციის შეჩერება რომც მოხერხდეს, ნავთობის ფასი კიდევ დიდხანს დარჩება მაღალი. ამ ვითარებაში კი ერთიორად მნიშვნელოვანი ხდება ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი. როგორც ჩანს, პუტინს რუსული ბიზნესისა და, უწინარესად, ნავთობწარმოების კონტროლი არ გაუჭირდება. ასეთ შემთხვევაში კი შეერთებული შტატებისთვის ალტერნატივა, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი, სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს — დასავლეთისთვის მხოლოდ მისი მეშვეობით იქნება შესაძლებელი ნავთობის ფასის გაკონტროლება. აქედან გამომდინარე, როგორც თავად ხვდებით, ცხინვალის რეგიონსა და ზოგადად საქართველოში მდგომარეობის სტაბილურობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს — ჩვენი ქვეყნისთვის სწორედ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი უნდა გახდეს უახლოეს მომავალში ფინანსურზე მეტად პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი. სტაბილურობა კი საქართველოსთვის ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს შექმნას ნიშნავს. ბუნებრივია, დასავლეთ ევროპა და ამერიკა დაინტერესებული იქნებიან, რომ ტერიტორიაზე, სადაც ასეთი მნიშვნელობის ნავთობსადენი გადის, ეკონომიკურად უზრუნველყოფილი მოსახლეობა ცხოვრობდეს, რადგან სოციალური კეთილდღეობა სწორედ სტაბილურობის უპირველესი გარანტი გახლავთ. ამითვე უნდა აიხსნას ჯერარნახული, ერთსულოვანი მხარდაჭერა, რომელიც საქართველოში აკრედიტებულმა ევრო-ამერიკულმა დიპლომატიურმა კორპუსმა ჩვენს ხელისუფლებას ცხინვალის გამო გამოუცხადა. მსოფლიოს მრავალი, ჩვენზე ბევრად უფრო ტრაგიკულად განვითარებული კონფლიქტის კერები ახსოვს, სადაც დაპირისპირება დღესაც მწვავეა და ყოველდღიურად ასობით მშვიდობიანი ადამიანი იღუპება. თუმცა უშუალოდ კონფლიქტურ რეგიონში ერთად შეკრებილ სხვადასხვა ქვეყნის კონსულებს „მხარდამჭერი აქცია" არ გაუმართავთ და არც კომუნიკე შეუმუშავებიათ. როგორც ჩანს, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ჰუმანური და ეკონომიკური მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა — ევროპაც და ამერიკაც საქართველოსა და ცხინვალთან მიმართებაში „სასარგებლოს და სასიამოვნოს" ერთმანეთს უთავსებს... რასაკვირველია, მსოფლიოში ჩვენსავით და კიდევ უფრო გაჭირვებული ქვეყანა ბევრია, მაგრამ განვითარებისა და ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი სხვა ქვეყნებისგან „ვარდების რევოლუციით" განვსხვავდებით და დღეს ევროპასაც და ამერიკასაც ჩვენდამი გამორჩეული ყურადღებისთვის საკმაო საბაბი აქვთ — საქართველო მთელ მსოფლიოში გახდა ცნობილი იმით, რომ ხალხმა თავად გამოიჩინა კეთილი ნება, მშვიდობიანად დადგომოდა დემოკრატიული განვითარების გზას.

**— რამდენადაც მიმზიდველია დემოკრატიული განვითარების იდეა, იმდენად უფრო რთულად დასაძლევი ხდება ამ გზაზე შეხვედრილი სიძნელეები. საქართველოს, პრაქტიკულად, ყველა სფეროში ნულიდან უწევს სახელმწიფოებრიობის შენება. ამას ემატება უმუშევრობა, გაზრდილი ფასები და, ლართან მიმართებაში დოლარის კატასტროფული ვარდნა, რაც ყველაზე უცნაურია დღევანდელი მსოფლიო ტენდენციის გათვალისწინებით...**

— უნდა გითხრათ, რომ საქართველოს ყველაფრის ნულიდან დაწყება არ უწევს. ეს ალბათ საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, რადგან ბევრ რამეს ჩვენ „მინუს ერთიდან" ვიწყებთ. ერთია, როცა სუფთა ფურცლიდან იწყებ საქმის კეთებას და მეორეა, როცა ეს საქმე გაფუჭებულია, თანაც დიდი მონდომებით. რაც შეეხება სიძნელეებს, იოლად არაფერი არ მიიღწევა. ვერ დამისახელებთ განვითარებულ სახელმწიფოს, რომელსაც ჩვენი მსგავსი, ან უფრო რთული გზა არ ჰქონდეს გავლილი სახელმწიფოებრიობის მისაღწევად. მაგრამ ჩვენს მდგომარეობას ის ართულებს, რომ ძალიან მცირე დრო გვაქვს — ზემოთ ნახსენებ სახელმწიფოებს საუკუნეები დასჭირდათ იმის მისაღწევად, რასაც ჩვენ უახლოეს ათწლეულში ვისახავთ მიზნად. ისიც ფაქტია, რომ ჩვენს საზოგადოებას ძალზე დაბალი პოლიტიკური დონე აქვს. თავად განსაჯეთ — რამდენი პარტია დაიშალა და შეიქმნა უკანასკნელ ათწლეულში. მიუხედავად იმისა, რომ ამ განვლილ პერიოდში პოლიტიკური აქტივობა და ჩამოყალიბებისთვის საჭირო გარემოფაქტორები არ გვაკლდა, საბოლოო ჯამში, მაინც ერთსახოვანი პოლიტიკის ანაბარა დავრჩით. არადა, მრავალპარტიულობა დემოკრატიული სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი „სამშენებლო მასალაა". რაც არ უნდა ჭკვიანი იყოს მმართველი პარტია, ამის გარეშე სწორი პოლიტიკის წარმართვა ძალიან გაუჭირდება. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ხელისუფლება ნამდვილ, გონიერ და ჭეშმარიტ ოპოზიციას ხელოვნურად ვერ შექმნის — ეს დრომ უნდა მოიტანოს. რაც შეეხება ეკონომიკურ ფაქტორებს, როგორც მოგახსენეთ, სირთულეების დაძლევის გარეშე რამის მიღწევა შეუძლებელია. ეს სირთულე კი უპირველესად, ტრადიციულად, მოსახლეობის ყოფაზე აისახება ხოლმე. სხვა საქმეა, რამდენად ცდილობს ქვეყნის ხელისუფლება მოსახლეობისთვის ამ ტვირთის შემსუბუქებას, ან რამდენად ხელეწიფება ამის გაკეთება. ფაქტია, რომ დოლართან მიმართებაში ლარის კურსის გამაგრება, ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, ხელისუფლების ჩარევითაც არის განპირობებული. გარდა იმისა, რომ ეს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ არ მოქმედებს, ამ ეტაპზე არც საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად არის სასარგებლო. ეკონომიკის ექსპერტად ალბათ არ გამოვდგები, მაგრამ ძალიან მარტივია, რომ საწყის ეტაპზე ყველაფერი უნდა გაკეთდეს საშუალო შეძლების მქონე მოქალაქეთა რიცხვის, ე.წ. საშუალო ფენის, მაქსიმალურად გასაზრდელად. ამისთვის კი, უწინარესად, უნდა გატარდეს საგადასახადო შეღავათები — ჯერჯერობით, ამის თაობაზე მხოლოდ ლაპარაკობენ. შეღავათიანი გარემო უნდა შეიქმნას ინვესტორებისთვისაც. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში უმთავრესი იქნება ქვეყნის სტაბილურობის ხარისხი, მაგრამ ამის შემდეგ ინვესტორთა მოზიდვის მთავარი ფაქტორი — მათთვის მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათების დაწესება იქნება. უკანასკნელი თვეების მანძილზე ქვეყანაში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ თუნდაც ამ მიღწეული წარმატებების შესანარჩუნებლად კიდევ ბევრის გაკეთებაა საჭირო, უპირველესად კი, ეკონომიკური თვალსაზრისით. მოსახლეობამ უნდა იგრძნოს, რომ ხელისუფლება მას ემსახურება და არა — საკუთარი რეიტინგის სკალას.

*დაჩი გრძელიშვილი*

**ბუნებრივია, დასავლეთ ევროპა და ამერიკა დაინტერესებული იქნებიან, რომ ტერიტორიაზე, სადაც ასეთი მნიშვნელობის ნავთობსადენი გადის, ეკონომიკურად უზრუნველყოფილი მოსახლეობა ცხოვრობდეს, რადგან სოციალური კეთილდღეობა სწორედ სტაბილურობის უპირველესი გარანტი გახლავთ. ამითვე უნდა აიხსნას ჯერარნახული, ერთსულოვანი მხარდაჭერა, რომელიც საქართველოში აკრედიტებულმა ევრო-ამერიკულმა დიპლომატიურმა კორპუსმა ჩვენს ხელისუფლებას ცხინვალის გამო გამოუცხადა.**

**როგორც ჩანს, საერთაშორისო ბაზარზე, ზრდის ტენდენციის შეჩერება რომც მოხერხდეს, ნავთობის ფასი კიდევ დიდხანს დარჩება მაღალი. ამ ვითარებაში კი ერთიორად მნიშვნელოვანი ხდება ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი. როგორც ჩანს, პუტინს რუსული ბიზნესისა და, უწინარესად, ნავთობწარმოების კონტროლი არ გაუჭირდება. ასეთ შემთხვევაში კი შეერთებული შტატებისთვის ალტერნატივა, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი, სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს — დასავლეთისთვის მხოლოდ მისი მეშვეობით იქნება შესაძლებელი ნავთობის ფასის გაკონტროლება.**

**საწყის ეტაპზე ყველაფერი უნდა გაკეთდეს, საშუალო შეძლების მქონე მოქალაქეთა რიცხვის, ე.წ. საშუალო ფენის, მაქსიმალურად გასაზრდელად. ამისთვის კი, უწინარესად, უნდა გატარდეს საგადასახადო შეღავათები — ჯერჯერობით, ამის თაობაზე მხოლოდ ლაპარაკობენ. შეღავათიანი გარემო უნდა შეიქმნას ინვესტორებისთვისაც. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში უმთავრესი იქნება ქვეყნის სტაბილურობის ხარისხი, მაგრამ ამის შემდეგ ინვესტორთა მოზიდვის მთავარი ფაქტორი — მათთვის მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათების დაწესება იქნება.**

# ᲡᲐᲓᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ!

**დღეს, როცა ჩვენ ირგვლივ უამრავი ადამიანი ითხოვს დახმარებას, როცა ჩვენს ქალაქში უამრავი მარტოხელა პენსიონერია, რომელთა შემოსავალი მხოლოდ მწირი პენსიაა, როცა ბევრს აღარც ახსოვს, როდის ისადილა გემრიელად, რა თქმა უნდა, ჩნდება სურვილი ერთხელ მაინც გაუმასპინძლდე მათ ცხელი კერძით და ადამიანური სითბო დაანახვო...**

**ᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 28 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ,** მარიამობის დღესასწაულზე „კათარზისი“ იწვევს ყველას, ვისაც სურვილი აქვს დაპურდეს.

თქვენ მარტო არ ხართ, თქვენზე ფიქრობენ!

ამჯერად თქვენი მასპინძელი იქნება გაზეთი **„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“.**

**გელით სათნოების სახლში 12-დან 17 საათამდე (დავით აღმაშენებლის პრ. № 121).**

**ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით 11-დან 17 სთ-მდე. ტელ.: 95-16-46, „კათარზისი“.**

# ᲓᲘᲐᲮ, ᲩᲕᲔᲜ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲪᲮᲕᲠᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐ...



თვალის გახელაა საჭირო, რომ დაინახოთ „სამაჩაბლოში ენძელები გაფითრებულან“, „ოცნებასავით ჩამომჯდარი მთაზე ნეკრესი, ცივგომბორის შუბლზე შემოწნული ვაზის გვირგვინი“, „თუთარჩელა ღამე“... და თუ აქამდე ეს ყველაფერი არ დაგინახავთ, **ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲛᲦᲕᲓᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** პოეზიაში ისე შეხვდებით, როგორც საკუთარ ფიქრებს...

სწორედ საქართველოზე ფიქრით და საქართველოზე ლოცვით შემოსილი და მოოჭვილი მეჩვენა ყოველი ხატი, რომელსაც ქალბატონი თინათინი მძივებით ამკობს. ამას ვერც სიტყვა „ლამაზი“ გადმოგცემთ, ვერც — „განუმეორებელი“, ამიტომაც მათი აღწერა შეუძლებელია, ისინი უნდა ნახო და მოილოცო.

— ხატების შემკობა 3 წლის წინ დავიწყე, — გვითხრა ქალბატონმა თინათინმა, — თავდაპირველად ვამკობდი ჯვრებს, კანდელს, ლარნაკს, წმინდა გიორგის ხატის შემკობა კი თვითონ წმინდა გიორგის ხატმა გადამაწყვეტინა.

წმინდა გიორგის ხატის მოზრდილი რეპროდუქცია მქონდა. სიდიდის გამო მუდამ რომელიმე დიდ წიგნში მედო ხოლმე. დროის გასვლასთან ერთად, ხატიც გაიცრიცა... უნებურად გავიფიქრე: — რატომ ვაწვალებ ამ ხატს, უფალი დამსჯის-მეთქი. ავიღე დიდი მუყაო და ხატი დავაკარი. არც ხილვა მქონია, არც სიზმარი. თუ მძივებს ვიშოვიდი, ან მაჩუქებდა ვინმე — ვამკობდი. დაახლოებით ერთი წელი ვიმუშავე. როცა დავასრულე, ჩავსვი ჩარჩოში, უკან მივაწერე: წმინდა დემეტრე თავდადებულის მიერ აგებულ მეტეხის ტაძარს ვწირავ ჩემი სულის საოხად-მეთქი.

იმხანად სამხატვრო გალერეაში გამოფენა იხსნებოდა. ვიდრე ხატს ტაძარს ვაჩუქებდი, გადავწყვიტე გალერეაში გამომეფინა. მეგობრის მანქანით ჯერ გამომცემლობაში მივედი, მერე — მეტეხში. ტაძარში შესვლამდე ხატი მანქანაში დავმალე — ვიფიქრე, მოძღვარს ვნახავ, ვეტყვი, ხატი უნდა შემოგწიროთ, ოღონდ რამდენიმე დღე გამოვფენ და მერე მოვაბრძანებ-მეთქი. მამა აკაკიმ მომისმინა და — როგორც გინდათო, მითხრა. მეგობარს ვთხოვე, ხატი ამოაბრძანე-მეთქი. უნდა გენახათ, როგორი შემოვიდა ტაძარში: ასმაგად გაბრწყინებული, ულამაზესი. მამა აკაკიმ ხატი მაღლა ასწია, მიკურთხა და შეაბრძანა საკურთხეველში.

გამოფენა ერთი თვით გადაიდო. ამ დროში მოვასწარი ბერძნული ღვთისმშობლის ხატის, „ნუ მსტირ მე, დედაო“, შემკობა...

*— ერთი ხატის შემკობას რამდენ ხანს ანდომებთ?*

— 40 დღე მჭირდება, მხოლოდ ვმუშაობ და მძინავს...

*— მძივებს დიდხანს არჩევთ?*

— ხატები თვითონ ირჩევენ. როცა არ მაქვს რაიმე ფერის მძივი, აუცილებლად გამომიჩნდება, შეიძლება სულ უცხომ მომიტანოს. ბევრი სხვისი ხელით მიგზავნის მძივებს. დიდი მადლიერებით ვახსენებ მათ: ანი გოგოლაძეს, ციცო, ია, ლია მარიამიძეებს, რევაზ, გიორგი ჩარკვიანებს, რამაზ ჭელიშვილს, მერსი სილაგაძეს, ლია ეცადაშვილს, ეკა ბელქანიას, ლალა ფანჩულიძეს, ჯული გამზარდიას, ჯული და ნანა მარიამიძეებს... რომ არა ისინი, ხატებს ვერც შევამკობდი. მე ხომ უმუშევარი ვარ. მათი შეძენის საშუალება ვინ მომცა!

*— ძალიან გამბედავი ყოფილხართ. ამბობენ, საფრთხეს არ უშინდებით და პანკისშიც კი შედიხართ.*

— პანკისის ხეობაში მართლაც შევედი დაცარიელებულ ჯოყოლოს წმინდა გიორგის ეკლესიაში, საკურთხეველთან, ცისფერი ნაჭერიღა ფრიალებდა... ორი ხატი მივაბრძანე, სანთლები ავანთე, ჩემი წიგნები მივიტანე. თითქოს ტაძარში ჩამოთბა. ბზობის ბრწყინვალე დღესასწაული იყო. ორი ბზა დავრგე ეკლესიის ეზოში... ჯოყოლოს წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში რომ შევედი, ერთმა ქისტმა მითხრა, — თინათინ, ფრთხილად, ვაჰაბიტებმა არ გესროლონო. ვუთხარი: — აქ ისეთი ბიჭების სულები ტრიალებენ, ვაჰაბიტები ვერაფერს დამაკლებენ-მეთქი. სექტანტები ხშირად ტელევიზიით ავსიტყვაობენ — სარწმუნოების მონები ხართო. დიახ, ჩვენ ქრისტეს ცხვრები ვართ და არა — სატანის. ვევედრები უფალს, ქრისტეს ცხვარი ვიყო ბოლომდე. მომრავლებული სტიქიური უბედურებები იცით, რის გამო ხდება? თითოეული დაკარგული მართლმადიდებლის სული თითო ზვავი, თითო კოკისპირული წვიმა, ნგრევა და უბედურებაა. ვიდრე ყველა ადამიანი არ დაუბრუნდება მართლმადიდებლობას და მაკარონსა და ბრინჯზე სარწმუნოების გაცვლას არ შეწყვეტს, ასე იქნება...



***ლელა ჯიყაშვილი***

# ᲜᲔᲢᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡ ᲥᲐᲛᲛᲐᲪ ᲩᲐᲛᲝᲠᲔᲙᲐ



***გეთსამანია — ღვთისმშობლის საფლავი***

...უნეტარესს წინდაწინ ეუწყა — მოახლოებული იყო ჟამი ამ ქვეყნიდან გასვლისა... საკმევლით, სანთლითა და ლოცვით გაჯერებულ სენაკში იწვა წმინდა სარეცელზე წმინდა მოციქულების დიდი პატივითა და თაყვანისცემით მოსილი დედა უფლისა და ელოდა სულის გაყრისას შვილის ხილვას — გამოუთქმელი დიდებით მობრძანდა ქრისტე ღმერთი, ძე მშვენიერი, მიეახლა უბიწოს და საღვთო ხმით მიმართა: „მშვიდობა შენთანა, დედაო სიმართლეო“... კრძალვით უმზერდა დედოფალი ქრისტესგან გამომავალ ღვთაებრივ ბრწყინვალებას, ეს უფრო აღმატებული და უდიდებულესი ბრწყინვალება იყო, ვიდრე თაბორის მთის ფერისცვალება (როგორიღა იქნება მისი დიდებით მობრძანება სოფლის დასასრულს!).

— ითხოვე ჩემგან, რაიცა გნებავს და მიიღე, კურთხეულო, — მიმართა დედას ძემ.

და იწყო ვედრება ქალწულმა: — აკურთხე ყოველნი შენნი მავედრებელნი, შეიწირე ლოცვაი მათი, შენ უწყი უძლურებაი კაცთა ბუნებისა და მიცან შენსა და მათ შორის შუამდგომელად, ექმენ მათ მოწყალე, დაიცვენ ყოველნი დაბადებულნი შენნი და დღესა მას განკითხვისა საშინელსა, დაიფარნენ...

...მიჰმადლა უფალმა ვედრებას დედისას... და დგას წმინდა ქალწული მლოცველად წინაშე ძისა თავისა და ევედრება ჩვენთა ცოდვათა შენდობისათვის... ითხოვეთ ოღონდ...

როდესაც წმინდა დედოფალმა უბიწო, მარადიული ძილით მიიძინა, მშობლის უმწიკვლო სული ქრისტემ ღვთიური მკლავით აღიყვანა და ზეცად აღამაღლა, ხოლო ცხედარი მისი, დაუცხრომელი გალობითა და ლოცვით ღამენათევმა მოციქულებმა სიონის მთიდან გეთსამანიისკენ წაასვენეს.

მისი სამარხის თავზე მიძინების ტაძარი დგას, ტაძრის შიგნით მარიამის მშობლები — იოაკიმი და ანა, მართალი იოსებია დამარხული... თავად ქალწულის წმინდა კანდელებით, ძვირფასი ხატებით შემკული და მოხატული საფლავი ისეა განლაგებული, ყველა მომლოცველს შეუძლია მიეახლოს და თაყვანი სცეს.

აქ კიდევ ერთხელ უნდა ვახსენოთ ურწმუნო თომა, რომელმაც ქრისტეს აღდგომის მსგავსად, ვერც ნეტარს მოუსწრო ცოცხალს, პეტრესა და იაკობს სამარხის გახსნა სთხოვა და როცა „განაღეს კარი, ვერ ჰპოვეს გვამი უფლისა შემწყნარებლისა, მარტოოდენ ლამაზად შეკეცილნი სახვევნი...“

ზეცად ამაღლებულიყო ჩვენზედ მლოცველი, სანატრელი მარიამი...

***ლალი გუნთაიშვილი***

***წიგნიდან „გაცოცხლებული სახარება“***



## ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ * ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.

იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — **25 ლარს** გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა **20 ლარი,** III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — **15 ლარს.** გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *(რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე).*

## ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ:

1. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „საქართველოს ღვთისმშობელი გამოეცხადა(?!)“ — 73 ხმა.
2. **ვაჟა გავაშელი** — „უპატრონო საფლავი“ — 66 ხმა.
3. **ლელა ჯიყაშვილი** — „ციცინათელა“ — 25 ხმა.

მკითხველის სახელით პირველი პრემია — 25 ლარი გადაეცემა **ᲖᲕᲘᲐᲓ ᲩᲐᲙᲕᲔᲢᲐᲫᲔᲡ**; მეორე, 20 ლარი — **ᲕᲐᲟᲐ ᲒᲐᲕᲐᲨᲔᲚᲡ**; ხოლო მესამე, 15 ლარი — **ᲚᲔᲚᲐ ᲯᲘᲧᲐᲨᲕᲘᲚᲡ**.

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელები 282-მა რესპონდენტმა გამოავლინა.***

# ყველა ნარკომანი ერთნაირად უნდა დაისაჯოს, მიუხედავად „წარმომავლობისა“

გასულ ორშაბათს თბილისის მერიაში გამართულ ოპერატიულ თათბირს მეტისმეტად უჩვეულო ფინალი ჰქონდა — დედაქალაქის მერმა საქალაქო სამსახურის უფროსებსა და გამგებლებს მოულოდნელად განუცხადა — ამ კაბინეტიდან ყველანი რიგრიგობით გახვალთ და ნარკოლოგიურ შემოწმებას გაივლითო. როგორც ამბობენ, ეს ბიძინა ბრეგაძისკენ „გასროლა“ იყო, რაც პრემიერსა და ზურაბ ჭიაბერაშვილს შორის დაპირისპირებაში ბოლო წვეთად იქცა. დედაქალაქის მერსა და ბრეგაძეს ერთმანეთთან დიდი სიამტკბილობა რომ არ ჰქონდათ, ბევრმა იცოდა, მაგრამ როგორც ჩანს, ამის სააშკარაოზე გამოტანას ერიდებოდნენ. მერიის თანამშრომლებმა გაგვიმხილეს — ზურა და ბიძინა ბოლო დროს ხშირად კინკლაობდნენ და კამათობდნენო. ჭიაბერაშვილს სწყინდა უფლებაგაზრდილი 26 წლის პრემიერი რომ ეუფროსებოდა და






## ზოგიერთს გარეგნულადაც ეტყობა, მაგრამ პრეტენზია არავის უჩნდება

გადაწყვეტილებებს უიმისოდ იღებდა. ამიტომაც იერიში მის მეგობრებზე მიიტანა, რათა ბრეგაძისთვის დასაყრდენი გამოეცალა და დაესუსტებინაო. არავინ იცის, სინამდვილეში ჭიაბერაშვილს გულში რა ედო, მაგრამ მოტივაცია, რაც მან გაახმაურა, სავსებით მისაღები იყო — ნარკომანები სახელმწიფო სამსახურში არ უნდა იყვნენ. დიახ, ნარკომანები არც ქვეყნის, არც დედაქალაქისა და არც მოსახლეობის პრობლემებსა და ბედს არ უნდა წყვეტდნენ, მაგრამ რამდენად სწორად მოხდა მათი გამოვლენა და ყველამ გაიარა თუ არა შემოწმება, ვისაც უნდა გაევლო, ეს კითხვები მაშინვე დაიბადა და პასუხებიც არაერთგვაროვანი იყო. ერთი ნარკომანობაში მხილებული იფიცებოდა, ღვინის გარდა, არაფერი მაბრუებს, დღეს კი ბორჯომის მეტი ყელში არაფერი გადამსვლია, ალბათ მასში გაურიეს რამეო(?!). მეორე კი, რომელიც თრიაქით თრობის გამო ამხილეს, თურმე იმუქრებოდა — სასამართლოში წავალო. მესამემ მერისთვის მუშტის ენით გასწორებაც განიზრახა და კაბინეტშიც შეეჭრა, მაგრამ ამაოდ. ჭიაბერაშვილი გალახვას გადაურჩა, მაგრამ საზოგადოების ერთი ნაწილის გაკიცხვას ვერა — რა საჭირო იყო ასეთი პიარი, თუ ულირსი თანამშრომლების მოცილება უნდოდა, ეს უხმაუროდაც შეიძლებოდაო. ქალაქის მერი შეუვალია — ხალხში ათასი ჭორი დადის, ნარკოლოგიური შემოწმების მიზანი კი ის იყო, რომ საზოგადოებაში არსებული ეჭვი გაფანტულიყოო.

შემოწმების შემდეგ ნარკოტიკული ნივთიერება მერიის 6 თანამშრომლის (ყველა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა) ანალიზში აღმოჩნდა. თუმცა, როგორც გვითხრეს, მათთვის პირადი საქმეები არ გაუფუჭებიათ — სამსახურიდან წასვლის მიზეზად ზოგს სხვა სამსახურში გადასვლა, ზოგსაც ოჯახური პირობები ჩაუწერესო. მაგრამ ამით ყველაფერი არ დასრულებულა. თქვენზე ნაკლები საქმის კაცები ვართო? — იფიქრეს საკრებულოში და მათი დასჯა მოითხოვეს, ვინც ნარკომანობაში მხილებულთ გაუწია რეკომენდაცია, მიაკვლიეს კიდეც და ძლზეც მოუნდომეს გასმა, მაგრამ მოულოდნელად გაჩერდნენ... უხილავმა ხელმა ყალყზე დამდგარი ხალხი ისე დააშოშმინა, რომ ამ საკითხზე ელემენტარულ კომენტარსაც თავს არიდებენ. გაჩუმდა ზურაბ ჭიაბერაშვილი, დუმს ზაზა ბეგაშვილი, პირში წყალი ჩაიგუბეს სამსახურიდან დათხოვნილებმაც. ნარკოლოგიის ინსტიტუტშიც, დირექტორის გარდა, არავინ აკეთებს კომენტარს (თუმც გაგვიმხილეს, თავის მოსაფხანი დრო არ გვაქვს, ყველა სამსახური ნარკოლოგიურ შემოწმებას ითხოვსო). მხოლოდ დედაქალაქის პრემიერი **ბიძინა ბრეგაძე** დავითანხმე (დიდი ხვეწნის შემდეგ), ორიოდ სიტყვა ეთქვა:

— ვითომ ანონიმურობის დაცვის მიზნით ნომრების გამოცხადება კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამბავს ჰგავდა, თორემ ისე, როგორც ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში, ჩვენთანაც უნდა ჩატარებულიყო ნარკოლოგიური შემოწმება. არ ვაპირებთ ჩვენი წინამორბედებივით მოქცევას, როცა ყველამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ არავინ ისჯებოდა. ხალხისთვის დასამალი არაფერი გვაქვს. არც შეცდომების აღიარების გვეშინია. ეს არ იქნება ერთადერთი აქცია, ყველა სამსახური და სტრუქტურა, რომელიც გვემორჩილება, შემოწმდება. ამაში მხოლოდ ნარკოლოგიურ შემოწმებას არ ვგულისხმობ.

**— ხალხი, რომელიც ნარკოტიკების მოხმარების გამო გაათავისუფლეს სამსახურიდან, თქვენი კადრებია?**

— მოდი, ნუ დავაკონკრეტებთ, ვინ ჩემი კადრია და ვინ — მერის, ისინი ერთობლივი გადაწყვეტილებით დაინიშნენ თანამდებობებზე. დედაქალაქის მერიც, პრემიერიც და საკრებულოც ერთსულოვანი ვართ, ერთად გავაკეთებთ საქმეს და ასევე ერთად შევებრძოლებით იმ მანკიერებებს, რაც სამწუხაროდ, არის მერიაში.

ის, ვინც სახელმწიფო თანამდებობაზე ინიშნება, წარმოადგენს ცნობას ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ. ექვსივე პირს, რომლებიც თანამდებობებიდან დავითხოვეთ, ცნობები წარმოდგენილი ჰქონდა. სამწუხაროდ, შემოწმებამ ისეთი ფაქტები გამოავლინა, რაზეც ეჭვიც არავის ჰქონია.

**— მეორედ რატომ წაიყვანეთ თქვენი თანამშრომლები ნარკოლოგიურ შემოწმებაზე, პირველ დასკვნას არ ენდეთ?**

— უფლება არ მაქვს, არ ვენდო სახელმწიფო ნარკოლოგიური ცენტრის ექსპერტიზას. რა თქმა უნდა, იყო ლაპარაკი ცდომილებაზე, მაგრამ ამაზე შესაბამისი დასკვნა სპეციალისტებმა უნდა გააკეთონ.

**— მაგრამ ჭიაბერაშვილმა თქვა, ბიძინა ბრეგაძემ ჩემთან შეუთანხმებლად წაიყვანა მერიის თანამშრომლები მეორად ექსპერტიზაზეო. სხვათა შორის, ისიც თქვეს, რომ პირველი შემოწმების შემდეგ ქალაქის მერთან მკვახე ლაპარაკი გქონიათ.**

— მსგავსი არაფერი ყოფილა, ჭორია.

**— სამსახურიდან დათხოვნილები თქვენი მეგობრები იყვნენ?**

— როდესაც კაცთან ამდენ ხანს მუშაობ, თანაგუნდელად და მეგობრადაც მიგაჩნია. ჩემთვისაც და ზურასთვისაც შოკისმომგვრელი იყო ექსპერტიზის შედეგები. რობოტი ხომ არ ვარ, არ დავმალავ, ძალიან მწყდება გული მათზე.

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*

# ქართველი „ესკობარი“ უკანასკნელი არ იქნება

გასულ პარასკევს შსს-ს ნარკომანიასთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზაციის ბრალდებით თბილისელი ივანე ბექაური (მეტსახელად „ესკობარი“) დააკავეს. სამინისტროს თანამშრომლების შეფასებით, ბექაური დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის ლიდერი იყო. ასეთი შეფასება იმით უფრო არის საინტერესო, რომ ივანე ბექაური პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკია და თვითონ მუშაობდა ნარკომანიასთან ბრძოლის სამსახურში.

ბექაური, რომელსაც დამნაშავეთა წრეებში კოლუმბიელი ნარკობარონის, ესკობარის სახელით იცნობენ, დაკავებისას ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იყო. მისი ბინის ჩხრეკისას ამოღებულია 29 აბი სუბოტექსი და 1400 ამერიკული დოლარი.

თბილისელ „ესკობართან“ ერთად, დაკავებულია ცნობილი ნარკორეალიზატორი ავთანდილ ბერძენიშვილი, რომლის ბინიდანაც სარეალიზაციოდ გამზადებული 6 აბი სუბოტექსი ამოიღეს.

შსს-ში ესკობარ-ბექაურის დაპატიმრების დეტალებს არ ახმაურებენ. ეს გარემოება იმით არის გამოწვეული, რომ ნარკომანიასთან ბრძოლის სამსახური ბექაურის დახმარებით პოლიციაში მოკალათებული სხვა ნარკობარიგების გამოაშკარავებას ცდილობს. ვარაუდობენ, რომ პოლიციის რიგებში კიდევ რამდენიმე „ესკობარი“ აღმოჩნდება.

„კვირის პალიტრა“ ექსპერტ-კრიმინალისტ **გელა დარჩიაშვილს** ესაუბრა.

— გვაქვს ინფორმაცია, რომ ბოლო წლებში ნარკორეალიზაციას სათავეში ბობოლა პოლიციელები ედგნენ. ასეთები ერთდროულად ორ კურდღელზე ნადირობდნენ, რამაც საშუალება მისცათ ბოლო ათწლეულის მანძილზე მთლიანად გაეკონტროლებინათ ეს სფერო.

**— რას ნიშნავს ორ კურდღელზე ნადირობა?**

— ნარკობარიგა პოლიციელებს „დავერბოვკებული“ ჰყავდათ ნარკოტიკების წვრილ-წვრილი რეალიზატორები. ამით აკონტროლებდნენ ნებისმიერ ახალშემოსულ ნარკოტიკს — საიდან შემოდიოდა, ვინ იყო შემომტანი ან ვინ ყიდულობდა. ასე შეიქმნა სპეციალური დოსიეები თითქმის ყველა ნარკომანზე, რის შემდეგაც იწყებოდა ნარკომანთა დაშანტაჟება და სხვადასხვა დანაშაულის აკიდების მუქარით ფულის წაგლეჯა.

**— როგორც შსს-ში ამბობენ, ბექაური ორგანიზებული ჯგუფის ლიდერი ყოფილა. თუ ეს ასეა, ხომ შეიძლებოდა ადრევე დაეკავებინათ?**

— ეს ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ნუ გგონიათ, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ქუჩაში იდგა და ისე ასაღებდა ნარკოტიკებს. მუშაობდა კარგად შემუშავებული კონსპირაციული სისტემა. ქართველი „ესკობარის“ დაპატიმრება იმაზე მეტყველებს, რომ შსს-ში, ბოლოს და ბოლოს, სწორ გადაწყვეტილებებს იღებენ და ნარკორვაფეხასთან დაუნდობელ ბრძოლას აპირებენ. მერწმუნეთ, „ესკობარი“ უკანასკნელი არ იქნება, ვინც ამ ბრალდებით დააკავეს...

***დავით დევიძე***

# „ბაწაშვილს მკვლელები ერთი კვირა უთვალთვალებდნენ“

გურჯაანის რაიონში, სოფელ ბაკურციხეში, სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ჯიმშერ ბაწაშვილი საკუთარ ავტომანქანაში ჩაცხრილეს. თვითმხილველთა ინფორმაციით, ბაწაშვილის ავტომობილს „აკაესის“ ტიპის ავტომატით ერთდროულად ორი თავდამსხმელი ესროდა. ჯიმშერ ბაწაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა. საბედნიეროდ, მსუბუქი ჭრილობით გადარჩა მისი ვაჟი ალექსანდრე ბაწაშვილი, რომელიც თავდასხმის დროს ავტომანქანაში იმყოფებოდა. დამნაშავეებმა მიმალვა მოახერხეს.

როგორც სამართალდამცველები ამბობენ, ბოროტმოქმედთა ვინაობა, ჯერჯერობით, უცნობია, ისევე, როგორც უცნობია მოტივი, თუ რატომ შეიძლებოდა მოეკლათ სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი.

თუმცა, ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, მკვლელობის კვალი შეიძლება სწორედ ბაწაშვილის თანამდებობაზე ყოფნის დროიდან მო-დიოდეს. კულუარული ცნობებით, დღეისათვის ყველაზე ხელჩასაჭიდი ვერსიაა ის, რომ მკვლელობა შურისძიების აქტს უკავშირდება. რამდენად ახლოა სიმართლესთან ეს ვერსია, ამ ეტაპზე ძნელი სათქმელია. თუმცა, ფაქტია, რომ სახეზეა კარგად დაგეგმილი დანაშაული.

— ორი საეჭვო პირი ერთი კვირის მანძილზე წრიალებდა იმ ადგილზე, სადაც დანაშაული მოხდა, — აცხადებს ჩვენთან საუბრისას კონფიდენციალური წყარო, — თანასოფლელებმა გააფრთხილეს ბაწაშვილი, რომ მისი სახლის ახლომახლო უცნობები ტრიალებდნენ.

**— რატომ გააფრთხილეს ბაწაშვილი, თავდასხმას ელოდა?**

— არ ვიცი, მაგრამ ბაწაშვილს უთქვამს, საშიში არაფერიაო. ეტყობა, თვითონაც არ ელოდა თავდასხმას. არადა, კარგი იქნებოდა, დაეჯერებინა და გაფრთხილებულიყო.

**— ვარაუდობენ, რომ მკვლელობა შურისძიების მიზნით მოხდა?!**

— შეიძლება რომელიმე პატიმარყოფილმა ჩაიდინა მკვლელობა. თუ ეს მართლაც „ჩვეულებრივი“ ვენდეტაა, ვფიქრობ, საქმის გახსნა არ გაძნელდება.

***დავით დევდარიანი***



# ვინ არიან და რა გეგმები აქვთ რუს კაზაკებს სამაჩაბლოში?!

ორიოდე კვირის წინ, შემთხვევით, ერთ უჩვეულო ამბავს შევესწარი — ერთ-ერთი შენობის სადარბაზოდან ერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდნენ უცნაურ ფორმაში ჩაცმული გენერლები. დაახლოებით ოცი კაცი დავთვალე. ჩემდა გასაოცრად, გენერლები ქართულად ლაპარაკობდნენ. ძალაუნებურად ერთი კურიოზი გამახსენდა, რომელიც დღეს ანეკდოტად დადის თბილისში: აფხაზეთის ომის დროს საქართველოს ნატოს გენერალი ეწვია, ქართველი სამხედროებისთვის სემინარის ჩასატარებლად. გადაჭედილი აუდიტორიის დანახვაზე ნატოს დიდჩინოსანი შეცბუნდა და საქართველოს მაშინდელ თავდაცვის მინისტრს, გენერალ-ლეიტენანტ ანატოლი კამკამიძეს წასჩურჩულა — სემინარი კონფიდენციალურია და მასზე დასწრება მხოლოდ გენერლებისთვის და პოლკოვნიკებისთვის არის მიზანშეწონილიო. შტაბის უფროსმა აუდიტორიის ფანჯარა გამოაღო და ეზოში შეჯგუფებულ სამხედროებს გასძახა, — სემინარს პოლკოვნიკებიც უნდა დაესწრონ და ამოდითო. რას იფიქრებდა სტუმრად ჩამოსული ამერიკელი გენერალი, რომ საქართველოს (რომელიც სწორედ მაშინ ცდილობდა არმიის შექმნას) უკვე ათობით გენერალი და ასობით პოლკოვნიკი ეყოლებოდა. ამ შემთხვევიდან თითქმის ცამეტი წელი გავიდა, მაგრამ ქართული გენერალიტეტის რიცხვი არ შემცირებულა. მეტიც, ქართველმა გენერლებმა და უფროსმა ოფიცრებმა მუნდირები ორდენ-მედლებით დაიმშვენეს. საკითხავია, რა დამსახურებისთვის?!



კავკასიის კაზაკთა კავშირის ატამანი საქართველოს ერთგულებას ხმალზე იფიცებს

ვარდების რევოლუციის შემდეგ ბევრი გენერალი და უფროსი ოფიცერი პენსიაზე გავიდა, უფრო სწორად, გაუშვეს, მაგრამ მათი შენახვა სახელმწიფოს საკმაოდ ძვირი უჯდება. ამიტომ იყო, რომ იმ დღეს ამდენი გენერლის დანახვამ გამაკვირვა. როგორც გავიგე, ისინი კაზაკთა ქართველი გენერლები ყოფილან. დიდება შენდა, ღმერთო, ნუთუ საქართველოში იმდენი კაზაკი ცხოვრობს, რომ მათ მართვას ოცი გენერალი სჭირდება-მეთქი, ვფიქრობდი გუნებაში. ჰოდა, გადავწყვიტე, დამედგინა, რამდენი კაზაკი ცხოვრობს ჩვენს ქვეყანაში. ცნობისმოყვარეობამ საქართველოს სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილესთან მიმიყვანა.

გადამდგარი პოლკოვნიკი **თორნიკე პაპავა:** „ჩვენთან კაზაკები თითზე ჩამოსათვლელად არიან. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ორგანიზაცია არსებობს, რომლებსაც კაზაკთა ქართველი გენერლები ხელმძღვანელობენ. კავკასიის კაზაკთა კავშირს უმაღლესი ატამანი, გენერალ-ლეიტენანტი პეტრე ნეტკაჩოვი ხელმძღვანელობს. იგი გადამდგარ ქართველ ოფიცრებს გაუგებარი დამსახურების გამო ანიჭებს გენერლის, პოლკოვნიკისა და სხვა სამხედრო წოდებებს. უმეტესობა ატარებს ქართული შეიარაღებული ძალების ფორმას, ზედ გენერლის სამხრეებით. ამის უფლება მათ არა აქვთ, მაგრამ გამკითხავი არავინაა. კავკასიის კაზაკთა კავშირს ორი ორდენი აქვს დაწესებული: „წმინდა გიორგისა“ და „კავკასიის არწივის“. სხვათა შორის, ორდენოსნები საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებიც არიან. ასევე, არსებობს საქართველოს კაზაკთა კავშირი, წმინდა გიორგის კავშირი — ყველა კაზაკური ორგანიზაციებია. ორმოცზე მეტი გენერალი ჰყავთ, ერთი-ორის გამოკლებით, ყველა ქართველია. ვეცადე, მაგრამ ვერ დავადგინე რიგით კაზაკთა ნამდვილი რაოდენობა საქართველოში. მაინტერესებს მათი წესდებაც, რომელშიც ბევრი რამ გაუგებარი და საეჭვოცაა. მაგალითად, წესდების თანახმად, კავკასიის კაზაკთა კავშირს საქმიანობა შეუძლია უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე. თურმე, მათი მოვალეობა საქართველოს სამხედრო სამსახურის პრესტიჟის ამაღლებაა. გაუგებარია, ვინ დაავალა მათ ეს?! წესდებით ბიზნესში ჩართვის უფლებაც აქვთ. კაზაკთა მეორე ორგანიზაცია, „საქართველოს კაზაკთა კავშირი“ თავის რიგებში აერთიანებს საქართველოს ყველა რეგიონისა და ქალაქის კაზაკთა კავშირებს. მათ კაზაკების უმაღლესი ატამანი, გენერალ-მაიორი ვასილ კადინეცი მეთაურობს. თავის დროზე იგი საქართველოს ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს დაუჯილდოებია ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით. საქართველოში მცხოვრებ მეორე უმაღლეს ატამანს, გენერალ-ლეიტენანტ პეტრე ნეტკაჩოვს კი ღირსების ორდენი უბოძეს(?!). კაზაკთა ორგანიზაციებში გაერთიანებულია დაახლოებით ხუთი ათასამდე კაცი, თითქმის ყველა ქართველი. ვასილ კადინეცი ამტკიცებდა, ქართველ კაზაკთა ორგანიზაციების შექმნის მიზანი რუსეთ-საქართველოს შორის კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების განმტკიცებაა და ამაში მხარს რუსეთში არსებული კაზაკთა კავშირებიც გვიჭერენო. ეტყობა, უმაღლეს ატამანს დაავიწყდა რუსი კაზაკების „კულტურული“ ქმედებები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ისინი ხომ დღესაც სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არიან საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად?!

ამას სამაჩაბლოში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენებიც მოწმობს — რუსი კაზაკები არიან დაბანაკებული ჯავის რაიონში და ოსების საბრძოლო ოპერაციებიც უშუალოდ მათი აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს. საინტერესოა, რა აზრის არიან ამაზე საქართველოს კაზაკთა კავშირები? ერთხელ მაინც თუ ჩასულან ცხინვალში „ჰუმანისტი“ ატამანები — იქნებ მათ შეგონებას გაეჭრა და რუს კაზაკებს ხელი აეღოთ ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაზე?! ჩემი აზრით, დროა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები დაინტერესდნენ და დეტალურად შეისწავლონ საქართველოში არსებულ კაზაკთა ორგანიზაციების საქმიანობა. ხომ არ არიან ისინი რუსეთის სპეცსამსახურებისგან დაფინანსებული ორგანიზაციები(!)“.

**ეს ორგანიზაცია შევარდნაძის ხელისუფლებას რუსებმა „შემოუგდეს“. მაშინ ეს ამბავი ჩვენებმა დიდი სიხარულით აიტაცეს. მართლაც, ჩავიდა ქართველი კაზაკების ატამანი აფხაზეთში და მერე რა გააკეთა? გაიარ-გამოიარა და თბილისში დაბრუნდა, ერთი ტყვიაც არ გაუსვრია. ან ახლა რა გააკეთეს სასარგებლო სამაჩაბლოში? რუსი კაზაკების ბანდები ისევ დათარეშობენ. ისინი რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ლოცვა-კურთხევით არიან გამოგზავნილი.**

გასულ კვირას ცხინვალიდან ახალდაბრუნებულ საქართველოს სახალხო ფრონტის ლიდერს, **ნოდარ ნათაძეს** შევხვდით და ჩვენთვის საინტერესო საკითხზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ:

— **როგორც მახსოვს, ჯერ კიდევ აფხაზეთის ომის დროს შეიქმნა საქართველოში მცხოვრები კაზაკების ორგანიზაცია, ვითომ სეპარატისტთა მხარეს მებრძოლი რუსი კაზაკების ასალაგმავად.**

— დიახ... ეს ორგანიზაცია შევარდნაძის ხელისუფლებას რუსებმა „შემოუგდეს“. მაშინ ეს ამბავი ჩვენებმა დიდი სიხარულით აიტაცეს. მართლაც, ჩავიდა ქართველი კაზაკების ატამანი აფხაზეთში და მერე რა გააკეთა? გაიარ-გამოიარა და თბილისში დაბრუნდა, ერთი ტყვიაც არ გაუსვრია. ან ახლა რა გააკეთეს სასარგებლო სამაჩაბლოში? რუსი კაზაკების ბანდები ისევ დათარეშობენ. ისინი რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ლოცვა-კურთხევით არიან გამოგზავნილი. სწორედ ისინი და ოსური ბანდები ბომბავდნენ ქართულ სოფლებს.

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ბრწყინვალე ოპერაცია ჩაატარეს ოსური და რუსი კაზაკების ბანდფორმირებების წინააღმდეგ. რამდენიმე კაზაკი ბრძოლის დროს დაიღუპა, ხოლო ცოცხლად გადარჩენილებმა თავს გაქცევით უშველეს. ქართველმა სამხედროებმა იმ ღამეს სრულ გამარჯვებას მიაღწიეს, მაგრამ რად გინდა? სისხლის ფასად მოპოვებული პოზიციები უსიტყვოდ დავთმეთ და უკან გამოვბრუნდით. ხვალ თუ არა ზეგ, გაქცეული ოსი და კაზაკი მობრუნდებიან და განაახლებენ ბრძოლას. ამასთან, დამარცხებული კაზაკი მარტო კი არ მობრუნდება, დამატებით ძალებსაც წამოიყვანს. სამაჩაბლოში სრული სამხედრო და პოლიტიკური გამარჯვებისთვის შეგვეძლო გუშინვე მიგვეღწია. ჩემი გამოცდილება მაძლევს ასეთი განცხადების გაკეთების უფლებას. ძალიან ჰგავს აფხაზეთში 13-14 წლის წინ განვითარებული მოვლენები გუშინ სამაჩაბლოში განვითარებულ მოვლენებს. ჩვენი ბიჭები სისხლის ფასად დაქირავებულ ჩრდილოკავკასიელ ბოევიკებს და აფხაზ სეპარატისტებს წაართმევდნენ სტრატეგიული მნიშვნელობის პოზიციებს), რამდენიმე საათში კი ბრძანება მოვიდოდა და ქართველები უბრძოლველად იხევდნენ უკან.

— **იმ სტრატეგიულ სიმაღლეებზე ამჟამად შერეული სამშვიდობო ძალების საგუშაგოები განლაგდა, არავის გააჭაჭანებენ.**

— თქვენს პირს შაქარი, მაგრამ სამშვიდობო ძალებში ქართველი მხოლოდ ერთი მესამედია, ორი მესამედი კი მტერია. ყველასათვის ცნობილია, რომ რუსი სამშვიდობოები ოსებთან ერთად იბრძვიან ქართველების წინააღმდეგ; ანუ მტერს რიცხობრივი უპირატესობა აქვს. გარდა ამისა, საგუშაგო ერთ წერტილშია განთავსებული და მთელ ტერიტორიას ვერ აკონტროლებს. ამიტომ იმ სიმაღლეზე ისევ შემოვა მტერი. გახარებული იყო სარდალი ნაზბდოროვი, ქართველებმა რომ დააბრუნეს დაკავებული პოზიციები. უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენი თავის გარდა, არავის იმედი არ უნდა გვქონდეს... არც ამერიკელების. ვერ გავიგე, კაცო, შეტევაზე მიდიხარ, რათა პოზიცია დაიკავო და რამდენიმე საათში ტოვებ. თუ გეშინია, რაღა აზრი აქვს ბრძოლას, რატომღა გადადიხარ შეტევაზე?!..

საქართველოში კაზაკების ორგანიზაციების შექმნის შესახებ კომენტარი **ირაკლი ბათიაშვილსაც** ვთხოვეთ: „საქართველოში კაზაკების ორგანიზაციების შექმნა იმისთვის, რომ მათ რაიმე ქმედითი ღონისძიება ჩაეტარებინათ სეპარატისტების მიერ დაქირავებული ჩრდილოკავკასიელი და ასევე სხვა რეგიონების კაზაკების წინააღმდეგ, გულუბრყვილობა იყო. რუსეთის მთელ ტერიტორიაზე არსებულ კაზაკთა ორგანიზაციებს კოორდინაციას რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურები უწევენ. კაზაკები რეალურ შეიარაღებულ ძალას წარმოადგენენ და მათ რუსეთის ტერიტორიაზე მართვისა და კონტროლის გარეშე არავინ გააჩერებდა“...



ყუბანელი კაზაკები ყრილობაზე

ჩვენ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების რამდენიმე ვეტერანსაც გავესაუბრეთ. გადამდგარი მაიორი **ბორის თხელიძე:** „კარგად მახსოვს, როგორ ჩამოვიდა სოხუმში საქართველოს კაზაკთა ატამანი ვასილ კადინეცი. გვეგონა, სეპარატისტების მხარეზე მებრძოლ კაზაკებს მაინც მოგვაშორებდა თავიდან, მაგრამ მსგავსი არაფერი გაუკეთებია — მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ მოიტანა. საინტერესოა ერთი ფაქტი, — ჩრდილოკავკასიელი კაზაკები ძალიან დაუმეგობრდნენ აფხაზების მხარეს მებრძოლ სომხებს. სწორედ ისინი გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული სისასტიკით. რამდენიმე თვე ტყვეობაში ვარ ნამყოფი და მეც ვიწვნიე ყუბანელი კაზაკების დაუნდობლობა“.

## „ხვალ თუ არა ზეგ, გაქცეული ოსი და კაზაკი მობრუნდებიან და განაახლებენ ბრძოლას“

სტატია სრულყოფილი ვერ იქნებოდა, საქართველოს კაზაკთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს თუ არ გავესაუბრებოდით. თავდაპირველად, კავკასიის კაზაკთა კავშირის უმაღლეს ატამანს ვთხოვეთ აუდიენცია. იგი სიამოვნებით დაგვთანხმდა.



მარცხნიდან: საქართველოს კაზაკთა კავშირის ატამანი ვასილ კადინეცი და მოსკოველი კაზაკების გენერალი ივანე კონონოვი

გენერალ-ლეიტენანტი **პეტრე ნეტკაჩოვი:** — საქართველოს საზღვრების ოსმალოების თავდასხმისაგან დასაცავად(!), ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ ჩამოასახლა კაზაკები საქართველოში იმპერატრიცა ეკატერინა მეორემ. მაშინ ბევრი კაზაკი აქ დასახლდა. სწორედ მათი შთამომავლები არიან ჩვენი კავშირის წევრები. სამწუხაროდ, რამდენი კაზაკია გაწევრებული ჩვენს კავშირში, ვერ გეტყვით, ეს სამხედრო საიდუმლოებაა(?!). ჩვენ კეთილი მიზნები გვაქვს, კერძოდ, მშვიდობისათვის ბრძოლა კავკასიაში, საქართველოს ერთგული სამსახური და მისი ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა; კულტურული და საქმიანი ურთიერთობის დამყარება კავკასიელ და საზღვარგარეთის კაზაკობასთან. ჩვენ მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს რუსეთში არსებულ კაზაკურ ორგანიზაციებთან. ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გვაქვს დადებული დონის, თერგის, მოსკოვის კაზაკების ატამანებთან. სამწუხაროდ, არსებობს კაზაკების ისეთი კავშირებიც, რომელთა ატამანებთან ურთიერთობა არ ხერხდება. მაგალითად, ყუბანის კაზაკთა კავშირსა და მის ატამანთან, გენერალ გრომოვთან. ამ კაცს სძულს ქართველები და საქართველო. ასევე იყო მისი წინამორბედი გენერალი კონდრატენკო.

— **ქართველებს დღემდე ახსოვთ რუსი კაზაკების მონაწილეობა აფხაზეთის ომში. დღეს კი ისინი სამაჩაბლოში ქცრიან ქართველებს.**

— აფხაზეთის ომში კაზაკები კი არა, თვითმარქვია კაზაკისა და გენერლის, კაზანცევის ხალხი იბრძოდა. ერთ დროს ციხის ზედამხედველი იყო, მერე რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი გახდა და კაზაკების დროშის ქვეშ თავი მოუყარა ნაყარნუყარ კაზაკებს. თვეში ათასდოლარიან ხელფასს ჰპირდებოდა. ასე მოხვდნენ ისინი აფხაზი სეპარატისტების მხარეს. არც ერთ ნამდვილ კაზაკს ქართველების წინააღმდეგ არ უბრძოლია. ახლაც ასეა — ვგულისხმობ ცხინვალის რეგიონში მიმდინარე ბრძოლებს. იოლი მისახვედრია, რომ ყველაფერი ეს რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დაგეგმილია.

ცხინვალში საეჭვოდ ტრიალებს ФСБ-ს ერთ-ერთი გენერალი. კვირაში ხუთ დღეს ცხინვალში ატარებს ასევე საქართველოში რუსეთის ელჩის მრჩეველი, ФСБ-ს გენერალ-ლეიტენანტი ვადიმ კოჩმარი.

— **თქვენს კავშირში რამდენი ნამდვილი კაზაკია? სხვათა შორის, ქართველობას კაზაკები არასოდეს ჰყოლია.**

— ვხვდები, რისი თქმაც გსურთ. „კაზაკი“ თურქული სიტყვაა და თავისუფალ, თავზეხელაღებულ, სამართლიანობისთვის თავდადებულ მებრძოლს ნიშნავს. რა არის ამაში ცუდი, თუ ქართველი კაზაკების რიგებში გაწევრდება? მაგალითად, ჩვენი კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი ლევან მამალაძეა. მისი ბაბუა კაზაკი იყო, გვარად მედვედი. კაზაკი ჰყავს წინაპარი ვალერი ჩხეიძესაც. ბევრ ქართველს სისხლის ანალიზი რომ აუღო, კაზაკი იქნება(?!).

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*

# „ნუ შეეშინდება გია ბარამიძეს, თავდაცვის მინისტრობას არ ვაპირებ“



9მმ კალიბრიანი „ფორტი“

## რა აჩუქა პრეზიდენტმა კობა დავითაშვილს?!

გასულ კვირას. მოულოდნელად, კობა დავითაშვილისა და პრეზიდენტის შეხვედრა შედგა. ფაქტია, დეპუტატი არ ელოდა, რომ პრეზიდენტი უხმობდა და პარლამენტში ერთდღიანი გამოჩენის შემდეგ გეზი დასავლეთ საქართველოსკენ აიღო, თან ამბად დააგდო, 23 აგვისტომდე თბილისში ჩემი ფეხი არ იქნებაო. მაგრამ დავითაშვილს დანაქადების გადათქმა მოუხდა, პარასკევს ის პრეზიდენტის სამუშაო კაბინეტში გამოცხადდა. მიხეილ სააკაშვილის კაბინეტიდან გამოსულ დავითაშვილს ხელთ მოზრდილი ყუთი ეჭირა, რომელიც პრეზიდენტთან შესვლისას თან არ ჰქონია...

რა საიდუმლოს ინახავს კობა დავითაშვილის ყუთი, ამას ინტერვიუს ბოლოს გაგიმხელთ, მანამდე კი დეპუტატს მოვუსმინოთ:

— მოულოდნელად დავბრუნდი თბილისში, სამაჩაბლოსთან დაკავშირებით მინდოდა პრეზიდენტთან ლაპარაკი, მანაც გამოთქვა ამის სურვილი და პარასკევს შევხვდით. ვკითხე, სამაჩაბლოსთან დაკავშირებით რას აპირებთ-მეთქი და ვცადე, დამერწმუნებინა, პუტინისა და რუსეთის იმედად ყოფნა ხეირს არ დაგვაყრის-მეთქი.

— **თქვენი შეხედულებები არ გაიზიარა?**

— არა, როგორც ჩანს, მის საახლობლოში არის პირი, რომელიც აქტიურად მუშაობს პუტინზე და ეს ძალზე უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს პოლიტიკაზე. ფაქტობრივად, რუსეთი შევარდნაძის დროინდელ პოლიტიკას აგრძელებს, როდესაც პრეზიდენტს საჯაროდ „თავზე ახურავდნენ“, პირად საუბრებში კი უტკბებოდნენ. მაშინ, როდესაც საქართველოს მიმართ მტრული პოლიტიკა ხორციელდება, ცდილობენ, ჩვენს პრეზიდენტს შეუქმნან იმის ილუზია, თითქოს რუსეთი და პუტინი მის მიმართ კეთილგანწყობილი არიან. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მას პუტინი ისევ მეგობარი ჰგონია.

— **კვლავ თანამდებობა ხომ არ შემოგთავაზათ პრეზიდენტმა?**

— იდიოტს ვგავარ?.. თანამდებობას როდესაც მთავაზობდა, მაშინ მიიღო უარი. უბრალოდ, მიმაჩნია, რომ როდესაც ქვეყანაში საომარი ვითარებაა, ოპოზიცია და ხელისუფლება ერთიანი უნდა იყოს, ბუტიაობის დრო ახლა არ არის. სათქმელი ყველამ ვთქვათ, მაგრამ ნუ შეეშინდება გია ბარამიძეს, თავდაცვის მინისტრობას არ ვაპირებ.

მე ქვეყნის ერთგული კაცი ვარ. სააკაშვილი ქვეყნის პრეზიდენტია და როდესაც ქვეყანა საფრთხეშია მის (ანუ მისი პრეზიდენტის) გვერდით უნდა იდგე. სხვათა შორის, გვერდით დგომა მლიქვნელობას, კოჭის გაგორებასა და ცრუინფორმაციის მიწოდებას არ გულისხმობს — ვითომ ყველაფერი კარგად არის. მეგობრობა სიმართლის თქმას გულისხმობს. მე პრეზიდენტს ეს მწარე სიმართლე ვუთხარი... გულწრფელად გეტყვით, უკმაყოფილო დავრჩი მისი პოზიციით. მას მიაჩნია, რომ ნაადრევია რუსი სამშვიდობოების გაყვანა. თუმცა, მისი ნათქვამი „ჯერ ადრეაო“, მაიმედებს, რომ ეს დრო ადრე თუ გვიან დადგება. შეიძლება, ეს ჩვენი პოზიციების დაახლოების საწინდარიც გახდეს.

„კვირის პალიტრა“ ერთ ექსკლუზივსაც გაგანდობთ. როგორც შევიტყვეთ, პრეზიდენტისა და კობა დავითაშვილის შეხვედრაში ერთი ფრიად სასიამოვნო მომენტიც ყოფილა. მიხეილ სააკაშვილს პარლამენტარის არცთუ ძვირფასი, მაგრამ ციფერბლატზე ქართული სახელმწიფო დროშისგამოსახულებიანი საათი მოსწონებია. დავითაშვილი არ დაბნეულა და მაშინვე მოუხსნია საათი ხელიდან, ვალში არც პრეზიდენტი დარჩენილა და ძველი მეგობრისთვის თავის დროზე მისთვის ნაჩუქარი „ფორტ“-ის მარკის უკრაინული სახელობითი პისტოლეტი უჩუქებია, რომელზეც ასეთი წარწერა ყოფილა — „ვარდების რევოლუციის გმირს, მიხეილ სააკაშვილს“. სწორედ ამ პისტოლეტის ყუთი ეჭირა კობა დავითაშვილს, როდესაც პრეზიდენტის აპარტამენტები დატოვა.

# „რაც მეტად დაგვიწყებს ჩიჩხინს, მით მალე დაიშლება“



კვირაზე მეტია, პარლამენტის 23-კაციანი კომისია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემებს იკვლევს და ყველა იმ საკანონმდებლო აქტს სწავლობს, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მივიღეთ. ლაპარაკობენ ზოგიერთი კაბალური ხელშეკრულების დენონსაციასა და გადახედვაზე. როგორც ამბობენ, ერთ კვირაში კომისია არგუმენტირებულ და საფუძვლიან დასკვნას წარმოადგენს, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. კომისია წინა მთავრობის დროს დადებული ხელშეკრულებების მანკიერ მხარეებზეც იმსჯელებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ტერიტორიული მთლიანობის საკითხთა შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარეს, **ვასილ მაღლაფერიძეს** ვესაუბრეთ:

— ჩვენი კომისია შეისწავლის ყველა იმ ხელშეკრულებას, დადგენილებასა და საკანონმდებლო აქტს, რომელიც შიდა ქართლისა და აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით არის მიღებული 90-იანი წლებიდან დღემდე. კონფლიქტი, რომელიც 12 წლის წინ დაიწყო, დღემდე არსებობს, ამიტომ მისი მოგვარებისთვის სხვა გზების ძებნა დავიწყეთ. გულახდილად ვთქვათ — ის, რასაც ჩვენ მშვიდობას ვუწოდებთ, მშვიდობა კი არა, ბრძოლებს შორის დროებითი დაზავება იყო, რომელიც პერიოდულად ძალზე მწვავედ განახლდებოდა ხოლმე. როდესაც მშვიდობის შენარჩუნებაზეა ლაპარაკი, უნდა ვიცოდეთ, რომ ვითარებას, როდესაც მშვიდობის პერსპექტივა არ არსებობს და ადამიანებს ნორმალურად ცხოვრებისა და განვითარების საშუალება არ აქვთ, მშვიდობა არ ჰქვია. ომზე უარესია, როცა გამუდმებით ელოდები საბრძოლო მოქმედებების განახლებას, როცა არ იცი, დღეს ატყდება სროლა თუ ხვალ. ეს საშინელი ფსიქოლოგიური და პოლიტიკური წნეხია. ამჟამინდელი ვითარება იმ კაცის მდგომარეობას მაგონებს, რომელსაც შინ დენთით სავსე კასრი შეუტანეს, პატრუქს ხან აანთებენ, ხანაც ჩააქრობენ და ეუბნებიან, — რაკი პატრუქი ჩავაქრეთ, მშვიდად იყავი და დაიძინე კიდეცო. პატრუქის ჩაქრობა მშვიდობას არ ნიშნავს. მშვიდად მაშინ ვიქნებით, როდესაც დენთის კასრს საერთოდ გაიტანენ ჩვენი სახლიდან. მაგრამ დაუშვებს კი ამას რუსეთი, რომელიც დაინტერესებულია, რომ საქართველოში მუდმივად იდგეს დენთით სავსე კასრი?

დაგომისის ხელშეკრულებიდან (და სხვა ხელშეკრულებებიდანაც) ცხადად ჩანს, რომ რუსეთი კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი მხარეა და ის ამავდროულად, სამშვიდობო ფუნქციასაც ასრულებს(!). არსად თქმულა და არსად მსმენია, რომ კონფლიქტის მონაწილეს, ანუ დაინტერესებულ მხარეს სამშვიდობო მისია ეკისრა. ეჭვიანები და ახირებულები რომ არ ვართ, რეალობა მეტყველებს — 12 წელია, ვერ მოაგვარა რუსეთმა ეს პრობლემა. მეტიც, ეჭვი არ გვეპარება, რომ რუსეთმა ვერ კი არა, არ მოაგვარა ეს კონფლიქტი — პირიქით, მის გასამწვავებლად ყველაფერი იღონა. რაკი რუსეთი ამ საქმეს „ვერ“ ერევა, უნდა აღიაროს მაინც — ვეცადე, მაგრამ მშვიდობის დამყარება ვერ მოვახერხეო. ჩვენ უსაზღვროდ ვერ დაველოდებით, არც იმის დრო და სურვილი გვაქვს, რომ შიდა ქართლში რუსეთის შესაძლებლობები გამოვცადოთ, ქართველებს ჩვენს მიწაზე ნორმალური ცხოვრება გვინდა. ამიტომ რუსები სამშვიდობოების ფორმატით ველარ დარჩებიან საქართველოში. მათ სხვა ძალები უნდა ჩაენაცვლონ.

საქართველოს აქვს სამართლებრივი, მორალური უფლება და ძალაც, დღესვე აღადგინოს საკუთარი ტერიტორიული მთლიანობა (ასეთი მაგალითები მსოფლიოში არაერთხელ ყოფილა) და ამის გასაკეთებლად არავის თანხმობა არ სჭირდება, მით უმეტეს, რუსებისგან, რომლებმაც ვნახეთ, რაც ჩაიდინეს ჩეჩნეთში. მსოფლიო ტენდენციებს თუ მივადევნებთ თვალს, ტერორიზმს, გაუკონტროლებელ ტერიტორიებსა და დესპოტურ რეჟიმებს საკუთარ ტერიტორიაზე კი არა, სხვა ქვეყნებშიც ებრძვიან. უკონტროლო ტერიტორიები შიდა ქართლსა და აფხაზეთში მარტო საქართველოს კი არა, მთელ მსოფლიოს უქმნის საფრთხეს. კაცმა არ იცის, ვინ არის იქ პასუხისმგებელი და რა კანონებით მოქმედებენ იქაური თვითმარქვია პრეზიდენტები. ამ ტერიტორიებზე წესრიგისა და კონტროლის დამყარება საქართველოს უფლება კი არა, მოვალეობაა, საკუთარი ხალხისა და მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე. საქართველოს ხელისუფლებას უნდა ეს პროცესი უდანაკარგოდ და ხავერდოვნად განვითარდეს და ამიტომაც ითხოვს, მშვიდობა იმ სამშვიდობო ძალების დახმარებით დამყარდეს, რომლებიც კონფლიქტში ჩარეული არ იქნებიან.

თუ რუსეთი იტყვის, მეც „მწყურია“ მშვიდობის დამყარება საქართველოშიო, კი, ბატონო, დაამყაროს, ოღონდ მათ უნდა დაემატოს საერთაშორისო მშვიდობისმყოფელები, რომლებიც ნეიტრალურები იქნებიან. წესით, ეს ხელს უნდა აძლევდეს რუსებსაც. ხომ გაიძახიან, — საქართველო არღვევს სამშვიდობო ხელშეკრულებასო. როდესაც შიდა ქართლში სხვა, ნეიტრალური მხარეც დადგება, დაინახავს, ვინ არის ნამდვილი დამნაშავე. თუ მართლები არიან, რუსებიც მოიცილებენ შფოთისთავის იარლიყს. მაგრამ, როდესაც რუსეთი სხვა სამშვიდობო კონტინგენტის შემოყვანას ასე აპროტესტებს, ცხადია, ვის რა აწუხებს, ვინ ისვრის და ვინ არღვევს ხელშეკრულებას.

— **რა გაკეთდა საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შემოსაყვანად კონფლიქტის ზონაში?**

— საერთაშორისო თანამეგობრობას ვთხოვეთ სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაცია და კონფლიქტის მოგვარებაში ჩართვა. მიმართვა პრეზიდენტმაც გააკეთა და პარლამენტის თავმჯდომარემაც. ამ მხრივ ჩვენი კომისიაც მუშაობს. მხოლოდ იმაზე ლაპარაკი — მშვიდობა შევინარჩუნოთო, არაფერს მოგვიტანს. ვერ შევეგუებით იმას, რომ ყოველ დილით მშვიდობაზე გველაპარაკებოდნენ, ღამით კი ხალხს გვიხოცავდნენ და სახლებს გვინგრევდნენ. დღეს სამშვიდობო რესურსების ამოწურვის ზღვარზე ვართ. ამის შემდეგ საქართველო იძულებული შეიქნება, საკუთარი ტერიტორია, ღირსება და მოსახლეობა ძალის გამოყენებით დაიცვას. რუსეთისთვის ძნელი ასატანი იქნება სხვა ძალების შემოყვანა კონფლიქტის ზონაში, მაგრამ მათ ნებაზე ვერ ვივლით. უზარმაზარი კულტურისა და ისტორიის, ჩეხოვისა და დოსტოევსკის ქვეყნის სახედ, რომელსაც ყველა ჭკუათმყოფელი აზრს ეკითხება, სამწუხაროდ, ჟირინოვსკი იქცა.

### მე კი არა, მელაკუდამ ქნაო...

### „ასეთი განცხადებით პუტინმა „ორიანი“ მიიღო“

შესაძლოა, ვიღაცას ის ჩვეულებრივ ტაკიმასხარად მიაჩნდეს, მაგრამ ეს ტაკიმასხარა დღეს რუსეთის სამთავრობო წრეებს წარმოადგენს, მაშინ, როდესაც დუმილს ამჯობინებენ ისინი, რომელთა გამოც პატივს სცემდნენ რუსეთს.

„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსაო“, მხოლოდ და მხოლოდ ფრაზა არ არის, მასში დიდი ფილოსოფიური სიბრძნე დევს. თავად რუსეთს ავნებს მისივე საქციელი.

— **რაკი რუსეთი და მისი ხელისუფლება ახსენეთ, პუტინის მეტისმეტად ემოციურ განცხადებაზე რა აზრის ხართ? მან საქართველოს ძველ ხელისუფლებას დააბრალა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტის გაღვივება — შეფასებაც არ დაგვამადლა** — Это было дурацкое решение-ო.

— რბილად რომ ვთქვათ, პრეზიდენტმა პუტინმა იცრუა და დიპლომატიური ეტიკეტიც დაარღვია, რაც მას ღირსებას ოდნავაც არ მატებს. ან მან არ იცის, სინამდვილეში როგორ იყო ყველაფერი და ვიღაცის ნათქვამს დაუჯერა (კარგად ჰქონია საქმე), ან ურცხვად იცრუა. ასეთი განცხადებით პუტინმა ისტორიის ცოდნაში ორიანი მიიღო. ამის გამო მას „კლასში არავინ ჩატოვებს“, მაგრამ მისთვის არის ცუდი, რომ ასეთი რამეები არ იცის.

საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა არასოდეს გაუუქმებია, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი კი თავად ოსეთის საკანონმდებლო ორგანომ გააუქმა სამჯერ და საბჭოთა კავშირის ფედერაციაში შესვლა მოითხოვა. ამ საკითხს დუმაც განიხილავდა, ხოლო ჩრდილო ოსეთმა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ცნო(!). აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას რომ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა ეცნო, რა გუნებაზე დადგებოდნენ რუსები? მაგრამ საქართველო პატარა ქვეყანაა და რუსეთს აქამდე ასეთი პოლიტიკა გასდიოდა. რუსეთი დღეს საბჭოურ პოლიტიკას აგრძელებს და ვერ აცნობიერებს, რომ სწორედ ამან დაშალა საბჭოთა იმპერია. სწორედ ამ პოლიტიკის წყალობითაა, რომ აღარავინ ძრწის რუსეთის არმიის წინაშე. რუსეთს თავის პუტინ-ჟირინოვსკიანად თუ დიდ პოლიტიკაზე აქვს პრეტენზია, აგერ არიან მისი წონითი კატეგორიის ქვეყნები და მათ ეჭიდაოს, საქართველო კი პატარა ქვეყანაა და მასთან არ უნდა ათამაშებდეს კუნთებს. რუსეთი თავისი წონის მოჭიდავეს ტატამიდან გაექცა და მასზე გაბრაზებულმა გასახდელში ქვემსუბუქი კატეგორიის საქართველოზე გადმოანთხია ბოღმა. რუსეთს სასიკეთო პერსპექტივას არ უქადის სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ომის წამოწყება და „ინტერნაციონალური ვალის“ მოხდა. თუნდაც იმიტომ, რომ მისი ასეთი მცდელობები ყოველთვის ცუდად მთავრდება. რუსის ჯარი კი არა, ჯოჯოხეთიდან ამოსული ეშმაკების დასტაც რომ დაგვიპირისპირდეს, შიდა ქართლიდან წამსვლელები არ ვართ. ოსი ლინგვისტი-ირანისტი, მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული ფილოლოგი, აკადემიკოსი ვასილ აბაევი ამბობს: „Вражду между народами разжигают не сами народы, а политиканы, которые манипулируют народами... Тяготение южных осетин к своим северным соплеменникам по-человечески понятно, но в геополитическом плане оно ошибочно. Главный Кавказский хребет — естественная граница между Грузией и Осетией, и всякая попытка размыть эту границу, повлечет за собой состояние перманентного конфликта между грузинами и осетинами... Осетинская сторона должна признать, что Южная Осетия была и остается органической частью Грузии“... — ასეთი ავტორიტეტული მეცნიერის შეხედულების გათვალისწინება უთუოდ მართებთ მავანთ.

— **რუსეთის დუმამ სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანებაზე მიიღო დადგენილება და სად სცალია მეცნიერებს უსმინოს?**

— სწორედ ასეთი ვერაგობისთვის დაიშლება თავად რუსეთი. „Святая Русь“-ის გარდა არსებობს შემოერთებული რუსეთიც, რომელიც უკვე დამოუკიდებლობაზე ფიქრობს და რაც მეტად დაგვიწყებს ჩიჩხინს, მით მალე დაიშლება თავად — ეს გეოპოლიტიკური კანონზომიერებაა.

— **როგორ ფიქრობთ, მოხდება თუ არა დაგომისის კაბალური ხელშეკრულების დენონსაცია?**

— ჯერჯერობით, ამ საკითხს ვსწავლობთ, რათა საჭირო მომენტში მზად ვიყოთ ამ თემაზე სალაპარაკოდ. „დურაკას“ თამაშის დროს ტუზკოზირი რომ პირველსავე სვლაზე ჩახვიდე და იძახო, უნდა მოვიგოო, უთუოდ „გადურაკდები“ — წააგებ. ამიტომ კარტის დროზე ჩასვლა უნდა იცოდე. ტუზკოზირს მაშინ ჩავალთ, როდესაც ყველაზე მაღალი კარტი იქნება გასაჭრელი.

— **რუსეთმა და კოკოითმა დიდი „ძიებ-ის“ შემდეგ ომის გამჩაღებელი „მესამე ძალა“ აღმოაჩინეს, რომელიც თურმე ირაკლი ოქრუაშვილი ყოფილა.**

— ასეთი მითური მესამე ძალა კარგა ხანია, ოჯახში მყავს — ჩემი 4 წლის შვილიშვილი რაღაცას რომ გააფუჭებს, გვეუბნება, — მე კი არა, მელაკუდამ ქნაო. სწორედ ჩემი შვილიშვილივით ფიქრობენ ისინი, ვისაც ჰგონია, რომ მათი გადაბრალებების გვჯერა. ოქრუაშვილი პირველი და ერთადერთი ძალაა, რომელიც მოწინააღმდეგეს წინასწარ აფრთხილებს, — ეს არ ქნა, თორემ ყოფას გიტირებო. როცა გაფრთხილებას არ ისმენ, მაინც აშავებ და საკადრისს იღებ, რატომ უნდა გეწყინოს? ვის დაუმალა ოქრუაშვილმა თავისი განზრახვა, არ იცოდნენ, რა პასუხსაც მიიღებდნენ? ყველაფრის მიუხედავად, ერთი რამ ვიცი — რუს ჯარისკაცზე, ოფიცერსა და თვით ნაბზდოროვზეც არ უნდა გავნაწყენდეთ. ისინი პუტინის გარეშე თითსაც არ გაატოკებენ. როდესაც ამბობენ, საქართველოს ტერიტორიები რომ დაიბომბა, რუსეთის პრეზიდენტმა არაფერი იცოდაო, ცრუობენ. თუ რუსი გენერალი ბომბებს ისე ყრის, რომ ეს პრეზიდენტმა არ იცის, მაშინ რუსებს ქვეყანა არ ჰქონიათ! რუსეთის პირველ პირებს ხშირად უთქვამთ, — არ ვიცოდით, ასეთ უკეთურობებს თუ სჩადიოდნენ ჩვენი გენერლები საქართველოშიო. ხშირად ისიც გვსმენია — აფსუს, პუტინს რომ სცოდნოდა, არ დაგვბომბავდნენ, აფსუს, პავლეს რომ სცოდნოდა, საქართველოს დამოუკიდებლობას არ გაუუქმებდნენ, აფსუს, პეტრე I-ს რომ სცოდნოდა, მისი ჯარი ვახტანგ VI-ს არ დაეხმარაო... და ა.შ. ეს ისეთი ზღაპრებია, რომლებსაც არ უნდა დავუჯეროთ. რუსეთს ჩვენც იმავეს ვეუბნებით, რაც აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთში უთხრეს, — წადი აქედან და ბედნიერად იცხოვრეო.

*გვერდი მოამზადა იზო რკაძემ*

ქართულ-გერმანული სკოლა „ა-Z“ (ანი-ცეტი)

1 სექტემბრიდან აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას ახალ მისამართზე: მ. თამარაშვილის №6 (ფიზიკის ინსტიტუტის შენობა, IV სართული)

☎ 893-34-04-42
899-19-60-53
52-10-05

# არმიის პრობლემები, რომლებიც აგვისტოს ბრძოლებმა გამოავლინა


ამ ჯავშანგამწევ МТ-ЛБ–ზე დაყენებული ЗУ-23-2 ავტომატური საზენიტო დანადგარით გორელმა მეზენიტეებმა შავი დღე აყარეს მთის ფერდობზე მიმალულ მოწინააღმდეგეს

„ჩვენ ვიხსენით საქართველო ფართომასშტაბიანი ბრძოლებისგან ცხინვალის რეგიონში“, — დაახლოებით ასეთია ოფიციალური თბილისის არგუმენტი მას შემდეგ, რაც დიდი და პატარა ლიახვის გზათშესაყარის დამცველ პოზიციებზე ქართველი სამხედროები სამმხრივი სამშვიდობო ძალების ჯავშანჯგუფებმა ჩაანაცვლეს.

ერთი მხრივ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების არგუმენტი გასაგებია — მართლაც, ბოლო დღეებში ისე დაიძაბა სიტუაცია ამ რეგიონში, რომ მალე ნაღმსატყორცნებისა და ჰაუბიცების შემდეგ ბრძოლაში ტანკები და საბრძოლო ავიაციაც ჩაებმებოდა და შეიარაღებული კონფლიქტი სრულფასოვან ომად იქცეოდა.

თუმცა მწარე სინამდვილე სხვა, ნაკლებსანუგეშო დასკვნების გაკეთების უფლებასაც გვაძლევს, მაგრამ ჯერ თანმიმდევრობით განვიხილოთ ბოლო დღეების პერიპეტიები.

## ამერიკული და რუსული სამხედრო სკოლა ერთმანეთს ცხინვალთან დაუპირისპირდა

აგვისტოს დასაწყისში, ერედვის ახლოს, დიდი და პატარა ლიახვის ხეობების დამაკავშირებელი შემოვლითი გზის დაცვა შინაგანი ჯარების დანაყოფებიდან თავდაცვის სამინისტროს მე-11 ბრიგადის „კომანდოს“ ბატალიონმა გადაიბარა და 16 დღე-ღამის განმავლობაში მართლაც ძლიერ და სასტიკ შემოტევებს გაუძლო.

ფაქტობრივად, სწორედ ამ უსახელო სიმაღლეებზე მოხდა ამერიკული და რუსული სამხედრო სკოლებისა და ხელოვნების დაჯახება, რადგან ქართული მხარის „კომანდოსები“ ამერიკელმა სამხედრო ინსტრუქტორებმა 100 დღის განმავლობაში „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამით“ მოამზადეს, ხოლო სეპარატისტების მხრიდან — რუსეთის სპეცრაზმგამოვლილი დაქირავებულები იბრძოდნენ.

მიუხედავად მსხვერპლისა და დაჭრილებისა, „კომანდოს“ ბატალიონის მეომრები მორალურად საკმაოდ მაღალ დონეზე იდგნენ, თუმცა გარკვეული პრობლემები მათაც ჰქონდათ.

თავის დროზე, ამერიკულმა მხარემ „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ფარგლებში, თავდაცვის სამინისტროს ოთხივე ბატალიონის თითოეული მებრძოლი ორი ათასი დოლარის საერთო ღირებულების ამუნიციით აღჭურვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ამუნიციაში ჯავშანჟილეტები არ შედიოდა. თუმცა, რას ვერჩით ამერიკელებს, როდესაც ჩვენც შეგვეძლო ჯავშანჟილეტების შეძენა, თითოეული ჯარისკაცისთვის ჩაცმა და ბრძოლაში ისე გაშვება?

მხოლოდ ახლახან გადმოსცა ამერიკულმა მხარემ ათასზე მეტი ჯავშანჟილეტი თავდაცვის სამინისტროს, მაგრამ ისინი ერაყსა და ავღანეთში გასაგზავნი ქართული სამშვიდობო კონტინგენტების აღსაჭურვადაა განკუთვნილი.

სამკვირიან შეიარაღებულ დაპირისპირებაში დაიღუპა თავდაცვის სამინისტროს 12 სამხედრო მოსამსახურე, დაიჭრა 29, რომლებსაც ამჟამად მკურნალობენ.

დაღუპულთაგან 5 „კომანდოს“ წევრია, 6 მებრძოლი თელავის 111-ე, ხოლო 1 — შავნაბადას 113-ე ბატალიონიდან იყო. თვალში საცემია, რომ „კომანდოს“, რომელიც 17 აგვისტოს შეიცვალა, მხოლოდ 5 კაცი დაეღუპა, ხოლო თელავის ბატალიონს სამ დღე-ღამეში — 6 ჯარისკაცი. ამის ერთი მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ „კომანდოს“ როტაციის შემდეგ სანგრებში მსხდარ 111-ე ბატალიონის წევრებს ძალზე ცოტა დრო ჰქონდათ, სწრაფად გარკვეულიყვნენ საბრძოლო თეატრის ნიუანსებში.

ჯავშანჟილეტების გარდა, მეორე მნიშვნელოვან პრობლემად იქცა ღამის ხედვის საშუალებების ნაკლებობა, რის გამოც მოწინააღმდეგის დივერსანტებმა რამდენჯერმე მოახერხეს, 10-15 მ-ში მიახლოებოდნენ ქართველთა სანგრებს და ხელყუმბარები დაეყარათ ქართველთა პოზიციებისთვის. მართალია, ბოლო დღეებში გენშტაბმა სასწრაფოდ გაარემონტა და წინა ხაზზე გადაისროლა 30-მდე ღამის ხედვის მოწყობილობა (ძირითადად, სნაიპერის ღამის ხედვის სამიზნე), მაგრამ აჯობებდა, ღამით, პოზიციური ბრძოლებისთვის ასე საჭირო ხელსაწყოები მანამდე ჰქონოდათ ქართველ ჯარისკაცებს.

ბრძოლებმა გამოავლინა კიდევ ერთი ნიუანსი — გამოცდილმა მოწინააღმდეგემ გამოიცნო ჩვენი მებრძოლების ტაქტიკა და იგი უკანვე შემოგვიბრუნა, ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით.


პოზიციებიდან გამოსული დაღლილი ქართველი ჯარისკაცები

საქმე ის არის, რომ ამერიკელმა ინსტრუქტორებმა ქართულ „კომანდოს“ ასწავლეს მიმართული მოქმედების ამერიკული ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების, „კლეიმორების“, დაყენება. „კლეიმორის“ მოქმედების პრინციპი წააგავს საბჭოთა МОН-50-ის მოქმედებას (ეს არცაა გასაკვირი, რადგან თავის დროზე რუსმა კონსტრუქტორებმა მოპარული „კლეიმორის“ პრინციპით შექმნეს МОН-50) და ინიცირების შემდეგ იგი წინ ისვრის წინასწარგამზადებულ ასობით პატარა რკინის ბურთულას. ჩვენი მებრძოლები „კლეიმორებს“ სანგრების წინ, რამდენიმე ათეულ მეტრში აყენებდნენ. დისტანციურად ასაფეთქებლად მათ სპეციალური სადენი ჰქონდათ შეერთებული. „კლეიმორების“ წინ გაჭიმულ წვრილ მავთულზე სასიგნალო ნაღმები იდგმება. როგორც კი მოწინააღმდეგე ფეხს წამოდებდა მავთულს, ამოქმედდებოდა სასიგნალო ნაღმი, რის შემდეგ სანგარში მჯდომი მებრძოლი დისტანციურად აფეთქებდა „კლეიმორს“.

ქართველმა ჯარისკაცებმა ეს პრინციპი რამდენჯერმე წარმატებით გამოიყენეს, მაგრამ ბოლო დღეებში, როგორც კი სასიგნალო ნაღმის აფეთქებისთანავე მებრძოლი დისტანციურად აფეთქებდა „კლეიმორს“, ნამსხვრევები მოწინააღმდეგის კი არა, ჩვენი სანგრებისკენ ცვიოდა. არ არის გამორიცხული, ვინმემ ერთი ნაღმი შეცდომით უკუღმა დააყენა, მაგრამ უფრო დასაჯერებელია, რომ მოწინააღმდეგის გამოცდილი მზვერავები გადააბიჯებდნენ სასიგნალო ნაღმის მავთულს, ჩუმად შემოაბრუნებდნენ ჩვენკენ „კლეიმორს“ და შემდეგ განგებ გამოჰკრავდნენ ფეხს სასიგნალო ნაღმის მავთულს. ამ ეჭვს ის გარემოებაც აძლიერებს, რომ რამდენიმე „კლეიმორი“ საერთოდ გაქრა დაყენების ადგილიდან — ალბათ მოწინააღმდეგის მზვერავებმა მოიპარეს და გაეცნენ დაყენებისა და მოქმედების პრინციპს.

კიდევ ერთი და ყველაზე საშიში პრობლემა: „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ბატალიონების შეიარაღება, რომელიც ასევე ამერიკულმა მხარემ შეიძინა, ნაკლებად უძლებს კრიტიკას. თავის დროზე, 2001 წლის გაზაფხულზე, როდესაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ფარგლებში ამერიკული მხარე ჩეხური და რუმინული ნახმარი ცეცხლსასროლი იარაღის ყიდვას აპირებდა, „კვირის პალიტრამ“ კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა. მაგრამ ეს გარიგება მაინც შედგა... სამწუხაროდ, ნაჩუქარ ცხენს კბილებს არ უსინჯავენ. თუმცა ეს შეიძლება მართლაც ცხენს ეხებოდეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — საბრძოლო იარაღს, რომელზეცაა დამოკიდებული მებრძოლის სიცოცხლე. ამ, ისედაც გაცვეთილმა იარაღმა, დამატებითი ცვეთა ქართული ბატალიონების ყოველდღიური მომზადების დროს განიცადა და ამ დღეებში, რეალური ბრძოლებისას, თავი ვერ ისახელა. ან რა უნდა გაეწყო, როდესაც ზოგიერთი ავტომატი 1959 წელსაა გამოშვებული, ხოლო სნაიპერების СВД ტიპის შაშხანების ლულების რესურსი უკვე ამოწურულია — ამ შაშხანებით, რა თქმა უნდა, კიდევ შეიძლება სროლა, ოღონდ სნაიპერული და უზუსტესი სროლის განხორციელება ძალზე ჭირს.

საასეულო ტყვიამფრქვევების ლულების უმრავლესობაც გადამწვარია, გრძელი ავტომატური ჯერის გაშვების დროს ხურდება და მიზნის დაზიანება შეუძლებელი ხდება.

გარკვეული პრობლემა გვქონდა სამხედრო დაზვერვის ეფექტიან მუშაობასთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ 19 აგვისტოს დილამდე მოქმედებდა მკაცრი ბრძანება — „არც ერთი ნაბიჯი უკან და არც წინ“, რის გამოც ერთი მოენეც კი არ აუყვანიათ. მაგრამ მთავარი პრობლემა ის არის, რომ თავდაცვის სამინისტროსა და გენშტაბში, ფაქტობრივად, არ არსებობს ახლო და სიღრმისეული დაზვერვის მოქმედი დანაყოფები, დაშლილია სადაზვერვო ბატალიონი, ხოლო მის ნაცვლად ახლის შექმნა ჭიანურდება. ის შედარებით ყველაზე მომზადებული სადაზვერვო-სადივერსიო ჯგუფი, რომელიც საზღვაო-თავდაცვის ძალების პროგრამით ემზადება და ცოტა სხვა სპეციფიკა გააჩნია, არ ყოფილა გამოყენებული.

მიუხედავად ამდენი ნაკლოვანებისა, აღსანიშნავია მთავარი მიღწევაც — „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამით მომზადებულმა სამმა ქართულმა ბატალიონმა, განსაკუთრებით კი „კომანდომ“, მიიღო ასე აუცილებელი საბრძოლო გამოცდილება, რაც მათ საბრძოლო მომზადების დონეს მნიშვნელოვნად აამაღლებს მომავალი შეიარაღებული კონფლიქტების დროს.

სიმართლე რომ ითქვას, ჩვენ სულაც არ გვაინტერესებს ზემოთ ხსენებულ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ შემდგომ ბრძოლებში იმავე შეცდომების დაშვება, მიუტევებელი ცოდვა იქნება, რისი უფლებაც აღარ გვაქვს.

OSCE

ეუთო-ს მისია საქართველოში აცხადებს
**ტენდერს**

**სოფელ სნოში საშუალო სკოლის**
შეკეთებაზე

პროექტი ითვალისწინებს სოფელი სნოს საშუალო სკოლის შეკეთებასა და სამშენებლო სამუშაოების შესრულებას.

სამუშაოებში შედის:

- ფანჯრების, კარებების, საძირკვლის, კედლებისა და ჭერის მშენებლობა-შეკეთება და სხვა მცირე ზომის სამუშაოების შესრულება;
- გაზგაყვანილობისა და ელექტროსისტემის შეკეთება და ნაწილების საჭიროებისამებრ შეცვლა.

ტენდერში მონაწილეობისათვის მოწოდებულ უნდა იქნეს თქვენი დაინტერესების წერილი, რომლის შემდგომ საშუალება მოგეცემათ, გაეცნოთ სამუშაოების ჩასატარებელ ადგილს, რისთვისაც დამატებით გეცნობებათ თარიღი.

ტენდერში მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ ყველა საჭირო სახელმწიფო ლიცენზია და დოკუმენტაცია.
ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულმა კომპანიებმა დაინტერესების წერილი უნდაგამოაგზავნონ
ელექტრონულ საფოსტო მისამართზე adolf.turek@osce.org
2004 წლის 27 აგვისტოს დღის 12:00 საათამდე:

OSCE

ეუთო-ს მისია საქართველოში აცხადებს
**ღია ტენდერს**

**კუპერის ტიპის საბურავების**
მოწოდებაზე

საბურავები განკუთვნილია ავტომანქანებისათვის:

- **M.PAJERO** 225/70R16 Cooper Discoverer AT - 56ც ;
- **M.PAJERO** 235/70R16 Cooper Discoverer AT- 30 ც;
- **M.PAJERO** 225/70R15 Cooper Discoverer AT- 20 ც;

ტენდერში მონაწილეობისათვის მოწოდებულ უნდა იქნეს თქვენი კომერციული შემოთავაზება, სადაც აღნიშნული უნდა იყოს:

- საბურავების ფასები;
- გადახდის პირობები და მოწოდების ვადა.

ტენდერში მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ ყველა საჭირო სახელმწიფო ლიცენზია და დოკუმენტაცია.
ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა გამოაგზავნონ შემოთავაზება (ინგლისურ ენაზე)
ფაქსის ნომერზე: 77 96 17 (ეუთოს მისიის მხარდაჭერის განყოფილება)
2004 წლის 24 აგვისტოს დღის 12:00 საათამდე:

# 1998 წელი — გალის ავანტიურა; 2001 წელი — კოდორის ავანტიურა; 2004 წელი — ცხინვალის...

## რა მოვიგეთ ჯარების ჩუმად შეყვანით და მათი დემონსტრაციულად გამოყვანით?!

### მოწინააღმდეგის მოქმედების ტაქტიკა

„ცხელ“ აგვისტოში ქართულ ოფიციალურ შეიარაღებულ დანაყოფებს მართლაც სერიოზული მოწინააღმდეგე დაუპირისპირდა, რაზეც ამ უკანასკნელის მოქმედების ტაქტიკაც და გამოყენებული იარაღის სახეობებიც მეტყველებს.

მარტო ოს სეპარატისტებს ასეთი ძალები არ შეიძლება ჰყოლოდათ. ჩვენი ინფორმაციით, რომელიც შეიძლება მცირედით განსხვავდება რეალური სურათისგან (თუმცა აბსოლუტურად რეალური მონაცემები ალბათ მხოლოდ მოსკოვში თუ ექნებათ), შემოვლითი გზის ასაღებად და გადასაკეტად „კაზაკთა კავკასიური სახლის“ 180-მდე კაცი იბრძოდა. ისინი ადგილობრივ სეპარატისტებთან ერთად რამდენიმე ღამის განმავლობაში შემოვლით გზას უტევდნენ როგორც ცხინვალის მხრიდან — სიმაღლეებიდან, ისე ჩრდილოეთიდან, ოსური სოფლების, ზემო და ქვემო სარაბუკის მხრიდან. გარდა ამისა, გზის დამცველთა საარტილერიო დაბომბვა ხორციელდება 82 მმ და 120 მმ კალიბრიანი ნაღმსატყორცნებით და 122 მმ კალიბრიანი Д-30 ტიპის ჰაუბიცებით, არა მარტო ცხინვალის, არამედ პატარა ლიახვის ოსური სოფლის, დმენისის, მხრიდანაც. ქართულ სანგრებს, ტრადიციული ცეცხლსასროლი იარაღის გარდა, ესროდნენ რუსული სპეცდანიშნულების რაზმების არსენალში არსებულ სპეციალურმაყუჩიან სნაიპერულ შაშხანებს — Винторез-ს, Вал-ს, უხმაურო ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნ Тишина-ს და მსხვილკალიბრიან (12,7მმ) სნაიპერულ შაშხანებს. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ კონფლიქტის ზონაში რუსეთიდან შემოყვანილი იქნენ რეგულარული რუსული სპეცდანიშნულების რაზმების მებრძოლებიც, რადგან ამგვარი სპეციალური და ძვირი იარაღის შოვნა ყველას არ შეუძლია.

გარდა პროფესიონალი მებრძოლებისა, რუსეთიდან ჯავაში ჩამოვიდა 70-ზე მეტი რუსი ოფიცერი, რომელთაგან ყველაზე დაბალი ჩინისა პოდპოლკოვნიკი გახლდათ. ისინი პანსიონატ „ჯავაში“ ამზადებდნენ მებრძოლებს; თუმცა როგორც ირკვევა, ის დანაყოფი, რომელიც ბოლო დღეებში მოსვენებას არ აძლევდა შემოვლითი გზის დამცველებს, ძირითადად მაინც ადგილობრივი ოსებისგან შედგებოდა და ლაპარაკი, რაღაც მესამე ძალაზე, ეტყობა, არ ღირს.

ეს 70-კაციანი სპეცდანიშნულების რაზმი, რომელშიც მხოლოდ ათიოდე რუსი იყო, დიდი ხანია ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების განკარგულებაშია. ჩიბიროვის დროს იგი ადგილობრივი შსს-ს განსკუთრებული დანიშნულების მილიციის რაზმში — „ომონში“ შედიოდა, კოკოითის „გაპრეზიდენტების“ შემდეგ ცალკე ჯგუფად ჩამოყალიბდა.

სწორედ ეს რაზმი, რომელსაც ადგილობრივი შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ჯემალ ქარქუსოვი ხელმძღვანელობდა, აწყობდა დივერსიულ თავდასხმებს ერედვი-ხეითის შემოვლითი გზის რამდენიმე მონაკვეთზე.

მისი ბაზა თლიაყანაში (კეხვის გასწვრივ, მდ. დიდი ლიახვის მარცხენა ფერდობზე) მდებარეობდა, საიდანაც მებრძოლები შებინდებისას მცირე ჯგუფებად გადმოდიოდნენ ქვემო და ზემო სარაბუკთან და შემდეგ რამდენიმე ადგილას უტევდნენ შემოვლით გზას.

### წარმატებული ოპერაცია

19 აგვისტოს, დილით, ქართულმა დანაყოფებმა მოულოდნელად ელვისებურად შეუტიეს თლიაყანას, მოწინააღმდეგის ბაზას.

აღსანიშნავია, რომ ეს ოპერაცია ძირითადად შსს-ს გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმმა და უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ორმა დანაყოფმა განახორციელა. ტერიტორიის გაწმენდას კი შსს-ს შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების პოლკის მებრძოლები აწარმოებდნენ. დიდი ლიახვის მხრიდან მათ თავდაცვის სამინისტროს კოჯრის სპეცდანიშნულების რაზმიც წამოეხმარა.

სპეცოპერაცია საკმაოდ მოულოდნელად და ამასთანავე წარმატებით განხორციელდა და ქართულ მხარეს დანაკლისი არ ჰქონია (ყოველ შემთხვევაში, ასეთ ინფორმაციას ავრცელებენ არაოფიციალურ საუბრებში ქართველი მაღალჩინოსნები), ქარქუსოვის რაზმს კი არანაკლებ 12 კაცი დაეღუპა (ოსურ მხარეს ბოლო დღეებში დაახლოებით 21 მებრძოლი უნდა დაღუპვოდა), თავად ჯემალ ქარქუსოვი დაიჭრა. რაზმმა მოახერხა უკან დახევა და სხვა გზით — თავი ჯავას შეაფარა. სავარაუდოდ, მათ დახოცილებიც გააყოლეს ხელს, რითიც შეიძლება აიხსნას ის, რომ ბრძოლის ველზე არც ერთი დაღუპული არ დარჩენილა.

საგულისხმოა, რომ ეს რაზმი თურმე ბრძოლისთვის ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ემზადებოდა და ბევრ მაღლობზე წინასწარ ჰქონია გამზადებული შენიღბული სანგრები.

შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების პოლკის მებრძოლებმა მოახერხეს ხელში ჩაეგდოთ მოწინააღმდეგის ერთი ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2. ეს დაახლოებით ასე მოხდა: მოულოდნელი შეტევით გაოგნებულმა მოწინააღმდეგემ ვერ მოასწრო БМП-ს დაქოქვა და იძულებული გახდა, გაქცეულიყო. ქართველმა ოფიცერმა აამუშავა БМП და გამოიყვანა შედარებით უსაფრთხო ტერიტორიაზე, მაგრამ საბრძოლო მანქანის დაკარგვით გაშმაგებულმა მოწინააღმდეგემ ინტენსიური საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა თავისავე БМП-ს. საბედნიეროდ, ეს ძვირფასი ნაალაფარი დღეს საიმედო ადგილზეა. მას უკანა კარზე გეპარდი ეხატა და კორპუსი მთლიანად ხაკისფრად იყო შეღებილი ისევე, როგორც იმ БМП-ებისა, რომლებიც ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ბატალიონმა ცხინვალში ერთი თვის წინ მიიღო, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს БМП-2 სეპარატისტებს მათმა ჩრდილოელმა „ცისფერჩაფხუტიანმა“ ძმებმა აჩუქეს.

გარდა БМП-2-ისა, ქართულმა სპეცრაზმმა ერთ-ერთ ბეტონის სარდაფში იარაღის მნიშვნელოვანი არსენალი აღმოაჩინა, მათ შორის БМП-2-ის 1200-ზე მეტი 30 მმ კალიბრიანი საკმაოდ დეფიციტური ჭურვი; დაზგის ყუმბარსატყორცნი СПГ-9 თავისი კუმულაციური ჭურვებით; 7,62 მმ კალიბრიანი ტყვიამფრქვევის ვაზნების ყუთები და „მაქსიმის“ სტილის ДЩК ტიპის 12,7 მმ კალიბრიანი ტყვიამფრქვევი.

19 აგვისტოს დილის შეტევა წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. ბუნებრივია, მოსალოდნელი იყო, რომ ქართული მხარე გააგრძელებდა შეტევას. საღამოსთვის უკვე იგეგმებოდა ჩვენი ძლიერი საარტილერიო დარტყმა სეპარატისტების პოზიციებზე, რომ შუადღისას ბევრისთვის (როგორც სამხედროების, ისე ადგილობრივი მოსახლეობისთვის) მოულოდნელად, საქართველოს პრეზიდენტმა გასცა ბრძანება დაკავებული მაღლობებიდან ქართული დანაყოფების გამოყვანისა და მათი სამმხრივი სამშვიდობო ძალებით ჩანაცვლების შესახებ.



ქართულმა სპეცრაზმმა ასეთი ოსური БМП-2 ჩაიგდო ალაფად ხელში




### რას მივაღწიეთ?

19 აგვისტოს საღამოს, ერედვში საკმაოდ დაძაბული სიტუაცია იყო — ადგილობრივმა მოსახლეობამ პოზიციებიდან მოხსნილ ჯარებს გზა გადაუკეტა და ნება არ მისცა, სოფელი დაეტოვებინა.

— გაგვყიდეთ?.. გვტოვებთ? — ეს და სხვა შეძახილები ყოველ წამს გაისმოდა (სტატიის ავტორის თვალწინ) და სოფლის მოსახლეობის დასაწყნარებლად მოგვიანებით ამოსულ შიდა ქართლის გუბერნატორ მიხეილ ქარელს შავი დღე დააყარეს, არც სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა დარჩენიათ უყურადღებოდ, ისიც კარგად შეამკეს.

გამძვინვარებული სოფლელი მანდილოსნების რისხვას ვერც ალყაში უნებლიეთ მოხვედრილი გენერალი ნაბზდოროვი და მისი მხლებლები გადაურჩნენ.

სოფლის მოსახლეობის რეაქცია აბსოლუტურად გასაგები გახლდათ — რატომ წამოიწყეთ, თუკი ახლა გვტოვებთ? — უსვამდნენ უპასუხო კითხვას და გასაგებია, რომ ოსების თავდასხმას ელოდნენ.

ისე, იმ მომენტში სეპარატისტებს რომ მართლაც აეტეხათ ნაღმსატყორცნებისა და ჰაუბიცების სროლა ერედვის ცენტრში, უამრავი ადამიანი და სამხედრო დაიღუპებოდა, რადგან სამხედრო მანქანების კოლონები ორ რიგად იდგა სოფლის გზაზე. მათ ძარებზე კი პოზიციებიდან მოხსნილი დაღლილი, მშიერი სამხედროები თვლემდნენ და ელოდნენ, როდის მისცემდნენ მათ საშუალებას, შეესრულებინათ პრეზიდენტის ბრძანება და დაეტოვებინათ კონფლიქტის ზონა.

პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივას რამდენიმე მხარე აქვს. პირველი: თავისი სამშვიდობო ინიციატივით მან მართლაც აიცილა ამ ეტაპზე კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია და შეაჩერებინა ქართული სოფლების დაბომბვა. სხვანაირად, ამის გაკეთება მხოლოდ ჯავისა და ცხინვალის აღებით შეიძლებოდა, რადგან სწორედ იქიდან ესროდნენ ერედვს თუ თამარაშენს.

ამასთან, ქართულმა სამშვიდობო ინიციატივამ მსოფლიოს თვალში საქართველოს ავტორიტეტი აამაღლა, რაზეც დასავლეთის ოფიციალური წრეებისა და მასმედიის კომენტარებიც მეტყველებს.

მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს — ფაქტობრივად, ჩვენ დავბრუნდით იმავე ადგილზე, საიდანაც დავიწყეთ, ან ცოტა უკანაც. ამის თქმის ნებას შემდგომი გარემოებები გვაძლევს — აგვისტოს მოვლენების შემდეგ გაჩნდა სამშვიდობო ძალების დამატებითი საგუშაგოები, რომლებიც მომავალში აქტიურად შეუშლიან ხელს ქართულ სამხედრო დანაყოფებს, თუკი საქმე მაინც პრობლემის ძალოვანი მეთოდით გადაწყვეტამდე მივიდა.

ვგულისხმობთ რუსულ საგუშაგოებს სოფელ ვანათთან და მეღვრეკისთან, რომლებიც ერთი თვის წინ გაიხსნა, რის გამოც ოსური დმენისისგან შევიწროებული ქართული ვანათის დახმარება გაჭირდება, ხოლო მეღვრეკისთან ჩამდგარი რუსი „ცისფერჩაფხუტიანები“ ცხინვალისკენ დაძრულ ქართველ სამხედროებს გადაუდგებიან წინ.

ერედვი-ხეითის შემოვლით გზაზე მაღლობებზე მდგარი სამმხრივი სამშვიდობო ძალების საგუშაგოები შეეწინააღმდეგებიან (ყოველ შემთხვევაში, რუსული და ჩრდილოოსური მხარე, რომლებმაც 19 აგვისტოს ს. ერედვიდან ამ მაღლობებისკენ 5 ქვეითთა საბრძოლო მანქანა აიყვანეს, აქედან სამი ჩრდილოოსური БМП-2 და ორი რუსული БМП-1) იმ ქართული სამხედრო დანაყოფების გადასვლას, რომლებიც ალყაში მოქცეული დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლების დასახმარებლად წავლენ.

დასკვნის სახით, სამწუხაროდ, შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ ამ ეტაპზე ბევრს ვერაფერს მივაღწიეთ, პირიქით, გამოვაფხიზლეთ მიძინებული „კრაზანების ბუდე“, რომელმაც თავდაცვის გაძლიერებაზე დაიწყო ფიქრი. ამას ემატება ბოლო დღეებში მეზობელ ჩრდილო ოსეთში დაწყებული ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები, რომლითაც მოსკოვი გარკვეულ მინიშნებას იძლევა.

რჩება შთაბეჭდილება, რომ ოფიციალურმა თბილისმა გარკვეულწილად იჩქარა, რაშიც მას დათვური სამსახური თბილისისა და, განსაკუთრებით, ბათუმის უსისხლო რევოლუციამაც გაუწია.

მაგრამ ამ შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რა სამწუხაროც არ უნდა იყოს, ჩვენი აზრით, უსისხლოდ აღარ მოხდება. სეპარატისტული მოძრაობა და მათი რუსი დამქაშები ფეშქაშად არაფერს მოგვართმევენ.

ნურავინ იტყვის, რომ აგვისტოს მოვლენებში დაღუპულ ქართველ მებრძოლთა სისხლი უმიზნოდ დაიღვარა, პირიქით, მათ თავი შესწირეს სამშობლოს და ყველას დაგვანახვეს, რომ საქართველოს გასამთლიანებლად ბრძოლა შეგვძლებია, რისთვისაც მუდმივი მზადებაა საჭირო. ამასთან, ამ საშვილიშვილო საქმეს დიდი ფულადი რესურსებიც სჭირდება, რადგან ძალით დაკარგულს მხოლოდ ძალა დაიბრუნებს, ომს კი დიდი კუჭი აქვს.

თუ გაგრძელება არ იქნა, სხვანაირად, 2004 წლის ცხინვალის აგვისტოს მოვლენები მომავალმა თაობამ შეიძლება შეაფასოს ისე, როგორც შეფასდა 1998 წლის გალის მაისის ავანტიურა და 2001 წლის კოდორის ავანტიურა.

## მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო

### აბაშიძის „დანატოვარმა“ და ხელისუფლების წაყრუებამ ტრაგედია დაატრიალა

*„— როგორც ითქვა, პლაჟებიც კი დანაღმულია. საკურორტო სეზონი უსაფრთხო იქნება?*

*— მიმდინარეობს აქტიური განნაღმვა, უშიშროების და თავდაცვის სამინისტროს გამნაღმველები ამაზე მუშაობენ და ზაფხული ნამდვილად უსაფრთხო იქნება.“*

ეს ციტატა 18 მაისის „კვირის პალიტრის“ იმ ინტერვიუდანაა, სადაც ჩვენს კორესპონდენტს, ეკა ლომიძეს, პასუხობს უშიშროების მინისტრის მოადგილე გიგი უგულავა. სამწუხაროდ, უსაფრთხო ეს ზაფხული ნამდვილად არ აღმოჩნდა იმ 7 ადამიანისთვის, რომელთა მანქანები ჩაქვის პლაჟზე ტანკსაწინააღმდეგო ნაღმით აფეთქდა.

არ არის შებრალების ღირსი ასლან აბაშიძე, რომელმაც თავისი სკამის რამდენიმე დღით შესანარჩუნებლად გასცა ერის საწინააღმდეგო ბრძანება და აჭარის პლაჟები იმიტომ დაანაღმვინა — სააკაშვილმა საზღვაო დესანტი არ გადმოსხასო.

თუმცა, თავისი წილი დანაშაული დღევანდელმა ხელისუფლებამაც უნდა აღიაროს, რომელმაც მოსახლეობას უსაფრთხო პლაჟების გარანტია მისცა.

განსაკუთრებით ეს ეხება იმ ადგილობრივ სამართალდამცავებს და სპეცსამსახურს, ვისთანაც თურმე რამდენიმე ხნის წინ მისულან ჩაქველები და უცნობებიათ, პლაჟი დანაღმულიაო. მაშინ რამდენიმე ნაღმი ამოიღეს, შემდგომ საძიებო სამუშაოები ან საერთოდ აღარ ჩატარდა, ანდა უგულისყუროდ გაგრძელდა.

შედეგად მივიღეთ ტრაგედია — „უაზის“ ტიპის ჯიპის წინა ბორბლის გადავლისას აფეთქდა პლაჟის ქვიშაში ჩაფლული სავარაუდო TM-62 ტიპის ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, დაიჭრა 7 ადამიანი — 5 ადგილობრივი და 2 დამსვენებელი. 2 მძიმედ დაჭრილი ბათუმის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ნაღმები საერთოდ ყველაზე არაჰუმანური იარაღია და ისინი მას შემდეგაც ფეთქდებიან, როდესაც ყოველგვარი შეიარაღებული დაპირისპირება დამთავრებულია.

აბაშიძემ რაც გააკეთა, სახეზეა, მაგრამ ხელისუფლებას ყველა ღონე უნდა ეხმარა, მოეპოვებინა ნაღმური ველების რუკები, ხოლო თუ ასეთი არ არსებობდა, ეპოვა ის ხალხი, ვინც აბაშიძის ბრძანებით დანაღმა აჭარის პლაჟი.

საუბედუროდ, პლაჟებზე და განსაკუთრებით ჩოლოქის მახლობლად, ჯერ კიდევ შეიძლება იყოს ტანკსაწინააღმდეგო, და თვით ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებიც კი. არადა საკურორტო სეზონი აჭარაში პიკს აღწევს.

უსინდისო ადამიანები შეიძლება ბევრნი იყვნენ, მაგრამ სინდისიერებმა ხომ უნდა მიაქციონ ყურადღება. ვინ არის დამნაშავე?!

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# ოლიმპიური სკანდალების ქრონიკა

## ოლიმპიური მედლის კანდიდატს გამარჯვება ცოფიანი ძაღლების ხროვამ დააკარგვინა

*ოლიმპიური თამაშები, გარდა იმისა, რომ მსოფლიო რეკორდების, დრამატული შეჯიბრებების და სპორტსმენთა ამოუწურავი შესაძლებლობების არენაა, გახმაურებული სკანდალებითა და კრიმინალური ფაქტების სიუხვითაც გამოირჩევა. ადამიანებმა ოლიმპიადის სამშვიდობო დევიზს, მაინცდამაინც, პოლიტიკური მანტია მოასხეს და პირველი თამაშებიდან დღემდე კონფლიქტისა და საორგანიზაციო ლაფსუსის გარეშე, შეიძლება ითქვას, არც ერთ ოლიმპიადას არ ჩაუვლია. დარღვევათა შემთხვევები წლიდან წლამდე იზრდებოდა და ბოლოს გრანდიოზულ მასშტაბებსაც მიაღწია. ოლიმპიადებზე მომხდარი პოლიტიკური თუ კრიმინალური სკანდალების აღწერას ერთი საგაზეთო გვერდი ნამდვილად არ ეყოფა, მაგრამ მათ შორის არის ისეთი ფაქტებიც, რომელსაც გვერდს ვერავინ აუქცევს. დღეს რამდენიმე მათგანს შემოგთავაზებთ.*



საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის ცივი ომი ოლიმპიურ არენაზეც გავრცელდა



### I ოლიმპიური თამაშები

**ათენი (საბერძნეთი)
25 მარტი - 3 აპრილი, 1896 წელი**

ანტიკური ელადის უძველესი ტრადიციის — ოლიმპიურ ასპარეზობათა აღორძინება ბერძნებმა სცადეს და საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე თამაშების საუკუნოვან ისტორიას. პირველი სკანდალი მოცურავეთა ასპარეზობისას აგორდა. მასპინძლებს საცურაო აუზები არ გააჩნდათ და სპორტსმენები პირდაპირ ზღვის აკვატორიაში გააჯიბრეს ერთმანეთს. ამერიკელმა უილიამსმა სტარტზევე შეწყვიტა გამოსვლა და ორგანიზატორებს პრეტენზიით მიმართა — აქაოდა, ასეთ გაყინულ წყალში შეჯიბრების გამართვა შეუძლებელიაო. მისი პროტესტი არც კი განუხილავთ.

### III ოლიმპიური თამაშები

**სენტ-ლუისი (აშშ)
1 ივლისი - 23 ნოემბერი, 1904 წელი**

მარათონულ გარბენში, 12 კმ-ის დაფარვის შემდეგ, დისტანციიდან გულშეწუხებული გაიყვანეს ამერიკელი ფრედი ლორცი. ათლეტი წამსვე მანქანაში მოათავსეს და დახმარების აღმოსაჩენად ფინიშისკენ გააქანეს,



ბერლინის ოლიმპიადის სიმბოლო ხუთი რგოლის ნაცვლად სვასტიკა იყო

სადაც სამედიცინო პუნქტი იყო. დანიშნულების ადგილამდე 8 კმ-ით ადრე ლორცს ფერიც დაუბრუნდა და დაღლილობამაც გადაუარა, მძღოლს მანქანა გააჩერებინა, დისტანციაზე დაბრუნდა და ფინიშთან პირველმა მიირბინა(?!). ოლიმპიურ „ჩემპიონს“ ოქროს მედალი ამერიკის პრეზიდენტის, რუზველტის ქალიშვილმა ალისამ ჩამოჰკიდა და მასთან ერთად არც სურათის გადაღება უთაკილია. ტყუილი მალევე „გასკდა“ — როცა ფინიშთან სხვა მონაწილეებმაც მიირბინეს, ლორცმა განაცხადა, ვიხუმრეო. აშშ-ის მძლეოსნობის ფედერაციამ ოხუნჯ ათლეტს სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა, ალისა რუზველტს კი მის მაგივრად მოუწია ბოდიშის მოხდა მსოფლიო საზოგადოების წინაშე. გაუგებრობა არც ამით ამოწურულა. ორგანიზატორები ის იყო დაშლას აპირებდნენ, როდესაც კიდევ ერთი ამერიკელი, ოლიმპიური მედლის კანდიდატი მილასლასდა ფინიშთან. მისი განცხადებით, დისტანციაზე ცოფიანი ძაღლების ხროვა გადაეყარა და იძულებული გახდა სიმინდის ყანაში შევარდნილიყო თავის საშველად...

### IX ოლიმპიური თამაშები

**ამსტერდამი (ჰოლანდია)
17 მაისი - 12 აგვისტო, 1928 წელი**

გახსნის ცერემონიალის წინა დღეს ფრანგი სპორტსმენები მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტთან, პოლ მერიკამპთან ერთად ამსტერდამის სტადიონზე წავიდნენ, რათა მომავალი შეჯიბრებების მთავარ არენას გასცნობოდნენ. მოულოდნელად მათ დარაჯი გადაეღობა და სტადიონის კარი ცხვირწინ მიუკეტა. არადა, რამდენიმე წუთით ადრე, არენაზე დაუბრკოლებლად შეაღწია გერმანიის დელეგაციამ. გაწევ-გამოწევისას მერიკამპმა ხელი უბიძგა დარაჯს, რომელმაც არც აცია, არც აცხელა და გასაღებების ასხმა პირდაპირ სახეში სთხლიშა ფრანგს. დასიხლიანებული მერიკამპის თანამემამულეები დარაჯს მიესივნენ და ძვალ-რბილი გაუერთიანეს, რისთვისაც მთელი ღამე პოლიციის განყოფილებაში მოუწიათ ყურყუტი. მეორე დღეს ფრანგები გაათავისუფლეს, მაგრამ სტადიონის კართან ისევ ის დარაჯი დახვდათ, რომელმაც კატეგორიული უარი განაცხადა მათ შეშვებაზე. ფრანგებმა მომხდარი მათ წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციად შეაფასეს. საქმეში ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩაერია. გაჯიუტებული დარაჯი იქაურობას მოაცილეს, ხოლო საორგანიზაციო კომიტეტმა საფრანგეთის დელეგაციას ოფიციალურად მოუბოდიშა.

### XI ოლიმპიური თამაშები

**ბერლინი (გერმანია)
1-16 აგვისტო, 1936 წელი**

1936 წლის ივნისში პარიზში გაიმართა ოლიმპიადის იდეების დამცავი კონფერენცია, რომლის მონაწილეებმა ყველას მოუწოდეს ჰიტლერული ოლიმპიადის ბოიკოტისაკენ იმის გამო, რომ ნაცისტებს თამაშების გამოყენება თავიანთი იდეების პროპაგანდისთვის სურდათ. ოლიმპიურმა კომიტეტმა ბერლინში კომისია გაგზავნა, რომელმაც ვერაფერი აღმოაჩინა ისეთი, რაც ოლიმპიადას ზიანს მიაყენებდა. თამაშები დაგეგმილ დროს გაიმართა და ადოლფ ჰიტლერმა პირადად გასცა განკარგულება — შეჯიბრება მაქსიმალურად გამოეყენებინათ ნაციზმის აგიტაციისთვის. ბერლინში მასობრივი წმენდა ჩატარდა, რათა არასასურველი პირები ქვეყნიდან გაეძევებინათ. ოლიმპიადის მთავარ სიმბოლოდ ხუთი რგოლის მაგივრად სვასტიკა იქცა, მთავარ იდეოლოგად კი — იოზეფ გებელსი. თავიდან არ უნდოდათ თამაშებზე ზანგების დაშვება, მაგრამ ბოლოს, ჰიტლერის განკარგულებით, შავკანიანებს მონაწილეობის უფლება მაინც მისცეს. ფიურერი ფიქრობდა, რომ ყველა მედალი მაინც არიული რასის სპორტსმენებს დარჩებოდა, მაგრამ ამერიკელმა ზანგმა ჯერი ოუენსმა 4 ოქრო მოიპოვა მძლეოსნურ ბილიკებზე. ჰიტლერმა, პროტოკოლის მიუხედავად, უარი განაცხადა გამარჯვებულის მილოცვაზე. დოკუმენტურ ფილმში ამოჭრეს კადრები, სადაც მაყურებელი აპლოდისმენტებით აჯილდოებდა ამერიკელს. ფაშისტთა ლიდერმა განაცხადა, — გასაკვირი ოუენსის ჩემპიონობაში არაფერია, რადგან შავკანიანები ადამიანები არ არიან და მათთან შეჯიბრებას აზრი არა აქვსო.

### XV ოლიმპიური თამაშები

**ჰელსინკი (ფინეთი)
19 ივლისი - 3 აგვისტო, 1952 წელი**

ოლიმპიადაზე პირველად გამოვიდა საბჭოთა კავშირის ნაკრები. იდეოლოგიური მოსაზრებების გამო ორი ოლიმპიური სოფელი შეიქმნა, რომელშიც მოწინააღმდეგე ბანაკების — კაპიტალიზმის და სოციალიზმის წარმომადგენლები განთავსდნენ. საბჭოთა დელეგაცია გახსნის ცერემონიალზე არ გამოსულა, მათ აეკრძალათ მტრული ბანაკის წევრებთან კონტაქტები. მოპოვებული მედლების რაოდენობით საბჭოთა სპორტსმენებმა ამერიკელთა შემდეგ მეორე ადგილი დაიკავეს.

### XVI ოლიმპიური თამაშები

**მელბურნი (ავსტრალია)
22 ნოემბერი - 8 დეკემბერი, 1956 წელი**

1956 წლის 6 ნოემბერს შვეიცარიის ოლიმპიურმა კომიტეტმა მოუწოდა მონაწილე ქვეყნებს ბოიკოტი გამოეცხადებინათ ოლიმპიადისთვის იმის გამო, რომ საბჭოთა ჯარებმა ანტიკომუნისტური ამბოხება უნგრეთში სისხლში ჩაახშეს. უმრავლესობამ ეს მოწოდება უარყო და კონფლიქტი სოციალისტური ბლოკის შინაურ საქმედ მიიჩნია, მით უმეტეს, რომ მონაწილეობაზე უარი არც უნგრელებს განუცხადებიათ. ბოიკოტს მხოლოდ ორი ქვეყანა გამოეხმაურა — ესპანეთი და ჰოლანდია. მელბურნში არც ეგვიპტის დელეგაცია ჩავიდა, რომელმაც მთელ არაბულ სამყაროს მსგავსი გადაწყვეტილებისკენ მოუწოდა. მიზეზი ინგლის-ისრაელის მიერ სინაის ტერიტორიის ოკუპაცია გახდა. ეგვიპტეს სოლიდარობა ერაყმა და ლიბანმა გამოუცხადეს.

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სპორტსმენები ოლიმპიადაზე მაინც გადაეყარნენ ერთმანეთს წყალბურთელთა ტურნირის ნახევარფინალში. მეორე ტაიმში ჩხუბი ატყდა, რომელიც გუნდების კაპიტნებმა დევე დიარმატმა და პეტრე მშვენიერაძემ წამოიწყეს. მათ თანაგუნდელებიც წამოეხმარნენ, ტრიბუნებზე კი დიდ უმრავლესობას უნგრელები წარმოადგენდნენ. პოლიციამ გამძვინვარებული ბრბო ძლივს დააშოშმინა და საბჭოთა წყალბურთელები გასახდელში ჩაიყვანა. გამარჯვება უნგრელებს ჩაუთვალეს. მეორე დღეს დასავლური გაზეთების პირველი გვერდები ერთიანად გასისხლიანებულ უნგრელ წყალბურთელს, ერვინ ზიდორს დაეთმო. საბჭოთა ხელმძღვანელობამ თავის სპორტსმენებს სასტიკი საყვედური გამოუცხადა „სსრკ-უნგრეთის მეგობრობისთვის ზიანის მიყენების გამო“. რაც შეეხება პეტრე მშვენიერაძეს, წაგების მიუხედავად მას სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭეს. ქართველი წყალბურთელი თამაშის დროსაც ლიდერი იყო და ჩხუბშიც, სადაც თავი არავის დააჩაგვრინა, რაც სპორტის ფუნქციონერებმა არ დაუკარგეს. დიდი ხნის შემდეგ, 2002 წელს ბუდაპეშტში იმ სკანდალური მატჩის მონაწილე გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს და საბოლოოდ შერიგდნენ.

### XX ოლიმპიური თამაშები

**მიუნხენი (გერმანია)
26 აგვისტო - 11 სექტემბერი, 1972 წელი**

5 სექტემბრის დილას პალესტინის ტერორისტული ორგანიზაციის, „შავი სექტემბრის“ წევრები ოლიმპიურ სოფელში შეცვივდნენ, მოკლეს ისრაელის ნაკრების ორი სპორტსმენი და დელეგაციის ცხრა წევრი მძევლად აიყვანეს. ტერორისტებმა ისრაელის ციხეებიდან 200 პალესტინელის გათავისუფლება მოითხოვეს. მოლაპარაკებები მთელი დღის მანძილზე გაგრძელდა. ტერორისტებს ორი ვერტმფრენი გამოუყვეს, რომლის მეშვეობით ისინი მძევლებთან ერთად აეროპორტში მივიდნენ და თუმცა ხელისუფლება მათ კაიროში გაფრენას შეჰპირდა, შტურმი მაინც დაიწყო: ცხრავე მძევალი დაიღუპა. მათთან ერთად დაიხოცნენ მფრინავი და ერთი პოლიციელი. ტერორისტთაგან ხუთი გაანადგურეს, სამი დაჭრეს. ტერაქტის შემდეგ გლოვა გამოცხადდა, მაგრამ 34 საათში ოლიმპიადა განახლდა.

### XXI ოლიმპიური თამაშები

**მონრეალი (კანადა)
17 ივლისი - 1 აგვისტო, 1976 წელი**

ოლიმპიადის გახსნამდე რამდენიმე კვირით ადრე ახალი ზელანდიის მონაწილეობა საფრთხის ქვეშ დადგა. ეს 22-მა აფრიკულმა ქვეყანამ მოითხოვა. ისინი აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ზელანდიელებმა გამართეს შეხვედრა რაგბიში სამხრეთ აფრიკის გუნდთან, რომელშიც აპარტეიდის რეჟიმი იყო გამეფებული. სოკ-მა (საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი) პროტესტის განხილვაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ რაგბი არ იყო ოლიმპიური სახეობა. საპასუხოდ, 30-მა ქვეყანამ, რომელთა უმრავლესობა აფრიკელები იყვნენ, თამაშებს ბოიკოტი გამოუცხადა.

თანამედროვე ხუთჭიდში დიდი აფერა გამომჟღავნდა. საბჭოთა კავშირის გუნდის ლიდერი ბორის ონიშჩენკო, რომელსაც წინა ოლიმპიადებზე მოპოვებული ჰქონდა ერთი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი, მაქინაციაში გამოიჭირეს. ფარიკაობის დროს მსაჯებმა აღმოაჩინეს საიდუმლო მოწყობილობა, რომელიც რუს სპორტსმენს სახელოში ჰქონდა დამაგრებული და ღილაკზე თითის დაჭერით ჩხვლეტის დამაფიქსირებელ სიგნალს ანთებდა ტაბლოზე, სინამდვილეში კი რაპირა არც ეხებოდა მეტოქეს. ერთ მომენტში, როდესაც მოწინააღმდეგესთან კონტაქტში არ იმყოფებოდა, ონიშჩენკოს შემთხვევით მოუხვდა ხელი ღილაკზე და საიდუმლოც გამჟღავნდა. სპორტსმენს დისკვალიფიკაცია მისცეს, რის გამოც საბჭოთა ნაკრებმა მედლების მოპოვების ყველა შანსი დაკარგა.

### XXII ოლიმპიური თამაშები

**მოსკოვი (სსრკ)
19 ივლისი - 3 აგვისტო, 1980 წელი**

ამერიკის პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა მოსკოვის ოლიმპიადას 1979 წელს საბჭოთა ჯარების ავღანეთში შეჭრის საბაბით ბოიკოტი გამოუცხადა. დასავლეთის წამყვანი ქვეყნებისა და ჩინეთის გარეშე თამაშები მეორეხარისხოვნად გადაიქცეოდა და ამიტომაც საბჭოთა ხელისუფლება სწრაფად ამოქმედდა. მან მოახერხა ესპანელი ხუან ანტონიო სამარანჩის მიმხრობა და სამი დღით ადრე სოკ-ის პრეზიდენტის პოსტზე გაყვანა. უმოკლეს დროში სამარანჩმა დაარწმუნა ესპანეთი,



პალესტინელი ტერორისტების „შავი სექტემბერი“ ოლიმპიურ სოფელში

იტალია, დიდი ბრიტანეთი და დასავლეთის ზოგიერთი ქვეყანა, მონაწილეობა მიეღოთ მოსკოვის ოლიმპიადაზე. თამაშებმა ღირსეულად ჩაიარა. მოსკოვში 36 მსოფლიო და 74 ოლიმპიური რეკორდი დამყარდა. წაგებული აღმოჩნდა კარტერიც, რომელმაც მარცხი განიცადა საპრეზიდენტო არჩევნებშიც.

საბჭოთა კავშირმა ვალი დაუბრუნა ამერიკას და 1984 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიადას ბოიკოტი გამოუცხადა, რასაც რუმინეთის გარდა მთელმა სოცბლოკმა აუბა მხარი.

### XXVIII ოლიმპიური თამაშები

**ათენი (საბერძნეთი)
11 - 29 აგვისტო, 2004 წელი**

4 აგვისტოს ტელეკომპანია BBC-მ პროგრამაში „პანორამა“ მაყურებელს შესთავაზა დოკუმენტური ფილმი, რომელიც სოკ-ის მაღალჩინოსნებს მექრთამეობაში ამხელდა. BBC-ის ჟურნალისტები გავლენიანი ბიზნესმენების სტატუსით წარუდგნენ ბულგარეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, ივან სლავკოვს და 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლად ლონდონის გამარჯვებაში ლობირება სთხოვეს. სლავკოვმა სოკ-ის 50 წევრის ხმების შეგროვება თავის თავზე აიღო, რის სანაცვლოდ 4 მილიონი დოლარი მოითხოვა. ყოველივე ეს ფარულ კამერაზე დაფიქსირდა. სოკ-მა გამოძიება დაიწყო. 7 აგვისტოს სლავკოვი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს...

*ეს მცირე ნუსხაა იმ სკანდალებისა, რომლის გარეშე არც ერთ ოლიმპიადას არ ჩაუვლია. ოლიმპიადა სპორტულ მიღწევებთან ერთად დიდი ინვესტიციების დაბანდებისა და სხვათა შორის, უმოკლეს ვადებში კოლოსალური დივიდენდების მიღების ასპარეზიცაა. ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს ის სენსაციური სამართალდარღვევები თუ პოლიტიკური შეხლა-შემოხლა, რაც თან სდევს მსოფლიოს ყველაზე გრანდიოზულ სპორტულ შეჯიბრებას.*

**მოამზადა
ზვიად სეხნიაშვილმა**

# „ᲡᲐᲜᲐᲛ ᲐᲥ ᲕᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ“

## ექსკლუზიური ინტერვიუ საქართველოში ეფ-ბი-აი-ს წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან



საქართველოში ეფ-ბი-აი-ს (აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს) წარმომადგენლობა გაიხსნა. იგი კავკასიაში ერთადერთი იქნება და მთელ რეგიონში განავრცობს თავის საქმიანობას. ექსპერტების აზრით, ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ორგანიზებულ დანაშაულებთან ბრძოლას საქართველოში, ვინაიდან ეფ-ბი-აი-სთვის კარგად ცნობილია ჩვენში აქტუალური დანაშაულებათა ანატომია და მასთან ბრძოლის ხერხები. ითანამშრომლებენ თუ არა ამერიკელი და ქართველი სამართალდამცველები შპიონაჟთან, კორუფციასთან, ტერორიზმთან, ნარკოტიკების არაკანონიერ ბრუნვასა და სხვა დანაშაულებთან ბრძოლაში, ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის საელჩოს ატაშე სამართლებრივ საკითხებში და ამავე დროს ეფ-ბი-აი-ს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი **ბრაიან პარმანი** გვესაუბრება (იგი ქართველ საზოგადოებას პირველად მიმართავს პრესით, „კვირის პალიტრის“ საშუალებით).

— **საქართველოში ეფ-ბი-აი-ს წარმომადგენლობის გახსნაზე ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს ლაპარაკობდნენ, რატომ დაყოვნდა ჩანაფიქრის განხორციელება?**

— საქართველოში ეფ-ბი-აი-ს წარმომადგენლობა კარგა ხნის წინ უნდა გახსნილიყო, მაგრამ ზოგიერთი ფორმალური საკითხის გამო ეს ვერ მოხერხდა. თავდაპირველად, ამაზე უნდა ემსჯელა კონგრესს. შემდეგ ბიუჯეტს საამისო თანხები უნდა გამოეყო. ამასთან, უნდა შერჩეულიყო საქართველოში გამოსაგზავნი კვალიფიციური კადრი, აუცილებელი იყო ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა და დროც გაჭიანურდა.

— **როგორც ვიცით, ამჯერად ეფ-ბი-აი-ს საქართველოში მხოლოდ თქვენ წარმოადგენთ. გაუმკლავდებით იმ უზარმაზარ საქმეს, რასაც თქვენი თანამდებობა გაკისრებთ?**

— მალე მდივანი მეყოლება და ვიმედოვნებ, მომავალ ზაფხულს ასისტენტად სხვა თანამშრომელსაც გამომიგზავნიან. ეფ-ბი-აი-ს ტრადიციისამებრ, უცხოეთის წარმომადგენლობებში მსახურობს ეფ-ბი-აი-ს ორი მუშაკი და ერთი მდივანი. ისე კი მარტოობას სრულიად ვერ ვგრძნობ საქართველოში.

— **თქვენი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ურთიერთობები ალბათ უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან გაქვთ.**

— რა თქმა უნდა. თუმცა გენპროკურატურასა და იუსტიციის სამინისტროსაც აქვთ თავიანთი საგამოძიებო ორგანოები და ვიმედოვნებ, მათთანაც ვითანამშრომლებ.

— **საქართველოში ეფ-ბი-აი-ს საქმიანობაში პრიორიტეტული რა იქნება?**

— ტერორიზმი, ნარკოვაჭრობა და იარაღით უკანონო ვაჭრობა პრიორიტეტულად მიგვაჩნია, ასევე, კორუფცია, ადამიანთა უფლებების დარღვევისა და კიბერდანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა.

თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით ძალზე გაიოლდა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების გაყალბება, სახელმწიფო ორგანიზაციების კომპიუტერულ ქსელებში შეჭრა, საბანკო ანგარიშებზე ნადირობა, ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელება. ყოველივე ამას ჩვენ კიბერდანაშაულებს ვუწოდებთ. ეს პრობლემა არა ჩვენსავით მწვავედ, მაგრამ თქვენთანაც არსებობს.

ერთ თვეში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით საქართველოში ჩამოვლენ ეფ-ბი-აი-ს კონსულტანტები, რომლებიც სასწავლო სემინარებს ჩაუტარებენ ქართველ გამომძიებლებს. სემინარების მთავარი თემა კიბერდანაშაულებიც იქნება.

თქვენს სამართალდამცავ სტრუქტურებში ძირითადად პროფესიონალები მსახურობენ. არავინ იფიქროს, ჩვენ აქ რაიმეს სასწავლებლად ჩამოვედით. ჩვენი აქ ყოფნის მიზანი კომპეტენტურ ქართველ კოლეგებთან პარტნიორობაა. თუ სურვილი ექნებათ, დიდი სიამოვნებით დავეხმარებით გამოცდილებითა და ტექნიკური აღჭურვილობით. ჩვენი მხრივ, ქართველებსაც ვთხოვთ, მოგვაწოდონ ის ინფორმაცია, რაც მხოლოდ მათთვის არის ცნობილი. ჩვენი ბიუროს საერთაშორისო ქსელის რომელიმე აგენტს საქართველოზე სპეციფიკური ინფორმაცია რომ დასჭირდეს, მე დამიკავშირდება, მე კი ქართველი კოლეგები უნდა დამეხმარონ.

— **ბატონო ბრაიან, ეფ-ბი-აი ქართველებს ეხმარებოდა ფრედ ვუდროფისა და გიორგი სანაიას მკვლელობების გამოძიებაში. კულუარული ინფორმაციებით, თქვენი სამსახურის ექსპერტიზის დასკვნა დღემდე არ ხმაურდება. რა არის ამის მიზეზი?**

— ჩვენი წესია, არასდროს ვილაპარაკოთ იმ საქმეებზე, რომელზეც გამოძიება მიმდინარეობს, ან უკვე დახურულია. ამიტომ ამ კითხვაზე პასუხისგან თავს შევიკავებ.

— **ორგანიზებული დანაშაულებანი ელვის სისწრაფით იზრდება მთელ მსოფლიოში. ამას ხომ არ განაპირობებს ის, რომ დამნაშავეებს ერთმანეთთან უფრო აქტიური ურთიერთობები აქვთ, ვიდრე სამართალდამცავ სამსახურებს?**

— მატულობს არა დამნაშავეთა ჯგუფები, არამედ გადაადგილების თანამედროვე საშუალებები, რაც დამნაშავეს გეოგრაფიული არეალის შემცირებას უადვილებს — შეუძლია თითქმის ერთ დღეში შემოიაროს მსოფლიო ან არ გავიდეს ოთახიდან და სულაც კომპიუტერით ჩაიდინოს დანაშაული მეორე კონტინენტზე. დანაშაულის ფორმაც ინტელექტუალური გახდა. სწორედ ამიტომ ხსნის ეფ-ბი-აი ბიუროებს სხვადასხვა ქვეყანაში.




— **2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ აშშ-ში შიდაუსაფრთხოების სამინისტრო შეიქმნა. ეს იმან ხომ არ განაპირობა, რომ ეფ-ბი-აი ტერორიზმს ეფექტიანად ვეღარ ებრძოდა?**

— ეფ-ბი-აი არასდროს ყოფილა მარტო ტერორიზმთან ბრძოლის პროცესში — 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ გადაწყდა, ტერორიზმთან ბრძოლას უფრო ორგანიზებული სახე მისცემოდა. ამიტომაც ამ საკითხზე მომუშავე ყველა სააგენტო ერთ ჭერქვეშ უნდა მოექციათ. ასე რომ, შიდაუსაფრთხოების სამინისტროს შექმნა სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ეფ-ბი-აი თავს ვეღარართმევდა საქმეს.

— **საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში (განსაკუთრებით, აფხაზეთში), სადაც ტერორიზმის, ნარკოტიკებითა და იარაღით უკანონო ვაჭრობის პრობლემები აქტუალურია, ალბათ ეფ-ბი-აი განსაკუთრებული ინტერესით იმუშავებს.**

— მნიშვნელობა არ აქვს, რომელ რეგიონში გვექნება სამუშაო — კონფლიქტურში თუ მშვიდობიანში, სოხუმში, ბათუმში, თბილისსა თუ ფოთში.

— **არსებობს ინფორმაცია, რომ საქართველოს პორტებში ეფ-ბი-აი-ს ინტერესს წარმოადგენდა და წარმოადგენს კონტეინერების „გამჭვირვალობა“. მხოლოდ ფოთის პორტში ყოველდღე ათასობით კონტეინერი შემოდის და გადის. რამდენად აკონტროლებთ ამ პროცესს?**

— (ეცინება) მართალია, მე ეფ-ბი-აი-ს წარმოვადგენ, მაგრამ ვემორჩილები საქართველოს კანონმდებლობასაც. ამიტომ, თუ დახმარება გვჭირდება, როგორც გითხარით, დახმარებას ქართველ კოლეგებს ვთხოვთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, კომენტარს არ ვაკეთებ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლის გამოძიებაც ამჟამად მიმდინარეობს.

— **იმედია, არ გაასაიდუმლოებთ თქვენს ბიოგრაფიულ მონაცემებს. საქართველოში მარტო ცხოვრობთ თუ ოჯახთან ერთად?**

— 38 წლის ვარ და უკვე 9 წელია, ეფ-ბი-აი-ში ვმუშაობ. დაქორწინებული არ ვარ, არც შვილები მყავს (ბატონი ბრაიანი აპირებს დაქორწინებას, თანაც, როგორც საიდუმლოდ გაგვიმხილა, ქართველზე. — ე. ლ.). საქართველოში ჩამოსვლამდე ვმუშაობდი კოლორადოში, დენვერსა და ვაშინგტონში. ვმუშაობდი საერთაშორისო ტერორიზმზე, ძალადობრივ დანაშაულებზე, ნარკოტიკებსა და საზოგადოებრივ კორუფციაზე. სხვათა შორის, მამაჩემიც ეფ-ბი-აი-ს აგენტი იყო.

— **სად უფრო უსაფრთხოდ გრძნობთ თავს, საქართველოში თუ ამერიკაში?**

— ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი განწყობა გაქვს. ყველგან უსაფრთხოდ ვგრძნობ თავს. აქაური სამართალდამცველების იმედი მაქვს. ქართველები მეგობრული, გულღია და მზრუნველი ხალხი ხართ და შეუძლებელია, თავი დაუცველად იგრძნო. სანამ აქ ვიცხოვრებ, ქართველი ვიქნები.

— **ბატონო ბრაიან, ცნობილია, რომ აშშ-შიც და ევროპაშიც სამართალდამცავ სტრუქტურებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქალების სამსახურს. როგორ ფიქრობთ, სუსტი სქესი მართლაც ძლიერია დამნაშავეობასთან ბრძოლაში?**

— ჩემი აზრით, ქალი სამართალდამცავ ორგანოში უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ძალაა. მას შეუძლია გამოძიების ისეთი კუთხით წარმართვა, რომელიც მამაკაცს არ შეეფერება ან არ შეუძლია. ხშირად მიმუშავია ქალ კოლეგებთან ერთად და მიმაჩნია, რომ საქმეში მამაკაცებს არაფრით ჩამოუვარდებიან.

*ეკა ლომიძე*

# ᲥᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲑᲠᲫᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ

დღესდღეობით, რთული ეკოლოგიური მდგომარეობის, მუდმივი სტრესისა და დატვირთვის ეპოქაში, ჩვენს ორგანიზმს მხარდაჭერა ესაჭიროება. ამ ფაქტორების გამო, განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში ქალის ორგანიზმია. ორსულობისა და მეძუძურობის პერიოდში სერიოზული დატვირთვები, და ზოგადად, სამყაროსადმი ქალის ემოციური დამოკიდებულება გამოიხატება მენსტრუალური ციკლისა და ჰორმონალურ დარღვევებში, რომლებიც შემდგომში შესაძლოა გახდეს მასტოპათიის, ადრეული კლიმაქსის, უარეს შემთხვევაში კი, მკერდის ჯირკვლოვანი უჯრედების ავთვისებიანი გადაგვარების მიზეზი.

თანამედროვე ქალი, უმეტესწილად ფიქრობს კარიერაზე, წარმატებასა და ოჯახზე. ყველაზე ნაკლებად კი – საკუთარ ჯანმრთელობასა და მის შემანარჩუნებელ საშუალებებზე. ინფორმაცია – ქალის უმთავრესი იარაღია ყოველგვარი მოულოდნელობების წინააღმდეგ და ჩვენ, შევეცდებით ოპტიმალურად მოგაწოდოთ ეს ინფორმაცია.

დღეს, დაბინძურებული ეკოლოგიის, „ფასთ-ფუდის“ სტილის არაადეკვატური კვების, ხშირი ემოციური დატვირთვების ფონზე, ახალგაზრდა ქალის ორგანიზმში ვითარდება ჰორმონალური დისბალანსი, პრემენსტრუალური სინდრომის ტიპით. იგი ვლინდება მენსტრუაციამდე სარძევე ჯირკვლების მტკივნეული დაბერვით, შეშუპებით, თავის ტკივილით, გაღიზიანებადობით, ზოგჯერ აგრესიულობით. სიმპტომები არა მარტო ფიზიკურ დისკომფორტს იწვევენ, არამედ შეიძლება გახდეს მასტოპათიის მიზეზი, რომელსაც უფრო რთულ დაავადებებამდე მივყავართ (მათ შორის ონკოლოგიური), მეორად ამენორეამდე (მენსტრუაციის დაკარგვა), აგრეთვე უნაყოფობამდე.




პმს სინდრომის მიზეზებს ასევე ხშირად წარმოადგენენ უროგენიტალური ინფექციები, ანთებითი პროცესები, რომლებსაც საკვერცხეებში კვერცხუჯრედის მომწიფების დარღვევებსა და ჰორმონალურ დისბალანსამდე მივყავართ.

კომპანია **„ШИФ“**-ის მცენარეული ექსტრაქტების, ვიტამინების, მინერალებისა და მიკროელემენტების სპეციფიკური კომპოზიცია **„პმს-ფორმულა“**, უზრუნველყოფს პრემენსტრუალური სინდრომის პერიოდში ჰორმონალური პროცესების რეგულაციას. პრეპარატმა არაერთხელ გაიარა გამოკვლევა ამერიკისა და გერმანიის კლინიკებში. **„პმს-ფორმულა“** საშუალებას მოგცემთ ეფექტურად და უსაფრთხოდ მართოთ დისჰორმონალური პროცესი. ჰიპოფიზის დონეზე ხდება პროლაქტინის სინთეზის დათრგუნვა და პროგესტერონის სინთეზის მეორადი გაზრდა. პროგესტერონისა და პროლაქტინის ადეკვატური კონცენტრაცია, სწრაფად დაუბრუნებს ქალს ნორმალურ ფიზიოლოგიურ მდგომარეობას – აარიდებს ტკივილს სარძევე ჯირკვლებში, დაარეგულირებს მენსტრუალურ ციკლს, შეამცირებს ციკლთან დაკავშირებულ თავის ტკივილებსა და გაღიზიანებადობას.



ე.წ. „ბალზაკის ასაკის“ ქალებს, რომლებსაც აწუხებთ ალები, გახშირებული გულისცემა, ოფლიანობა, არასტაბილური არტერიული წნევა, არაერთხელ დაეხმარა პრეპარატი **„მენოპაუზ-ფორმულა“**.

აღსანიშნავია, რომ პრეპარატი არაჰორმონალურია და არ ახასიათებს სხვა საშუალებების მსგავსი გვერდითი მოვლენები. ესტროგენების მიმართ მგრძნობიარე ორგანიზმში ჰიპოფიზის, ჰიპოთალამუსისა და მიომეტრიუმის რეცეპტორებთან დაკავშირებით, იგი თითქოსდა კონკურენტულ ურთიერთობაშია ესტროგენებთან. ქალური სქესობრივი ჰორმონების ნიველირებით, **„მენოპაუზ-ფორმულა“** აღადგენს ენდოკრინული ჯირკვლების ჰარმონიას, რომლის ბალანსის დარღვევასაც ასაკი ცდილობს, აიძულებს მათ ისევე აწყობილად იმოქმედონ, როგორც ახალგაზრდულ წლებში.

სხვა, არანაკლებ აქტუალურ დაავადებას ქალისთვის წარმოადგენს სარძევე ჯირკვლის კისტოზური და ფიბროადენომატოზური დაზიანება. დოქტორმა ტომ სლაგამ – სარძევე ჯირკვლის ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხებში ერთ-ერთმა წამყვანმა სპეციალისტმა – კომპანია **„ШИФ“**-ის სამეცნიერო ლაბორატორიასთან ერთად შეიმუშავა ნატურალური პრეპარატი **„ბრესთ ჰელსი“**. ფორმულა უზრუნველყოფს სარძევე ჯირკვლის უჯრედების სტრუქტურის დაცვას არასასურველი სახეცვლილებებისაგან, მასში შემავალი აქტიური, ნატურალური კომპონენტებისა და მიკროელემენტების წყალობით.

ძვირფასო ქალბატონებო! გიყვარდეთ ქალი საკუთარ თავში და გაუფრთხილდით მის ჯანმრთელობას!

**ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲤᲐᲡᲓᲐᲙᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲤᲐᲡᲓᲐᲙᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲞᲝᲜᲔᲑᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ.**

**„ᲯᲔᲝᲕᲘᲢᲘ“ – ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ!**

ᲯᲔᲝᲕᲘᲢᲘ
GEOVIT

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲨᲘᲤ“-ᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲡᲢᲠᲘᲑᲣᲢᲝᲠᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲯᲔᲝᲕᲘᲢᲘ“
ᲛᲘᲡ: ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ 41 (ᲕᲐᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ),
☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲨᲐᲑᲐᲗ-ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ
www.schiffvitamins.com

# „ამბობთ, სააკაშვილი არ გვიყვარსო და მისი ინიციალები MC გულზე გაგიკრავთ“

## იქაური ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს ოსების მოწამვლას



თავის დროზე გამიკვირდა — დედისერთა და ნაფერები ჩემი მეგობარი გათხოვების შემდეგ ქალაქიდან სოფელში ისე „მყარად“ გადასახლდა, რომ აქეთ ორ წელიწადში ერთხელ თუ ჩამოვიდოდა. შენს მიწაზე ფეხის მოკიდებას რა ჯობს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩემი მეგობარი ე. წ. კონფლიქტის ზონაში, ცხინვალთან ახლოს, სოფელ კეხვში ცხოვრობს.

იქაურებს თავიანთი კუთხე ძალიან უყვართ. 14 წლის მანძილზე გაჭიანურებულმა კონფლიქტმა მათ სამშობლოს სიყვარული გაუასკეცა. გია იქაურობას არაფრით შეელევაო, — მეუბნებოდა ნინო, რომელსაც მეუღლეზე ნაკლებად როდი აწუხებდა იმ კუთხის ბედი...

რამდენიმე დღის წინ შვილებთან ერთად მესტუმრა, ბავშვები იქაურობას გამოვარიდე, გია დარჩა და მეც მალე უნდა გავბრუნდეო, მითხრა. ვიფიქრე, ღმერთმა კონფლიქტის ზონიდან ყველაზე ობიექტური და სანდო რესპონდენტი გამომიგზავნა-მეთქი და ვთხოვე, სახიფათო ზონაში თავისი ცხოვრებისა და ბოლოდროინდელი ვითარების შესახებ მოეთხრო.

**ნინო ბალარჯიშვილი:**

— 12 წელია, კეხვში ვცხოვრობ და ამ ხნის მანძილზე დაძაბულობა და კონფლიქტის საშიშროება ყოველთვის იყო. ქართველებიც და ოსებიც ვცდილობდით, დაპირისპირების მიზეზზე არ გველაპარაკა. რაგინდ დიდი მეგობარიც ყოფილიყო ოსი, ამ თემის წამოჭრისას უმალ იძაბებოდა. ერთი რამ კი დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, იქაურ ქართველებსა და ოსებს ერთმანეთი არ სძულთ. რა თქმა უნდა, არის ერთი-ორი გონებასუსტი პროვოკატორი, მაგრამ ვინც ოდნავ მაინც აზროვნებს, ოსობისა და ქართველობის გამო ერთმანეთს აუგს როგორ ეტყვიან.

რაგინდ უცნაურადაც უნდა გეჩვენოთ, ჩვენი „კეთილგანწყობის“ წყარო ერგნეთის ბაზრობა იყო. ბევრმა ამით გვარიანად მოითბო ხელი. ომის შემდეგ ხალხის უმეტესობა გაღატაკდა. პატიოსანი ხალხი, ვისაც არც ომი უნდოდა და არც სხვის სახლში შეჭრილა გასაძარცვად, ერგნეთის ბაზრობით შოულობდა პურის ფულს. ბაზრობის დახურვამ ასეთები ულუკმაპუროდ დატოვა და გააღიზიანა. გასაგებია ხელისუფლების პოზიცია, ისიც მართალია, რომ ითქვა, — ამ ბაზრობით კრიმინალური ელემენტები მდიდრდებოდნენო, მაგრამ რა ქნას ხალხმა, რომელიც აქამდე ბაზრობით ირჩენდა თავს? ჰოდა, ხალხის უკმაყოფილებით ისარგებლა ცხინვალის ხელისუფლებამ (რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა ბაზრობის დახურვით) და კონფლიქტი გაამწვავა. ამასთან, ცხინვალის ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემებში განუწყვეტლივ მიდიოდა პროპაგანდა — ბაზრობა ხალხისთვის დაიკეტა, თორემ ქართველ მაღალჩინოსნებს, მიშა ქარელისა და ანზორ ბურჯანაძის სახელით ისევ გააქვთ კონტრაბანდაო. იქაურები მთის ხალხია, რასაც ეტყვი, სჯერათ და ასეთი ინფორმაცია, ბუნებრივია, აღიზიანებთ. სამაჩაბლოს ქართველობა აქამდე არავის გახსენებია, ყველასგან მიტოვებულები და, ფაქტობრივად, განწირულები ვიყავით. თავგანწირვას არავინ გვიფასებდა, გასამხნევებლადაც არ მოუწვდენიათ სიტყვა, — ყოჩაღ, მანდ რომ დარჩით და ჩვენი მიწა უცხოს არ დაუტოვეთო. სხვათა შორის, იქაურები ზომაზე მეტადაც არიან პატრიოტები. მშობლიური მიწიდან ხომ არ იცვლიან ფეხს, იმასაც ცდილობენ, ოსებს ქართველები შევაყვაროთო. ჩვენს ოჯახში ხშირად სტუმრობენ ოსები. ჩვენ რომ რუსულად ველაპარაკებით, თავად პატივისცემის ნიშნად დამტვრეული ქართულით გვპასუხობენ. გაგანია ომის დროსაც არაერთხელ წასულა ჩემი მეუღლე მათთან ერთად სათევზაოდ. მეშინოდა და ვეუბნებოდი, როგორ ენდობი-მეთქი. ამდენი წელია, ერთად ვართ და როგორ გამიმეტებენო, — მიპასუხებდა.

**— მაშ, ვინ ესვრის ქართულ სოფლებს, ვინ გვიმეტებს?**

— ცხინვალის ტელევიზია ძალიან აქტიურად მუშაობს. ისეთ აგრესიასა და დეზინფორმაციას აფრქვევენ, თმა ყალყზე დაგიდგება. მე, ქართველი, რომ ვუსმენ ამ ამბებს, სისხლი მიდუღდება — ეს როგორ ჩაიდინეს ჩვენებმა-მეთქი. მერე გადავამოწმებ მოსმენილს და სიცრუე აღმოჩნდება. იქაური ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს ოსების მოწამვლას. მისი მეთოდები განსაკუთრებით იმ ოსებზე ჭრის, რომელთაც ქართველებთან ნაკლებად აქვთ ურთიერთობა. ვისაც ქართველი მეგობარი ან ნათესავი არ ჰყავს და ასეთი ინფორმაციით „გაიჟღინთება“, ჩათვალეთ, რომ ჩვენი დაუძინებელი მტერი ხდება. აი, ასეთი ხალხი მოჰკიდებს იარაღს ხელს და გესვრის კიდეც. ას მოწამლულ ოსს აფხაზები და კაზაკებიც ემატებიან და ამის შედეგია ის სიტუაცია, რომელმაც მაიძულა, შვილები სამშვიდობოს გამომეყვანა. წელს უკვე მესამედ გამოვარიდე იქაურობას ბავშვები.

ხშირად გამიგია, ცხინვალელმა ოსებმა რუსეთის მოქალაქეობა მიიღესო. სხვათა შორის, ბევრმა ჩვენიანმაც იგივე გააკეთა და ამაზე არავინ ლაპარაკობს. როდესაც ძველ ხელისუფლებას ბალიშზე ედო თავი და თვლემდა, მტერს არ ეძინა და კარგადაც იმუშავა ცხინვალის რეგიონში. მარტოხელებსა და გაჭირვებულებს ზამთრის სამყოფ შეშას და ტანსაცმელს ურიგებდნენ, დღეში ერთ ცალ პურს, კვების პროდუქტებს და 2000 რუბლ პენსიასაც აძლევდნენ. ასეთ დახმარებას ბევრი დახარბდა და, ბუნებრივია, ცხინვალში რუსეთის მოქალაქეობის მსურველთა რიგები დადგა — ბევრმა ოსმა და ქართველმაც 17-ლარიან პენსიას 2000 რუბლი არჩია.

აქამდე ცხინვალის რეგიონი ჰაერში გამოკიდებულივით იყო — არც საქართველო იყო, არც ოსეთი და არც რუსეთი. რეგიონში უამრავი იარაღია. სამი კაცი რომ დაინახო ერთად, დარწმუნებული უნდა იყოთ, იარაღზე ლაპარაკობენ. სხვა თემა იქ არ არსებობს, ბავშვებმაც ყველანაირი იარაღის სახელწოდება იციან. რაკი იარაღზე ყველას მიუწვდება ხელი, ხომ შეიძლება ვიღაც ტვინგადაბრუნებულმა ან რაღაცაზე გაბრაზებულმა გაისროლოს კიდეც? ავტომატის ხმას კი მივეჩვიეთ, მაგრამ 29 ივლისს სროლას დაბომბვაც მოჰყვა, თამარაშენს დაუშინეს. დავიზაფრეთ ყველანი. მერე და მერე კი უფრო გახშირდა სროლა, სხვა სოფლებსაც გადასწვდნენ. გაოცებული ვკითხულობდით, — ომი არც ჩვენ გვინდა და არც ოსებს, ვინ ისვრისო და პასუხი დღემდე ვერ მიგვიღია. ხეირიანად არც ვიცით, ვინ ურევს იქ ვითარებას. ფაქტი ერთია, არეულობა ცხინვალის რეგიონში ისეთი ჭკვიანი და მზაკვარი ვინმეს მოფიქრებულია, რომელიც მარტო დღეის საზომით კი არ ზომავს, 3-4 წლის იქითაც იხედება. ეს რანაირი ომია, ღამით ქვეყანა ინგრევა, გათენდება და სიმშვიდეა. ჩემი მეზობლები ვითომ არაფერიაო, დაიტვირთებიან და ცხინვალის ბაზარში მიდიან სავაჭროდ. ერთხანს ამ ომს სერიოზულადაც არ აღვიქვამდი, მაგრამ იმ დედისთვის, ვისაც შვილი მოუკლეს, ქვეყნის დასასრულია.

13 აგვისტოს, გამთენიისას, კეხვსაც დაუშინეს. სახლები ზანზარებდა, ჭურვების ზუზუნი ისმოდა. ამას არ ველოდით, გვეგონა, დაგვინდობდნენ. მანამდე ზოგი ბოროტად გაიხუმრებდა, — ალბათ, ბოლო ლუკმად კეხველები ვყავართ შემონახულიო და მართლაც მოგვადგნენ ერთ ღამეს. შეშინებულები წამოვცვივდით. მე ბავშვების დაწყნარებას ვცდილობდი, ჩემმა მეუღლემ კი იარაღს წამოავლო ხელი და იქითკენ გავარდა, სადაც სოფლის დასაცავად თავს იყრიდნენ კაცები. ბავშვებთან ერთად შედარებით უხიფათო კუთხეში მივიკუნჭე, ვეუბნებოდი, — არ შეგეშინდეთ, ლოცვას რომ დავასრულებ, სროლაც შეწყდება-მეთქი. ჭურვის აფეთქება სახლს რომ შეაზანზარებდა, უნებლიეთ ლოცვას ვწყვეტდი, ჩემი 10 წლის გიორგი მეხვეწებოდა, — დედა, ლოცვა არ შეწყვიტო, ილოცე, რომ სროლა შეწყდესო. სახლი არ დაზიანებულა, მაგრამ ისე შემოგვიტიეს, ვიფიქრე, ბავშვები შიშისგან დამეხოცებიან-მეთქი და მეზობლის სარდაფს მივაშურე. ჩვენ გარდა, იქ არაერთ თანასოფლელს შეეფარებინა თავი. მხოლოდ დიდი სამამულო ომის ამსახველ ფილმებში მინახავს ასეთი სიტუაცია — ბნელ, ნესტიან სარდაფში ველოდით სროლის დასრულებას. ზოგს 1 თვის ბავშვი ჰყავდა გულზე მიკრული, ხალხი სულ უფრო და უფრო გვემატებოდა. ჭურვის ყოველ ჩამოვარდნაზე ერთმანეთს თვალებით ვეკითხებოდით — ნეტა, ახლა სად ჩამოვარდა-თქო. შუადღის 12 საათისთვის იკლო სროლამ და ვიღაცამ თქვა — ბავშვები აქაურობას გავარიდოთო. 15 წუთში გავამზადეთ და შემოვლითი გზით, ტყით გამოვედით სამშვიდობოს.

## სამამულო ომის ამსახველ ფილმებში მინახავს ასეთი სიტუაცია

**— ახლა, სამშვიდობოს რომ ვარ, მოღალატე მგონია თავი. ერთი სული მაქვს, როდის დავბრუნდები სოფელში. ნურავის ეგონება, რომ ვინმე იქიდან ფეხს მოიცვლის; სად უნდა წავიდეთ, ჩვენი მიწა ვის უნდა დავუთმოთო, — უკვირთ იქაურებს. ერთი დაგანახვათ, 13-14 წლის ბიჭები როგორ უვლიან სოფელს გარშემო, მომხვდური არ წამოგვეპაროსო.**

ახლა, სამშვიდობოს რომ ვარ, მოღალატე მგონია თავი. ერთი სული მაქვს, როდის დავბრუნდები სოფელში. ნურავის ეგონება, რომ ვინმე იქიდან ფეხს მოიცვლის; სად უნდა წავიდეთ, ჩვენი მიწა ვის უნდა დავუთმოთო, — უკვირთ იქაურებს. ერთი დაგანახვათ, 13-14 წლის ბიჭები როგორ უვლიან სოფელს გარშემო, მომხვდური არ წამოგვეპაროსო.

მჯერა, რომ ქართველები და ოსები ძველებურად ტკბილ მეზობლებად ვიცხოვრებთ. ერთი მუჭა გაავებული ხალხის ბოროტ ზრახვებს როგორ უნდა გადავაყოლოთ ყველაფერი ის, რაც აქამდე გვაკავშირებდა?! ცხინვალის ხელისუფლება განგებ ავრცელებს ხმას — სააკაშვილი არ დაგინდობთო, შავ დღეში ჩაცვივდებითო. მე კი მგონია, თუ საქართველო დადგება ფეხზე, ოსებიც აღარ გაიხედავენ რუსეთისკენ. ვიცი, მათ სიდუხჭირე აფრთხობთ. დაზაფრულები არიან ათასგვარი პროვოკატორის ლაპარაკით, ჩვენი პრეზიდენტისაც ისე ეშინიათ, ზოგჯერ კომიკურ სიტუაციაში ვარდებიან. ოს მშვიდობისმყოფელებს გახუმრებიან ჩვენი თანასოფლელები, ამბობთ, სააკაშვილი არ გვიყვარს და მისი ინიციალები MC გულზე კი გაქვთ დაკრულიო. გამწარებულან ოსები და მოუგლეჯიათ მშვიდობისმყოფელის ნიშანი. ასეთი გულუბრყვილო ხალხი გულღრძო და ბოროტი როგორ იქნება? უბრალოდ, რასაც ჩასჩიჩინებენ, სჯერათ და ნუ შევატოვებთ ჩვენს მტერს. ჩვენც ველაპარაკოთ, მოვეფეროთ, სითბო ვაგრძნობინოთ და მჯერა, ჩვენკენ მოტრიალდებიან.

***მარი ზანდუკელი***




## რას გვეტყვი, მამაო?

**— ვცხოვრობ სოფელში, სადაც, როგორც ჩანს, მიწამ დაფარა უძველესი სასაფლაო, — ყანების დამუშავებისას ადამიანთა ძვლები ამოდის. რა ვუყოთ მათ?**

— ძვლებს, რომლებიც ჩვენს წინაპრებს ეკუთვნოდა, კრძალვით უნდა მოვეპყრათ. ისე, როგორც სიცოცხლეში, სიკვდილის შემდეგაც ადამიანის სხეულს პატივი უნდა ვცეთ — ის ხომ ღვთის სახედ და ხატად არის შექმნილი. ამიტომაც შეაგროვეთ ძვლები. ერთ ადგილას დაკრძალეთ და სთხოვეთ სოფლის მოძღვარს, პანაშვიდი გადაიხადოს ამ მიცვალებულთა სულის საოხად.

**— მინდა შევიძინო სახლი. უკვე შევარჩიე, მაგრამ მითხრეს, ნუ იყიდი, მაგ სახლში ცოდვა დატრიალდა და ვერ გაიხარებო. როგორ მოვიქცე?**

— სახლზე მართლაც შეიძლება აისახებოდეს ბინადართა ცოდვების მემკვიდრეობა და სასჯელი, რომელიც მათზე ამ არაქრისტიანული ცხოვრების გამო მოვიდა... მაგრამ ადამიანი, რომელიც სავსეა უფლის სიყვარულით და რწმენით, ამან არ უნდა შეაშინოს. ვისაც რწმენა აქვს, ცოდვილთა მემკვიდრეობა არ შეეხება, თუ რასაკვირველია, თვითონაც იგივე არ გაიმეორა. ამიტომაც თუ სურვილი გაქვთ, შეიძინეთ შერჩეული სახლი, აკურთხებინეთ მოძღვარს და იქ სათნოებითა და უფლის სიყვარულით იცხოვრეთ. მაშინ უფალი ყოველთვის თქვენი მფარველი იქნება.

**— მქვია დავითი. ამ სახელის მატარებელი წმინდანებიდან მხოლოდ დავით გარეჯელი, ისრაელის მეფე-მეფსალმუნე დავითი და დავით აღმაშენებელი გამიგია. მინდა, ვიცოდე არსებობენ თუ არა ამ სახელის სხვა წმინდანები, რათა მათი ხატებიც შევიძინო და ვილოცო.**

— გარდა იმ წმინდანებისა, რომელთა შესახებ თქვენც იცით, წმინდა დავითის სახელის მატარებელი რამდენიმე წმინდანი არსებობს. მათ შორის, არგვეთის მთავარი მხეიძე (მოწამე, მოიხსენიება 15 ოქტომბერს), ერმოპოლიელი (ავაზაკყოფილი, 19 სექტემბერი), თესალონიკელი (განდეგილი, 9 ივლისი), პალესტინელი (მოწამე, 25 აპრილი), ქართველი (მოწამე, 31 მაისი), ქართველი (ღირსი მამა, 18 ოქტომბერი), ასევე დავით გარეჯელის სახელით წმინდანად შერაცხულია კიდევ ერთი ღირსი მამა დავითი, რომელიც XV საუკუნის დასასრულს გარეჯში მოღვაწეობდა (14 ივნისი).

**— ჩემს მეზობლად მდიდარი ცხოვრობს, რომელიც გაჭირვებულს ზედაც არ უყურებს, ერთ თეთრსაც არ აძლევს. ჩემი აზრით, ის უფრო უნდა დაისაჯოს, ვიდრე ცოდვილი ღარიბი.. ასე არ არის?**

ადამიანი, რომელსაც ღმერთმა გამოსაცდელად დიდი წყალობა მიანიჭა და ამ წყალობის მადლიერიც კი არ არის, სულ უფრო და უფრო იღუპება სულიერად. იგი უნდა გებრალებოდეთ და არ უნდა განიკითხავდეთ — სული თუ დაიღუპება, აღარაფერი ეშველება... არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუ მდიდრის გულგრილობას ხედავს უფალი, იმასაც ამჩნევს, თუ როგორი შური აღეძვრება უქონელს მდიდრის მიმართ. სხვისი საქციელის განკითხვას გვიჯობს, ჩვენს სულში ჩავიხედოთ და ჩვენი სულის გადარჩენისთვის ვიბრძოლოთ, გვიყვარდეს მოყვასი და ლოცვა აღვავლინოთ, რომ მას გული მოულბეს და გაჭირვებული შეეცოდოს.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

# რატომ ეძახიან ზვიადაურს კომბლეს?

## ქართული საჭიდაო მუსიკის გაგონებაზე სასწაული მემართება

არც პატრიოტიზმის გრძნობა მაკლია და არც ჰიმნის და დროშის ფასი მეშლება, მაგრამ მათი მნიშვნელობა სრულად 18 და 21 აგვისტოს გავაცნობიერე, — ათენში, ოლიმპიურ ჩემპიონატზე, კვარცხლბეკზე შემდგარი გამარჯვებული ზურაბ ზვიადაურისა და გიორგი ასანიძის ზურგს უკან, დარბაზში „ამოვარდნილმა“ ქართული დროშების ქარმა სუნთქვა შემიკრა, ჰიმნის აგუგუნებაზე კი ძარღვებში სისხლი ამითრთოლდა. სიხარულის ცრემლს ვეღარ გავუმკლავდი. ჩვენი ვაჟკაცების გამარჯვებამ იმ დროს, როცა სამაჩაბლოში ქართველების სისხლი იღვრება, ტკივილი ოდნავ შემიმსუბუქა. თურმე კვარცხლბეკზე დგომისას ზურაბ ზვიადაურიც ამაზე ფიქრობდა. „როგორ დინჯად აღნიშნე გამარჯვება, თითქოს სიხარული არც კი გემჩნეოდაო, — უკვირდა ყველას, მე კი ყელში მოწოლილ ბოღმას ვებრძოდი. ეს არ არის ჩემი გამარჯვება, ეს იმ ბიჭების გამარჯვებაა, ვინც ჩემს სახლს, ჩემს ოჯახს, ჩემს მიწას იცავს“, — მითხრა ზურაბმა ათენიდან სატელეფონო საუბრისას.



ეგრე, კახურად დაწერეთ: ზვიადაური უკვე დაკავებულია-თქო!..

— **ზურა, ოლიმპიური მწვერვალის დაპყრობამდე საკმაოდ რთული ეტაპი გაიარე. სახუმარო მეტოქეები ნამდვილად არ გყავდა, მაგრამ განსაკუთრებით ალბათ ფრანგმა გალფრეგინა ოფლი.**

— დიახ, მსოფლიო ჩემპიონია და მასთან ბრძოლა საკმაოდ გამიჭირდა. ძალიან დავიღალე. ეს იმიტომ, რომ სანამ ფრანგს შევეჭიდებოდი, ორი შეხვედრა მქონდა ზედიზედ, დასვენება და ხელებზე მასაჟის გაკეთებაც ვერ მოვასწარი. დამატებითი დრო რომ დაგვინიშნეს, ცრემლი მომადგა. ვფიქრობდი, ნუთუ უნდა წავაგო ეს შეხვედრა, ღმერთო, ხომ იცი, ჯაბანი არ ვარ, გამარჯვებაში დამეხმარე-მეთქი. არ გამწირა მადლიანმა! ფრანგთან ბრძოლის დროს არანაირი ფანდისთვის არ მიმიმართავს, რომ ძალის მოსაკრებად შემესვენა. რომ არა ღვთის წყალობა, დამატებითი წუთნახევრიანი ბრძოლა ალბათ ძალიან გამიჭირდებოდა.

ფრანგთან ჭიდაობის დროს ფეხი ვიტკინე, მძიმე დღეში ჩავვარდი. ჩვენი ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი გამუდმებით მიყინავდა ფეხს, რომ ინგლისელთან ბრძოლის დროს თავი მხნედ მეგრძნო. არაფერი გამოდიოდა — ტკივილი აუტანელი ხდებოდა. მე კი ბატონ ზურაბს ჯიუტად არ ვაკეთებინებდი გამაყუჩებელს. მიუხედავად ამისა, ინგლისელიც დავამარცხე და ფინალში დარწმუნებული ვიყავი, რომ იაპონელს ის დღე „ავად მოსაგონრად“ დარჩებოდა.

ოლიმპიურ ჩემპიონობაზე კი ვოცნებობდი, მაგრამ ასპარეზობის დაწყებისას ჯერ იმაზე ვფიქრობდი, რომ თითოეული შეხვედრა მომეგო. იცით, როცა ჩემპიონობაზე ფიქრობ, ფიქრს შორს მიჰყავხარ და ძალისხმევა სუსტდება. ეს კი გამარჯვებისთვის სახიფათოა.

— **თითოეულ შეხვედრაზე აშკარად მობილიზებული იყავი, რასაც ვერ ვიტყვით შენი ადრინდელი ასპარეზობების შესახებ.**

— ჭიდაობაში რაც მეტ გამოცდილებას იძენ, მით უფრო ღვინდები, ფსიქიკაც უფრო მდგრადი ხდება. ფსიქოლოგიური არამდგრადობის გამო ორი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი წავაგე — ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ „დავდინჯებულიყავი“.

— **ვის უძღვნი გამარჯვებას?**



გარჯილხარ და მთელი ერი შენთან აიგივებს საკუთარ ღირსებას, ბედნიერებაა. თითქოს გული ამიჩვილდა, როცა თბილისიდან დამირეკეს და მითხრეს, მთელი საქართველო ამაყობს შენით და ზეიმობსო.

— **ამჯერად რომელი მწვერვალის დაპყრობა გაქვს განზრახული?**

— მინდა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონიც გავხდე. მომავალი წლისთვის მოვემზადები, სულს და გულს ჩავდებ ვარჯიშში და ვეცდები, ჩემი ხალხი კიდევ გავახარო.

— **როცა ჭიდაობდი, ნაკრების მწვრთნელი, შოთა ხაბარელი თითქოს შენთან იყო ტატამზე. როგორ გარიგებდა, როცა ძლიერ გაგიჭირდა?**

— მწვრთნელი ყოველთვის გამხნევებს და თან გიყიჟინებს — თავი შეაკალი, არ დათმო, სირცხვილი არ ჭამოო. მე რომ ტატამზე ვიყავი, ხაბარელი ტატამს გარეთ „ეჭიდავებოდა“ ჩემს მეტოქეებს.

— **ოლიმპიურ თამაშებზე ამბობენ, რომ ყველა სხვა ასპარეზობისგან განსხვავდება. რა იგულისხმება ამაში?**

— იოლი ასახსნელი არ არის — სხვანაირი შეგრძნება ეუფლება სპორტსმენს. იმის გამო, რომ სპორტის ყველა სახეობის წარმომადგენელი მონაწილეობს, ასპარეზობა ომს ემსგავსება. გამარჯვება საბრძოლო პოზიციების აღებას ჰგავს, წაგება კი სახელმწიფო ტერიტორიების დაკარგვას. მგონი, ამიტომაც არის ოლიმპიური ჩემპიონობა ყველაზე დიდი ტიტული.

— **მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი კაცი ხარ და როგორ ფიქრობ, მართალია,**

ღმერთო, ხომ იცი, ჯაბანი არ ვარ, გამარჯვებაში დამეხმარე-მეთქი. არ გამწირა მადლიანმა! ფრანგთან ბრძოლის დროს არანაირი ფანდისთვის არ მიმიმართავს, რომ ძალის მოსაკრებად შემესვენა. რომ არა ღვთის წყალობა, დამატებითი წუთნახევრიანი ბრძოლა ალბათ ძალიან გამიჭირდებოდა.

— მთელ საქართველოს. როცა ჩემპიონი გავხდი, საქართველოს პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა და პარლამენტის თავმჯდომარემ მომილოცეს გამარჯვება. ძალიან ბედნიერი ვიყავი. იმიტომ კი არა, რომ პირველმა პირებმა დამირეკეს, იმიტომ, რომ მათთვის ჩვენი სპორტსმენების გამარჯვება უბრალო სპორტული გამარჯვება არ არის. როცა იგრძნობ, რომ მხოლოდ საკუთარი პრესტიჟისთვის არ

**რომ ამბობენ, ხერხი სჯობია ღონესაო?**

— რა თქმა უნდა, ჭიდაობაში მხოლოდ ძალით ვერაფერს გახდები. თუ ტვინი არ ამუშავე, წინ ვერ წახვალ, ამიტომ ხერხი მართლაც სჯობია ღონესა. ეგ ხერხები რომ არა, ფრანგს თუ დავახრჩობდი, თორემ სხვა ველარაფერი მიშველიდა.

*(გაგრძელება იხ. გვ. 34)*

# საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი

ვაგრძელებთ წინა ნომერში დაწყებულ თემას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის შესახებ, სადაც მოგითხრობდით პროექტის კონცეფციასა და საკონკურსო გრანტების სისტემის შესახებ, რომელიც ემსახურება კერძო ფერმერული მეურნეობების წარმადობის გაუმჯობესებას, რენტაბელობისა და გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფას. პროექტის სრულყოფილად გაშუქებისათვის გადავწყვიტეთ, დაინტერესებული მკითხველისათვის ნათლად გაგვეცნო პროექტის მიმდინარეობის შედეგები. სწორედ ამიტომ, ვეწვიეთ ხელვაჩაურის სოფ. ერგეში გამარჯვებული ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელს, ბატონ თენგიზ მითაიშვილის, რომელიც მერძეული მესაქონლეობის პროდუქტიულობის ამაღლებითაა დაკავებული:

— ***ბატონო თენგიზ, როგორ გაიმარჯვეთ პროექტში და როგორ დაიწყეთ თქვენი საქმიანობა?***

— 1995 წელს მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ, შეგვექმნა სოფლის მეურნეობის კოოპერატივი. ავიღეთ მიწა, შევიძინეთ საქონელი, მაგრამ სასურველ შედეგებს ვერ მივაღწიეთ, რადგან ჩვენი ჯიშის საქონელი დაბალპროდუქტიულია. რა არ ვიღონეთ მაღალპროდუქტიული საქონლის ჯიშის გამოსაყვანად, მაგრამ ჩვენი შრომა ამაო იყო. ამ პერიოდს დაემთხვა მსოფლიო ბანკის მიერ გამოცხადებული კონკურსი, რომლის შესახებაც ჩვენ გაზეთით გავიგეთ და აქედან დაიწყო ჩვენი საქმიანობაც. გამოცდილება უკვე საკმაო გაგვაჩნდა, დავწერეთ ჩვენი პროექტი და გავიმარჯვეთ ყველა ტურში. ჩვენი პროექტი ითვალისწინებდა გურიისა და აჭარის რეგიონების ბარის რაიონებში ველის წითელი ჯიშის საქონლის გავრცელებასა და პროპაგანდას. ველის წითელი ჯიში მაღალპროდუქტიულია, რადგან კვების და მატერიალური დანახარჯების ერთნაირ პირობებში თუ ჩვენი ჯიშის ძროხა 3-დან 5 ლიტრამდე იწველის, ველის წითელი ჯიშის ძროხა 25-დან 30 ლიტრამდე იწველის. ჩვენ თავიდან შემოვიყვანეთ ათი სული ძროხა წმინდა პროპაგანდის გზით და ამან შედეგიც გამოიღო, რადგან მოსახლეობაში ინტერესი გაჩნდა საქონლის ამ ჯიშით. ჩვენ უშუალოდ ვართ დაინტერესებული ამ ჯიშის საქონლის გავრცელებით მოსახლეობაში. სწორედ ამ მიზნით ჩვენ ფურ-ხბოებს ვჩუქნით მოწინავე გლეხებს, რათა საქონლის ეს ჯიში ფართოდ გავრცელდეს საქართველოში.

— ***მიღებული გრანტების დახმარებით რა სიახლეები დაინერგა თქვენს ფერმერულ მეურნეობაში?***

— სიახლეებისა და ტექნოლოგიების დანერგვის თვალსაზრისით ჩვენთან ბევრი რამ გაკეთდა. ჩვენ აქცენტი ძირითადად საქონლის კვებაზე გვაქვს აღებული. ჩვენ ვყიდულობთ სოიას, ხორბალს (სიმინდი ჩვენი გვაქვს) და თვითონ ვამზადებთ საქონლისათვის კომბინირებულ საკვებს, რაც იაფიც ჯდება და ხარისხიანიცაა. ჩვენ კვების ტექნოლოგიის სრულყოფით მაქსიმალურ პროდუქტიულობას: 25-35 ლიტრს მივაღწიეთ. აგრეთვე, ჩვენ ფერმისათვის შევიძინეთ საჭირო ინვენტარი და თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც საჭიროა ფერმის გამართულად მუშაობისათვის. ჩვენს ფერმაში ყველაფერი მექანიზებულია, გარდა ნაკელის გატანისა. ჩვენ ჩვენს პროდუქციას ვასაღებთ ყველის სახით, ხოლო მომავალში დაგეგმილი გვაქვს რძის გადამამუშავებელი მრეწველობის შექმნა, რითაც გლეხებსაც ვასარგებლებთ და ჩვენც ვისარგებლებთ.

— ***ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან ერთად თუ უწევთ დახმარებას თქვენი გამოცდილებით სხვა ფერმერებს?***

— რა თქმა უნდა! ჩვენ სწავლება-დემონსტრირება ჩავატარეთ სოფ. ერგესა და სოფ. სუფსაში. მოწვეული გვყავდა კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც კითხულობდნენ ლექციებს ფერმერებისათვის. ჩვენ აგრეთვე გამოვუშვით სხვადასხვა სახის ბროშურები და მეთოდური მითითებანი, რაც ვფიქრობ დიდ დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ პირებს.

— ***ბატონო თენგიზ, როგორ შეაფასებდით პროექტის მნიშვნელობას, რამდენად კმაყოფილი ხართ მიღწეული შედეგებით?***

— ჩვენ რომ ეს პროექტი არ დაგვხმარებოდა, ფაქტობრივად, ვერაფერს მივაღწევდით. ჩვენ ამ პროექტმა საშუალება მოგვცა, რეალურად მოგვეშენებინა სუფთა ჯიშის მაღალპროდუქტიული საქონელი. მსოფლიო ბანკის პროექტი მართლაც დიდი დახმარება და საჩუქარია ყველა ფერმერისა და გლეხისათვის, რისთვისაც ძალიან მადლობელი ვარ.

***თემურ კაციაშვილი*** Ⓡ


**თბილისის ეკონომიკის, სამართლისა და ინფორმაციის საერთაშორისო უნივერსიტეტი — *თესისუ***

**მის: ფალიაშვილის 42 ☎ 25 15 61; 32 55 86; 8(99) 19 05 26**

**სტუ I კორპ.**

**თესისუ**

**პირველ კურსზე სწავლა უფასოა**

**კარგი ამბები მაგთიკომისგან!**

მაგთი MAGTI GSM

**ძვირფასო აბონენტებო!**

**ჩვენს მომსახურებაში სიახლეა:**

**ამიერიდან**

ამოწურული ავანსის პირობებში კომპანია

**20 დღით შეგინარჩუნებთ შემომავალ ზარებს,**

ნაცვლად 5-სა. ეს კი იმას ნიშნავს,

რომ თუ ვერ მოახერხებთ ანგარიშის შევსებას,

**20 დღის განმავლობაში სხვები მაინც შეძლებენ თქვენთან დარეკვას.**

ანგარიშზე თანხის ამოწურვის ვადის გასვლის შემდეგ

**აღარ მოხდება დარჩენილი თანხის ანულირება:**

როდესაც გაააქტიურებთ ახალ მონო-ბარათს, ანგარიშზე დარჩენილ თანხას დაემატება მონო-ბარათის შესაბამისი თანხა.

მაგთი GSM – მუდმივი კავშირის სამყარო!

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით

| | | | |
|---|---|---|---|
| ქალაქის უფასო ნომრებზე: | | 25 00 00, | 25 11 11 |
| უფასო მობილურ ნომრებზე: | 525, | 25 00 00, | 25 11 11 |

# დასავლეთმა მხარი უნდა დაუჭიროს სააკაშვილს

თუკი ე.წ. შავი ზღვის რეგიონის გაყინული კონფლიქტები ოდესმე „გალღვა“, მაშინ ვინმეს იქვე „დიდი ჭურჭლით“ ხელში დგომა მოუწევს.

ეს შეიძლება უცნაურად ეღერდეს მათთვის, ვისაც განსაკუთრებული ინტერესი არ გააჩნია იმ პატარა, გალატაკებული ქვეყნების მიმართ, სადაც ადგილობრივი შუღლი ხან თავს წამოყოფს, ხან კი ჩაცხრება. თუმცა ამას ვერ ვიტყვით დნესტრისპირეთზე, აფხაზეთზე, სამხრეთ ოსეთსა და მთიან ყარაბაღზე — გაუთავებელი ომების გამო პოსტსაბჭოთა ქვეყნების ამ რეგიონების პოტენციალი არასრულად არის გამოყენებული. იმის ნაცვლად, რომ თავისუფლება შეირგონ, ისინი მსოფლიოს გაბოროტებულ და ძნელად სამართავ წერტილებად მოევლინნენ. თუ სამხრეთ ოსეთში ბრძოლა ისევ დაიწყება, მაშინ ვითარება უფრო გართულდება.


თბილისი და ცხინვალი ნაღმტყორცნის ენით ალაპარაკდნენ

რუსეთის შეიარაღებული ძალების მხარდაჭერით თვითმარქვია მმართველი ყველა კონფლიქტში ფიგურირებს. ეს კონფლიქტური ზონები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან, მაგრამ საერთო მაინც აქვთ. ათი წლის იზოლაციამ აუღიარებელი სახელმწიფოების ეკონომიკა კრიმინალური გახადა.

კონფლიქტურ ზონებს შორის სამხრეთ ოსეთი ყველაზე მცირე, მაგრამ ცხელი წერტილია. იგი ჩაკეტილი პროვინციაა, რომელსაც დამოუკიდებლად არსებობის არავითარი შანსი არ გააჩნია. სამხრეთ ოსეთი საქართველო-რუსეთს შორის კონტრაბანდის — ძირითადად სპირტისა და იარაღის გადატანის გზაა და რუსეთი ამიტომაც მფარველობს.

ყარაბაღი, შესაძლოა, ხელმეორედ დადგეს ფართომასშტაბიანი ომის წინაშე, მისგან განსხვავებით — სამხრეთ ოსეთი პატარა, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბრძოლის ველია...

აფხაზეთსა და დნესტრისპირეთს შეუძლიათ თუ დამოუკიდებლობა არა, განსაკუთრებული პოლიტიკური სტატუსი მოითხოვონ ამ ისტორიულ მიწებზე. ორივე რეჟიმი აკონტროლებს თავის ტერიტორიასა და გაპარტახებულ ეკონომიკას. თუმცა ორივე ნებაყოფლობით არჩევს რუსეთის მძევლობას, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მათ უზრუნველყოფს სამხედრო შეიარაღებითა და დიპლომატიური მხარდაჭერით.

## რუსეთის ღირსების საკითხი

მას შემდეგ, რაც რუსეთმა დამამცირებელი უარი მიიღო მსოფლიო ბატონობაზე, ყველა ღონეს ხმარობს დაკარგული პატივისცემისა და ავტორიტეტის დასაბრუნებლად. ეს გამართლებული და ღირსეული მიზანია. თუმცა მის მისაღწევად რუსეთმა სხვა ქვეყნების პატივისცემაც უნდა ისწავლოს, იმ რეგიონების ჩათვლით, რომლებსაც ერთ დროს მოსკოვი მართავდა. მეტ წარმატებას მიაღწევს, თუ გარშემო ეყოლება წელმაგარი, მეგობრულად განწყობილი და არა სუსტი და სასოწარკვეთილი ქვეყნები. რუსეთი ამას ხვდება, თუმცა ხშირად ამას ვერ ამჟღავნებს.

საქართველოს რეგიონებიდან — ოსეთიდან და აფხაზეთიდან — სეპარატისტებისთვის უპირობო დახმარების შეთავაზებით რუსეთი ლახავს საკუთარ ღირსებას და დესტაბილიზაცია შეაქვს მეზობელ ქვეყნებში. ოსეთი საქართველოს 12 წლის წინ გამოეყო და ამიტომ გადაიქცა სამოთხედ კონტრაბანდისტებისათვის. რუსი ჯარისკაცები მხარს უჭერენ ამგვარ რეჟიმს, რომელიც ავრცელებს სპირტსა და იარაღს. სწორედ უკანონო ვაჭრობის ალკვეთის მცდელობამ გამოიწვია ის, რომ საქართველოში საკმაოდ აგრესიული ზაფხული დგას. ბრძოლის გაძლიერება და რუსეთის ინტერვენცია დიდ საშიშროებას წარმოადგენს.

კრიზისი დელიკატურ გადაჭრას საჭიროებს, თუმცა ძირითადი საკითხები მარტივია. სამხრეთ ოსეთი არ არის ნამდვილი სახელმწიფო. ის დანაშაულით ცხოვრობს. მისი მთავრობა უნდა გაუქმდეს იმ მეტისმეტად გულუხვი შეთანხმების საფუძველზე, რომელსაც საქართველო სთავაზობს. აფხაზეთი უფრო რთულ პრობლემას წარმოადგენს.

ამ ორ რეგიონს შორის აფხაზეთს მეტი პრეტენზია აქვს საქართველოდან გამოყოფაზე. ეს იყო მიზეზი 1992-93 წლების ომისა, სადაც ორივე მხარე ბინძური ხერხებით იბრძოდა. ნებისმიერ შეთანხმებაში გათვალისწინებული უნდა იყოს იმ ქართველების საკითხი, რომლებმაც აფხაზეთი დატოვეს, თუმცა ამ ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით დაბრუნება და ეს სწრაფად ვერ მოხდება. დადებითი ისაა, რომ საქართველოს სურს აფხაზეთთან მოლაპარაკება და მას დათანხმდება ნებისმიერ პირობებზე, სრული დამოუკიდებლობის გარდა. სეპარატისტების მხარდაჭერით, რუსეთი აბრკოლებს ამგვარი შეთანხმების მიღწევას.

აქედან გამომდინარე, ამერიკამ და ევროპამ ბევრად მეტი დახმარება უნდა გაუწიონ საქართველოს პრეზიდენტს. მიხეილ სააკაშვილი გამოირჩევა სხვა ერებისადმი სულგრძელობით, პროგრესული მიდგომით, დასავლური ფასეულობებით, ის დღეს ყოფილი საბჭოთა კავშირის და მთელი შავი ზღვისპირეთის რეგიონის უდავოდ ყველაზე ნიჭიერი და იმედისმომცემი ლიდერია. დასავლეთის მთავრობებმა მას ხელი უნდა გაუმართონ და მხარი დაუჭირონ.

ამგვარ კონფლიქტებს დესტაბილიზაცია შეაქვს ქვეყნებში და ხელს უშლის მათ გაწევრებას ნატოსა და ევროკავშირში. რუსეთის მხარდაჭერით გათამამებულ ოთხ პატარა, ვითომ სახელმწიფოს ბევრი საერთო აქვს: მათ არა აქვთ არსებობის იურიდიული უფლება, ამიტომ ყოველგვარი უკანონო საქმიანობისათვის ეს ქვეყნები ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენენ.

ყოველივე ეს რუსეთსაც უნდა აღელვებდეს.

დასავლეთმა თავისი შეშფოთება მკვეთრად უნდა გამოხატოს და მარტივი ენით შეაგნებინოს პუტინს თავისი პოზიცია.

გააგრძელებს რუსეთის პრეზიდენტი ხელის დაფარებას იმ რეჟიმებისათვის, რომლებიც კონტრაბანდით ცოცხლობენ? ღირს კი ის მცირე ადგილობრივი ძალაუფლება იმ ზიანად, რომელიც მიადგება რუსეთს, როგორც პასუხისმგებელ სახელმწიფოს? რასაკვირველია, არა. მაგრამ რუსების დამოკიდებულება შეიცვლება მხოლოდ მას მერე, რაც თვითონ პუტინი შეიცვლის პოზიციას. თუმცა ის ამას მანამ არ გააკეთებს, ვიდრე სხვა ქვეყნები არ დაარწმუნებენ, რომ მისი და რუსეთის რეპუტაცია საშიშროების წინაშე დგას.

*ეკონომისტი*

# საქართველოში კაზაკთა რაზმები შევიდნენ

## რუსეთი კავკასიის ახალ ომში ებმება

„ჩვენი ძმების, ოსების პირველსავე დაძახილზე მათ გვერდით დავდგებით“, — განაცხადა სამხრეთ ოსეთის მიმდებარე თერგის კაზაკთა ჯარის ხელმძღვანელობამ. ხუთშაბათს, გამთენიისას, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა იერიში მიიტანეს ოსების პოზიციებზე. ოპერაციის დროს საქართველოს შს მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მონაცემებით, მოკლეს 8 კაზაკი — რუსეთის მოქალაქე. ოსეთის მხარე ამ ინფორმაციას უარყოფს, მაგრამ რედაქციამ გამოარკვია, რომ ამჟამად ოსეთში მართლაც არის რამდენიმე ასეული კაზაკი. ისინი თამამად შეიძლება ჩაითვალონ რუსეთის სახელმწიფოს წარმომადგენლებად — კაზაკთა ლაშქრის წესდებას და ატამანს ქვეყნის პრეზიდენტი ამტკიცებს. მიუხედავად იმისა, რომ კაზაკთა ფედერალური ხელმძღვანელობა, კერძოდ კი, გენერალი ტროშევი, ირწმუნება, ოსეთში კაზაკთა არანაირი ფორმირება არ არისო, ხელმძღვანელები ადგილზე სულ სხვა გადაწყვეტილებებს იღებენ. ეს ნიშნავს, რომ ნახევრად ოფიციალური სტატუსის მქონე რუსეთის შეიარაღებული ძალები ნამდვილად აპირებენ შიდაქართულ კონფლიქტში მონაწილეობას.

ალანიის ოლქის (ვლადიკავკაზი) თერგის კაზაკთა ატამანი **მარატ კოზაევი**: — ზოგს ჰგონია, რომ კაზაკები აუცილებლად ჩამოსული ხალხია, მაგრამ ასე არ არის. ამ ზაფხულს ცხინვალში ჩვენი ოლქის განყოფილება ჩამოყალიბდა, სადაც სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ათასზე მეტი კაზაკია გაერთიანებული. გასულ კვირას იქ ორასამდე ჩვენი კაზაკი ჩავიდა — უიარაღოდ, ძმების გასამხნევებლად. ბევრი მოხალისე გვყავს, რომლებიც მზად არიან რესპუბლიკის დასაცავად. ამაში თერგელი ატამანები გვიჭერენ მხარს. თერგის ლაშქრის ატამანი ვასილი ბონდარევი ამბობს, რომ მათ გადაწყვიტეს, დაეხმარონ სამხრეთელ ძმებს. უპირველესად, მორალურად და მატერიალურად. — მოხალისეები ჩვენც გვყავს, მაგრამ ვიცით, რა შეიძლება მოჰყვეს ამას. თუ სახელმწიფო გვიბრძანებს, მაშინ გავაგზავნით.

— *პრეზიდენტის ბრძანებას ელით?*

— უფრო სხვა სტრუქტურებისა.

სტრუქტურის დასახელებისგან ატამანმა თავი შეიკავა. არადა, შვიდი წლის წინ თერგის ლაშქარი, რუსეთის ათ ანალოგიურ გაერთიანებასთან ერთად ქვეყნის კაზაკთა საზოგადოებების რეესტრში შევიდა. მათ წესდებას პრეზიდენტი ამტკიცებს. ვასილი ბონდარევის ატამანად დანიშვნის №1325 ბრძანებას ვლადიმირ პუტინმა ოთხი წლის წინ მოაწერა ხელი, ხოლო ნახევარი წლის შემდეგ — კაზაკთა გენერლის ჩინი მიანიჭა. რეესტრის კაზაკების გამოყენება შეიძლება სახელმწიფო და არასახელმწიფოებრივ სამსახურებში (საზოგადოებრივი წესრიგის, სასტუმროების, ტყეების დაცვა, საგანგებო მდგომარეობის შედეგების ლიკვიდაცია...).

მოკლედ, როგორც ატამანი კოზაევი აცხადებს, ისინი „ნახევრად სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს“ განეკუთვნებიან. ამიტომაც არის საკვირველი, რომ თერგის ლაშქარში გაჩნდა განყოფილება, რომელიც დისლოცირებულია არა მარტო წესდებით გათვალისწინებულ ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე, არამედ რუსეთის საზღვრებს გარეთ.

*იზვესტია. რუ*

# საიდან იწყება სამხრეთ ოსეთი?


შეშინებული ოჯახები ქალაქს ტოვებენ

...ამის დადგენა ძნელია — პოლიციის საკონტროლო გამშვები პუნქტიდან, ბლოკპოსტიდან, შლაგბაუმიდან, თუ ოღროჩოღრო შარაგზიდან, რომელსაც რომელიმე დასახლებულ პუნქტამდე მივყავართ. კითხულობ: ესეც ქართული სოფელია? და მხოლოდ მაშინ დარწმუნდები, რომ საზღვარი გადმოლახე, როცა სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალის ცენტრში ამოყოფ თავს. აქ ქართული წარწერების მაგივრად კირილიცა ხვდება თვალს და მიგანიშნებთ, თუ ვის ჩაჰბარდა ეს პატარა ამბოხებული რესპუბლიკა, რომლის ტერიტორია 3.900 კმ²-ია და სუვერენიტეტის გამოცხადებამდე საქართველოს ნაწილი იყო. მის სუვერენიტეტს კი მარტო რუსეთი აღიარებს, რადგან მისი ზარბაზნით გახდა ეს შესაძლებელი. გადამწვარი ნასახლარებია მოწმე 1991 წლის სამოქალაქო ომისა. ახლაც კვლავ ბრძოლებია, კვლავ იღუპებიან ჯარისკაცები. მტვრიან გზის პირებზე უსახური სახლები დგას და მხოლოდ სახლის აივნებზე დაგრეხილი ვაზი მიგახვედრებთ, რა ლამაზი იქნებოდა აქაურობა, მშვიდობა რომ იყოს და ქვეყანაში ფული შემოდიოდეს. აუღიარებელ სეპარატისტულ რესპუბლიკას ეკონომიკა არ გააჩნია, 70-ათასიანი მოსახლეობიდან 70% უმუშევარია, ზოგი ნათესავების კმაყოფაზე ცხოვრობს და ზოგსაც რუსეთთან და საქართველოსთან ვაჭრობით გააქვს თავი. ალან პარასტაევი მეექვსე წელია ხელმძღვანელობს სამხრეთ ოსეთის საქველმოქმედო ორგანიზაციას, რომლის მიზანია ორივე მხარის დაახლოება. მაგრამ ძალიან წუხს, რომ შედეგი არ ჩანს. დიდი პოლიტიკა კლავს ყველა იმედს. „სამხრეთ ოსეთში კონფლიქტი ეთნიკურ ნიადაგზე არასოდეს მომხდარა და არც ახლა არის. ეს წმინდა პოლიტიკური კონფლიქტია. კრახით მთავრდება ყველანაირი მოლაპარაკება. ათი წლის მანძილზე ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა წინ. ხალხს თუ სამუშაო და მუდმივი შემოსავალი ექნა, ბევრი პრობლემა თავისით გადაწყდება,“ — ამბობს ოსი ალანი.

სამხრეთ ოსეთის ეკონომიკა ძირითადად თავისუფალ ვაჭრობაზეა დამყარებული, პირდაპირ საქართველოს საზღვარზე ერთმანეთის მიყოლებით არის ჩამწკრივებული ბაზრები — ბენზინი, კარაქი, ავტომობილის დეტალები, კოკა-კოლა, ბიუსტჰალტერები. რას არ ნახავთ აქ — კონტრაბანდულ არაყსა და სიგარეტს, იარაღს...

1859 წელს ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა ოსებს ახასიათებდა, როგორც მოთამაშეებს, მფლანგველებს და ლოთებს. ისინი მთელ ფულს თუთუნსა და არაყზე ხარჯავდნენ. ბევრი ქართველის გულს მალამოსავით ედება ეს სიტყვები. გაუგებარია, რატომ არ უნდა ჰქონდეს სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებლობის პრეტენზია, ან რატომ იჩემებენ ქართველები ამ მიწას. ისინი ამტკიცებენ — 100 წლის წინ სამხრეთ ოსეთში ორიოდ ოსი თუ ცხოვრობდა, ე.ი. მიწა ჩვენიაო. ოღონდ იმას არ ითვალისწინებენ, რომ სწორედ მათმა თანამემამულემ, სტალინმა აჩუქა ოსებს ავტონომია საქართველოს ფარგლებში რევოლუციური მხარდაჭერისათვის.

სამხრეთ ოსეთის საქართველოში დაბრუნებაზე ისე ხმამაღლა არავის განუცხადებია, როგორც ეს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა. ლტოლვილებს იმედი გაუჩნდათ, სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ 15.000 ქართველს რასაკვირველია, უნდა საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა, მაგრამ არა ახალი სისხლის ღვრის ფასად. ცხინვალის მახლობელი სოფლის მკვიდრი ბონდო პაპუაშვილი ამტკიცებს, — ოსები და ქართველები სამოქალაქო ომის დროსაც მეგობრებად ვრჩებოდით, ერთმანეთს არ ვესროდით, ამას ჯარისკაცები აკეთებდნენო. უაზრობად მიაჩნია ის, რომ მშობლიურ სოფელში საათს მოსკოვის დროზე აყენებდა და თანდათან უმძაფრდებოდა შეგრძნება, რომ საქართველოში კი არა, რუსეთში ცხოვრობდა. ის სამშობლოს დატოვებას არ აპირებს. არც ისე ცუდად არის საქმე, — ამბობს, — მიწა ბარაქიანი გვაქვს, ონკანს რომ მოუშვებ — არაყი გადმოდის...

*დი ველტი*

*გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა*


**თქვენ ჯერ არ გამხდარხართ მაგთიკომის აბონენტი?**

მაგთი MAGTI GSM

მობრძანდით და უფასოდ ჩაერთვებით ჩვენს ქსელში, თუ კომპანიის მომსახურების ნებისმიერ ოფისში შეიძენთ და ახალგახსნილ ანგარიშზე გაააქტიურებთ 30-ლარიან მონო-ბარათს.

მაგთი GSM – მუდმივი კავშირის სამყარო!

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით

ქალაქის უფასო ნომრებზე: 25 00 00, 25 11 11

უფასო მობილურ ნომრებზე: 525, 25 00 00, 25 11 11







ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიამბობენ

2 წლის **ანანო** უყურებს ბებო როგორ იხეხავს კბილებს და გაკვირვებული ეკითხება, — ბებო, კბილებს იპარსავ?

***

პატარა **ნიკა** და მამამისი ზღვის ნაპირზე სხედან.

მამამ ნიკას სათვალე გაუკეთა, ბიჭი ეკითხება:

— სათვალეს იმიტომ მიკეთებ, რომ პირში წყალი არ ჩამივიდეს?

***

5 წლის **თეონას** დედა აძლევს უფროსი ძმის ჩუსტებს, რომელიც გადანახული ჰქონდა.

თეონა იცვამს და ამბობს:

— დედა, ნახე, გიორგის იმდენი ხანი არ ცმია ეს ჩუსტები, რომ ისე დაპატარავებულა, მე მაქვს კარგად.

***

პატარა **დათო გოგიჩაიშვილს** ძალიან უყვარს საჭმელებიდან — შემწვარი კარტოფილი, ხოლო ხილიდან — მარწყვი.

— მამა, კარტოფილის მარწყვი რსებობს (არსებობს)? — ეკითხება მამამისს.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„ის ფრინველთა მეფე არის, ამაყი და საზრიანი, შორსმხედველი და გულდინჯი, ფრთამძლავრი და კლანჭიანი“.**

II



## მელია და ჩიტი

ზღაპარი

მელია და ჩიტი დაძმობილდნენ. დაადგნენ გზას. დაუღამდათ და ერთ ადგილას შეჩერდნენ. დაანთეს ცეცხლი. მელიას მოშივდა. ითმინა, ითმინა და ბოლოს რომ ველარ მოითმინა, ჩიტს უთხრა, უნდა შეგჭამოო.

— მელავ, მე ცარიელი ქონი ვარ, პირი გააღე, თვითონ ჩაგივარდები და შემჭამე, — უთხრა ჩიტმა. გააღო პირი მელიამ, აილო ჩიტმა ერთი მუგუზალი, შიგ პირში ჩასჩარა და გამოსწვა. მელიამ ველარ შეჭამა ჩიტი.

ჩიტი გაფრინდა. გზაზე ორ კაცს შეხვდა, რომლებსაც შიმშილისგან გაძვალტყავებული ძაღლი მოჰყავდათ.

ჩიტი მივიდა და სთხოვა, მე მომეცით ეგ ძაღლი და რაც გინდათ, იმას მოგცემთო.

კაცებმა უთხრეს, ოღონდ ეგ მოგვაშორე და ჩვენ მოგცემთ ფულსაო.

წამოიყვანა ჩიტმა ძაღლი.

ძაღლს შიმშილისგან სული მისდიოდა.

ჩიტმა უთხრა: — აი, ის დედაკაცები რო სხედან და მაწონს შეექცევიან, ხო ხედავ?

— ვხედავ, — უპასუხა ძაღლმა.

— მაშ, მე მივალ. დავიწყებ ნელა ფრენას, ისინი დასაჭერად გამომიდგებიან, მიდი შენ და მაწონი ჭამეო...

ჩიტმა მართლა გაიტყუა დედაკაცები, ძაღლმა მაწონს მოულხინა.

წამოვიდნენ იქიდან. გზაზე მელიას შეხვდნენ. ჩიტმა ძაღლი დამალა. მელიას დაუძახა: — გამარჯობა, მელიავ, მოგირჩა პირი თუ არაო?!

მელიამ დაუძახა: — პირი კი მომირჩა, მაგრამ ლეში დიდი ხანია არ მიჭამიაო.

ჩიტმა დაუძახა: — აქ წამო, აქ არის ლეშიო.

მივიდა მელია და დასწვდა ძაღლს კუდზე. წამოუხტა ძაღლი და შემოაცალა ქურქი.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

I **განალაგეთ შესაბამის ადგილებზე ჩანთები ქვედა რიგიდან**




## იპოვე 10 განსხვავება



## ჩვენს ეზოში

ეს როგორი კაკანია
და რა აყალმაყალი,
ან რა თავქუდმოგლეჯილი
დარბის ჭრელი მამალი.
გავიქეცი საქათმისკენ,
მივედი და ვხედავ,
თურმე კვერცხი დაუდია
თავქოჩორა დედალს.

*დაჩი შოშიტაშვილი, 8 წლის*

## III ანა, გამოიცანი

**1) რომელი ქვეყანა არ მდებარეობს ჩრდილოეთ ამერიკაში?**

ა) გვატემალა; ბ) კოსტა-რიკა; გ) ნიკარაგუა; დ) მაროკო;

**2) წარწერა საფლავის ქვაზე არის:**

ა) ეპიტაფია; ბ) ეპისტოლე; გ) ეპილოგი; დ) ეპოპეა.

**3) რომელია ზედმეტი?**

ა) მუხანათი; ბ) მზაკვარი; გ) ერთგული; დ) ვერაგი.

**4) ვინ მეფობდა საქართველოში დავით აღმაშენებლის შემდეგ?**

ა) დავით V; ბ) დემეტრე I; გ) გიორგი III; დ) თამარ მეფე.

**5) ვის კალამს ეკუთვნის მოთხრობა "HELLADOS"?**

ა) კონსტანტინე გამსახურდიას; ბ) ნოდარ დუმბაძეს; გ) რევაზ ინანიშვილს; დ) ოტია იოსელიანს.

**6) რას შეისწავლის კინოლოგია?**

ა) ფილმებს; ბ) სოკოებს; გ) ძაღლებს; დ) თევზებს.

**7) რომელი არ არის მხატვარი?**

ა) ლადო გუდიაშვილი; ბ) ელენე ახვლედიანი; გ) დავით კაკაბაძე; დ) ნოდარ ანდღულაძე.

**8) რომელი ქრისტიანული დღესასწაულია 28 აგვისტოს?**

ა) სულთმოფენობა; ბ) ბარბარობა; გ) ხარება; დ) მარიამობა.

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*



# „ქეც რომ ვკვდებოდეთ, ოქროს მაინც ჩამოგიტანთ“



ჯანო ბაგრატიონი

**არის გვარები, რომელთა გარეშე ერის არსებობა წარმოუდგენელია. ჩვენთვის ასეთი უპირველესად ბაგრატიონია. როცა მათი ხმალი დაეშვა, სამეფო მისიის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი ბაგრატიონებმა გულში ჩაიკლეს და თავის ხალხს ჩვეულებრივი მოკვდავებივით ემსახურნენ — განსაკუთრებით, სამშობლოდან გაუძევებელი ბაგრატიონები... ისინი შვილებს საკვირველი სიჯიუტით შეასწავლიდნენ ქართულ ხელოვნებას. რაღა ემღერებოდათ, მაგრამ ყველა ბაგრატიონმა ბრწყინვალედ იცოდა ქართული სიმღერაც, ცეკვაც და პოეზიაც. მაგალითად, ჯანო ბაგრატიონის პაპის, კონსტანტინეს ოთხივე შვილი მღეროდა: თამარი, მანანა, ნატო და, რასაკვირველია, ჯანოც — გულისშემკუმშველი „ყვავილების ქვეყნის“ პირველი შემსრულებელი.**

**— კონსტანტინე ბაგრატიონი თუ მღეროდა?**

— თავისთვის. სამაგიეროდ, მღეროდნენ მისი ძმები. ერთ-ერთი, გოგინა, გასაოცარი მოცეკვავეც იყო. პარიზში ცნობილ ქართველ მსახიობთან „ქართულის“ უბადლო შემსრულებელთან ელო ანდრონიკაშვილთან ერთად უცეკვია. გადარია თურმე ფრანგები — მსგავსი არაფერი გვინახავსო. განსაკუთრებული ფეხის გასმა სცოდნია, ცერებით კი არა, ტერფებით. კაცურად ცეკვავდა. მამას მისი ცეკვის ნიჭი გამოჰყვა.

**— დღეს მამათქვენის სიმღერები ახსოვთ. მომღერალი უკეთესი იყო თუ მოცეკვავე?**

— ამბობდა: თუ ადამიანის მოვლინებას ერთი მიზანი აქვს, მაშინ ჩემი ცხოვრების მიზანი ქართული ცეკვა ყოფილაო. რამდენიმე ცეკვის ანსამბლი შექმნა. მოწაფეებს იმას ასწავლიდა, რაც გოგინამ ასწავლა. მაგრამ მამამ საესტრადო ანსამბლებიც შექმნა. სიმღერის ნიჭი კი ბებიას ჰქონდა — ოლღა ამირეჯიბს. ხომ წარმოგიდგენიათ, ბებიაჩემის დროს რა ძნელი იყო სიმღერის ჩაწერა ფირფიტაზე, მაგრამ ოჯახის ახლობლებმა ქვა გახეთქეს და მაინც ჩაწერეს მისი სიმღერები. ერთი ცალი დღესაც შემონახულია — „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა“...

**— თქვენ გახსოვთ გოგინა ბაგრატიონის ცეკვა ან ბებიის სიმღერა?**

— ბუნდოვნად. მამას კი რეპეტიციებზე დავყვებოდი. მისი სცენაზე ფრენაც მინახავს და სიმღერაც მომისმენია. დიდი ტკივილი გადაიტანა ხმის გამო — კონსერვატორიის სცენაზე „ურმულის“ სიმღერისას დაკარგა ხმა. ეს იშვიათად ხდება. არადა, როცა მისი სიმღერა მოუსმენია დიმიტრი არაყიშვილს, უთქვამს: — იმედი მომეცი მოხუცებულს, მეორე ვანო სარაჯიშვილს ვხედავო. უმკურნალეს, მაგრამ ოპერაში სიმღერა ველარ შეძლო და ესტრადაზე გადაინაცვლა. პირველად მამამ ჩამოაყალიბა ჯაზის ანსამბლი. „ყვავილების ქვეყანას“ მღეროდა ზღაპრულად... სხვათა შორის, მის ანსამბლში მღეროდა მისი და, მანანაც, ბუბა კიკაბიძის დედა.

**— ალბათ მომღერლებს კუდში დაჰყვებოდით...**

— აბა, რა! ქუთაისში ვახლდი. გამოვიდა სცენაზე თემო ხელაშვილი — ბრწყინვალე გარეგნობის კაცი. იმღერა ძალიან პოპულარული „გზაში დაგიკრეფ ყვავილის კონას, გზად დაგიფინავ, ჩემო გოგონა“... ცხრაჯერ გაამეორებინეს. კულისებში გადაეხვია მამა: — მაგარი ხარ, თემო, მაგრამ მე ათჯერ ვიმღერებო. იმღერა და 11-ჯერ გამოიყვანეს ბისზე. არ დაგავიწყდეს, ეს ის წლებია, როცა სცენაზე მეორედ გამოყვანა არც არსებობდა.

**— თქვენი ნამღერი „ყვავილების ქვეყანაც“ მომისმენია. წლების შემდეგ გიხდით მადლობას.**

— მე მამას რას მივედრებოდი. მას ბრწყინვალე ტენორი ჰქონდა. მე ვითომ ბარიტონი მაქვს, ვცოდვილობ და მეტი არაფერი. კარგა ხანს ვერ ვბედავდი ამ სიმღერით სცენაზე გამოსვლას. უფრო ხშირად ცაბაძის სიმღერებს ვმღეროდი „გეპეის“ ჯაზში. მამაჩემი სხვანაირად მღეროდა, სხვა ძალა და ნიუანსები ჰქონდა მის ხმას. ამის მოყოლა არ შეიძლება, ან როგორ უნდა მოვყვე... სიმღერას რომ დაამთავრებდა, დარბაზი ინგრეოდა... ისედაც კეთილი ადამიანი იყო. სულ ვიღაც იჯდა მასთან — ჯანო, ამა და ამ კაცთან დარეკე, ადგილი ჰქონია და სამსახური დამაწყებინოსო... კი, მაგრამ რომ არ ვიცნობო? სამაგიროდ, შენ გიცნობენო... ტელეფონის ნომერი მომეცითო... დარეკავდა, ჯანო ვარო და იქიდან ისმოდა ყვირილი: — როგორ ხართ, ბატონო ჯანოო და სამსახურიც გაკეთდებოდა... ხომ არ გგონიათ, ვინმეს ათქმევინებდა, — ჯანო დაბერდა და ფორმაში აღარ არისო. სიბერეში მხოლოდ შვილიშვილების რძეზე დადიოდა, მაგრამ დილით გააპრიალებდა ფეხსაცმელს, გაიკეთებდა ჰალსტუხს და მიდიოდა რძის რიგში. რამდენჯერ გარდეროზში კოსტიუმი არ დამხვედრია. დედას ვკითხავდი, სად არისმეთქი... მამაშენმა ჩაიცვა და რძეზე წავიდაო...

**— „ყვავილების ქვეყანა“ როგორ შეიქმნა?**

— მელოდია ქუთაისში უბრალო კაცისგან მოისმინეს ბიჭებმა. მამამ ერთ დიდებულ ქართველს, ბიძინა ფერაძეს სთხოვა, ეს მელოდია ტექსტზე მომირგეო. ბიძინა პედაგოგი იყო, მოარგო სიტყვები მელოდიას. მაგრამ ამ ყველაფერს დახვეწა და გაორკესტრება ხომ უნდოდა, ისე სიმღერა არ არსებობს... ეს კომპოზიტორმა მიხეილ ჩირინაშვილმა გააკეთა. მამაჩემის შექმნილი ჯაზი კი ოთხ წელიწადში გაქრა — მოსპეს. ასე უნდოდა მთავრობას. პირველი რადიოდიქტორი ქეთო ლანდია გვიყვებოდა, — მე თვითონ ვნახე, როგორ გამოიტანა ტელევიზიის ერთმა ჩინოსანმა ფირი დაშალა და ცეცხლში ჩააგდო. ვუყურებდი და ვტიროდიო...

**— თქვენ თუ გიმღერიათ „გეპეის“ ჯაზის შემდეგ?**

— როგორ არა. „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა გუნდში გვქონდა ბიჭებს პატარა ანსამბლი. შეჯიბრებებზე დავდიოდით... ერთხელ, ჩეხეთში, რესტორანში, ერთ მშვენიერ უნგრელ მომღერალს მიკროფონი გამოვტაცე და ავმღერდი. რომ დავამთავრე, ყველა თავთავისი მაგიდისკენ მიგვათრევდა. მეც მეტი რა მინდოდა... ერთხელაც ფოთიდან ოდესაში მივცურავდით გემით. ბილეთები არ გვქონდა და გემბანზე ვისხედით. სამი დღე არ გაგვიგდია გიტარა ხელიდან. კაპიტანმა მიკროფონი მოგვიტანა, მაინც მღერით, ხალხს მოსწონს და ბარემ, მიკროფონში იმღერეთო... მოეწონებოდათ, აბა, რა იქნებოდა. ქართველებივით მელოდიურ ერს დედამიწის ზურგზე ვერ წააწყდები. ქართველს, სმენაც რომ არ ჰქონდეს, შინაგანად მაინც მღერის... სულ ვფიქრობ, ერთმანეთს რომ ვულრენთ, არ ჯობს, ამის მაგივრად სიმღერებით მივეფეროთ ერთმანეთს-მეთქი?

**— კიდევ ერთ მომღერალ ბაგრატიონზე, ლიზაზე რას იტყვით?**

> **გამოვიდა სცენაზე თემო ხელაშვილი — ბრწყინვალე გარეგნობის კაცი. იმღერა ძალიან პოპულარული „გზაში დაგიკრეფ ყვავილის კონას, გზად დაგიფინავ, ჩემო გოგონა“... ცხრაჯერ გაამეორებინეს. კულისებში გადაეხვია მამა: — მაგარი ხარ, თემო, მაგრამ მე ათჯერ ვიმღერებო. იმღერა და 11-ჯერ გამოიყვანეს ბისზე. არ დაგავიწყდეს, ეს ის წლებია, როცა სცენაზე მეორედ გამოყვანა არც არსებობდა.**

— ლიზაზე? გვიან დაიწყო, მაგრამ კარგად მღერის. კარგი რეპერტუარი აქვს, ტკბილი, ქართული. ხმაც ტკბილი აქვს. ასეთი სიმღერები ყოველთვის სჭირდება ხალხს.

P.S. ჯანო ბაგრატიონი საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტია. ზუსტად ამ ინტერვიუს დროს გიორგი ასანიძეს შეჰპირდა, — თუ საბერძნეთიდან ოქროს ჩამოიტან, აეროპორტში ვიცეკვებო.

თავის მხრივ, გიორგიმ იმერულად მოუქცია: — ქეც რომ ვკვდებოდეთ, ოქროს მაინც ჩამოგიტანთო...

# ჩვენ ქართულ სიმღერასავით უსასრულოდ ვიცოცხლებთ

ქართველებს სიმღერაზე უკეთესი ბევრი არაფერი გაგვაჩნია. მტერი მხოლოდ ჩვენს სიმღერას ვერ ებრძოდა, რადგანაც იცოდა, რომ ამ ომს ვერ მოიგებდა. დრომ ბევრი რამ შეიძლება გვაპატიოს, მაგრამ ათასწლეულების მელოდიის დაკარგვას ვერ გვაპატიებს, — მაშინ ჩვენც გავქრებით. დღეს, როცა სოფლებში მოხუცი მომღერლები აღარ დარჩნენ, ხოლო ახალგაზრდებს სიმღერისთვის აღარ სცალიათ, კარგი ფოლკლორული გუნდის გამოჩენა, ბედის საჩუქრად უნდა ჩავთვალოთ...

„ხორუმის“ ბიჭებს 11 წელიწადი დასჭირდათ, რომ სცენაზე დადგომა გაებედათ.



„ხორუმი“

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔ, ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ: — გლდანის სკოლაში ვასწავლიდი ბავშვებს ხალხურ ინსტრუმენტებზე დაკვრასა და სიმღერებს. პატარა ანსამბლი — „ურმული“ შევქმენით. არეულობა რომ დაიწყო და ტრანსპორტის მოძრაობა შეწყდა, დიდი დილმიდან გლდანში ველარ ვიარე. საშინლად განვიცდიდი ამას, ზამთრის ერთ ღამეს მეზობელმა მითხრა, — მოდი, აქ, სამეზობლოში, მაინც ასწავლე ბავშვებს სიმღერაო. მეც მხოლოდ ეს მჭირდებოდა. მეორე დღესვე შევკრიბე 7 წლის ასაკის ბავშვები და დავიწყეთ. ისე ამყვნენ, თამაშიც კი გადაავიწყდათ. ხანდახან დღეში ორ-სამჯერ ვმეცადინეობდით. ზოგჯერ დილის შვიდ საათზეც ვიწყებდით. ერთხელ ჩემს მოწაფესა და მშობელს ასე ადრიანად ვიღაც შეხვედრია. სად მიდიხართო, — უკითხავს. სიმღერაზეო, რომ უპასუხია, გადარეულა კაცი: — კარგი, მასწავლებელს არ ჰყავს პატრონი, მაგრამ არც თქვენ გყავთო?!

ᲡᲝᲡᲝ ᲙᲘᲙᲕᲘᲫᲔ: — გლდანის სკოლაში მაინც ვიკრიბებოდით. საათობით ვუკრავდით. ერთ დღეს კბილებამდე შეიარაღებული ხალხი მოვიდა. მორცხვად გვითხრეს, — თუ შეიძლება, მოგისმენთო. ასე გვისმენდა ორი წელიწადი „მხედრიონი“. მაინც ვერ ვუშველეთ...

ᲜᲘᲙᲐ ᲮᲛᲐᲚᲐᲫᲔ: — „ხორუმს“ მე და ბექამ ფესტივალზე მოვუსმინეთ. გაგვაოგნა... მივედით ბატონ თამაზთან და ვთხოვეთ, ჩვენც მიგვიღეთ თქვენს გუნდშიო. არ მიგვიღო — მოემზადეთო. თვითონვე მოგვამზადა. დღე და ღამე ვმუშაობდით, ნაირ-ნაირი ინსტრუმენტები მიგვქონდა შინ, გადავრიეთ ოჯახები, დაუსრულებლად ვუკრავდით.

ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲪᲥᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ: — ბატონი თამაზი იმდენად უფრთხილდებოდა ბიჭების ხმებს, დედამ რომ მიმიყვანა, არ მიმიღო — ვერ იმღერებსო. ახლა ჰკითხეთ, ბიჭებზე ნაკლებად ვმღერი და ვუკრავ?

ᲡᲝᲡᲝ ᲙᲘᲙᲕᲘᲫᲔ: — ყოველდღე გვაქვს რეპეტიცია. იცით, რა კარგია, როცა ინსტრუმენტს შენი ესმის და შენ — მისი! შეიძლება ერთმა ინსტრუმენტმა არაქათი გამოგაცალოს, მაგრამ მეორეზე დაუკრა და დაისვენო. ჩვენ ხომ მშობლიურ ჰანგებს ვუკრავთ და ვმღერით. ნიჭიერები ვართ ქართველები — რა საკრავი აღარ გამოვიგონეთ.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲣᲡᲐᲜᲔᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ: — ჩანგი, მაგალითად, 6000 წლის არის. ამბობენ, მსოფლიოში საქართველოდან გავრცელდაო. ივანე ჯავახიშვილს XI-XII საუკუნის ებანის ნახაზები აქვს. ზუსტად ასეთი ფორმის ებანი სვანებმა შეინარჩუნეს... ერთ ამბავს მოგიყვებით: ბატონმა თამაზმა რომ დაადგინა, ქართული მრავალღერიანი სალამური აღარ არსებობსო, თვითონ გამოთალა.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔ: — სალამური ძველი ჩანახატებით აღვადგინე. მას 6 ღერი აქვს და წარმოიდგინეთ, როგორ მელოდიებს გამოსცემს. შესანიშნავად უკრავენ ბიჭები ჭიანურზე, ჭიბონაზე, დოლზე, სანთურზე... სანთური 108-სიმიანია.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲣᲮᲘᲐᲜᲘᲫᲔ: — ქართველებს საბრძოლო დოლიც გვაქვს. ეს სპილენძის ჭურია... მისი ხმის გაგონებაზე ჟრუანტელი დაგივლის... გპირდებით, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ამ დოლის გუგუნით შევალთ.

ᲑᲔᲥᲐ ᲦᲕᲘᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: — ისე, დანარჩენი ქართული მიწებიც მისახედია. განსაკუთრებით, საზღვრისპირა. იქაურები ამ საზღვრის ჯარისკაცები არიან... ჯავახეთში ვიყავით, იქ შვიდიოდე ქართული სოფელია დარჩენილი. ვიცოდით, რომ მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ, მაგრამ რაც ვნახეთ, ამას ნამდვილად არ მოველოდით... არაფრით არ დაგვიჯერეს, რომ არჩევნებისთვის ხმების შესაგროვებლად არ ვიყავით ჩასულები და მხოლოდ ის გვინდოდა, გვემღერა — ხელისუფლებას მარტო არჩევნებზე ვახსენდებითო... „სოფლის კლუბმა“ გაგვაშტერა — მარტო ბოძები და აქა-იქ კედლები იყო დარჩენილი. პირდაპირ ქუჩაში ვიმღერეთ. გაოგნებულები გვიყურებდნენ. თხუთმეტ წლამდე ბავშვებს ცოცხალი მომღერალი არ ენახათ, ჩიტიც კი გვისმენდა.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔ: — ჯავახეთში წასვლა რომ ვახსენე, დაეზარათ — შორიაო. იქაურები რომ ნახეს, წამოსვლა აღარ უნდოდათ. ახლა მეხვეწებიან, ყველგან წავიდეთ, საქართველოს უკეთესს ვერაფერს გავუკეთებთო.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ: — სანამ უნივერსიტეტმა არ გვიპატრონა, სცენაზე გამოსასვლელი ჩოხებიც კი არ გვქონდა. თანაც, ქართული სცენა უხარისხო მუსიკამ დაიპყრო. მაინცდამაინც რაიმე პოპულისტური უნდა იმღერო, რომ დამკვიდრდე. „იუმორინაზე“ მიგვიწვია ბატონმა ჯემალ ბაღაშვილმა. თავს ვიმტვრევდით, რა მოგვეფიქრებინა, რომ ამ კონცერტის სტილს მივსადაგებოდით. ბოლოს, კლასიკური ბლუზი დავუკარით ხალხურ საკრავებზე. მგონი, მაგარი იყო, ყოველ შემთხვევაში, ტაშს დიდხანს გვიკრავდნენ. ამის შემდეგ „უნივერსიტეტთან“ ერთად ვიმღერეთ. ეს სხვა დონის ანსამბლია. მაყურებელი გარეთ გველოდებოდა — კარგა ხანია ასეთი სიამოვნება არ მიგვიღიაო... აბა, რა, — კომუნისტებიც ებრძოდნენ საგალობლებს, მაგრამ მოერივნენ?!

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔ: — ჩვენი ხალხი აუცილებლად დაბრუნდება ნამდვილი ხელოვნებისკენ. ერთ რამეს მოგიყვებით: „აჭარა მიუზიკ ჰოლში“ მიგვიწვიეს. თავაწყვეტილი დისკოთეკა იყო. ზედაც არ შემოგვხედეს. ვინც შემოგვხედა — იმანაც ზემოდან — ამათ აქ რა უნდათო. ვუთხარით ბატონ თამაზს, წავიდეთ აქედანო... არ წამოგვყვა... უხალისოდ დავიწყეთ დაკვრა. რეჟისორი ვერც კი მიხვდა, რომ მიკროფონები გაესწორებინა — დანარჩენებს ისინი არაფერში სჭირდებოდათ, — მარტო პირებს აღებდნენ. უცებ ყველა გაჩუმდა და და „წამოვლილებივით“ აცეკვდნენ, მაგრამ ბევრად უფრო ლამაზად, ვიდრე უცხოურ მუსიკაზე. აღარ ჩამოგვიშვეს სცენიდან.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔ: — აი, ესაა სისხლი! ჩვენი ფოლკლორი ნამდვილი ხელოვნებაა, მაინცდამაინც უარესისკენ რატომ მივდივართ? ქართულ სიმღერაში ქართული მიწის ენერგიაა. აი, დაუკვირდით: ჩვეულებრივ გარემოში, ვთქვათ, „ნადური“ 15 წუთი რომ იმღერო, იმდენი ენერგია სჭირდება, ფილტვები დაგისკდება, ჩვენ კი თან მიწას ვთოხნიდით და თან „ნადურს“ ვმღეროდით 15 წუთის მანძილზე... ეს არაფერს გეუბნებათ? — რაც უფრო ახლოს ვიქნებით სიმღერასთან, მით მეტ ენერგიას მივიღებთ მშობლიური მიწიდან და მით მეტ ხანს გავძლებთ ამ სამყაროში! — უფრო სწორად, დაუსრულებლად გავძლებთ, ისე, როგორც ქართულმა სიმღერამ გაძლო...

***გვერდი მოამზადა ეთერ ერაძემ***

CMYK

# — პადუმაეშ, რეპეტიცია!.. დღეს ზურა ჩამოდის

## „ეს იყო ყველაზე უცნაური ღამე ჩემს ცხოვრებაში...“



ჩემი მეხსიერებიდან არ ამოდის ბავშვობის მოგონება: დედამ მარჯანიშვილის თეატრში წამიყვანა სპექტაკლ „ძუნწის“ სანახავად. მახინჯი, წელში მოხრილი ძუნწი კარაპეტა რომ დავინახე, გულში გავივლე, — ნეტავ ასეთი მსახიობი სად იპოვეს-მეთქი. ანტრაქტზე დედამ მკითხა: კარაპეტას როლის შემსრულებელი კაცი თუ მოგწონსო და მრავლისმეტყველად გამიღიმა. არაფერი ვუპასუხე. სპექტაკლი დამთავრდა. მაყურებელი ფეხზე ადგა და მქუხარე ტაშით შეეგება მსახიობებს. სცენაზე კარაპეტაც გამოვიდა, უცებ ქუდი მოიხადა თუ ნიღაბი აიხსნა და ქალის თმა ჩამოიშალა. ჩემ წინ მომხიბვლელი ქალბატონი იდგა.

მაშინდელი გაოცების განცდა დღემდე მომყვება და მე მარტო არ ვარ — ვისაც ბედნიერება ხვდა და ერთხელ მაინც ნახა ელენე ყიფშიძე სცენაზე, დარწმუნებული ვარ, ასეთივე გრძნობით ახსოვს უზადო ხელოვანი, არტისტი, რომელსაც 90-ზე მეტი სასცენო სახე აქვს შექმნილი. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: ნუცკია („ხარატაანთ კერა“), მაია („მაია წყნეთელი“), სალომე („ძია ბალდასარი“), ფოფია („ეზოში ავი ძაღლია“)... აღარას ვამბობთ „ძველ ვოდევილებზე“.

ელენე ყიფშიძე დიდად ნიჭიერი და განსაკუთრებული ხიბლის მქონე მსახიობი იყო. ცოტა ხნის წინ, მის გარდაცვალებასთან ერთად, დასრულდა კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი თეატრის ისტორიისა.

ამ წერილში არ მოვყვებით მისი დამსახურების შესახებ, ისედაც ცხადია და ვისაც „თვალნი აქვს“, ხედავს. ვეცდები, მკითხველამდე მივიტანო სულ სხვა სახება — ელენე ყიფშიძე, დიდი ოჯახის წარმომადგენელი, პიროვნება, რომელიც იოლად არავის აზიარებდა საკუთარ შინაგან სამყაროს.



მარცხნიდან მარგარიტა (ბიძაშვილი) და ელენე ყიფშიძე; უკან: ქეთო, გიგა და ნინო ყიფშიძეები



მედეა ჯაფარიძე, ნათელა აფაქიძე, ვასო გოძიაშვილი, მარინე თბილელი და ლენა ყიფშიძე

**ქეთო ყიფშიძე, და:** — პაპაჩემი, გრიგოლ ყიფშიძე, ილიას მეგობარი და მისი პირველი ბიოგრაფი იყო. ილიას ძალიან ჰყვარებია ჩვენი ოჯახი. უკვე ასაკოვნებს — პაპაჩემსა და მის ძმას — მასთან ხშირი სტუმრობა რომ აღარ შეეძლოთ, ილიას უთქვამს:

„დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
თავზე მექცევა ბჭენიო,
ვაიმე, ბედკრულს, შემომწყრნენ,
მე ძმანი ყიფშიძენიო“.

ჩვენს სოფელში — საღოლაშენში, ხშირად სტუმრობდა დიდი ილია. ერთხელ იქ ამირეჯიბებთან ყოფილა, ღამით დარჩენა უთხოვიათ, მაგრამ ბრძანა თურმე: — გრიგოლ ყიფშიძესთან მირჩევნია, ღამეს იქ გავათევო. ახლა ის ისტორიული სახლი საპატრიარქოს გადავეცით...

მამაჩემი, ვასილი, ფიზიკოსი იყო. ახლა რომ უნივერსიტეტის მეორე კორპუსია, იქ გვედგა სახლი. როცა საქართველოს დასჭირდა იქ უნივერსიტეტის აშენება, უყოყმანოდ შესწირეს ადგილი... როცა წითლები შემოვიდნენ, სწორედ იქაური სახლის მეორე სართულზე, პაპაჩემის ნასათუთარ ბიბლიოთეკაში შევიდნენ და წიგნები გადმოყარეს. ცეცხლი დაანთეს, თბებოდნენ. გამძვინვარებული პაპა სოფელში წავიდა. იქ გარდაიცვალა. ეკლესიის ეზოშია დაკრძალული.

სკოლაში იმ სახლიდან დავიწყეთ სიარული. ლენა ბრწყინვალედ სწავლობდა. ერთხელ ავად იყო, იწვა. მამამ სტუდენტები რატომღაც შინ დაიბარა გამოსაცდელად. ლენას ესმოდა, რას ეკითხებოდა მამა მათ და რას პასუხობდნენ. როცა რომელიმე გაჩუმდებოდა, არ იცოდა, რა ეთქვა, ლენა კარნახობდა.

ყველაზე უმცროსი იყო და ყველას განსაკუთრებით გვიყვარდა. არ მახსოვს, ლექსი უბრალოდ წაეკითხა, თან აუცილებლად განასახიერებდა. ყველგან ყურადღების ცენტრში ექცეოდა.

საბალეტო სტუდიაში დადიოდა, დიდი წარმატება ჰქონდა. მას და კოტე მახარაძეს მიჰყავდათ „მაკნატუნა“. მამა პარტერში იჯდა და ყველას ეუბნებოდა, — ჩემია, ჩემი შვილიაო. ჯიბითაც მხოლოდ ლენას სურათს ატარებდა.

დიდედაჩემი, დედაჩემის დედა, მოესწრო ლენას მსახიობობას. მახსოვს, პირველ სპექტაკლზე წავიყვანეთ. ფეხსაცმელმა მოუჭირა, გაიხადა და შინ ფეხშიშველა დაბრუნდა.

ჩვენი ნათესავი ბაქოდან ჩამოვიდა. „ძუნწს“ დაესწრო. გვიამბობდა, სპექტაკლის ბოლო წუთამდე ველოდი, ლენა როდის გამოჩნდებოდა, თურმე მთავარ როლში არ ყოფილაო? ვერ იცნო!

ძალიან კეთილი იყო ჩემი და.

ლენა უკვე ავად იყო და ჩვენთან მაინც მოდიოდა. შუქი არ იყო, ფეხით ამოდიოდა მერვე სართულზე. აქედან ზურასთან წავიდოდა, იქაც ფეხით უხდებოდა ასვლა, ბოლოს, თავის სახლშიც ფეხით ადიოდა, მეხუთე სართულზე. დაგვირეკავდა — სამი მწვერვალი დავიპყარიო.

28 ივლისს უთქვამს ზურასთვის — მენატრებიანო. წაგვიყვანა მე და ჩემი და ნინა. ისევ ლამაზი თვალებით შემოგვხედა — გმადლობთო...

ძლიერი იყო, ხომ უჭირდა, თავისთან არავის ტოვებდა. არ უნდოდა, ვინმეს ავადმყოფი და სუსტი ენახა... ბავშვობის მეგობარი ნუნუ ებანოიძე დადიოდა მასთან... მხოლოდ ერთადერთხელ დატოვა ზურა ღამით თავისთან. ის იყო მისი ბოლო ღამე.

**გიგა ყიფშიძე, ძმა:** — ისეთი ხალისიანი იყო ლენა, ყველას გადაგვდებდა ხოლმე მხიარულებას. ჩვენი ოჯახის ნებიერი იყო. ჩვენი დიდედა — ბაბო კორინთელი, პირველი პროფესიონალური თეატრის მსახიობი იყო. მასაც განსაკუთრებით უყვარდა პატარა ლენა. ორჯერ მომიწია სასჯელის მოხდა. ერთხელ იმის გამო ვიჩხუბე რუსეთში, რომ ქართულად ვლაპარაკობდი და მომახალეს: „საბაჩი იაზიკო...“ მეორედ — ხრუშჩოვის პლაკატი დავხიე და გადამასახლეს. ჭაბუა ამირეჯიბთან ერთად ვიჯექი. იქაც კი ჩამომაკითხა ლენამ, მინახულა...

უსაზღვროდ უყვარდა ზურა. ალბათ გსმენიათ, თემურ ჩხეიძეს რომ სთხოვა, რეპეტიციიდან გამიშვიო. ვერ გაგიშვებ, არ შემიძლიაო. რამდენჯერმე უთხოვია, ყოველთვის უარი მიიღო თურმე. ბოლოს, გაგულისებულს უთქვამს: — პადუმაეშ, რეპეტიცია!.. დღეს ზურა ჩამოდისო.

ათი წელი სევასტოპოლის მთავარი არქიტექტორი ვიყავი. ომით დანგრეულ ქალაქს აღვადგენდით. იმ წლებში ვერ ვხედავდი ლენას. რომ ჩამოვედი, პროფესიონალი მსახიობი დამხვდა. არ ვიცი, როდის მუშაობდა როლზე, არც მინახავს. ისე, ერთხელ მიამბეს, თურმე მეზობლებს უთქვამთ, — წუხელ გვიან ღამით ლენას ვიღაც კაცი ჰყავდა შინო... აი, ჩემი კაციო, — განუცხადებია ლენას და უჩვენებია, როგორ მუშაობდა კარაპეტას როლზე. თურმე ისეთი ხმით ლაპარაკობდა, მეზობლებს მართლა კაცი ჰგონებიათ.

**ნინა ყიფშიძე, და:** — ლენაზე 7 წლით უფროსი ვარ, ხელით ვატარებდი. „პატარა დედას“ მეძახდნენ ხოლმე მეზობლები.

სტუდენტი იყო, ილიას „ოთარაანთ ქვრივიდან“ მონოლოგი უნდა წაეკითხა. კაბა არ ჰქონდა რომ ჩაეცვა... გავკადნიერდი და ჩემს მეგობარს, ქეთუნი მიქელაძეს ვთხოვე, იქნებ ერთი საღამო შენი კაბა ათხოვო-მეთქი. ათხოვა. როგორც კი ქეთომ მუშაობა დაიწყო, პირველი ხელფასით საკაბე უყიდა.

ზაფხულობით მსახიობებთან ერთად დადიოდა რაიონებში. ბრიგადებს ეძახდნენ მსახიობების ასეთ ჯგუფებს. მე და ქეთო ხშირად მივყვებოდით. როცა არ მივყვებოდით ხოლმე, ჩამოვიდოდა, აუცილებლად საჩუქრებს ჩამოგვიტანდა, ფულს დაგვიტოვებდა. ვეტყოდი: — ლენა, არ გვინდა ფული, რატომ მოგაქვს-მეთქი.

ახლა ნერვებს ნუ ამიშლითო, — ბრაზობდა. პროდუქტებსაც ამოგვილაგებდა — ჭამეთ, ცოტა გასუქდით, ნახეთ, რას ჰგავხართო. ყოველ კვირაში მოდიოდა ჩვენთან. გულღია და ხალისიანი მოყოლა იცოდა. ზურა გულჩათხრობილია, ასე არ გვიყვება ყველაფერს... ვეუბნებით, — ახლა შენ ჩვენთვის ლენაც ხარ და ზურაც, შენ უნდა გადაგვატანინო ულენაობა-თქო.

**ზურა ყიფშიძე:** — დედა მარტო იყო სულიერადაც და ფიზიკურადაც. დგება დრო და გაგრძნობინებენ — აღარ ხარ საჭიროო. ასეთი გრძნობა ტანჯავდა დედას. ვერ წარმოედგინა, თუ ოდესმე პენსიაზე გავიდოდა, ან როლს აღარ მისცემდნენ. ეს რომ განიცადა, იმიტომაც იყო მარტო. არასოდეს ლაპარაკობდა იმაზე, რაც ყველაზე მეტად სტკიოდა. არადა, მთელი ცხოვრება უჭირდა...

კონტაქტური და ხალისიანი იყო. ამ დროს რამდენს განიცდიდა. მისთვის ყველაზე მთავარი თეატრი და მე ვიყავით...

ჩემი მოსკოვში წასვლა, სწავლა, ყველაფერი — ლენასთან იყო დაკავშირებული.

დედა მიამიტი იყო, ყველაფერს ბავშვივით იღებდა, ბავშვივით სწყინდა. დროთა განმავლობაში მივხვდი, ეს თვისება მეც გამომყვა. მეც მიამიტი ვარ. მეც მჯერა, რომ ვიღაცის შველა შემიძლია. როცა საქმეს ვაკეთებ, მეც მიყვარს ყველაფრის გაღება. დაგვიფასებენ თუ არა, ეს არ არის ჩვენი საქმე.

მახსოვს, „მაია წყნეთელს“ დავესწარი. პატარა ვიყავი. რომ მკითხეს, რა მოგეწონაო, შევძახე: ორი ხმლითა, კაცო, ორი ხმლითა-მეთქი! მართლა საოცარი იყო დედა „მაია წყნეთელში“. ფარიკაობის დროს შემთხვევით დაჭრა კიდეც ბიჭიკო ამაღლობელი — ორი თითი ხელზე ახლაც გაფუჭებული აქვს.

ლენა უდიდეს პატივს სცემდა ვასო ყუშიტაშვილს, დოდო ალექსიძეს...

ეროსი გამორჩეულად უყვარდა. ის იყო მისი პირველი სიყვარული ინსტიტუტიდან. ქორწილიც კი გადაიხადეს. სამწუხაროდ, მათი თანაცხოვრება არ შედგა, ორივე რთული და მარტოსული იყო. პირად ცხოვრებაში არაფერი გამოუვიდათ. თეატრის ოჯახის წევრებად დარჩნენ.

თუკი დარდი დაეტყობოდა ლენას, ესე იგი, თეატრზე დარდობდა. პირად ცხოვრებაზე ტკივილს არ იმჩნევდა. ერთხელ გამოაცხადა, — მორჩა, მარტო ვარ და მარტო ვიქნებიო და აღარც უცდია რაიმე შეეცვალა.

„ძია ბალდასარში“ დედა მოახლეს თამაშობდა. სანდრო ჟორჟოლიანი ამბობდა: — ეს რა ხდება, გამოვდივარ, ჩემი სცენაა, ხალხი კი ლენაზე იცინისო...

გიორგი შავგულიძე ეძახდა ხოლმე: „ლენაია, ძმაო!“ მართლა ძმასავით უყვარდა.

1990 წელს ნატაშა ჩხიკვაძე ჩააცივდა, — შენი ბენეფისი უნდა გავმართოო. იმ საღამოს შეუსვენებლად ითამაშა რამდენიმე ნაწყვეტი. ისეთ განცდაში იყო, მეშინოდა, გული არ გაუჩერდეს-მეთქი.

ოპტიმისტი იყო. მეტყოდა: — რა არის, რანაირი ხარ, არაფერი შენ არ მოგწონსო.

— რა უნდა მომეწონოს, ერთი კარგი რამ მაინც მაჩვენე ამ ცხოვრებაში-მეთქი.

— მაგის თქმა როგორ შეიძლება, ადამიანებს როგორ უნდა დაუკარგო შრომა ან სიკეთე, კაცს გული არ უნდა ატკინოო.

როცა აზრს მეკითხებიან რამეზე, ყოველთვის სიმართლეს ვპასუხობ, მოსწონს თუ არა. დედაც ასეთი იყო, მაგრამ მე სულ შენიშვნას მაძლევდა: — გაუფრთხილდი, კაცს ნუ მიახლი, თუ არ მოგწონს, ეწყინებაო.

ერთი რელიკვია ჰქონდა — დედის ნაქონი ბროში, გაქურდეს და წაიღეს. ძალიან დარდობდა მის დაკარგვას.

თვალის ოპერაცია გავუკეთეთ. კითხვა გაუჭირდა. კინაღამ გაგიჟდა. უწიგნოდ წუთითაც ვერ ძლებდა. ბებიაჩემი ღრმად მოხუცი იყო, რომ თქვა: დიკენსი მინდა გადავიკითხოო. არადა ვინ იცის, რამდენჯერ ჰქონდა წაკითხული. წინაპრების გენი მასში მძლავრად იყო. დიდი პაპა გრიგოლი, პაპაჩემი ვასილი — წიგნის უსაზღვროდ მოყვარულნი იყვნენ. მე სად ვარ ისეთი... უნივერსიტეტს რომ დასჭირდა, უყოყმანოდ შესწირეს მიწა. მიწა კი არა, სიცოცხლეს შესწირავდნენ, ისეთები იყვნენ. ლენა მათი შთამომავალი იყო...

სერგო ფარაჯანოვი მიღებდა ფილმში. თბილისში თვითმფრინავის ბიჭების ტრაგედია რომ მოხდა, დავითგარეჯში ვიყავით. სასწრაფოდ წამოვედი. მაშინ ვნახე, როგორი იქნებოდა დედაჩემი, მე რომ დავღუპულიყავი.

საოცრად გრძნობდა ჩემს მდგომარეობას. სტუდენტობაში მოსკოვში ჩამომაკითხა. დილით გამოვაცილე თვითმფრინავზე. ჩამოვიდა თბილისში. სიზმარი ნახა, თითქოს რაღაც მიჭირდა. მაშინვე გამოფრინდა. სიცხიანი დავხვდი. იგივე მომივიდა მეც ჩემს ქალიშვილთან დაკავშირებით. „ნეილონის ნაძვის ხეს“ ვიღებდით გორში, რომ ვიგრძენი, რაღაც მოხდა და წამოვედი თბილისში. ელენე დამხვდა მოწამლული. ძლივს გადავარჩინეთ. ამაშიც დედას ვგავარ.

ცუდად რომ იყო, თავისთან არავის უშვებდა. ბოლო ღამით მხოლოდ მე დამტოვა. მძიმედ სუნთქავდა, პულსს ვუსინჯავდი. მერე ერთი ამოისუნთქა და გათავდა... ეს ყოფილა სიკვდილი. რატომღაც საათს შევხედე (საერთოდ არ ვუყურებ საათს) ოთხის ნახევარი იყო. კედელს მივაწერე: 3.30 — ვსიო (რუს)... ლენას კარგი მეზობლები ჰყავდა, ყურადღებიანი, თბილი, მაგრამ ღამით ვერ შევაწუხე. 4 საათი მარტო ვიყავით მე და დედა. ყველაფერი ვუთხარი, რისი თქმაც მინდოდა, ბოდიში მოვუხადე. მერე მის ნაცვლად მოვუხადე ბოდიში იქ, ზემოთ უზენაესს... 6 საათისთვის დაღლა ვიგრძენი. გვერდით მივუწექი დედას. საათ-ნახევარი ვიყავით ასე, ჩუმად. დილით მეზობლებს დავუძახე, მისაყვედურეს, რატომ არ გაგვაღვიძეო...

ეს იყო ყველაზე უცნაური ღამე ჩემს ცხოვრებაში...

***ლელა ჯიყაშვილი***


OSCE

ეუთო-ს მისია საქართველოში აცხადებს
**ტენდერს**

**სოფელ სნოში საბავშვო ბაღის**
შეკეთებაზე

პროექტი ითვალისწინებს სოფელ სნოში საბავშვო ბაღის შეკეთებასა და სამშენებლო სამუშაოების შესრულებას.

სამუშაოებში შედის:

- ფანჯრების, კარებების, საძირკვლის, კედლებისა და ჭერის მშენებლობა-შეკეთება და სხვა მცირე ზომის სამუშაოების შესრულება;
- გაზგაყვანილობისა და ელექტროსისტემის შეკეთება და ნაწილების საჭიროებისამებრ შეცვლა.

ტენდერში მონაწილეობისათვის მოწოდებულ უნდა იქნეს თქვენი დაინტერესების წერილი, რომლის შემდგომ საშუალება მოგეცემათ, გაეცნოთ სამუშაოების ჩასატარებელ ადგილს, რისთვისაც დამატებით გეცნობებათ თარიღი.

ტენდერში მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ ყველა საჭირო სახელმწიფო ლიცენზია და დოკუმენტაცია.
ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულმა კომპანიებმა დაინტერესების წერილი უნდა გამოაგზავნონ
ელექტრონულ საფოსტო მისამართზე adolf.turek@osce.org 2004 წლის 27 აგვისტოს დღის 12:00 საათამდე.

# მამულ-დედული

## რით შევმოვლოთ ნაკვეთები ანუ მოსავლიანი ღობეები

„კაცი კაცითაო და ღობე ქაცვითაო“, გვამოძღვრავს ქართული ანდაზა... ალბათ ყველას გინახავთ ველურად მზარდი ქაცვი, თან გვიან შემოდგომით, როცა ნაცრისფერ ფოთლებში, ოქროსფერი, მძივივით ასხმული ნაყოფი ელვარებს...

ქაცვი ვიტამინებით უმდიდრესი კულტურაა. მისი ნაყოფი შეიცავს: A, $B_1$, $B_2$, $B_6$, C და E ვიტამინებს, აგრეთვე ცხიმოვან ზეთს, რომელიც ნივთიერებათა ცვლას არეგულირებს.

ქაცვის ზეთი გამოიყენება დამწვრობის, მოყინულობის, ეგზემის, ჭრილობების, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ.

საჭმელად გამოიყენება როგორც ნედლი, ისე მურაბის, ჟელეს სახით და შაქრით დაკონსერვებული. მისგანვე მზადდება ათასგვარი ალკოჰოლური ნაყენი და ე.წ. ქაცვის „ღვინოც“.

ფოთლები შეიცავს 10%-მდე მთრიმლავ ნივთიერებას, რაც გამოიყენება ტყავის წარმოებაში. მერქანი მკვრივია და ხმარობენ წვრილმანი ნაკეთობების დასამზადებლად.

კარგად მრავლდება თესლით, კალმით, გადაწვენით და ამონაყრით.

მგონი ღირს ამ ძვირფასი ჯიშის მცენარით ეზოს შემოღობვა. გარდა იმისა, რომ მოსავლიანი კულტურაა, ქაცვის ღობეში, როგორც იტყვიან, ეშმაკიც ვერ გაძვრება.

ასევე ძვირფასი საღობე კულტურებია ასკილი და მაყვალი, რომელთა ნაყოფის გარდა, სამკურნალოდ გამოიყენება: ფოთლები, ყვავილები და ფესვებიც კი. ამ კულტურების შესახებ მასალებს შემდეგ ნომრებში შემოგთავაზებთ.

P.S. ქაცვის ნერგის, თესლის, კალმისა და ამონაყრების შეგროვება შეგიძლიათ მდ. ივრის ხეობაში, მთელ სიგრძეზე, გლდანულას და მდ. ვერეს ხეობაში. საუკეთესო ადგილი მაინც ივრის ხეობაა, სადაც დიდი რაოდენობით ქაცვი ხარობს.



## წავი

ეს ძვირფასბეწვიანი ცხოველი, საქართველოში თითზე ჩამოსათვლელი თუ იქნება დარჩენილი. ბინადრობდა მთელ საქართველოში, როგორც მთიან, ისე ბარის რაიონებში. კვერნისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. სხეულის სიგრძე 75 სმ-ს აღწევს, კუდისა — 50 სმ-ს, წონა 10 კგ-მდე. ზურგის მხარე მუქი ყავისფერი აქვს, მუცლის მხარეზე მოვერცხლისფრო-თეთრია. მისი ლამაზი ბეწვი წყლით არ სველდება.

წავი სოროში შესასვლელს წყლის დონის ქვემოთ იკეთებს, საცხოვრებელი კი ისეა მოწყობილი, რომ არასოდეს იტბორება.



კარგად განვითარებული ყნოსვის, მხედველობისა და სმენის გამო ადვილად შოულობს საკვებს. იკვებება თევზებით, ამფიბიებით, კიბოსნაირებით, ჭიებით, მღრღნელებით, წყალმცურავი ფრინველებით და მათი კვერცხებით.

როცა მდინარე დიდი ხნით იყინება, წავი გადადის სხვა ადგილებში, სადაც გაუყინავი წყალსატევებია.

მძუნაობს თებერვალ-მარტში. მაკეობის ხანგრძლივობა 63 დღეა. შობს 2-4 უსუსურ, თვალაუხელელ ნაშიერს, რომელთაც თვალები 8-10 დღის შემდეგ ეხილებათ. სწრაფად იზრდებიან და 6 თვის ასაკში დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ.

სამი წლის ასაკიდან მრავლდებიან. ცოცხლობენ 20 წელიწადს.

გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში.

## მოზაიკა

* * *

*წავები ისე მოხერხებულად და ადვილად იჭერენ თევზებს, რომ ამაში დიდი დრო არ ეხარჯებათ. სამაგიეროდ, ამ დროს ხელგაშლილად ხარჯავენ თამაშებზე. ძალიან ლამაზად, ელეგანტურად დასრიალებენ ყინულზე. ისე როგორც ბავშვები, გაქანდებიან და გასრიალდებიან. ასევე თვითონ იწყობენ საზაფხულო სასრიალოს მდინარეთა თიხიან სანაპიროებზე. თიხიან ზედაპირს ჯერ კარგად გაწმენდენ ქვების, ხავსის, ფესვებისა და სხვა წინაღობებისგან, შემდეგ სველი მუცლის შეხებით თიხას აპრიალებენ და სასრიალოც მზად არის. მეცნიერები გაკვირვებულნი არიან წავების ასეთი მიხვედრილობით.*

* * *

*სპილო ცოცხლობს დაახლოებით 100 წლამდე და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ 6 შვილს შობს.*

* * *

*1900 წელს ბელგიაში ნახეს ჭრიჭინების გროვა, რომლის სიგრძე 170, ხოლო სიგანე 100 მეტრი იყო.*

* * *

*ერთ წყვილ ბეღურას 10 წელიწადში შეუძლია მოგვცეს 250 მილიონი ნამრავლი.*

## ცვილი ანუ სანთელი



ცვილს ფუტკარი გამოიმუშავებს სასანთლე ჯირკვლებით, რომლებიც განლაგებულია მუცლის ქვედა ნაწილში. დედა და მამალ ფუტკარს სასანთლე ჯირკვლები არ გააჩნიათ და ამიტომ ვერც სანთელს გამოყოფენ. სანთელს მხოლოდ ახალგაზრდა (მუშა) ფუტკრები გამოიმუშავებენ.

სანთელი რთული ნაერთია, მის შემადგენლობაში შედის 15 სხვადასხვა სახის ნივთიერება, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც ქიმიური, ასევე ფიზიკური თვისებებით. მის შემადგენლობაში არის მჟავები, რთული ეთერები და ნახშირწყალბადი. სანთელში ნახშირბადი 80%-მდეა, წყალბადი — 15%, ჟანგბადი — 7%. მასში შედის აგრეთვე საღებავი ნივთიერებანი და ზოგიერთი ეთეროვანი ზეთიც.

ცვილი შეიძლება იყოს თეთრი, ყვითელი, ნაცრისფერი და მოშავო. აქედან საუკეთესოა თეთრი. კარგი ღალიანობის პირობებში ფუტკრის ძლიერი ოჯახი იძლევა 0,8-1,2 კგ ცვილს. ცვილს ყოველთვის ფართოდ იყენებენ მედიცინაში, მეღვინეობაში, ბაღის მალამოს დასამზადებლად (რომელსაც ჭრილობებზე უსვამენ), სპირტიანი სასმელების ხარისხის შესამოწმებლად — მაღალხარისხიან არაყში მრგვალი ცვილის ბურთულა სწრაფად იძირება, უხარისხოში კი ზემოთ ტივტივებს. ცვილს იყენებენ სანთლის და საღებავის დასამზადებლად, ქიმიურ მრეწველობაში, გემთმშენებლობაში, კოსმეტიკაში და სხვა.

ამერიკის შერთებულ შტატებში მზადდება თაფლის სანთლიანი ვიტამინიზებული კანფეტი, რომელიც გამოიყენება ნერწყვის და კუჭის წვენის გამოყოფის გასააქტიურებლად, კბილებზე ქვებისა და ნალექების მოსაცილებლად.

## ბროწეული



თუ დღემდე თქვენს ნაკვეთს ეს ძვირფასი კულტურა არ ამშვენებს, ამ შემოდგომით მაინც შემატეთ და სრულყოფილი გახადეთ თქვენი მამული. გინახავთ აყვავებული ან მსხმოიარე ბროწეულის ხე? — უფრო მშვენიერს და დეკორატიულს ვერაფერს შესძენთ თქვენს კარმიდამოს. ხასხასა მწვანე ფოთლებში წითლად მოელვარე ყვავილებით შემკობილი და შინდისფერი, მსხვილი ნაყოფით დახუნძლული ბროწეულის ხე, მორთულ პატარძალს ჰგავს. ნაყოფი 63%-მდე წვენს შეიცავს, რომლის შემადგენლობაშიც 4,5-19,2% შაქრებია, 0,2-9% ლიმონისა და ვაშლის მჟავები, 14მ% ვიტამინი C. გამოიყენება როგორც ნატურალური სახით, ისე დასაკონსერვებლად (წვენის სახით). მისგან აყენებენ ალკოჰოლურ სასმელს, ბროწეულის ღვინოს და ადუღებენ უძვირფასეს საწებელს, მაშარაბს. ქერქი შეიცავს 28% მთრიმლავ ნივთიერებას, რომელსაც იყენებენ ტყავის დასამუშავებლად და საღებავად. სხვადასხვა ქსოვილის საღებავად გამოიყენება ბროწეულის ჩამოცვენილი ყვავილებიც.

მედიცინაში გამოიყენება: ბროწეულის წვენი ყელის ტკივილის დროს, ყვავილების ნახარში — კუჭის აშლილობისას. ქერქის ნახარშს ხმარობენ — დამწვრობის, ანთებების სამკურნალოდ და კუჭის შემკვრელად. ფესვისა და ღეროს ქერქის ნახარში ერთ-ერთი უძვირფასესი საშუალებაა მუცლის ყოველგვარი პარაზიტის მოსაცილებლად, ოღონდ, მისი ხმარება მკაცრად განსაზღვრული დოზებით უნდა მოხდეს.

თუ ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები გაკმაყოფილებთ, ეცადეთ ყოველწლიურად ბროწეულის კალმები ან ამონაყრები 1-2 ძირი მაინც დარგოთ.

კალმები ადვილად ფესვიანდება, ოღონდ ერთწლიანები უნდა აჭრათ შემოდგომით, შეინახოთ გრილ სარდაფში მოთავსებულ ქვიშიან ყუთებში და გაზაფხულზე დარგოთ. მშვენივრად ფესვიანდება ადრე გაზაფხულზე აჭრილი და პირდაპირ დასაფესვიანებლად დარგული კალმებიც.

ამობარეთ 1 ბარის პირზე კვალი, ჩააწყეთ შიგ კალმები დახრილად, დააყარეთ მიწა, კარგად მიუტკეპნეთ და მორწყეთ. თუ ფესვიანს იშოვით, შეგიძლიათ ამ შემოდგომითაც დარგოთ მუდმივ ადგილზე. ძალიან კარგად ფესვიანდება ამონაყრები გადაწვენით.

## ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

### კოლორადოს ხოჭო



**— ამ ოცი წლის წინ, ჩვენს სკოლაში, სოფელ გომარეთში აგრონომი მოვიდა და დირექტორს სთხოვა, მოსწავლეები დამახმარეთ, თორემ კარტოფილის ნათესი სულ განადგურდებაო. ვხედავთ, ნათესის დიდი ნაწილი რაღაცას სულ „მოუძოვია“, მხოლოდ ღეროები იყო დარჩენილი. ბავშვებს მოზრდილი, ფერადი ხოჭოების აკრეფა დაგვავალეს, რომელთაც ქილებში ვაგროვებდით. მერე ერთად მოაგროვეს, ნავთი გადაასხეს და დაწვეს. დღეს როგორ იშორებენ ამ ძალზე საშიშ მავნებელს?**

***კ.მჭედლიძე, სოფელი გომარეთი***

— კოლორადოს ხოჭო რომ ამერიკული წარმოშობისაა, ეს მისი სახელწოდებიდანაც ჩანს. კარტოფილის, პამიდვრის, ბადრიჯნის, წიწაკის, თამბაქოს ეს დაუძინებელი მტერი, მთელ მსოფლიოშია მოდებული და რომ არა სრულფასოვანი აგროტექნიკური ღონისძიებები, გვარიან ზარალს ვნახავდით.

როგორც კი ეს მავნებელი თქვენს ნაკვეთში გამოჩნდება, პირველ რიგში მოიმარჯვეთ ჭურჭელი, რომელშიც ნავთი ან მარილის კონცენტრირებული წყალხსნარია ჩასხმული. შეაგროვეთ ხოჭოები და ჩაყარეთ, შემდეგ დაწვით, ხოლო პლანტაცია აუცილებლად შეწამლეთ ქლოროფოსით, დილორით ან კარატეთი. ხმარების წესი პრეპარატებს თან ახლავს.

### როგორ გავახარო კედარი?

**— გადაჭრილ ლიტრანახევრიან პლასტმასის ბოთლებში სექტემბერში ჩავყარე მიწა და ჩავთესე კედრის კაკალი, სულ 10 ცალი. პირველი კედარი აპრილში ამოვიდა, მაგრამ 5 დღეში გაშავდა და ჭკნობა დაიწყო. მეორე ივნისის ბოლოს და მანაც 10 დღეში დაიწყო გაშავება. ზოგიერთი ამოვიდა და უცბად დალპა. მიწით სავსე ბოთლები, სადაც კედარი მითესია, აივანზე დგას. მზე მთელი დღის განმავლობაში ასხივებს, საღამოობით ვრწყავ. არ ვიცი, რისი ბრალია, რომ ვერც ერთი კედარი ვერ გავახარე.**

**გთხოვთ მიპასუხოთ, როგორ გავახარო კედარი ოთახის პირობებში?**

***მამუკა ინჯია, თბილისი***

— ნებისმიერი თესლის ჩათესვა ჯობია ხის ან თიხის ქოთანში, რომელიც ყვავილებისთვის არის გათვალისწინებული. პოლიეთილენის ჭურჭელშიც შეიძლება ჩათესვა, ოღონდ აუცილებლად უნდა გაუხვრიტოთ ძირი და მიწის ჩაყრამდე ნახვრეტზე კენჭი ან კრამიტის ნატეხი დააფაროთ.

## მკითხველის ფოტო



სამტრედიაში ტყუპი ხბო დაიბადა...

*გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ*

### რედაქციისაგან:

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.

გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).

წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.

# სკანვორდი ფრაგმენტებით









1 დიდი შალაშინი
2 ლატვიის ფულის ერთეული
3 პორტუგალიის კუნძული
4 შხამიანი ბუზი
5 სვანური ხალხური სიმღერა
6 ერთგვარი კანფეტი
7 ჭკუის სწავლება
8 დიდი ხვლიკი
9 ფრანგ მეფეთა სახელი
10 საგნების გარკვეული ჯგუფის ფორმა
11 აშშ-ის შტატი
12 სამშობლოს სევდა
13 წაჭრილი ტოტის ძირი
14 ფრანგული ღვინო
15 დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო
16 საზეიმო წვეულება, დარბაზობა
17 გადამდნარი კარაქი
18 იტალიის ტელევიზია
19 წისქვილის ქვა
20 ამომავალი მზის ქვეყანა
21 ქათმების ოჯახის გარეული ფრინველი
22 ქიმიური ელემენტი
23 იუგოსლავიელი დიქტატორი
24 ბატკნის მოგების დრო
25 რისამე წვალებით კეთება
26 ესპანელი ფერმწერი
27 იტალიელი კინორეჟისორი
28 სასწორის თეფში
29 ყველასათვის სავალდებულო წესი
30 ქარისგან მოტანილი ქვიშის ბორცვი
31 ხელმოკლე
32 ტექსტის შეწყვეტილი სტრიქონი
33 რბილი ხაოიანი ქსოვილი
34 სპეციალური სამუშაო ტანსაცმელი
35 ... პიტი
36 ცივი იარაღი
37 ერთ-ერთი ძვალი
38 ძაღლებ-შებმული მარხილი
39 ფსიქიკური აშლილობის ერთ-ერთი ფორმა
40 ხასიათი
41 დაპყრობითი ომის გამჩაღებელი ქვეყანა
42 ლაღიძის ოპერა
43 სახელმწიფო აფრიკაში
44 რთული ხერხი ხელით მუშაობისას
45 წარწერიანი ქვის ფილა
46 ორსული პირუტყვი
47 ოთახი მატარებლის ვაგონში
48 ყარყატის სახეობა
49 წერილობითი თხოვნა
50 კუზიანი ხარი
51 ვაზის ნასხლავი
52 ქალაქი საფრანგეთში
53 ციტრუსი
54 მინირესტორანი
55 ვულკანი სიცილიაზე
56 ცხოველთა სამყარო
57 ავტომობილის კორპუსი
58 ავღანეთის დედაქალაქი
59 გოძიაშვილი ...
60 ჟირაფის იშვიათი სახეობა
61 მხედველობის ორგანო
62 ხის ფეხსაცმელი
63 გამარჯვების ქალღმერთი ბერძნ. მით
64 ნადირობა აფრიკაში
65 კოვბოის ქამანდი
66 6-8-ნიჩბიანი მსუბუქი ნავი
67 ტელეფონის გამომგონებელი
68 სამეფო კვერთხი
69 3,141
70 ძვირფასი ქვა

**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. გოდოლი; 2. კორონაცია; 3. ლიბერალი; 4. მადა; 5. დეკალოგი; 6. კორიდორი; 7. ტირე; 8. მარალი; 9. ტაიგა; 10. გამაში; 11. კირხე; 12. კუპე; 13. ბაცილა; 14. სეიფი; 15. აული; 16. ლაფი; 17. ფიცი; 18. ტუბა; 19. კუ; 20. ოფელია; 21. მანტია; 22. ლაიკა; 23. მოლოხი; 24. იენა; 25. სიტი; 26. იბერია; 27. ილიონი; 28. ნეპალი; 29. ლიანა; 30. ბასმა; 31. რაუტი; 32. აპისი; 33. ბანანი; 34. აკა; 35. სტატია; 36. იმერეთი; 37. ბოსნია; 38. ილია; 39. მიმინო; 40. იგი; 41. აქტი; 42. არიეტა; 43. მენი; 44. ლოტი; 45. მადაგასკარი; 46. ემი; 47. იმამი; 48. მელია; 49. მონა; 50. აგორა; 51. იაიკი; 52. დალალი; 53. გეტა; 54. სურამი; 55. სკამი; 56. ალადინი; 57. თია; 58. მორალი; 59. მათარა; 60. ბაიტი; 61. ინიციალი; 62. კაკაო.
1. უცხოპლანეტელი; 2. დიდი გასეირნება; 3. სამი მეგობარი; 4. ლაბირინთი.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნომერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა ვანო კაჟახიძე

CMYK

# ალექსანდრე ბერიძის ტრიუმფი ნიუ-პალსში

## — „კამპანელა“ რომ დავუკარი, უკარება კორეელმა გოგონებმა „ალყაში“ მომაქციეს...



*ფესტივალს „საფორტეპიანო ზაფხული-2004“ („Piano Summer“) ჰქვია და ტრადიციულად იმართება ნიუ-პალსში (ნიუ-იორკი). წლევანდელ, რიგით მე-9 საერთაშორისო კონკურსში მსოფლიოს 50-ზე მეტ საუკეთესო ახალგაზრდა პიანისტთა შორის თბილისელმა 24 წლის ალექსანდრე ბერიძემ გაიმარჯვა.*

*ალეკო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის და უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ასპირანტია, დროდადრო „კვირის პალიტრაშიც“ აქვეყნებს საინტერესო სტატიებს ქართველ და უცხოელ მუსიკოსთა შესახებ.*

*ამჯერად საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი იმ ერთი გასაოცარი მუსიკალური ზაფხულის შესახებ მოგვითხრობს, ამერიკის შეერთებულ შტატებში რომ გაატარა.*

**— ალეკო, როგორ მოხვდი ამ ფესტივალზე?**

— კონსერვატორიაში ხშირად მისმენდა პროფესორი ივეტა ბახტაძე, ამერიკაში მოღვაწე ცნობილი პიანისტის, ეთერ ანჯაფარიძის დედა. მისი რეკომენდაციით მიმიწვია ქალბატონმა ეთერმა. სამწუხაროდ, ჩემი ამერიკაში ყოფნა დაემთხვა იმ პერიოდს, როცა ამქვეყნიდან წავიდა ჩემი საყვარელი რედაქტორი, ქალბატონი ლალი გუნთაიშვილი. ქალბატონი ლალი საოცარი სითბოთი მხვდებოდა, ხშირად თვითონ მირჩევდა საგაზეთო თემებს. მუსიკაზე პროფესიონალებმა უნდა წერონო, — მეტყოდა. ყოველთვის უხაროდა, როცა მუსიკალურ კონკურსებში ვიმარჯვებდი. ზოგჯერ არც ვიცოდი, ისე ვნახავდი ხოლმე გაზეთში მოლოცვას...



ვლადიმირ ფელცმანთან ერთად

**— როგორც ვიცი, ამ ფესტივალის ხარჯებს მისი მონაწილეები ანაზღაურებენ.**

— სრული, 4-კვირიანი პროგრამა 3 ათასი დოლარი ღირს. თუ მოგიწონეს, ფესტივალის ორგანიზატორები თავად გინიშნავენ სტიპენდიას. ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა. ეთერ ანჯაფარიძის სტიპენდია დამენიშნა მისი მეგობარი მეცენატების, მარინა (იგი ქართველია) და ჯიმ მიტჩელების ხელშეწყობით. თუმცა, გამგზავრების ხარჯების მოძიება მაინც დამჭირდა...

**— რას მოიცავდა ფესტივალი?**

— ეს იყო ყოველდღიური მასტერ-კლასები კონკურსის ორგანიზატორებთან, მსოფლიოს ისეთ უდიდეს ავტორიტეტებთან, როგორებიც არიან ვლადიმირ ფელცმანი, ალექსანდრ სლობოდიანიკი, პოლ ოსტროვსკი, რობერტ ჰამილტონი, ფილიპ კევინი და ეთერ ანჯაფარიძე. ასევე კორეიდან ჰყავდათ მოწვეული პროფესორი ჩანგი.

**— კონკურსზე რომელი ნაწარმოებები შეასრულე?**

— კონკურსამდე მონაწილეთა შორის პოპულარული გავხდი „კამპანელათი“. მას შეიძლება ითქვას, სამი ავტორი ჰყავს — პაგანინი-ლისტი-ბუზონი. თავდაპირველად „კამპანელა“ პაგანინის სავიოლინო კონცერტის ნაწილი იყო, ლისტს იმდენად მოეწონა, მისი საფორტეპიანო ვარიანტი შექმნა, ხოლო ბუზონიმ კიდევ უფრო განავრცო და საკონცერტო ელფერი შესძინა... როცა „კამპანელას“ ვუკრავდი, ყოველთვის ბისზე მიძახებდნენ. უშუალოდ კონკურსზე შევასრულე ბახის „პრელუდია და ფუგა“, რაველის „სკარბო“ და ბოლოს, ლისტის №1 საფორტეპიანო კონცერტი. იგი ორკესტრთან ერთად სრულდება, მაგრამ კონკურსზე არ იყო ორკესტრი, ამიტომ მეორე როიალზე აკომპანემენტი თვით ეთერ ანჯაფარიძემ გამიწია (დიდი მაესტროს, მომღერალ ზურაბ ანჯაფარიძის ქალიშვილი ამერიკაში ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსების ნამდვილი ქომაგია).




**— როდის მიხვდი, რომ გაიმარჯვებდი?**

— როცა ჟიურიმ შედეგები გამოაცხადა... თუმცა, სამეულში მოხვედრის იმედი ყოველთვის მქონდა...

**— მთავარი პრიზი რა იყო?**

— ეს გახლდათ დასკვნითი კონცერტი, რომელზეც მხოლოდ მე გამოვდიოდი ჰუძონის სახელგანთქმულ ფილარმონიულ ორკესტრთან ერთად, ვლადიმირ ფელცმანის დირიჟორობით. როგორც ჩანს, მსმენელს მართლა მოვაწონე თავი, სცენაზე ოთხჯერ გამომიძახეს... იმასაც გეტყვით, რომ ბილეთი 40 დოლარი ღირდა და ორი კვირით ადრე სრული ანშლაგი იყო...

**— ფულადი ჯილდო არ მიგიღია?**

— ის აღიარება, რაც ამ ფესტივალზე გამარჯვებას მოაქვს, ბევრად მეტია, ვიდრე ფულადი ჯილდო. თუნდაც ის რად ღირს, რომ გაისად, მე-10 საიუბილეო ფესტივალზე სოლო კონცერტით ვარ მიწვეული. გარდა ამისა, როგორც „Piano Summer“-ის გამარჯვებულს, წინასწარი შესარჩევი ტურების გარეშე უფლება მაქვს მონაწილეობა მივიღო ნებისმიერ საერთაშორისო კონკურსზე. სულ უბრალოდ, პირდაპირ შემიძლია ჩავიდე და დავუკრა!

**— კონკურსანტებს რით მოაწონე თავი?**

— მათ შორის ბევრი იყო კორეელი გოგონა. ძალიან უკარებები ჩანდნენ, ცალკე დადიოდნენ... მაგრამ „კამპანელა“ რომ დავუკარი, ჯერ ხომ მკლავები დაიწყვიტეს ტაშის კვრით, კონცერტის შემდეგ კი ამ უკარება გოგონებმა „ალყაში“ მომაქციეს, ჩვენთან ფოტო გადაიღეო. მეც ორ მათგანს სიამოვნებით გავუკეთე ხელკავი და ფოტოაპარატმაც გაიჩხაკუნა. ვხედავ, განცვიფრებული მიყურებს კორეელი პროფესორი ჩანგი. თურმე „სასწაული“ ყოფილა კორეელ გოგონებთან ასე ახლოს ყოფნა (მით უმეტეს, ხელკავი). იღბლიანი კაცი ყოფილხარ, შენი ნამდვილად მშურსო, — რომ მითხრა სახელგანთქმულმა პროფესორმა, ყურს არ დავუჯერე...

**— ისეთი ამბები გადაგხდენია ამ ერთ თვეში, მგონი შეყვარებულიც ხარ...**

— არა, არა, ამის დრო ნამდვილად არ მქონია (იცინის)...

**— ამერიკა როგორ შეგხვდა ახალგაზრდა პიანისტს?**

— ეს იყო ჩემი პირველი გასვლა საქართველოდან საზღვარგარეთ. მოსკოვშიც კი არ ვყოფილვარ... არც თვითმფრინავში ვმჯდარვარ მანამდე... და ამ დროს, 16-საათიანი მომქანცველი ფრენის შემდეგ, ნიუ-იორკის აეროპორტში მხვდება ცინცხალი, შავი „ლინკოლნი“... მერე იყო ექსკურსია ნიუ-იორკში. მეღირსა! ვნახე კარნეგი ჰოლი — გრანდიოზული საკონცერტო დარბაზი. სეზონის დახურვის აფიშას „მივუსწარი“ — მარტა არგერიხი უკრავდა!

**— როგორ აფასებ, შენთვის რამდენი წლის შემდგომი პერსპექტივაა კარნეგი ჰოლი?**

— ამაზე ჯერ ფიქრიც ნაადრევია. ეს არის მართლა ტიტანების და გენიოსების დარბაზი... ამისთვის წლები და კოლოსალური მუშაობაა საჭირო...

**— კონკურსზე ბევრს დაუმეგობრდი?**

— თითქმის ყველას. ამიერიდან ერთმანეთს ხშირად დავუკავშირდებით ელექტრონული ფოსტით. სხვათა შორის, როცა ვმეცადინეობდით და კონკურსანტები შეცდომებს უშვებდნენ, ვერ ვითმენდი (ასეთი ხასიათი მაქვს) და ვუსწორებდი ხოლმე. მერე მთხოვდნენ, იქნებ გვამეცადინოთო და მეც უარს ვერ ვეუბნებოდი. „ჯულიარდის“ და „მენესის“ პრესტიჟული მუსიკალური სკოლის წარმომადგენლებმა თბილისის კონსერვატორიაში სწავლის სურვილი გამოთქვეს, ძლიერი სკოლა ყოფილა საქართველოშიო. ერთ-ერთი მონაწილის დედამ (როგორც ჩანს, საკმაოდ გავლენიანმა პიროვნებამ) გაისისთვის ქალაქ კლივლენდში მიმიწვია მასტერ-კლასებისა და კონცერტების ჩასატარებლად.

**— ჟიურის თავმჯდომარე ალბათ სიმკაცრით გამოირჩეოდა.**

— მასტერ-კლასებზე რამდენიმე გოგომ იტირა, ვერ გაუძლეს ფელცმანისეულ დაძაბულ რეჟიმს. მე რატომღაც თავიდანვე ავუღე ალღო. თვითონაც კოლეგიალურად მიმიღო, კონცერტზე მიდირიჟორა... იმდენად კომფორტული იყო მასთან მუშაობა, რომ სრული თავისუფლება ვიგრძენი. კონცერტში არის ისეთი მომენტები, როცა დირიჟორმა უნდა მართოს ორკესტრი, პიანისტი ამას ვერ შეძლებს... რომ ვუთხარი, ორკესტრთან მეორედ ვუკრავ-მეთქი, გაგიჟდა კაცი. თბილისში ძვირი სიამოვნებაა ორკესტრთან მუშაობა.

**— როგორც ვიცი, ქალბატონმა ეთერ ანჯაფარიძემ ჩიკაგოში სწავლა შემოგთავაზა...**

— ეს იქნება ორი წლის შემდეგ, როცა ასპირანტურას დავამთავრებ. მე და ქალბატონი ეთერი, შეიძლება ითქვას, დავმეგობრდით.

**— რაიმე უჩვეულო ამბავი ხომ არ მოხდა ფესტივალზე?**

— მოხდა და ძალზე უჩვეულოც. ყოველ ოთახში, სადაც კონკურსანტები ვცხოვრობდით, ელექტროჩამრთველის გვერდით დამონტაჟებული იყო სახანძრო სიგნალიზაცია (ამის შესახებ თავიდანვე გაგვაფრთხილეს), რომელსაც თუ ჩართავდი, ვერაფრით გათიშავდი. ერთი ავსტრალიელი გოგონა საღამოთი შესულა ოთახში და შემთხვევით ელექტროლილაკის ნაცვლად ხელი სახანძროზე დაუჭერია. ატყდა, მაგრამ რა ატყდა! რამდენიმე წუთში მთელი შენობა დაიცალა. ყველანი გარეთ გამოვცვივდით, ვიღას ახსოვდა ძვირფასი როიალები... პოლიციის მანქანებიც მაშინვე გაჩნდა. არადა, ასეთი კანონი ყოფილა, ცრუ სიგნალის „ავტორი“ მკაცრად ისჯება — რამდენიმე დღით ციხეში სვამენ(!). ტირის საცოდავად ავსტრალიელი გოგონა, შემთხვევით მომიხვდა ხელიო, იძახის, მაგრამ ვინ უჯერებს! ამოუდგა აქეთ-იქიდან ორი პოლიციელი... ისევ ქალბატონი ეთერ ანჯაფარიძე ჩადგა შუაში და გადაარჩინა...



— ფესტივალზე სიყვარულის დრო ნამდვილად არ მქონია... (სუზან ზაკთან ერთად)

P.S. *ახალგაზრდა პიანისტი ალექსანდრე ბერიძე ახალ საკონცერტო პროგრამას ამზადებს. შემოდგომაზე, კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში უნდა დაუკრას. და ამის პარალელურად, ბინის პრობლემაზე დარბის. სამწუხაროდ, მის ოჯახს არასდროს ჰქონია საკუთარი ჭერი. თითქმის ყველა ინსტანციაში ვიყავით, მაგრამ ვერაფერს მივაღწიეთ დაპირებების გარდაო. იქნებ რაღაც დახმარება მაინც გაგვიწიონ, ან სესხი გამოგვიყონო...*

*კომენტარისგან თავს ვიკავებთ.*

**ელენე სალარიძე**

31 აგვისტოდან
უძრავი ქონების სეზონი იწყება
უძრავი ქონება
REAL ESTATE
НЕДВИЖИМОСТЬ
Weekly magazine
ЕЖЕНЕДЕЛЬНЫЙ ЖУРНАЛ
ყოველკვირეული სარეკლამო ჟურნალი
ჟურნალში იხილეთ: უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი, ტენდენციები, ფასები, პროგნოზები, პროფესიონალთა რჩევები...
და რა თქმა უნდა უამრავი განცხადება
ჟურნალშია — ორი სუპერრუბრიკა

ყველაზე რეალური ინფორმაცია

# ხათუნა, ისევ ძველებურად უყვარხარ ნიკას...



— უცნაურია ეს ცხოვრება... საკმარისია გაიფიქრო, — მეშველაო, რომ მოულოდნელად კვლავ ახალი სადავიდარაბო წამოყოფს თავს და წინას დაგავიწყებს, — მითხრა ქალბატონმა ქეთევანმა, რომელსაც თავის საწუხარზე მეტად ძმის ბედი ანაღვლებს.

ქალბატონი ქეთევანი 15 წლისა ყოფილა, როცა ოჯახში ნანატრი ბიჭი დაბადებულა. დედას ისეთი სამსახური ჰქონია, რომ მისი დაკარგვა მთელ ოჯახს ტვირთად დააწვებოდა, ამიტომაც ქეთევანს გადაულოცა ბავშვის მოვლა-პატრონობა. ამის გამო არასოდეს დაუწუწუნია გოგონას. გაკვეთილების მერე (დილიდან 2 საათამდე მოხუც მეზობლის ქალს უტოვებდნენ ბავშვს) სამი მეგობარი თან მიჰყვებოდა ქეთინოს შინ, რათა საოჯახო საქმესა და ბავშვის მოვლაში მიხმარებოდნენ. ასე წამოზრდილა ნიკუშა, რომელსაც კარგა ხანს ეგონა, რომ ქეთინო მისი დედა იყო, დედა კი ბებია...

თუმცა, სჯობს, თავად ქალბატონ ქეთევანს მოვუსმინოთ:

— ისე მიყვარდა ნიკუშა, ვერ წარმომედგინა, მის გარეშე თუ გავძლებდი ოდესმე, ან ვინმე თუ შემეზიარებოდა მის სიყვარულში... 24-ის ვიყავი, როცა გავთხოვდი, ჩემი ძმა ამ დროს ცხრა წლის იყო. ვერც ის ძლებდა უჩემოდ. ჩემი ქმარი ხუმრობდა, — ჩვენთან გადმოვიყვანოთ საცხოვრებლად, ჩვენი პირველი შვილი იყოსო. მისი არ ვიცი, ჩემი შვილი კი ისედაც იყო. გოგიტა რომ შემეძინა, ერთმანეთისგან არ ვასხვავებდი. ნიკუშას ავადმყოფობას რომ გავიგებდი, თავპირისმტვრევით გავრბოდი მასთან. მერე, მშობლები ერთმანეთის მიყოლებით დამეხოცა. რა თქმა უნდა, ნიკუშა ჩემთან წამოვიყვანე და მართლაც ისე ვზრდიდით მე და ჩემი მეუღლე, როგორც უფროს ვაჟიშვილს. 25 წლისას დიდი სიყვარული ეწვია. ორი წელი ერთად დადიოდნენ ნიკა და ხათუნა. თითქმის გადაწყვეტილი იყო მათი დაქორწინება. მშობლების სახლი სულ გაქირავებული გვქონდა მას მერე, რაც ნიკა ჩემთან გადმოვიყვანე. აღებულ თანხას ნიკას სახელზე ვაგროვებდი. როცა ჩემმა ძმამ მითხრა, ცოლის შერთვას ვაპირებო, დავტრიალდი და მოვემზადე რძლის დასახვედრად. მდგმურები დავითხოვე, გავარემონტე, რაღაც-რაღაცები ვიყიდე ხათუნასათვის და ნიკას ვუთხარი, შეგიძლია მიხვიდე საცოლის მშობლებთან, მე და გურამიც (ჩემი მეუღლე) გამოგყვებით-მეთქი. იმათგანაც მივიღეთ მიწვევა, ოღონდ, შემოგვითვალეს: დასანიშნად ნუ მოხვალთ, ჯერ გავიცნოთ ერთმანეთიო. გავიცანით. თითქოს ნორმალური ხალხი ჩანდა, მაგრამ ამბიციურები და პრეტენზიულები აღმოჩნდნენ. შვილს ჩააგონეს, უპატრონოა ეს ბიჭი, ერთადერთი და იმისთანას რას გაუკეთებს! თვითონ ვერასოდეს მოახერხებს იმდენს, რომ ცოლ-შვილი უზრუნველყოფილი ჰყავდესო. ხათუნა კარგა ხანს ეწინააღმდეგებოდა მშობლებს, მაგრამ ბოლოს ისიც მოტყუდა, ნიკაზე გული აიცრუა და უთხრა, უნდა დავშორდეთო. გაგიჟდა ჩემი ძმა. ვერ გაეგო უარის მიზეზი. მშობლები ხათუნას ხან სად უშვებდნენ სამოგზაუროდ და დასასვენებლად და ხან — სად. ჩემი ძმა ვერც კი ახერხებდა მასთან შეხვედრას.

ერთ მშვენიერ დღეს ხათუნამ ნიკას აცნობა, მალე ჩემი ნიშნობა იქნებაო. საშინელ დეპრესიაში ჩავარდა ჩემი ძმა, აღარ ვიცოდი, რითი დავხმარებოდი. ხათუნა გათხოვდა. ნიკას ქალისკენ გახედვა კი არა, ხსენებაც აღარ უნდოდა. სწორედ მაშინ შეეჩვია ნარკოტიკს. ნარკოტიკს მიიღებდა და დროებით აენთებოდა, ხუმრობდა, ხალისობდა, ჩვენც გვართობდა და გვაცინებდა. მიკვირდა მისი ასეთი ცვლილება, რას ვიფიქრებდი, ნიკა ამ ნაბიჯს თუ გადადგამდა. როცა გავიგე, უკვე გვიანი იყო. დავიწყე ბრძოლა ძმის გადასარჩენად. ხან ვთხოვე, ხან ვეჩხუბე, ხან მშობლების სული დავაფიცე, იმათ საფლავზე აღთქმა დავადებინე, მაგრამ არაფერმა გამოიღო შედეგი.

საშინლად განვიცდიდი მის ასეთ მდგომარეობას. ინფარქტი მომივიდა და ძლივს გადავურჩი სიკვდილს. საავადმყოფოში კარგა ხანს ვიწექი. ნიკა ყოველდღე დადიოდა ჩემთან, ჩამომიჯდებოდა საწოლის კიდეზე და ხან რას მიყვებოდა, ხან — რას, ცდილობდა ჩემს გართობას. ერთხელ მითხრა: განა არ ვიცი, ჩემზე ნერვიულობამ გაგხადა ავად, არაკაცი ვიყო, თუ კიდევ ოდესმე გული გატკინოო... და მართლაც, ფეხზე რომ დავდექი, ახლა მან დაიწყო სერიოზული მკურნალობა... ამბობენ ხოლმე: კუზიანს მხოლოდ სამარე თუ გაასწორებსო. ასევე, ვერ წარმოუდგენიათ გამოჯანმრთელებულ-გამოსწორებული ნარკომანი, მაგრამ ნიკამ შეუძლებელი შეძლო. ეს ლამის სასწაულის ტოლფასი იყო... ერთ წელიწადში ჩემმა ქმარმა სამსახურიც უშოვა და თითქოს ხელმეორედ დაიბადაო, ახალი ცხოვრება დაიწყო. ვიცოდი, რომ ხათუნა ისევ უყვარდა, ამიტომ მასთან ოჯახის შექმნაზე სიტყვას ვერ ვძრავდი, არადა, ძალიან მინდოდა, რომ დაოჯახებულიყო — 30 წლის სრულდებოდა.

სიტყვაც ჩამოვუგდე, გურამის ამხანაგს კარგი ქალიშვილი ჰყავს, წელს ამთავრებს უნივერსიტეტს, ჭკვიანიცაა, ეგებ გაგეცნო-მეთქი. წარბი შეიკრა და მითხრა: თუ გიყვარვარ, ამაზე ნუ მელაპარაკები, ცოლის შერთვას ჯერ არ ვაპირებო.

ერთ დღეს (გურამი, ნიკა და გოგიტა ჩვენს ძველ მეგობართან იყვნენ ოდესაში), სამსახურიდან გამოსული შემთხვევით შევეყარე ხათუნას. მითხრა, შენთან სალაპარაკო მაქვსო, შინ მივიპატიჟე...

გული გადამიშალა — გათხოვებისთანავე მივხვდი, სისულელე რომ ჩავიდინეო. ერთი წელი ძლივს გავძელი მასთან, მერე გავშორდი და მოსკოვში წავედი ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად. მშობლებმა ვეღარ გაბედეს ჩემს საქმეში ჩარევა... იქ ერთი ესტონელი ბიჭი, მიკასი გავიცანი, ძალიან მომეწონა, ცოტა ხანში ცოლად გავყევი, მაგრამ ის სიყვარული, რომელიც ნიკას მიმართ მქონდა, აღარ განმეორდა. რაც დრო გადიოდა, უფრო მენატრებოდა ნიკა. მინდოდა დამერეკა და მომეკითხა, მაგრამ ვერ ვბედავდი. მიკასმა ტარტუში წამიყვანა. იქ ვიმშობიარე. მან შვილს დედის სახელი, ლინა, დაარქვა, თუმცა მე ქეთის ვეძახდი. მე და ნიკას არაერთხელ გვილაპარაკია მომავალზე და როცა შვილებზე მიდგებოდა საქმე, მეუბნებოდა: ბიჭს გიორგი დავარქვათ, გოგოს კი ჩემი გამზრდელი დის სახელიო. სხვათა შორის, მიკასს არ სწყინდა, ბავშვს ქეთის რომ ვეძახდი. ამბობდა, ორსახელიანი ადამიანი რამდენიც გინდა, იმდენიაო და ზოგჯერ მასაც წამოსცდებოდა ხოლმე ბავშვის მოფერებისას — ქეთი! ასე გავიდა ოთხი წელიწადი. მერე, ორივე, მეც და მიკასიც, მივხვდით, რომ ერთად ველარ ვიცხოვრებდით და უმტკივნეულოდ გავშორდით ერთმანეთსო...

კარგა ხანს ჩუმად ვიყავი. ხათუნა ისე მომჩერებოდა, თითქოს განაჩენს ელოდა. ჩემ წინ იჯდა ახალგაზრდა ქალი, რომლის გამოც ჩემმა ძმამ ლამის ყველაფერზე უარი თქვა. შევეცადე, სიმშვიდე შემენარჩუნებინა, მაგრამ ეტყობა, ვერ შევძელი: კი, მაგრამ ახლა რა გინდა, რას ელი ჩემი ძმისგან-მეთქი?! შეცბა, უცებ ვერ გამცა პასუხი, მერე გაიღიმა, წასასვლელად წამოდგა და მაშინღა მიპასუხა: რა უნდა მინდოდეს? უბრალოდ, ძალიან მენატრება, მინდა ვნახო, მეტი არაფერი, მაგრამ ვხედავ, მის მომავალ დას თვალში არ მოვუდივარ. შენს სურვილს გავითვალისწინებ და საერთოდ აღარ გამოვჩნდებიო. არ გამოჩნდები და ძალიანაც კარგი-მეთქი, გავივლე გულში, მაგრამ მერე და მერე სინანული გამიჩნდა.

...ნიკას დავუმალე ეს ამბავი, ჩემს ქმარს კი ვუამბე და საყვედურიც მივიღე: რა უფლება გქონდა, ნიკას მაგიერ რომ ლაპარაკობდი, იქნებ, შენს ძმას ისევ უყვარს და მასთან ერთად სურს ყოფნაო. გული შემეკუმშა. მაშინ, ხათუნასთან შეხვედრის დროს, ვფიქრობდი, რა გაჭირვება აქვს ჩემს ძმას, რომ ორნაქმარევი და შვილიანი ქალი არ შეირთოს-მეთქი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ვცდებოდი...

ეს ამბავი ორი წლის წინ მოხდა... მას მერე ვცდილობდი, ხათუნა მომეძებნა, მაგრამ მის ასავალ-დასავალს ვერ მივაგენი. ის ბინა, სადაც ადრე ცხოვრობდნენ, კარგა ხნის წინ გაუყიდიათ, არც არავინ იცოდა, სად გადავიდნენ საცხოვრებლად... ერთ-ერთმა ისიც მითხრა, მგონი, მამის სიკვდილის მერე, ხათუნა დასთან და შვილთან ერთად მოსკოვში წავიდაო. რახან ხათუნას ვეღარ მივაგენი, ნიკასთვისაც აღარაფერი მითქვამს იმ შეხვედრის შესახებ, მით უმეტეს, რომ ერთ გოგონასთან, რომელიც ძლივს მოიწონა, დადიოდა. მეგონა, მალე მოიყვანს და როგორც საცოლეს, ისე გამაცნობს-მეთქი, მაგრამ შევცდი. მომიყვანა და გამაცნო კიდეც, მაგრამ არა როგორც საცოლე, არამედ როგორ „კარგი მეგობარი“. არადა, ლია მართლაც მომეწონა, სანდომიანი და სათნო, განათლებული და კარგი ოჯახიშვილი იყო... თუმცა, როცა ნიკასთან მისი ქება დავიწყე, სიტყვა გამაწყვეტინა — ლია მართლაც კარგი გოგოა, მაგრამ საქმიანი ურთიერთობების გარდა ჩვენ შორის არც არაფერი იქნებაო. რამდენიმე თვის შემდეგ ორივენი ამერიკაში წავიდნენ სამუშაოდ. ალბათ ნიკა ვერაფერს გააწყობდა, ლიას რომ არ ეყოჩაღა... თითქმის ერთი წელია, რაც იქ არიან, მაგრამ როგორც ვიცი, მათი ურთიერთობა ისევ „მეგობრულია“. ამას წინათ ნიკამ დამირეკა: მომბეზრდა აქაურობა, ოქტომბერში ჩამოვალო. კვლავ განმიახლდა სინანულის გრძნობა, ხათუნასთან შეხვედრის მერე რომ დამრჩა. დავდივარ თბილისის ქუჩებში და ყველა ლამაზ ქალში ხათუნას ვხედავ. ერთხელ, მანქანაში, საჭესთან დავლანდე ხათუნა. ამ დროს ავტობუსში ვიჯექი. ვიფიქრე, იმდენად მინდა ხათუნას ნახვა, რომ უკვე მელანდება-მეთქი, მაგრამ დავრწმუნდი, რომ არაფერი მელანდებოდა. სასწრაფოდ ჩამოვედი ავტობუსიდან, მაგრამ ვერ მოვასწარი — თვალდახელშუა გამიქრა... სანამ ნიკა ჩამოსულა ამერიკიდან, მინდა ხათუნა მოვძებნო და ბოდიში მოვუხადო და თქვენი გაზეთით მივმართო: ხათუნა, ვიცი, ისევ გიყვარს ჩემი ძმა, ისევე როგორც მას უყვარხარ. თქვენ ერთად უნდა იყოთ, რადგან ცალ-ცალკე ბედნიერები ვერ იქნებით. გთხოვ, დაივიწყე უნებლიე წყენა და შემეხმიანე. წარმოიდგინე, როგორ გავახარებთ ნიკას, ახალჩამოსულს აეროპორტში ერთად რომ დავხვდებით!

P.S. ხათუნა, იმედია წყენას დაივიწყებ (შენც ხომ ერთ დროს გული ატკინე საყვარელ ადამიანს და მის ახლობლებს...). როგორც ქალბატონმა ქეთევანმა გვითხრა, ნიკას ისევ ძველებურად უყვარხარ, ისევ მარტოა და ალბათ ისევ შენ გელოდება...

***მარინა ბაბუნაშვილი***

# ყოჩაღ, ზურა!

**18 აგვისტოს, როცა ზურაბ ზვიადაურმა ათენში ტატამზე დაანარცხა იაპონელი მეტოქე, საქართველოში, ტელეეკრანებთან ქართველი ქალები (განურჩევლად ასაკისა) კინაღამ სიხარულით გაგიჟდნენ. იყო ბედნიერების ცრემლი, აღტაცების კივილი, ზურას ლოცვა და ქება-დიდება. თქვენი მონა-მორჩილიც მოზეიმეთა მარაქაში გახლდით და იმავე საღამოს გადავწყვიტე, რესპონდენტების სასაუბრო თემად მექცია ზვიადაურის გამარჯვება და საერთოდ, ქართველი მამაკაცების მიმართ ჩვენი ქალების დამოკიდებულება.**

**მარი (28 წლის):** — ოლიმპიადის დაწყების პირველი წუთებიდან თვალყურს ვადევნებ შეჯიბრებებს. განსაკუთრებით „ვეწებები“ ტელეეკრანს, თუ ქართველები ასპარეზობენ. პირველსავე დღეს ნესტორ ხერგიანმა ვერცხლის მედალი რომ აიღო, ისეთი კივილი ავტეხე, მეზობლები გულგახეთქილები შემოცვივდნენ — რამე უბედურება ხომ არ დაგემართაო.

ზურას კი ასე მინდა მივმართო...

...ზურა, მთელი საქართველოს სიამაყე ხარ, განსაკუთრებით კი ჩემი. ჩემს შვილსაც ზურა ჰქვია, თანაც ზვიადაურია. მეუღლე სამი წლის წინ ავტოკატასტროფაში დამეღუპა... ზურას ისე ვგულშემატკივრობდი, როგორც ჩემი ქმრის ძმას, ჩემი შვილის სისხლსა და ხორცს. მინდა ჩემი ბიჭიც ასეთი ვაჟკაცი გაიზარდოს.



**ნათია (18 წლის):** — ბარში ვისხედით, როცა ზვიადაურმა გაიმარჯვა. თუ დაიჯერებთ, გოგონებს უფრო გვაინტერესებდა ასპარეზობა, ვიდრე ბიჭებს. როცა ზურამ იაპონელს კისერი მოუგრიხა, წამით ყველანი დავმუნჯდით, მერე კი ისე ვიხუვლეთ, კინაღამ ჭერი ჩამოიქცა. რაღაც სხვანაირია ეს ზურა. ძალიან სიმპათიურია, თანაც თავდაჯერებული და დინჯი. მე რომ ქვეყნის პრეზიდენტი ვიყო, ზურას ძალიან მაგარ მანქანას ვაჩუქებდი. ერთი თვე ფანტასტიკურად დავასვენებდი და მერე ვარჯიშისთვის უნიკალურ პირობებს შევუქმნიდი, რომ კიდევ ბევრი გამარჯვებით გაგვახაროს. მიყვარხარ, ზურა!

**ლილი (58 წლის):** — ზვიადაურის და ხერგიანის გამჩენმა იხაროს, თითქოს ასი წლის სიცოცხლე მაჩუქეს. ჩემს შვილიშვილებს სხვანაირად დააწყებინეს ფიქრი. სამი წლის დათუნას უკვე ოლიმპიური ჩემპიონობა სურს. 9 წლის ლევანმა და 8 წლის თორნიკემ კი გამოგვიცხადეს, — თუ ჭიდაობაზე არ შეგვიყვანთ, სკოლაში არ წავალთ სექტემბერშიო. ბავშვებმა შეიგნეს, რომ მხოლოდ კომპიუტერსა და ტელევიზორზე დროის კარგვა არ ღირს. ლევანი მამამისს უმტკიცებს, — მაგარია ჭიდაობა, კაცური საქმეაო. ამ ბიჭებისნაირი სამაგალითო ბევრი სჭირდება მომავალ თაობებს. ურიგო არ იქნება, თუ მშობლებიც იზრუნებენ და შვილებს, განსაკუთრებით ვაჟებს, ადრიდანვე ჩააბამენ სპორტში. ამით ჩვენს მიძინებულ გენეტიკურ თვისებებს გავაღვიძებთ და მტრისგან აღარც იოლად ხელწამოსაკრავნი ვიქნებით, აღარც საქილიკო და დასაცინი. ზვიადაური კვარცხლბეკზე რომ შედგა, ასე მეგონა, სისხისმღვრელი ომი მოიგო და დაფნის გვირგვინის ნაცვლად გმირის შარავანდედით შეამკეს. მჯერა, ქართველები ოლიმპიადის დასასრულამდე კიდევ არაერთხელ გაგვახარებენ.

**თამარი (76 წლის):** — ამ ხნის ქალი სიხარულით ავკუნტრუშდი, როცა იმ კაი ბიჭმა გვასახელა. ახლანდელ დროში გაიშვიათდნენ კაი-კაი კაცები, თვარა ჩემი გოგოობისას იმისთანა ვაჟკაცები დადიოდნენ ქუჩაში, ზოგიერთის შემხედვარე, მიკვირდა, ეს განიერი მხარბეჭი ასე ლაღად რავა დააქვთ-მეთქი. ჭკუითაც სხვანაირები იყვნენ წინათ... ჩემს შვილიშვილს (16 წლისაა) ვუთხარი, — ა, შეხედე, რაფერ გვასახელა, შენსავით პირში პაპიროსგაჩრილი და გამოშტერებული კი არ დადიოდა, შენი ხნისა-მეთქი. მაგი აკვნიდან ვარჯიშობდაო. მერე გევარჯიშა შენც. სახელმწიფო საქმეები გებარა, ან ახლა ვერ ივარჯიშებ-მეთქი? ჩემი შვილი და რძალი არიან უხეიროები — ფორტეპიანოზე და გიტარაზე დაკვრა უნდა ვასწავლოთო და აკვნიდან გადმოსული არ იყო, მუსიკალურ სტუდიაში წააჩანჩალეს. ბიჭს ჯერ კუნთი უნდა გაუმაგრო და დარტყმა ასწავლო, ახლა ნიკამ არც პიანინოსი იცის რამე და არც გიტარისა. დადის გაჩხინკული და რომ ვუყურებ, გული მიკვდება.

***ეკა ლომიძე***

ჩვენ გვწერენ

# ეს ამბავი უცნაურად ნუ მოგეჩვენებათ...

„ამ წერილს უკვე მეორედ გწერთ. ალბათ, წინა წერილის მერე იფიქრეთ, რომ მთლად „დაწყობილი ჭკუის“ კაცი არ გწერდათ, მაგრამ მერწმუნეთ, როცა გრძნობა იმარჯვებს გონებაზე, ძნელია, გააანალიზო, სისულელეს სჩადიხარ თუ არა...

იმედია, ამჯერად მაინც დამიბეჭდავთ ამ უცნაურ წერილს, რადგან მხოლოდ თქვენზე ვამყარებ იმედს.

ვისზეც უნდა გიამბოთ, მისი არც სახელი ვიცი და არც გვარი. ვიცი მხოლოდ ის, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლობდა. მე მას ხშირად ვხედავდი თავის განუყრელ შავგვრემან მეგობართან ერთად, თავად კი ქერა, ცისფერთვალა, საშუალო სიმაღლის, ძალიან მომხიბვლელი გოგოა.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღე ვხედავდი და უკან ჩუმად მივყვებოდი ხოლმე, ვერა და ვერ ვბედავდი მისვლას და გამოლაპარაკებას. იმ დღეს მოუსვენრად ვიყავი, როცა ვერ ვხედავდი. ჩემს გაუბედაობაზე კი ნერვები მაწყდებოდა...

ერთხელაც, კარგა ხნის მერე, მოვიხელთე მარტომყოფი — ტროლეიბუსში ავიდა, მეც ავყევი. ცოტა ხანში ვთხოვე, გავიცნოთ ერთმანეთი-მეთქი. გამიღიმა და უარი მითხრა. საშინლად დამწყდა გული. ეტყობა, მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ გოგონას უარი ზოგჯერ ჩუმ თანხმობას ნიშნავს...

მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე შევხვდი, სულ ბოლოს ამ სამი თვის წინ, რუსთაველის გამზირზე, ოპერის წინ შევეფეთე. ისევ ვერაფერი ვუთხარი, მხოლოდ კარგა ხანს უკან ვდიე, მერე ამხანაგი შემხვდა და...

ჩემი თავისა გამკვირვებია. მორცხვი სულაც არ ვარ, სხვასთან არასოდეს დამმართნია ასეთი რამ, მასთან კი ასე ვიბნევი, მის დანახვაზე თითქოს ვმუნჯდები და ძალაც მეცლება. იგი, იმედია, კითხულობს თქვენს გაზეთს. ასევე მჯერა, რომ მიხვდება, ვინც წერს ამ წერილს და გამომეხმაურება... ბოლოს და ბოლოს, როცა ქუჩაში კვლავ შემხვდება, ვეტყვი, რომ მასზე დღედაღამ ვფიქრობ.

მოუთმენლად ველოდები შემდეგ ნომერს, იქნება თქვენმა გაზეთმა მომიტანოს ბედნიერება, რომელსაც ამდენი ხანია ველი.

***გიორგი“.***

CMYK

# „ვარსკვლავობა“ ზოგიერთი მშობლის ახირებაა, რომლის მსხვერპლიც შვილები ხდებიან



ალბათ, ყველას ახსოვს „ღამის შოუს“ ერთ-ერთი გახმაურებული გადაცემა, სადაც მომღერალ მაია ჯაბუასა და დათო გოგიჩაიშვილის დუეტმა მაყურებლის მოწონება დაიმსახურა. განსაკუთრებით ტინეიჯერი მელომანები ვერ ფარავდნენ აღტაცებას ლექსსენისა და თიკოს ცნობილი სიმღერის რემიქსით და ამბობდნენ, კონკურსი რომ ყოფილიყო, აუცილებლად ჯაბუა-გოგიჩაიშვილის დუეტს მივანიჭებდით უპირატესობასო.

ჯაბუა-გოგიჩაიშვილის დუეტი ესტრადაზე გამოსვლასა და რეპერობას არ აპირებს. სამაგიეროდ, მაია შემოდგომაზე მიიპატიჟებს მაყურებელს სოლო კონცერტზე. ახალ რეპერტუართან ერთად იგი ცნობილ და პოპულარულ სიმღერებსაც შეასრულებს. მანამდე კი მაია, ისევე, როგორც ყველა თბილისელი, ზაფხულის პაპანაქებას გაურბის.

მოგეხსენებათ, თითოეული დამსვენებლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს დასასვენებელ ადგილს, მომსახურებას და ამიტომ **მაია ჯაბუასთან** საუბრის თემად საგანგებოდ შევარჩიეთ ზაფხული და ტურიზმი.

— **რომელ ქვეყანაში მოგწონთ დასვენება?**

— დასვენებით ბევრგან არ დამისვენია, ისე კი, ლონდონს გამოვარჩევ, იქ მართლაც შესანიშნავი სერვისია.

— **როგორ ფიქრობთ, მალე განვითარდება ტურიზმი საქართველოში?**

— თუ მოვინდომებთ, ყველაფერს შევძლებთ. ტურიზმი ჩვენთან თითქმის აღარ არსებობს, მაგრამ განვითარების დიდი პერსპექტივა აქვს. გარდა იმისა, რომ ეს დარგი თითქმის ჩამკვდარია საქართველოში, სხვა ხელის შემშლელი ფაქტორების გამო ტურისტებს კი არა, აქაურებსაც გვიჭირს დასვენება. აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს მომსახურების სფერო. ევროპის ქვეყნებში, სადაც ტურიზმი ყვავის, მომსახურების დონე თუმცა სხვადასხვანაირი, მაგრამ ჩვენთან შედარებით მაღალია. მაგ., ფრანგებს ესპანური სერვისი არ მოსწონთ — მიაჩნიათ, რომ ესპანელებს არაკვალიფიციური ბარმენები, პორტიეები და ა.შ. ჰყავთ. ქართული სერვისის ესპანურთან შედარება არ შეიძლება და ეს გასაკვირი არცაა. ამის ტრადიცია არც გვქონია. ამიტომ კარგი იქნება, თუ კვალიფიკაციის ასამაღლებლად უცხოეთში გაგზავნიან კადრებს.

— **ე. ი. როცა თქვენ ისვენებთ ქართულ კურორტებზე, ინფრასტრუქტურა ასე თუ ისე გაკმაყოფილებთ, სერვისი კი არ მოგწონთ.**

— დიახ... უცხოეთში ფულს იხდი სერვისში, იქ ერთმანეთს მომსახურებით უწევენ კონკურენციას.

ჩვენთან ისწავლეს ლამაზი სასტუმროების აშენება, მაგრამ სერვისი ძალიან დაბალი დონისაა. სამაგიეროდ, ევროსტანდარტული ფასები გვაქვს.

— **მაია, თურმე კარგად ცურავთ და ადამიანიც გადაგირჩენიათ დახრჩობას.**

— სასწაული არ ჩამიდენია — დავინახე, ადამიანი იძირებოდა და მივეშველე. მაშინ მოსწავლე ვიყავი და „მზიურში“ ვმღეროდი. ძალიან ლამაზი არდადეგები გვქონდა, ხანდახან სულ არ მინდოდა „არტეკში“ ყოფნა და პიონერთა ბანაკში რეპეტიციები, მაგრამ ერთად ვიყავით და ეს იყო გასახარი.

— **ვიცი, რომ ყოველთვის მძაფრად განიცდიდით ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. როგორ ფიქრობთ, სიტუაცია შეიცვალა?**

— როცა ხალხს პურის ფულზე საფიქრალი აღარ ექნება, ვიტყვი, რომ სიტუაცია შეიცვალა. ყოველდღე ვხედავ ჩემს ეზოში ახალგაზრდებს — მათ განათლებაც აქვთ, შრომის სურვილიც, მაგრამ არც ერთს არ აქვს სამსახური. იმ დღეზე ვოცნებობ, როცა ყველა დასაქმებული იქნება, როცა მართლა ახალი ცხოვრება დაიწყება. დიახ, ვოცნებობ, მაგრამ აღარ მინდა მხოლოდ ოცნება.

— **თქვენს პატარა ლიზის თურმე მუსიკალური ნიჭი აქვს. ხომ არ აპირებს „გავარსკვლავებას“?**

— ლიზი სექტემბრიდან სკოლაში მიდის, მუსიკის შესწავლასაც დაიწყებს. ამავე დროს მაკა მახარაძის საბალეტო სტუდიაშიც დადის. როცა დრო მოვა, თვითონ გადაწყვეტს, რა ურჩევნია — ბალეტი თუ მუსიკა. „გავარსკვლავება“ კი ჩემი აზრით პათოლოგიაა. უნიჭიერესი ბავშვები მღეროდნენ „მზიურში“, მაგრამ ასეთი პრეტენზია არავის ჰქონია — არც მშობელს და არც ბავშვს. ალბათ ამიტომაც ავირჩიეთ სკოლის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა პროფესია. თუმცა, ვისაც უნდა გვემღერა, ვმღერით კიდეც. „ვარსკვლავობა“ ზოგიერთი მშობლის ახირებაა, რომლის მსხვერპლიც შვილები ხდებიან.

# ნავსი გატყდა



## მგონი, კარგ გზას ვადგავართ

### „თუ ეს შევძელით, საქართველო ზღაპარს ან სამოთხეს დაემსგავსება“

ვიმედოვნებთ, რომ ღვთის მადლით ქვეყანაში მალე მშვიდობა დაისადგურებს და „მუსიკალური რთველიც“ ისეთი ბარაქიანი იქნება, როგორც ამ დიდებული ტრადიციის აღმდგენებს აქვთ ჩაფიქრებული. ფოლკლორისტ გიორგი სვანიძეს, რომელსაც მე-20 საუკუნის დამდეგს უმოგზაურია ქართლსა და კახეთში, ამგვარი რამ ჩაუწერია უბის წიგნაკში: უზარმაზარ საწნახელში ჩამდგარი ქართველები ერთმანეთს მხრებზე ხელებს გადახვევდნენ, საფერხულო სიმღერას ასრულებდნენ და ასე ტკბილხმოვანებაში წურავდნენ ვაზის ღვთაებრივ ნაყურსო... სამწუხაროდ, დღეს ყურძენს საწნახელში თითქმის აღარ წურავენ და „ვაზის ფესტივალის“ ორგანიზატორებს სწორედ ამ ლამაზი რიტუალის გაცოცხლება დაუსახავთ მიზნად.

გვესაუბრება ფესტივალის ერთ-ერთი მონაწილე და ორგანიზატორი **ზაზა კორინთელი,** იგივე **ზუმბა**. მან ახლახან მიიღო მონაწილეობა პოლონეთში ჩატარებულ სამხრეთ კავკასიის ფესტივალში, სადაც ქართული საბრძოლო ხელოვნების პლასტიკურ თეატრთან ერთად ორიგინალური და საინტერესო მუსიკალური პროექტი წარადგინა.

— უკვე მესამე წელია, კავკასიის თემაზე ფესტივალი ტარდება პოლონეთში. წელს წარვადგინეთ სპექტაკლი, სადაც პლასტიკისა და მუსიკის საშუალებით მაყურებელს ქართველების ყოფის ტრადიციული წესები გავაცანით.

სპექტაკლის მოსამზადებლად ცოტა დრო გვქონდა. ქართული საბრძოლო ხელოვნების პლასტიკური თეატრის ბიჭები „არტგენის“ ფესტივალზე გავიცანით. როცა პოლონეთში მიგვიწვიეს, გადავწყვიტეთ, სავსებით ახალი რამ შეგვექმნა — კლასიკურ ქართულ ფოლკლორსა და ქორეოგრაფიას ხომ პოლონელები ისედაც კარგად იცნობენ. სახელდახელოდ შეიქმნა ერთობლივი პროექტი და რეპეტიციებს, პრაქტიკულად, პოლონეთისკენ მიმავალ მატარებელსა და თვითმფრინავში გავდიოდით. ფაქტობრივად, ეს იყო იმპროვიზაცია, მაგრამ იმდენად ჰარმონიული და ძლიერი მუხტის მქონე, რომ პოლონელი მაყურებელი ოვაციით შეგვხვდა. აღფრთოვანებული ვარ იქაური პუბლიკით — სასწაული ხდებოდა, რასაც გავცემდით, ასჯერ მეტი გვიბრუნდებოდა.

— **არაერთხელ გითქვამს, რომ პოლონეთში ქართული ფოლკლორი ძალიან მოსწონთ და სწავლობენ კიდეც, აქედან გამომდინარე, ალბათ განსწავლული მაყურებლის სახით კრიტიკული განმსჯელიც გყავდათ.**

— ეს ძალიან კარგია. ერთია, როცა შენს კულტურას არ იცნობენ, მაგრამ გაცნობისთანავე აღფრთოვანდებიან და მეორე, როცა მას პროფესიულად განსჯიან. ქართული ფოლკლორის შემსწავლელი ჯგუფები არა მარტო პოლონეთში, მთელ ევროპაშია. ასეც უნდა იყოს, ქართული ხელოვნება მსოფლიო კულტურის ნაწილია და რაც უფრო მეტი გაეცნობა მას, მით უკეთესი. ამ საქმეში წვლილი უპირველესად ჩვენ უნდა შევიტანოთ.

— **ისეთ ცნობილ საერთაშორისო მუსიკალურ არხებზე, როგორიცაა „მეცო“ და „არტი“, სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორს, კლასიკას თუ პოპს წარადგენენ. საწყენია, რომ ერთხელაც არაფერი თქმულა ქართული ფოლკლორის და, საზოგადოდ, მუსიკალური ხელოვნების შესახებ. არადა, აფრიკულ ქვეყნებზე ნაკლები ხალხური სიმღერები და ცეკვები ნამდვილად არ გვაქვს.**

— რასაკვირველია, არა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე კაცის პროფესიონალიზმი და ენთუზიაზმი არ კმარა ჩვენი ხელოვნების მსოფლიოში პოპულარიზაციისთვის. ამას სახელმწიფოს მხარდაჭერა და ნება, ასევე, შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება სჭირდება. პრიორიტეტული უნდა იყოს ქვეყნის კულტურის საზღვარგარეთ ინტენსიური გატანა, თორემ ჩემი და სხვისი თითო-თითო გასტროლი არ კმარა.

სხვათა შორის, ტელეკომპანია „არტისთვის“ გერმანელი რეჟისორი ქალი იღებს დღეს ფილმს ქართულ ფოლკლორზე, ტრადიციებზე. ასე რომ, ნავსი გატყდა, მგონი კარგ გზას ვადგავართ.

— **ზაზა, „ვაზის ფესტივალის“ იდეა ვის ეკუთვნის?**

— საქართველოს ძეგლთა დაცვის, კულტურისა და სპორტის სამინისტროს. იდეის ხორცშესხმას სწორედ წელს ვაპირებთ — ფესტივალი ქართული რთველის მივიწყებულ წესებსა და რიტუალებს გააცნობს ჩვენს თაობას. ხომ უნდა ვიცოდეთ, ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, საით მივდივართ. არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რაც ჩვენმა მამა-პაპამ უძველესი დროიდან დღემდე მოგვიტანა — ქართული უძველესი ფოლკლორი, თორემ კახელი გლეხი უჩვენოდაც მშვენივრად დაკრეფს ყურძენს და დაწურავს კიდეც. ამასთან, კულტურული ცხოვრება რაიონებში, სოფლებშიც უნდა გაცოცხლდეს.

ფესტივალი ჩატარდება მირზაანში, ნიკო ფიროსმანის მუზეუმში. 8,9,10 ოქტომბერს ფესტივალის ორგანიზატორი „არტგენი“ იქნება.

იცით, გლეხებისგან ვენახები ვიყიდეთ. ჩავიყვანთ 150 სტუდენტს და სიმღერით და უძველესი რიტუალებით დავაკრეფინებთ ყურძენს. კრეფა, რა თქმა უნდა, მოძღვრის კურთხევითა და საგალობლებით დაიწყება. საქართველოს თითქმის ყველა კუთხის საფერხულო სიმღერებსაც ვიმღერებთ. შემდეგ გადავინაცვლებთ ფიროსმანის მუზეუმში. იქ უკვე ქვევრებს ყრიან და საწნახლებს დგამენ. მსურველი თავისი სახელობის ღვინოს დაწურავს. თუ ბატონი პრეზიდენტიც გვესტუმრება და 20-30 კილოგრამ ყურძენს დაწურავს, მისი სახელობის ღვინოც ჩამოისხმება.

დაგეგმილი გვაქვს სემინარის ჩატარებაც. გვინდა ჩვენი მეცნიერები იმ ხალხს შევახვედროთ, ვინც დღეს საქართველოში ღვინოს აყენებს. კახეთში, ვაზის მუზეუმში, აღგვითქვეს დახმარება, — გადაშენების პირას მისული ვაზის ჯიშების 1500 ძირს მოგვცემენ. ერთი ჰექტარი მიწა გვაქვს საამისოდ აღებული, მიწას დავამუშავებთ და ნიკალას სახელობის ვენახს ჩავყრით. ქართული ვაზის ცოცხალი მუზეუმი გვინდა გავაკეთოთ, მალე ალბათ აქ ტურისტები ქართულ ღვინოს დააჭაშნიკებენ.

— **გიხდება ქართული ჩოხა. ეროვნული სამოსის დღევანდელობაში დანერგვას ხომ არ აპირებ?**

— ძალიან მომწონს ხევსურებისა და სვანების ძველი სამოსი. კარგი იქნება, თუ მხატვრები და დიზაინერები გამოიყენებენ მათ ელემენტებს.

სხვათა შორის, პოლონელები ძალიან ამაყობენ თავიანთი კულტურით, იგი მათთვის მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულობის სახე არ არის, მათი ყოფის ნაწილია.

პოლონეთის მთიანეთში ოჯახური ტურიზმის ძალზე საინტერესო ფორმაა განვითარებული. მაგალითად, შეგიძლია მიუკაკუნო ნებისმიერი სახლის კარს და მასპინძელს უთხრა — დღეს შენი სტუმარი ვართქო. ღამის გასათევად სიმბოლური 15 დოლარია გადასახდელი. ყველა ოჯახს აქვს ერთი-ორი ოთახი სტუმრისთვის. სწორედ აქ გაეცნობი პოლონურ ყოფას, მასპინძლები გიამბობენ მითებს, ანეკდოტებს, გიმღერებენ, მოგართმევენ ეროვნულ კერძებს. საღამოს სოფლის კლუბში შეიძლება წასვლა — გაოგნდები, ყველა დღევანდელობაზე მორგებულ ეროვნულ სამოსშია გამოწყობილი. ცხენებით დადიან, ხვდები, მხოლოდ თავს კი არ გაწონებენ, თავიანთ „მე“-საც წარმოაჩენენ.

ჩვენთანაც ასე რომ იყოს, ჩვენზე ბედნიერი ერი არსად იქნებოდა. წარმოიდგინე, ახვალ ხევსურეთში, დალევ ხევსურულ ლუდს, ხევსურულ კლუბში ხევსურულ მუსიკას მოისმენ ტალავრებში გამოწყობილი შემსრულებლებისგან. რა სანახაობა იქნება!

ხევსურეთში, გნებავთ, სვანეთში, ჰონორარის გარეშე სიამოვნებით დავუკრავ მანამ, სანამ ეს საქმე ბიზნესად იქცეოდეს და წელს გამართავდეს. ასე მთაში სოფლებსაც გადავარჩენთ და ახალგაზრდებსაც დავაკავებთ.

თუ ეს შევძელით, საქართველო ზღაპარს ან სამოთხეს დაემსგავსება, სადაც ულამაზესი ქართული სიმღერა იგუგუნებს.

***გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ***



## ორშაბათი 23 აგვისტო

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 08.10 „ღამის მოამბე" გამეორება 09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 09.10 მულტსერიალი „დაკარგული სამყარო" 09.40 „იმღერე რამე" 10.10 სერიალი „მორიგი მსხვერპლი" 11.00 სტუმრად მსახიობთა სტუდიაში 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 სერიალი „ფორსაიტების საგა" 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ.სერიალი „კათედრალური ტაძრები" 15.20 სერიალი „ზაფხულის საიდუმლო" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.10 სერიალის გაგრძელება 16.30 დოკ. ფილმი 17.00 მულტსერიალი „დაკარგული სამყარო" 17.30 მუს. არჩევნები 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „სენ–ტროპე" 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 ღამის მატარებელი 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი „პიანისტი„ (15)

19.00 მულტფილმი „სიმბა-ფეხბურთელი" 19.30 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 21.00 დოკ. სერიალი „მოგზაურობა" 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.00 მხ. ფილმი „დორიანი„ (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.20 დისკავერი 13.20 მხ. ფილმი „რევანში„ 15.25 სერიალი „სასწრაფო" 16.30 სერიალი „ალფი" 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუტები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 სერიალი „უკვდავი" 23.00 სერიალი „სოპრანოს კლანი". 00.00 მხ. ფილმი „შელახული რეპუტაცია". მთ. რ-ში: ენტონი ჰოპკინსი, ნიკოლ კიდმანი (18).

18.00 მხ. ფილმი „გრაფი მონტე კრისტო" 1-ლი ს. (U) 19.20 დოკ. ფილმი 20.40 კონცერტი 22.30 მხ. ფილმი „მილუ მაისში„ (15)

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.05 ქრონიკა 07.45 ათენის ოლიმპიური თამაშები — მიმოხილვა 09.45 ოლიმპიური თამაშები: კალათბურთი (კაცები) ესპანეთი-ახ. ზელანდია, კალათბურთი (კაცები) ლიტვა-ავსტრალია, მძლეოსნობა. 13.10 კალათბურთი - ლიტვა-ავსტრალია (გაგრძელება), მძლეოსნობა (გაგრძელება), მაგიდის ჩოგბურთი. 15.10 კალათბურთი (გაგრძელება), მაგიდის ჩოგბურთი (გაგრძელება), ფრენბურთი (კაცები) ავსტრალია-პოლონეთი. 17.10 ფრენბურთი (კაცები) ჰოლანდია-არგენტინა, ძალოსნობა, ტრეკი. 19.20 სერიალი „კლონი„ 20.05 ოლიმპიური თამაშები: წყალბურთი (კაცები), კრივი, ძალოსნობა, მძლეოსნობა, პლაჟის ფრენბურთი, ტანვარჯიში. 22.20 კრივი, მძლეოსნობა (გაგრძ.), პლაჟის ფრენბურთი (გაგრძ.), ტანვარჯიში (გაგრძ.), წყალბურთი (კაცები). 00.05 ოლიმპიური თამაშები — დღის მიმოხილვა 01.35 ტვ-მარკეტი 02.20 იმედის მელოდიები

09.00 „ფარული კამერა" 09.30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 13.00, 14.00, 15.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი „ფანტაზიების კუნძული" 12.00, 21.45 დეტ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე" 13.05 მხ. ფილმი „აპაჩი" (U) (ბ. ლანკასტერი) 15.00 სერიალი „მარია ემილია" 16.05 სერიალი „იაზონი და არგონავტები" 17.20 მულტსერიალი „მეხანძრე ძაღლები" 17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 18.20 „ფარული კამერა" 18.50 სერიალი „ველური მთვარე" 22.45 „ტელეპროცესი. ნოე ჟორდანია„ 00.00 მხ. ფილმი „ბიჭები ჯანგშინიდან„ (12) (ტომ ბერენჯერი)

12.00 ინდ. მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი17.00, 19.00, 20.30, 00.00საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 მუსიკა 18.00 სერიალი „მილედი" 19.20, 21.00 სპექტრი 22.30 „საქმე და ეკონომიკა".

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო„ "РТР Планета-ს„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 ვარსკვლავები გვამცნობენ 13.15 ექიმი გვირჩევს 14.15 მუს. პაუზა 15.00 „ვესტი" "РТР Планета-ს„ პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.30 ჩემი თანამოქალაქეები 20.00 ექსტრაორდინალური 21.00 ინდ. ფილმი „სიყვარულის მზეებით„ 00.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა

10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „მეფე რალფი" (U) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „უკან მომავალში 2„ 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გან.) 20.00 მხ. ფილმი „მეხსიერები" (12) 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქვათარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენი" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი „ძალიან საშიში კინო„

18.30 ქრონიკა 18.35 საბ. ეკრანი 19.00 მხ. ფილმი 20.30 ქრონიკა 21.00 სამრთო ქადაგებ 21.20 „მოდელი" ფრედერიკ ვან დერ ვალი 21.40 სერიალი „ბედის ჯიბრზე„ 22.30 ქრონიკა 23.00 პოპ-მიქსი 23.35 მხ. ფილმი „აფონია„

09.05 მელოდია 09.15 „აჩიკუდა" 09.35 ვიდეოკამერები 10.15 მელოდია 10.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.50 მელოდია 11.10 კომპიუტერული ტექნიკა 11.30 მელოდია 11.40 პრინტერები 11.55 დისნეი და მისი მეგობრები 12.15 მობილურები 12.35 მელოდია 12.45 ტელევიზორები 18.05 მელოდია 18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.00 „აჩიკუდა" 19.20 პრინტერები 19.50 დოკ.ფ.„რვაკუთხედი" 20.15 კომპიუტერული ტექნიკა 20.35 მელოდია 20.50 ტელევიზორები 21.05 მელოდია 21.20 მობილურები 21.50 მელოდია 22.30 „კინოკლუბი" - „ქალღმერთი მოჩვენება". დრამა. რეჟ: ჯიმ ჯარმუში. როლებში: ვიქტორ არგო, ფორესტ უიტეკერი. (18) 00.20 მელოდია 00.30 ვიდეოკამერები

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20 Х/Ф "ЖИЗНЬ УДАЛАСЬ" 11.20 Дневник XXVIII летних Олимпийских игр 12.10 Х/Ф "ОТКЛОНЕНИЕ - НОЛЬ" 13.40 "Гении и злодеи" 14.10 "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" Сериал 15.20 "АНГЕЛ НА ДОРОГАХ" Сериал 16.30 Криминальная Россия 17.00 "Слабое звено" 18.20 "Властелины колец". Дневник Олимпиады 19.00 "КЛОН" Сериал 20.00 Жди меня 21.00 Время 21.30 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" Сериал 22.40 На XXVIII летних Олимпийских играх 00.00 "ДОКТОР ЖИВАГО" Сериал 01.00 На XXVIII летних Олимпийских играх 02.10 Х/Ф "С ПЕРВОГО ВЗГЛЯДА" 04.10 Х/Ф "ЧОКНУТЫЕ"

## სამშაბათი 24 აგვისტო

07.55 მოამბე 08.10 „ღამის მოამბე" გამეორება 09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 09.10 მულტსერიალი „დაკარგული სამყარო" 09.40 „იმღერე რამე" 10.10 სერიალი „მორიგი მსხვერპლი" 11.00 სერიალი „ფსიქოფაქტორი" 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 სერიალი „ფორსაიტების საგა" 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15.20 სერიალი „ზაფხულის საიდუმლო" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.10 სერიალის გაგრძელება 16.30 დოკ. ფილმი 17.05 მულტსერიალი „დაკარგული სამყარო" 17.30 სერიალი „ჩემი ყველაზე ლამაზი არდადეგები" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „სენ–ტროპე" 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 „ქიმერიონი" 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მუს. არჩევნები 00.55 მხ. ფილმი „იასამნისფერი ტაქსი„ (15)

19.00 მულტფილმი „სიმბა-ფეხბურთელი" 19.30 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 21.00 მთავარ როლში 22.00 მხ. ფილმი „მარტინ გერის დაბრუნება„ (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 09.40 სერიალი „შეყვარებული ქალები" 11.00 სერიალი „უკვდავი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.45 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი „მტრის ზურგში" 15.25 სერიალი „სასწრაფო" 16.30 სერიალი „ალფი" 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუტები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 23.00 სერიალი „სოპრანოს კლანი". 00.00 მხ. ფილმი „საშიში ისტორიები. მესამოცე ტრასა". მთ. რ-ში: ჯეიმს მარსდენი, გარი ოლდმენი (15).

18.00 მხ. ფილმი „გრაფი მონტე კრისტო" (U) 19.40 დოკ. ფილმი 21.50 მხ. ფილმი „ტკბილი ნოემბერი„ (18)

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.00 ქრონიკა 08.15 ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა 09.45 ოლიმპიური თამაშები: ბ. რ. ჭიდაობა, მძლეოსნობა, ცხენოსნობა. 13.10 ბ. რ. ჭიდაობა (გაგრძელება), ცხენოსნობა (გაგრძელება), ტანვარჯიში. 15.10 ფრენბურთი (ქალები), მეოთხედფინალი, ხელბურთი (კაცები), მეოთხედფინალი, კალათბურთი (კაცები), მე-11-12 ადგილი. 17.10 კალათბურთი (გაგრძელება), ხელბურთი (კაცები), მეოთხედფინალი, ტრეკი, ბ. რ. ჭიდაობა, წყალბურთი (ქალები) ნახევარფინალი. 19.20 სერიალი „კლონი„ 20.05 ოლიმპიური თამაშები: ტრეკი (გაგრძელება), ბ. რ. ჭიდაობა, მძლეოსნობა, ძალოსნობა. 22.20 მძლეოსნობა (გაგრძელება), ძალოსნობა (გაგრძელება), წყალში ხტომა (კაცები), ფეხბურთი (კაცები), ნახევარფინალი. 00.05 ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა 01.30 ტვ-მარკეტი 02.15 იმედის მელოდიები

09.00 „ფარული კამერა" 09.30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი „ფანტაზიების კუნძული" 12.00, 21.45 დეტ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე" 13.05 მხ. ფილმი „სიცილიური კლანი" (U) (ჟან გაბენი) 15.00 სერიალი „მარია ემილია" 16.05 სერიალი „იაზონი და არგონავტები" 17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 მულტსერიალი „მეხანძრე ძაღლები" 17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 18.20 „ფარული კამერა" 18.50 სერიალი „ველური მთვარე" 22.45 „ტელეპროცესი. ნოე ჟორდანია„ 00.00 მხ. ფილმი „ოცნების მეომარი„ (18) (ლანს ჰენრიკსენი)

13.00 მუსიკა 16.00 „საქმე და ეკონომიკა" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 სერიალი „მილედი" 19.20, 21.00 სპექტრი 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო„ "РТР Планета-ს„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუს. პაუზა 15.00 „ვესტი" "РТР Планета-ს„ პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სპორტის სამყარო 20.00 მუს. პაუზა 21.00 „ვესტი" 21.30 ინდ. მხ. ფილმი „მოთამაშეები" 00.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა

10.00 დებატები 202-ზე (გან). 11.30 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „მეხსიკელი" 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „უკან მომავალში 3„ 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გან.) 20.00 მხ. ფილმი „სხვა 48 საათი„ 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქვათარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენი" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი „ძალიან საშიში კინო 2„

18.30 ქრონიკა 18.35 საბ. ეკრანი 19.00 მხ. ფილმი 20.30 ქრონიკა 21.00 ჰოლივუდის ისტორიები 21.40 სერიალი „ბედის ჯიბრზე„ 22.30 ქრონიკა 23.00 მხ. ფილმი „სახიფათო კავშირები" 01.00 მუსიკა

09.05 მელოდია 09.15 „აჩიკუდა" 09.30 „ბედნიერი ერი" (განმეორებით) 09.35 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.05 მელოდია 10.15 მობილურები 10.35 მელოდია 10.45 ვიდეოკამერები 11.05 დისნეი და მისი მეგობრები 11.25 კომპიუტერული ტექნიკა 11.45 მელოდია 12.00 პრინტერები 12.15 მელოდია 12.30 ტელევიზორები 18.05 მელოდია 18.20 ვიდეოკამერები 19.00 „აჩიკუდა" 19.20 პრინტერები 19.50 დოკ.ფ.„რვაკუთხედი" 20.05 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 20.25 მელოდია 20.45 მობილურები 21.05 მელოდია 21.30 ტელევიზორები 21.40 მელოდია 22.20 „კინოკლუბი" - „შიში და სიძულვილი ლას-ვეგასში". კომედია. რეჟ: ტერი გილიამი. როლებში: ჯონი დეპი, ბენისიო დელ ტორო. (18) 00.10 მელოდია 00.20 კომპიუტერული ტექნიკა

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20, 21.30 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" Сериал 10.30, 19.00 "КЛОН" Сериал 11.30 Дневник XXVIII летних Олимпийских игр 12.10 Х/Ф "ЧЕЛОВЕК БЕЗ ПАСПОРТА" 14.00 "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" Сериал 15.20 "АНГЕЛ НА ДОРОГАХ" Сериал 16.30 Криминальная Россия 17.00 "Слабое звено" 18.20 "Властелины колец". Дневник Олимпиады 20.00 "ЧЕРНЫЙ ВОРОН" Сериал 21.00 Время 22.30 На XXVIII летних Олимпийских играх 00.00 "ДОКТОР ЖИВАГО" Сериал 01.10 На XXVIII летних Олимпийских играх 02.20 "24 ЧАСА" Сериал 03.10 Х/Ф "В ПОСТЕЛИ С УБИЙЦЕЙ" 04.40 "ДОКТОР КУИНСИ" Сериал 05.30 "Все путешествия команды Кусто"

## ოთხშაბათი 25 აგვისტო

07.55 მოამბე 08.10 „ღამის მოამბე" გამეორება 09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 09.10 მულტსერიალი „დაკარგული სამყარო" 09.40 იმღერე რამე 10.10 სერიალი „მორიგი მსხვერპლი" 11.00 „ქიმერიონი" 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 სერიალი „ფორსაიტების საგა" 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „მულენ რუჟი" 15.20 სერიალი „ზაფხულის საიდუმლო" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 16.30 დოკ. ფილმი 17.05 მულტსერიალი „დაკარგული სამყარო" 17.25 „მუსიკალური არჩევნები" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „სენ–ტროპე" 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 „მიამბეთ თქვენზე"-ჰ. ნიჟარაძე 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი „შერეკილები გამოდიან" (15)

19.00 მულტფილმი „სიმბა-ფეხბურთელი" 19.30 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 21.00 დოკ. სერიალი „კათედრალური ტაძრები" 22.00 მხ. ფილმები „ერთადერთი გამოსავალი„ (18)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 09.40 სერიალი „შეყვარებული ქალები" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.15 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი 15.25 სერიალი „სასწრაფო" 16.30 სერიალი „ალფი" 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუტები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 სერიალი „უკვდავი" 23.00 სერიალი „სოპრანოს კლანი". 00.00 მხ. ფილმი „ნილოსის მარგალიტი". მთ. რ-ში: მაიკლ დუგლასი, კეტლინ ტერნერი (15).

18.00 მხ. ფილმი „სამი მამაკაცი და ჩვილი" (U) 20.10 დოკ. ფილმი 21.10 კონცერტი 22.10 მხ. ფილმი „თვალი„ (15)

08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 03.00 ქრონიკა 08.45 ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა 10.15 ოლიმპიური თამაშები: ბ. რ. ჭიდაობა, წყალბურთი, ტრიატლონი. 13.10 ბ. რ. ჭიდაობა (გაგრძელება), ტრიატლონი (გაგრძელება) 14.00 იმედის მელოდიები 14.30 წყალში ხტომა (ქალები) 15.10 წყალში ხტომა (ქალები) (გაგრძელება), ფრენბურთი (კაცები), მეოთხედფინალი, კალათბურთი (ქალები), მეოთხედფინალი, ცხენოსნობა, ტრეკი. 17.10 ცხენოსნობა (გაგრძ.), ტრეკი (გაგრძ.), ბ. რ. ჭიდაობა, წყალბურთი. 19.20 სერიალი „კლონი„ 20.05 ტრეკი (გაგრძ.), ბ. რ. ჭიდაობა (გაგრძ.), წყალბურთი, მძლეოსნობა, ძალოსნობა. 22.20 მძლეოსნობა (გაგრძელება), ძალოსნობა (გაგრძელება), ფრენბურთი (კაცები), მეოთხედფინალი, კალათბურთი (ქალები), მეოთხედფინალი. 01.00 ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა 02.30 ტვ-მარკეტი 03.15 იმედის მელოდიები

09.00 „ფარული კამერა" 09.30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი „ფანტაზიების კუნძული" 12.00, 21.45 დეტ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე" 13.05 მხ. ფილმი „დინების საწინააღმდეგოდ მოცურავე" (U) (ჯეფრი რაში) 15.00 სერიალი „მარია ემილია" 16.05 სერიალი „იაზონი და არგონავტები" 17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 მულტსერიალი „მეხანძრე ძაღლები" 17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 18.20 „ფარული კამერა" 18.50 სერიალი „ველური მთვარე" 22.45 „ტელეპროცესი. ნოე ჟორდანია„ 00.00 მხ. ფილმი „ბარღვევა„ (18) (დონ კეინი)

13.00 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 სერიალი „მილედი" 19.20, 21.00 სპექტრი 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო„ "РТР Планета-ს„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 მხ. ფილმი 15.00 „ვესტი" "РТР Планета-ს„ პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სპორტის სამყარო 20.00 „თინეიჯერი" 21.00 „ვესტი" 21.30 მუსიკა 22.00 ინდ. მხ. ფილმი „გიჟავა-რდეს და გნამდეს" 00.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა

10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „სხვა 48 საათი„ 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ვირთხების რბოლა" 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გან.) 20.00 მხ. ფილმი „თომას კრაუნის თაღლითობა" 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქვათარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენი" 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „სახის გარეშე"

18.30 ქრონიკა 18.35 საბ. ეკრანი 19.00 მხ. ფილმი 20.30 ქრონიკა 21.00 სამრთო ქადაგება 21.10 მუსიკა 21.20 კინოლოგია (კოლი) 21.40 სერიალი „ბედის ჯიბრზე„ 22.30 ქრონიკა 23.00 მხ. ფილმი „დიდი რბოლა" 01.30 მუსიკა

09.05 მელოდია 09.15 „აჩიკუდა" 09.35 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.05 მელოდია 10.20 მობილურები 10.40 დისნეი და მისი მეგობრები 11.10 ტელევიზორები 11.20 მელოდია 11.40 პრინტერები 11.55 მელოდია 12.05 ვიდეოკამერები 12.25 მელოდია 12.30 კომპიუტერული ტექნიკა 18.05 მელოდია 18.30 კომპიუტერული ტექნიკა 19.00 „აჩიკუდა" 19.20 მობილურები 19.50 დოკ.ფ.„რვაკუთხედი" 20.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 21.00 მელოდია 21.20 პრინტერები 21.35 მელოდია 22.10 ტელევიზორები 22.45 „კინოკლუბი"-„ზაზუნას დღე". კომედია. რეჟისორი: ჰაროლდ რემისი. როლებში: ბილ მიური, ენდი მაკდაუელი. (18) 00.20 მელოდია 00.30 ვიდეოკამერები

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20, 21.30 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" Сериал 10.30, 19.00 "КЛОН" Сериал 11.20 Дневник XXVIII летних Олимпийских игр 12.20 Х/Ф "ЧЕРНАЯ РОЗА - ЭМБЛЕМА ПЕЧАЛИ, КРАСНАЯ РОЗА - ЭМБЛЕМА ЛЮБВИ" 15.20 "АНГЕЛ НА ДОРОГАХ" Сериал 16.30 Документальный детектив 17.00 "Слабое звено" 18.20 "Властелины колец". Дневник Олимпиады 20.00 "ЧЕРНЫЙ ВОРОН" Сериал 21.00 Время 22.30 На XXVIII летних Олимпийских играх 00.00 "ДОКТОР ЖИВАГО" Сериал 01.00 На XXVIII летних Олимпийских играх 02.10 "24 ЧАСА" Сериал 03.00 Х/Ф "ТЕМНЫЙ АНГЕЛ" 04.30 "ДОКТОР КУИНСИ" Сериал 05.20 "Все путешествия команды Кусто"

## ხუთშაბათი 26 აგვისტო

07.55 მოამბე 08.10 „ღამის მოამბე" გამეორება 09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 09.10 მულტსერიალი „დაკარგული სამყარო" 09.40 იმღერე რამე 10.10 სერიალი „მორიგი მსხვერპლი" 11.00 „მიამბეთ თქვენზე" 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 სერიალი „ფორსაიტების საგა" 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „ლეონარდო და ვინჩი" 15.20 სერიალი „ზაფხულის საიდუმლო" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 16.30 დოკ. ფილმი 17.10 მულტსერიალი „დაკარგული სამყარო" 17.35 სერიალი „ჩემი ყველაზე ლამაზი არდადეგები" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „სენ-ტროპე" 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 ღამის მატარებელი 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 „მუსიკალური არჩევნები" 00.55 მხ. ფილმი „ფიხის ძაღლის საიდუმლო„ (15)

19.00 მულტფილმი „სიმბა-ფეხბურთელი" 19.30 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 20.10 დოკ. ფილმი „მულენ რუჟი" 1-ლი ს. 21.00 მიამბეთ თქვენზე 22.00 მხ. ფილმი „ოთხთა სიყვარული„ (18)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 09.40 სერიალი „შეყვარებული ქალები" 11.00 სერიალი „უკვდავი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.05 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი „როლერბოლი" 15.25 სერიალი „სასწრაფო" 16.30 სერიალი „ალფი" 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუტები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.00 სერიალი „უკვდავი" 23.00 ჩემპიონთა ლიგის დაჯილდოების ცერემონია 00.00 მხ. ფილმი „ინგლისელი პაციენტი". მთ. რ-ში: რალფ ფაინსი, ჟულიეტ ბინოში (18).

18.00 მხ. ფილმი „პაპანაქება„ (U) 20.10 კონცერტი 22.00 მხ. ფილმი „ცისფერი ანგელოზი„ (15)

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 03.00 ქრონიკა 08.45 ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა 10.15 ოლიმპიური თამაშები: ბ. რ. ჭიდაობა, თანამედროვე ხუთჭიდი. 13.10 თანამედროვე ხუთჭიდი (გაგრძელება), წყალში ხტომა (ქალები). 14.00 იმედის მელოდიები 15.10 იმედის მელოდიები 15.30 კალათბურთი (კაცები) მეოთხედფინალი, ხელბურთი (ქალები), ტანვარჯიში. 17.10 კალათბურთი (გაგრ-ძელება), ტანვარჯიში, ბ. რ. ჭიდაობა. 19.20 სერიალი „კლონი„ 20.00 ფეხბურთი: „დინამო„ (თბილისი) — „სლავია„ (პრაღა) 22.20 მძლეოსნობა (გაგრძელება), ტანვარჯიში, ჰოკეი (ფინალი) (გაგრძელება), წყალში ხტომა, კალათბურთი (კაცები) მეოთხედფინალი. 01.00 ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა 02.30 ტვ-მარკეტი 03.15 იმედის მელოდიები

09.00 „ფარული კამერა" 09.30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი „ფანტაზიების კუნძული" 12.00, 21.45 სერიალი „ქვეყნის კიდეზე" 13.05 მხ. ფილმი „პატა გავარვარებულ სახურავზე„ (U) (ე. ტეილორი) 15.00 სერიალი „მარია ემილია" 16.05 სერიალი „იაზონი და არგონავტები" 17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 მულტსერიალი „სქელი ძაღლი მენდოზა" 17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 18.20 „ფარული კამერა" 18.50 სერიალი „ველური მთვარე" 22.45 „ტელეპროცესი. ნოე ჟორდანია„ 00.00 მხ. ფილმი „კატური სიტყვა„ (18) (გაი პირსი)

13.00მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 სერიალი „მილედი" 19.20, 21.00 სპექტრი 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო„ "РТР Планета-ს„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუსიკა 15.00 „ვესტი" "РТР Планета-ს„ პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 სპორტის სამყარო 20.00 ექსტრაორდინალური 21.00 „ვესტი" 21.30 სალონი 23.00 მუს. პაუზა 00.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა

10.00 დებატები 202-ზე 11.30 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „თომას კრაუნის თაღლითობა" 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „სიჩქარე" 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გან.) 20.00 მხ. ფილმი „სასიკვდილო იარაღი-4" 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქვათარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენი" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი „კარლიტოს გზა"

18.30 ქრონიკა 18.35 საბ. ეკრანი 19.00 მხ. ფილმი 20.30 ქრონიკა 21.00 „ჰოლივუდის ისტორია„ (ლინდა ბლეიერი) 21.40 სერიალი„ბედისჯიბრზე„22.30 ქრონიკა 23.00 „სტუმრად" 23.20 მხ. ფილმი „ონეგინი" 01.00 მუსიკა

09.05 მელოდია 09.15 „აჩიკუდა" 09.35 მობილურები 09.50 მელოდია 10.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.25 მელოდია 10.40 ვიდეოკამერები 11.15 დისნეი და მისი მეგობრები 11.35 ტელევიზორები 11.45 მელოდია 11.55 კომპიუტერული ტექნიკა 12.25 მელოდია 12.35 პრინტერები 18.05 მელოდია 18.20 მობილურები 19.00 „აჩიკუდა" 19.50 დოკ.ფ.„რვაკუთხედი" 20.20 კომპიუტერული ტექნიკა 20.35 მელოდია 20.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 21.25 მელოდია 21.45 ტელევიზორები 21.55 მელოდია 22.05 პრინტერები 22.20 „კინოკლუბი" -„ტრასა-60". კომედია. რეჟ: ბობ გეილი. როლებში: ჰეიმს მარსდენი, გერი ოლდმენი. (18) 00.10 ვიდეოკამერები

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20, 21.30 "УЛИЦЫ РАЗБИ-ТЫХ ФОНАРЕЙ" Сериал 10.30, 19.00 "КЛОН" Сериал 11.20 Дневник XXVIII летних Олимпийских игр 12.10 Х/Ф "ОПАСНЫЕ ГАСТРОЛИ" 14.00 "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" Сериал 15.20 "АНГЕЛ НА ДОРОГАХ" Сериал 16.30 Документальный детектив 17.00 "Личная жизнь Валентины Терешковой" 18.20 "Властелины колец". Дневник Олимпиады 20.00 "ЧЕРНЫЙ ВОРОН" Сер. 21.00 Время 22.30 На XXVIII летних Олимпийских играх 00.00 "ДОКТОР ЖИВАГО" Сер. 01.10 На XXVIII летних Олимпийских играх 02.20 "24 ЧАСА" Сериал 03.10 Х/Ф "МОЛЛИ" 05.05 "Все путешествия команды Кусто"

## პარასკევი 27 აგვისტო

07.55 მოამბე 08.10 „ღამის მოამბე" გამეორება 09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 09.10 მულტსერიალი „დაკარგული სამყარო" 09.40 იმღერე რამე 10.10 სერიალი „მორიგი მსხვერპლი" 11.00 სერიალი „ფსიქოფაქტორი" 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 სერიალი „ფორსაიტების საგა" 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი „ტურ დე ფრანსი" 15.20 სერიალი „ზაფხულის საიდუმლო" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 16.25 დოკ. ფილმი 17.00 მულტსერიალი „დაკარგული სამყარო" 17.30 მუს. არჩევნები 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „სენ-ტროპე" 19.00 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 სტუმრად მსახიობთა სტუდიაში ძენტონი ქვინი 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 ჯაზი- მარვინ გეი 01.30 მხ. ფილმი „ფედერალური დაცვა„ (18)

19.00 მულტფილმი „სიმბა-ფეხბურთელი" 19.30 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 21.00 მრავალქამიერი 21.30 აფხაზეთის ტვ. 22.00 მხ. ფილმი „ჭენებათა ორომტრიალი„ (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუტები" 09.40 სერიალი „შეყვარებული ქალები" 11.00 სერიალი „უკვდავი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.15 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი „უცნაური გოგონა" 15.25 სერიალი „სასწრაფო" 16.30 სერიალი „ალფი" 17.05 სერიალი „მაშველები" 18.20 „ტელელიპუტები" 18.55 „დისკავერი" 19.45 სერიალი „შეყვარებული ქალები" 22.10 სუპერ–თასი: „ვალენსია"-„პორტო" 23.00 სერიალი „სოპრანოს კლანი". 00.30 მხ. ფილმი „რონინი„ მთ. რ-ში: რობერტ დე ნირო, შონ ბინი (18). 02.35 მხ. ფილმი „სამყაროს უძველესი პროფესია" რეჟ. მაურო ბოლონინი (18).

18.00 მხ. ფილმი „პატარა უფლისწულმა თქვა" (U) 20.10 დოკ. ფილმი 21.00 კონცერტი 22.20 მხ. ფილმი „ალვარი პოლუქსი„ (15)

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 03.00 ქრონიკა 08.15 ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა 09.45 ოლიმპიური თამაშები: მძლეოსნობა, თავისუფალი ჭიდაობა, ველორბოლა. 13.10 თავისუფალი ჭიდაობა (გაგრძელება), ველორბოლა (გაგრძელება), კრივი, წყალში ხტომა (კაცები). 15.10 კრივი (გაგრძელება), წყალში ხტომა (კაცები) (გაგრძელება). 17.10 წყალში ხტომა (კაცები) (გაგრძელება), ცხენოსნობა, თავისუფალი ჭიდაობა. 19.20 სერიალი „კლონი„ 20.05 ცხენოსნობა (გაგრძელება), თავისუფალი ჭიდაობა (გაგრძელება), წყალბურთი (კაცები) ნახევარფინალი, ტანვარჯიში მძლეოსნობა, ფეხბურთი (კაცები) მე-3 ადგილი, ჰოკეი (ფინალი). 22.20 ცხენოსნობა (გაგრძ.), ტანვარჯიში (გაგრძ.), მძლეოსნობა (გაგრძ.), ფეხბურთი (კაცები) მე-3 ადგილი (გაგრძ.) ჰოკეი (ფინალი) (გაგრძ.), კალათბურთი (კაცები) ნახევარფინალი. 01.00 ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა 02.30 ტვ-მარკეტი 03.15 იმედის მელოდიები

09.00 „ფარული კამერა" 09.30 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 10.00 სერიალი „ველური მთვარე" 11.00, 13.00, 14.00, 16.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი „ფანტაზიების კუნძული" 12.00, 21.45 სერიალი „ქვეყნის კიდეზე" 13.05 მხ. ფილმი „გზა არლინგტონისკენ„ (U) (ჯ. ჰოუსაკი) 15.00 სერიალი „მარია ემილია" 16.05 სერიალი „მომხიბვლელი პრინცი" 17.00, 19.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 17.20 მულტსერიალი „სქელი ძაღლი მენდოზა" 17.50 „გეპატიჟებათ ბარტ ვულფი„ 18.20 „ფარული კამერა" 18.50 სერიალი „ველური მთვარე" 22.45 „ტელეპროცესი. ნოე ჟორდანია„ 00.00 მხ. ფილმი „ტემპი" (მელანი გრიფიტი) (18)

13.00 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 17.15 სერიალი „მილედი" 19.20, 21.00 სპექტრი 00.30 მუსიკა

08.00 „დილა მშვიდობისა, რუსეთო„ "РТР Планета-ს„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.00 ინდ. ფილმი „სიმართლე, სიყვარული და სილამაზე" 15.00 „ვესტი" "РТР Планета-ს„ პროგრამა 18.00, 18.30 მუს. პაუზა 18.15 ზღაპრის ტელედარბაზი 20.00 „სცენის ოსტატები" 21.00 „ვესტი" 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.30 თეატრალური შეხვედრები23.30 მუსიკა 00.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა

10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „სასიკვდილო იარაღი-4" 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ოქროს ციებ–ცხელება" 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი „მუსკულები" (გან.) 20.00 მხ. ფილმი „ადამიანი რომელიც სუსტდება" 22.00 სერიალი „მუსკულები" 22.20 ნიკა ქვათარაძის ანეკდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. სალინაძის „კენი" 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა"

18.30 ქრონიკა 18.35 საბ. ეკრანი 19.00 მხ. ფილმი „ვირეელი მეოცხალი" 20.30 ქრონიკა 21.00 „გუთანი" 21.30 მუსიკა 21.40 სერიალი „ბედის ჯიბრზე„ 22.30 ქრონიკა 23.00 პოპ-მიქსი 23.35 მხ. ფილმი „კრიმინალური კომპანია" 01.00 მუსიკა

09.05 მელოდია 09.15 „აჩიკუდა" 09.35 კომპიუტერული ტექნიკა 10.00 მელოდია 10.20 მობილურები 10.40 დისნეი და მისი მეგობრები 11.05 ტელევიზორები 11.15 მელოდია 11.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 11.50 მელოდია 12.10 ვიდეოკამერები 12.35 მელოდია 12.45 პრინტერები 18.05 მელოდია 18.20 კომპიუტერული ტექნიკა 19.00 „აჩიკუდა" 19.50 დოკ.ფ.„რვაკუთხედი" 20.35 მობილურები 20.50 მელოდია 21.00 ვიდეოკამერები 21.20 მელოდია 21.45 პრინტერები 22.10 მელოდია 22.45 ტელევიზორები 22.55 „კინოკლუბი" - „შიშის ფასი". ისტორიული დრამა. რეჟ: ფილ რობინსონი. როლებში: ბენ აფლეკი, მორგან ფრიმენი. (18) 01.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა

06.00 "Доброе утро" 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости 09.20 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" Сериал 10.30 "КЛОН" Сериал 11.30 Дневник XXVIII летних Олимпийских игр 12.20 Х/Ф "ПРОСТАЯ ИСТОРИЯ" 14.00 "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" Сериал 15.20 "ПРИКЛЮЧЕНИЯ МОЛОДОГО ИНДИАНЫ ДЖОНСА" Сериал 17.10 "Властелины колец". Дневник Олимпиады 18.30 Х/Ф "УЛИЦА ПОЛНА НЕОЖИДАННОСТЕЙ" 19.50 "Поле чудес" 21.00 Время 21.30 "Золотой граммофон" 22.30 На XXVIII летних Олимпийских играх 00.00 Х/Ф "УБИЙЦЫ НА ЗАМЕНУ" 01.40 Х/Ф "ЛЕОНАРД ШЕСТОЙ" 03.15 Х/Ф "ПРИГОВОР" 05.00 "ДОКТОР КУИНСИ" Сериал

## შაბათი 28 აგვისტო

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 08.15 სერიალი „მორიგი მსხვერპლი" 10.00 „იმღერე რამე" 10.30 საცირკო სანახაობა 11.00 მხიარული კარუსელი 11.30 საქართველო არის ესე 12.20 მხ. ფილმი „სახიფათო პროფესია" (U) 14.00 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 14.55 „ფორმულა-1" (რეპორტაჟი ბელგიიდან) 17.05 დოკ. სერიალი „ბეჰემოტის საიდუმლო" 18.00 ვესტნიკი 18.45 იმღერე რამე 19.15 ტელეზღაპარი 19.25 ისტორიანი 20.35 ფორტუნა 21.15 ქართ. ტელეფილმი „დედაო ღვთისა" 22.00 „საღამოს საუბარი" 22.50 „ეთნოგრაფიული ჩანახატი" 23.05 „ყველაზე, ყველაზე საკვირველი" 00.15 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.35 მუს. არჩევნები 01.10 მხ. ფილმი „თავისუფალი ბიჭები" (15)

19.00 მულტფილმი „სიმბა-ფეხბურთელი" 19.30 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 21.00 ქიმერიონი - რ. ესაძე 22.00 მხ. ფილმი „ოსტატის შეხება„ (15)

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები" 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 10.55 საბავშვო ფილმი „ბურატინოს თავგადასავალი„ 12.20 „სიმფონიები" 12.50 მხ. ფილმი „პლუმბუმი ანუ სახიფათო თამაში" 15.20 მხ. ფილმი „წყლის სამყარო„ 17.00 ველური სამყაროს ამბები 18.00, 21.00, 00.00 კურიერი 18.20 თანამედროვე ტექნოლოგიები 19.15 სერიალი „სუფთა ინგლისური მკვლელობები" 22.00 „ფსიქო"— „უკანასკნელი კინოსეანსი„. რეჟ. პიტერ ბოგდანოვიჩი (18). 00.20 მხ. ფილმი „21 გრამი„ მთ. რ-ში: ნაომი უოტსი, შონ პენი (18).

18.00 მხ. ფილმი „იესო" (U) 20.10 დოკ. ფილმი 20.30 სილუეტი 21.30 მხ. ფილმი „ოლივერი„ (12)

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 03.45 ქრონიკა 08.15 ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა 09.45 თავისუფალი ჭიდაობა, ფეხბურთი (კაცები) ფინალი, კალათბურთი (კაცები) მე-7-8 ადგილი, ხელბურთი (ქალები) მე-5-8 ადგილი, ველორბოლა. 13.10 თავისუფალი ჭიდაობა (გაგრძ.), ფეხბურთი (კაცები) ფინალი (გაგრძ.), ველორბოლა (გაგრძ.) 15.10 კალათბურთი (ქალები) მე-3 ადგილი. 16.45 იმედის მელოდიები 17.10 კალათბურთი (ქალები) (ფინალი), თავისუფალი ჭიდაობა. 19.20 თავისუფალი ჭიდაობა (გაგრძ.), ფრენბურთი (ქალები) მე-3 ადგილი, მძლეოსნობა, კალათბურთი (კაცები) მე-3 ადგილი, ფრენბურთი (ქალები) (ფინალი), კრივი. 22.20 მძლეოსნობა (გაგრძ.), კალათბურთი (კაცები) (ფინალი), კრივი (გაგრძ.), ფრენბურთი (ქალები) (ფინალი) (გაგრძ.), წყალში ხტომა (კაცები). 01.45 ოლიმპიური თამაშები -დღის მიმოხილვა 03.15 ტვ-მარკეტი 04.00 იმედის მელოდიები

09.00 მულტფილმი „პრინცესა შეჰერაზადა„ 09.30 საბ. სერიალი „პატარა მოჩვენებები„ 10.00 მულტფილმი „რობინ ჰუდი" 11.35 საბ. სერიალი „დიუნის შვილები„ 12.30 მხ. ფილმი „სკუბი დუ" (U) 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 14.30 მხ. ფილმი „ჯუმანჯი" (U) (რობი უილიამსი) 16.30 დოკ. სერიალი „მსოფლიო კულტურის საგანძური" 17.10 ვესტერნი მზეზე „მარტოხელა მტრედის დაბრუნება" 18.05 სერიალი „ნათლიმამას ისტორია„ 19.00 დეტ. სერიალი „ბასკერვილების ძაღლი„ 20.30 მხ. ფილმი „გიჟური პარასკევი" (U) (ჯემი ლი კერტისი) 22.30 მხ. ფილმი „რევოლუცია„ (15) (ალ პაჩინო)

13.00 მუსიკა 17.00 მხ. ფილმი „თავგადასავლების მაძიებელი" (U) 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს" 19.30 „სანინდარი" 21.00, 00.20 მუსიკა

08.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა 11.15 მუსიკალური კოლაჟი 12.15 საბავშვო სალონი 13.45 ექიმი გვირჩევს 14.45 მუს. პაუზა 15.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა 19.00 ცეროდენა ვარსკვლავები 20.00 „თინეიჯერი" 21.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა 22.00 „და ღმერთმა შექმნა ქალი" 22.30 მკურნალობა „პირამიდით" 23.30 მუსიკა 00.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა

10.00 დებატები 202-ზე 11.30 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „ადამიანი, რომელიც სუსტდება" 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „ბეჭდების მბრძანებელი: ორი ციხესიმაგრე„ 17.00 მუსიკა 18.00 მულტფილმი 20.00 მხ. ფილმი „კაპიტან კორელის არჩევანი„ 22.00 მუსიკა 23.00 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „ტრაფიკი„ (18)

18.30 საბ. ეკრანი 19.20 მხ. ფილმი 21.00 „ცხენების ისტორია" (კასკადიორები) 21.40 სერიალი „ბედის ჯიბრზე" 22.30 მუსიკა 22.40 მხ. ფილმი „ანდერგრაუნდი„ 01.00 მუსიკა

18.00 ანონსი 18.05 მელოდია 18.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.00 „აჩიკუდა 19.20 „ბედნიერი ერი" 19.25 მობილურები 19.50 მელოდია 20.20 ვიდეოკამერები 20.40 მელოდია 21.00 კომპიუტერული ტექნიკა 21.30 მელოდია 22.10 ტელევიზორები 22.30 „კინოკლუბი"- „წმინდანი". დრამა. როლებში: ველ კილმერი, ელიზაბეტ შუ. (18) 00.30 პრინტერები

06.00, 10.00, 18.00 Новости 06.10 "Шутка за шуткой" 06.30 Х/Ф "ПРАВО ПЕРВОЙ ПОДПИСИ" 08.20 Играй, гармонь любимая! 09.00 Слово пастыря 09.10 Здоровье 10.10 Тайны века. "Проклятие Брюса Ли" 11.00 На XXVIII летних Олимпийских играх 13.30 "Приключения Мики и Дональда" Мультсериал 13.50 "Пестрая лента" 14.40 Х/Ф "ССОРА В ЛУКАШАХ" 16.30 На XXVIII летних Олимпийских играх 17.50 Классика Уолта Диснея 18.10 "КВН-2004". Премьер-лига 20.00 "Кто хочет стать миллионером?" 21.00 Время 21.20 Летний вечер на "Первом канале" 22.30 На XXVIII летних Олимпийских играх 00.30 Х/Ф "12 ОБЕЗЬЯН" 02.55 Х/Ф "МОЙ САМЫЙ НЕВЕРОЯТНЫЙ ГОД" 04.30 "ДОКТОР КУИНСИ" Сериал 05.20 "Все путешествия команды Кусто"

## კვირა 29 აგვისტო

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 08.15 სერიალი „მორიგი მსხვერპლი" 10.00 „იმღერე რამე" 10.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 11.00 მრავალქამიერ -ფერეიდანი 11.30 სპა 12.15 მხ. ფილმი „როგორ მოვიშოროთ მეზობლის ძაღლი" 14.00 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 15.20 დოკ. სერიალი 15.55 „ფორმულა-1"(რეპორტაჟი ბელგიიდან) 18.00 ქართული ფოლკლორის ფესტივალი 18.25 არტ-ექსპრესი 18.45 „იმღერე რამე" 19.15 „ფიქრის გორა"- მცირე დასი 20 წლისაა 20.35 ჩემი მშვენიერი ლედი 20.55 საჭ. კინოდარბაზი — „თუში მეცხვარე„ 22.00 ტვ-ლოტო 22.45 კონცერტი ძ „ქართული ხმები" 00.20 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე". 00.40 მხ. ფილმი „ლეგენდა ბაგერა ვასზე„ (U)

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 დოკ. ფილმი „მოგზაურობა„ 20.00 მუს. ოქტაგონი - ეკა კვალიაშვილი 21.00 სტუმრად მსახიობთა სტუდიაში 22.00 მხ. ფილმი „ლულუ სამუდამოდ" (15).

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები" 09.00, 12.00, 15.00 კურიერი 09.20 მულტფილმი 10.55 საბავშვო ფილმი „ბურატინოს თავგადასავალი„ 12.20 სიმფონიები 12.50 მხ. ფილმი „შენი სიცოცხლის დაცვისას" 15.20 მხ. ფილმი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი„ 17.00 ველური სამყაროს ამბები 18.00, 21.00, 00.10 კურიერი 18.20 „განდგომილი„ 18.55 მხ. ფილმი „მთვარის მრბოლელი„ მთ. რ-ში: როჯერ მური, მაიკლ ლონსდეილი (U) 21.45 ჩვენი ეზო 22.00 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება„ 877 45-79-25 ელაიჯა ვუდი, იენ მაკელენი (15), „შავი რაინდი„ 877 45-79-26 მარტინ ლოურენსი, მარშა ტომასონი (15) „ავტოკატასტროფა" 877 45-79-27 კურტ რასელი, კეტლინ კუინლენი (15). 00.30 მხ. ფილმი „დიკ თრეისი„ მთ. რ-ში: ალ პაჩინო, დასტინ ჰოფმანი (18)

18.00 მხ. ფილმი „ჩემი ბრალი არ არის" (U) 19.45 დოკ. ფილმი 20.50 კონცერტი 22.10 მხ. ფილმი „საეჭვო პირები„ (18).

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 01.30 ქრონიკა 08.15 ოლიმპიური თამაშები -დღის მიმოხილვა 09.45 ხელბურთი (ქალები) მე-7-8 ადგილი, თავისუფალი ჭიდაობა, წყალბურთი (კაცები), ხელბურთი (ქალები) (ფინალი). 13.10 თავისუფალი ჭიდაობა (გაგრძ.), ხელბურთი (ქალები) (ფინალი) (გაგ-რძ.), წყალბურთი (კაცები) (გაგრძ.), ფრენბურთი (კაცები) მე-3 ადგილი, ფეხბურთი (ქალები) მე-3 ადგილი, კრივი. 15.10 ფრენბურთი (კაცები) (გაგრძ.), ფეხბურთი (ქალები) (გაგრძ.), ფრენბურთი (კაცები) (ფინალი), კრივი (გაგრძ.), ფეხბურთი (ქალები) (ფინალი), ტანვარჯიში, თავისუფალი ჭიდაობა. 17.10 ფრენბურთი (კაცები) (გაგრძ.), ფეხბურთი (ქალები) (გაგრძ.), კრივი (გაგრძ.), ტანვარჯიში (გაგრძ.), თავისუფალი ჭიდაობა (გაგრძ.), წყალბურთი (კაცები) (ფინალი), მარათონი. 19.20 ფეხბურთი (ქალები) (გაგრძ.), წყალბურთი (კაცები) (გაგრძ.), მარათონი (გაგრძ.). 20.00 ოლიმპიური თამაშები -დღის მიმოხილვა 22.00 ათენის ოლიმპიური თამაშების დახურვის საზეიმო ცერემონიალი. 01.00 ტვ-მარკეტი

09.00 მულტფილმი „პრინცესა შეჰერაზადა„ 09.30 მულტსერიალი „ჯადოსნური ტყე„ 10.00 მულტფილმი „ნემოს ძიებისას„ 11.30 საბ. სერიალი „დიუნის შვილები„ 12.30 მხ. ფილმი „102 დალმატინელი" (U) 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება „მზერა" 14.30 მხ. ფილმი „უცხოპლანეტელი" (U) (ჰენრი ტომასი) 16.30 დოკ. სერიალი „მსოფლიო კულტურის საგანძური" 17.10 ვესტერნი მზეზე „მარტოხელა მტრედის დაბრუნება" 18.05 სერიალი „ნათლიმამას ისტორია„ 19.00 დეტ. სერიალი „ბასკერვილების ძაღლი„ 20.30 მხ. ფილმი „სათადარიგო მოთამაშე" (U) (ჯონ ვოიტი) 22.00 მხ. ფილმი „მეძველმანე" (15) (კრისტოფერ სტოუნი)

13.00 მუსიკა 15.30 გადაცემა „შამარერა" 16.30 მხ. ფილმი „სახიფათო ჩაძირვა" (U) 19.00 ინდ. მხ. ფილმი 22.00 „ჯაზ-პარნასი" 22.30 მუსიკა

08.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა 11.15 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 12.15 თეატრალური შეხვედრები 13.15 მუს. პაუზა 14.00 ლაბირინთი 15.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა 18.10 რელიგიის საათი 20.00 თავისუფალი მიკროფონი 20.30 შეხვედრა ვარსკვლავთან 21.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა 22.00 „იდენ-ტვ" 22.30 მკურნალობა „პირამიდით" 23.45 მუსიკა 00.00 "РТР Планета-ს„ პროგრამა

10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი „კაპიტან კორელის არჩევანი„ 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი „იტალიური სამუშაო" 17.00 მუსიკა 18.00 მულტფილმი 20.00 მხ. ფილმი „შიშის ოთახი" 22.00 მუსიკა 23.00 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი „მწარე მთვარე„

18.30 საბ. ეკრანი 19.20 მხ. ფილმი „იამაკების არაჩვეულებრივი თავგადასავალი აფრიკაში" 20.15 ცხოველების პლანეტა (მტაცებელი ფრინველები) 21.00 ანალიტ. გადაცემა „კითხვის ნიშანი" 22.00 მხ. ფილმი „გლადიატორი" 00.30 მუსიკა

18.00 ანონსი 18.05 კომპიუტერული ტექნიკა 18.25 მელოდია 19.00 „აჩიკუდა" 19.30 მობილურები 19.50 მელოდია 20.10 ტელევიზორები 20.20 მელოდია 20.45 აუდიო-ვიდეო-ტელე 21.15 მელოდია 21.35 ვიდეოკამერები 21.55 მელოდია 22.10 პრინტერები 22.25 „კინოკლუბი" - „ნოვოკაინი". კომედია. რეჟ: დევიდ ატკინსი. როლებში: სტივ მარტინი, ჰელენა ბონჰემ კარტერი. (18)

06.00, 10.00, 12.00, 13.00 Новости 06.10 "Все путешествия команды Кусто" 06.30 Х/Ф "СЛУЧАЙ НА ШАХТЕ ВОСЕМЬ" 08.20 Служу Отчизне! 08.50 "Мики, Дональд и Гуфи-спортсмен" Мультсериал 09.10 "В мире животных" 10.10 "Непутевые заметки" 10.30 Пока все дома 11.10 "Дог-шоу" 12.10 "Том и Джерри" Мультсериал 13.30 "Приключения Мики и Дональда" Мультсериал 13.50 "Путешествия натуралиста" 14.20 "Большие родители" 14.50 Х/Ф "КАСПЕР" 16.40 На XXVIII летних Олимпийских играх 18.10 Х/Ф "ВЯНЕТ-ПРОПАДАЕТ" 19.10 "Золотой граммофон". Избранное 21.00 Время 21.45 "Кривое зеркало" 23.40 Х/Ф "ИНФЕРНО" 01.40 Х/Ф "КАК ЭТО ДЕЛАЮТ КОВБОИ" 03.35 Х/Ф "СИЛА ЕДИНСТВА"

ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზავრმა"

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**რა წამალი შველის წელის და მუხლის ტკივილს?**

***მკითხველი***

წელისა და მუხლის ტკივილი დიაგნოზი არ გახლავთ — ეს მხოლოდ სიმპტომებია და მათ რაღაც დაავადება ან დაავადებები იწვევს. მკურნალობის დანიშვნამდე საჭიროა დიაგნოზის დასმა, ამისთვის კი გამოკვლევები უნდა ჩაიტაროთ და ექიმს გაესინჯოთ.

საერთოდ, ტკივილის გაყუჩება ანალგეტიკებით და არასტერიოდული ანტიანთებითი პრეპარატებით შეიძლება, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ ე.წ. სიმპტომური და არა საფუძვლიანი მკურნალობა. წამლის მიღების შეწყვეტისთანავე ტკივილი ისევ შეგახსენებთ თავს. ასე რომ, გირჩევთ, დროულად მიმართოთ ექიმს.

**ერთი წელია მაწუხებს კუდუსუნის კისტა. მაქვს გამონადენი და მიქმნის დისკომფორტს. ოპერაციის საშუალება არ მაქვს. გთხოვთ მირჩიოთ, რა მედიკამენტებით უნდა ვიმკურნალო?**

***ერთგული მკითხველი***

ადგილობრივი კონსერვატიული მკურნალობა გულისხმობს ანტიბაქტერიული (ანტიბიოტიკები), ანტიანთებითი და ქსოვილთა რეგენერაციული თვისებების მქონე პრეპარატების გამოყენებას. მაგრამ ხშირად კონსერვატიული მკურნალობა შედეგს არ იძლევა და საჭირო ხდება ქირურგიული ჩარევა. თვითმკურნალობას კი, მით უმეტეს, საგაზეთო კონსულტაციით, არ გირჩევთ, რადგან ეს დაავადება საკმაოდ პრობლემურია თვით ექიმებისთვისაც კი.

**მაწუხებს ფეხის თითებს შორის ქავილი. ქავილისას მძვრება კანი, დღეში რამდენჯერმე ვიბან ხან ცივი, ხან თბილი წყლით. მირჩიეთ, რა გავაკეთო.**

***მედეა***

უნდა მიმართოთ დერმატოლოგს, რომელიც გაარკვევს ქავილისა და კანის აქერცვლის მიზეზს, მანამდე კი გირჩევთ, გაღიზიანებული კანი წყალს მოარიდოთ.

**მყავს 35 წლის ვაჟი. ფხიზელი მშვიდია, მაგრამ იშვიათად, როცა დალევს, ძალიან აფორიაქებულია ხოლმე, ყვირის, ბოდავს. გთხოვთ მასწავლოთ რამე საშუალება, რომ ღვინო გაანეიტრალოს, ან ვის მივმართო?**

***მკითხველი***

თქვენ მიერ აღწერილ მდგომარეობას პათოლოგიური სიმთვრალე ჰქვია. საუკეთესო გამოსავალი ისაა, რომ ადამიანმა უარი უნდა თქვას ალკოჰოლზე. ალკოჰოლიზმის პრობლემები ექიმ-ნარკოლოგის კომპეტენციაა.

რაც შეეხება ღვინის განეიტრალებას, თუ ადამიანს თავად აქვს სურვილი, რომ ალკოჰოლი ნაკლებად მოეკიდოს, დალევამდე 1/2-1 საათით ადრე უნდა მიირთვას ცხიმი (მაგალითად, კარაქი), ანდა ღვინოს მიაყოლოს რომელიმე მინერალური წყალი, თუნდაც „ბორჯომი“. მთვრალის გამოსაფხიზლებლად კი შეგიძლიათ ერთ ჭიქა წყალში ჩააწვეთოთ 1-2 წვეთი ნიშადურის სპირტი და დაალევინოთ. სახეზე შეასხით ცივი წყალი ან დაალევინეთ მაგარი ყავა.

**რამდენიმე წელია, მაქვს ღრძილების ანთება. გამოკვლევებით (ნაცხის აღებით) დამიდგინეს სოკო და გინგივიტი. 3 წელი, რამდენიმე თვის გამოტოვებით, ვმკურნალობდი. შედეგი ფაქტობრივად არ მაქვს. მირჩიეთ, რა საშუალებები გამოვიყენო, რა იწვევს ღრძილების ანთებას? ვარ 26 წლის.**

***პატივისცემით — თ. ჯიშკარიანი, თბილისი***

როცა ღრძილების ანთება ქრონიკულია და ძნელად ემორჩილება მკურნალობას, უნდა ვიფიქროთ, რომ მიზეზი მხოლოდ ადგილობრივი ანთებითი პროცესი კი არა, ორგანიზმში მიმდინარე ზოგადი ხასიათის დარღვევებია. ღრძილების ანთება ხშირად აქვს მათ, ვისაც დარღვეული აქვს ნივთიერებათა ცვლა, აქვთ შინაგანი ორგანოების ქრონიკული პათოლოგიები და ა.შ. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ანთების საწინააღმდეგო თერაპია არ იქნება ეფექტიანი — თქვენ ზოგადი გამოკვლევა და მკურნალობა გესაჭიროებათ. აუცილებელია აგრეთვე იმუნური სისტემის გაძლიერება. მკურნალობა უკეთესი იქნება, თუ კბილის მიმდებარე ქსოვილებს არ განმეორებით მარილოვანი ნალექებისაგან (ქვებისაგან), რადგან მექანიკური გამაღიზიანებელი ფაქტორი ანთების ხელახალ განვითარებას უწყობს ხელს. მიმართეთ გამოცდილ თერაპევტსა და სტომატოლოგს ერთდროულად და კომპლექსური მკურნალობა ჩაიტარეთ.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## კარაბადინი

**რამდენიმე წლის წინ, მძიმე ავადმყოფობისას, ისე გავხდი, რომ სარკეში ჩახედვაც მეშინოდა. მადაც არ მქონდა და ვერაფერით ვიმატებდი წონაში. სოფელში ყოფნისას ერთმა მეზობელმა მასწავლა გასუქების რეცეპტი: საჭიროა 300გ ღორის ქონი და 6 დიდი, ანტონოვკის ჯიშის ვაშლი. ვაშლი წვრილად დაჭერით და ქონთან ერთად დაბალ ცეცხლზე ჩაშუშეთ, თან ურიეთ, რომ არ დაიწვას. 12 ახალი კვერცხის გული ათქვიფეთ 1 ჭიქა შაქართან ერთად. ამ მასას შეურიეთ 3 ფილა (100-გრამიანი) გახეხილი შოკოლადი. შემდეგ ქონისა და ვაშლის ნარევი გახურეთ საწურში და შეურიეთ თბილ-თბილად შოკოლად-ან-კვერცხიან ნარევს და კარგად აურიეთ. მიღებული მასა გააცივეთ და ჭამეთ პურზე წასმული, თან რძეც მიაყოლეთ. ამ საკვების წყალობით ძალიან სწრაფად დავიწყე წონაში მატება და ჯანმრთელობის მდგომარეობაც გამოსწორდა.**

***პატივისცემით, ნანა მენთეშაშვილი***

## მკითხველი — მკითხველს

**დედაჩემისაგან გადმოცემით ვიცი, რომ ორი თვის ასაკში მუცელზე გამიჩნდა წითელი ქარი და ამ მიზეზით საავადმყოფოში აღმოვჩნდი. 70-იან წლებში აღნიშნული დაავადება სხვადასხვა პერიოდში კიდურებზე განმეორდა. უკვე დიდი ხანია ფეხები მისივდება კოჭებს ზემოთ, მიჩნდება 15-20 სმ-იანი წითელი ლაქები, რომლებიც ზოგჯერ ფერს იცვლის და გადადის ყავისფერში. ექიმმა მითხრა, რომ მაქვს ქრონიკული წითელი ქარი. მრავალჯერადი მკურნალობის მიუხედავად, ფეხების შესივებას არაფერი შველის. გთხოვთ გამომეხმაურეთ, თუ ვინმემ იცით წითელი ქარის მცენარეული დასალევი ან მალამოს ტიპის სამკურნალო წამალი.**

***ე. ქედიშვილი***

## გამოხმაურება

2004 წლის 26 ივლისის „კვირის პალიტრაში“ დაიბეჭდა ნელი ჭუბაბრიას წერილი. ის წუხდა, რომ შვილს ძვლის ტუბერკულოზს დიდი ხანია მკურნალობენ სხვადასხვა კლინიკაში, მაგრამ უშედეგოდ. დედა ჩვენგან ითხოვდა შველას. რედაქციაში უამრავი წერილი შემოვიდა. აღფრთოვანებულნი და მადლიერნი ვართ თქვენი თანადგომით, ძვირფასო მკითხველო! სხვისი ჭირის გაზიარების ასეთი უნარია ჩვენი ძლიერებისა და გადარჩენის საფუძველი. ქალბატონ ნელი ჭუბაბრიას კი გვინდა ვთხოვოთ, დაგვიკავშირდეს რედაქციაში, რათა უამრავი, მისთვის საიმედო ინფორმაცია მივაწოდოთ.

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## მათთვის, ვინც შვებულებას ქალაქში ატარებს



**„ცხოვრება“ რომ შეუმსუბუქოთ** სისხლძარღვებს (მათ შორის, თავის ტვინისაც) საჭიროა: მიიღოთ თითო-თითო აბი ნო-შპა და გლიცერინი, 1/2 ჩ/ჭ წყალში გახსნილი 20 წვეთი ვალოკორდინი. ნო-შპა ხსნის სპაზმებსა და აფართოებს სისხლძარღვებს, გლიცერინი ასტიმულირებს ტვინის ნერვული რეცეპტორების მუშაობას, ვალოკორდინი (კორვალოლი) ამშვიდებს ორგანიზმს და ხსნის ძარღვებისა და კუნთების დაძაბულობას. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, ნო-შპა წნევას დაბლა სწევს, ამიტომ მუდმივად აკონტროლეთ.

ხალხური სიბრძნე კი (რომელსაც ეთანხმებიან კარდიოლოგები) გვირჩევს, არასტაბილური ზაფხულის პერიოდში მოიხსნათ ყველანაირი სამკაული (იგი ხელს უშლის სისხლის მიმოქცევას) ამით გაუმჯობესდება სისხლძარღვებში სისხლის მოძრაობა.

**„მოიპოვეთ“ სუფთა ჰაერი** — ზაფხულში მცირდება ჰაერში ჟანგბადის რაოდენობა და ვხვდებით ჰიპოქსიის (ქსოვილების ჟანგბადით შიმშილი) ტყვე, გვეწყება თავის ტკივილი, საერთო სისუსტე — ეს რომ არ მოხდეს, შეიძინეთ ჰაერის იონიზატორი და ჟანგბადის კოქტეილი (მართალია, გემრიელი არ არის, მაგრამ ძალიან სასარგებლოა), ოთახის მცენარეები, რომლებიც გამოყოფენ ჟანგბადს დიდი რაოდენობით.

**წყალი — ყველაფერია.** რა თქმა უნდა, არ ღირს იჭყუმპალაოთ ჭუჭყიან წყალში ან გუბურაში, მაგრამ წყალი მთელი დღის განმავლობაში თქვენი თანამგზავრი უნდა იყოს. გაგრილდით ზღვის მარილიან და ეთეროვანზეთიან (ბერგამოტის, გრეიპფრუტის, ბარამბოს და სხვა) აბაზანაში დღის განმავლობაში, ხშირად შეუშვირეთ ხელები ცივ, გამდინარე წყალს და შეისხურეთ სახეზე. შესანიშნავად ხსნის დაღლილობას და ატენიანებს სახის კანს მინერალური წყალი.

**მიეძალეთ აუზს.** საცურაო აუზი ნამდვილი შველაა. სპორტის იდეალური სახეა — ცურვა. სასურველია, აუზს ესტუმროთ კვირაში 2-ჯერ მაინც. რაც შეეხება სარბენ ბილიკსა და ტრენაჟორებს — ნუ მიეძალებით. უპირატესობა მიანიჭეთ ე.წ. აერობიკულ და სუნთქვით ვარჯიშებს.

**დალიეთ ფოთლები და სვით წვენები.** სიმხნევეს შეგმატებთ პიტნისა და ლიმონის წვენი (1:1), რომელსაც ყინული უნდა დაამატოთ;

1ს/კ მჟაუნას ან ჭინჭრის წვენს დაამატეთ სტაფილოს ან ვაშლის წვენი;

უპირატესობა მიანიჭეთ თევზს, მოხარშულ ხორცს, ხილსა და ბოსტნეულს, ბურღულეულს, წითელი მხლის, ნიწმატის სალათებს. სალათები მიირთვით მომზადებისთანავე, რადგან მაცივარში ძალიან სწრაფად მჟავდება და კარგავს სასარგებლო თვისებას.

***კომსომოლსკაია პრავდა №145***

## ფრთხილად! ეს შეიძლება ზაფხულის გრიპი კი არა...

ხშირად ზაფხულში მოულოდნელად ბავშვი გრიპით ხდება ავად. თუმცა, ეს შეიძლება გაცივება კი არა, გრიპის თვისებებით შენიღბული კუჭ-ნაწლავის ინფექცია იყოს. ამ დაავადებას იწვევს არა ვირუსები, არამედ ბაქტერიები — ე.წ. ლისტერიები, რომელიც გამოიზამთრებს მიწაში, მდინარეებში, ტბორებში, ტბებში და დათბობისთანავე იწყებს გამრავლებას. როგორც წესი, ამ ბაქტერიებს ყველაზე მეტად ეხება ბავშვი (ეზოში, სოფელში, ბანაკებში, ზღვაზე, მდინარეში, ჭუჭყიანი ხილბოსტნეულისა და პროდუქტის ჭამისას და ა.შ.)...

მართალია, ლისტერიოზი ახალი დაავადებაა, მაგრამ მისი არსის ამოხსნა მაინც შეძლეს მეცნიერებმა. ამ სენით ავადდებიან პატარები, თუმცა არც უფროსები არიან დაზღვეულნი.

ლისტერიოზი (კუჭ-ნაწლავის გრიპი) იწყება უცაბედად, მუცლის ტკივილით, ტემპერატურა 39-40°C-ს აღწევს, დამახასიათებელია პირღებინება, კუჭის აშლილობა, მადის დაკარგვა, ცხვირის სისველე, ხველება; პატარა მოშვებული და მოდუნებულია, სტკივა თავი, უსივდება ყელი, რასაც ემატება კონიუნქტივიტი. ამ დაავადებამ შეიძლება გამოიწვიოს გართულებები, როგორიცაა: ნუშისებრი ჯირკვლების ჩირქოვანი ანთება, ბრონქიტი, პნევმონია, პანკრეატიტი... სწრაფად რომ დაისვას დიაგნოზი — ეს ჩვეულებრივი ვირუსული გრიპია თუ ლისტერიოზი, საჭიროა ბავშვის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, რის შემდეგაც იწყება ექიმის დანიშნულების მიხედვით მკურნალობა.

დაბოლოს, ექიმები გვაფრთხილებენ:

1. დაიცავით პატარის ჰიგიენა;
2. არა მარტო ვასწავლოთ მას ხელ-პირის დაბანა ჭამის წინ და ტუალეტის შემდეგ, არამედ ეზოდან ამოსვლის შემდეგაც, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის მოეფერა ცხოველებსა და ფრინველებს;
3. სოფელში ასვით მხოლოდ ვეტერინარის მიერ შემოწმებული ძროხის რძე, რომელიც უნდა ადუღოთ 5-10 წუთი. უმჯობესია ხაჭაპური გამოაცხოთ ხაჭოთი, გააკეთოთ ხინკალი — პატარებს ეს უფრო უყვართ;
4. არ შეიძლება ხორცეულის, ძეხვეულის, რძის პროდუქტებისა და ხილ-ბოსტნეულის მაცივრის ერთ თაროზე შენახვა;
5. როგორც კი შეამჩნევთ პატარას გრიპის ნიშნებს, თავი დაიზღვიეთ (ხომ შეიძლება ეს ლისტერიოზი იყოს) და გამოუძახეთ ექიმს.

***მოი რებიონოკ №7***

## ანტიბიოტიკის კურსი ბოლომდე ჩაიტარეთ

ხშირად არის შემთხვევა, როცა ექიმი პაციენტს უნიშნავს ანტიბიოტიკს. ავადმყოფი მე-2 ან მე-3 დღეს უკეთ ხდება და თავს ანებებს მის მიღებას. ეს ყოვლად დაუშვებელია — ასე შეიძლება ავნოთ არა მარტო საკუთარს, არამედ სხვის ჯანმრთელობასაც. როგორც ცნობილია, ანტიბიოტიკი კლავს ბაქტერიებს. მკურნალობის დაუმთავრებელი კურსი — ეს არის ცოცხლად დარჩენილი მიკრობები. ცოცხლები რჩებიან გაცილებით გამძლე ბაქტერიები (გამძლე იმ ანტიბიოტიკის მიმართ, რომელსაც იღებდა პაციენტი). ბაქტერიებს ეს თვისება გენეტიკურ დონეზე აქვთ, გარდა ამისა, მათ შეუძლიათ ერთმანეთს გაუნაწილონ მავნე გენები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიკროორგანიზმები თავიანთ საქმიანობას ისევ შეუდგებიან და ავადმყოფობა მობრუნდება, ოღონდ შეიძლება უფრო სუსტი ფორმით, ძველი ანტიბიოტიკები უკვე ვეღარ იმოქმედებენ მათზე. ასეთი ჯიუტი ბაქტერიებით შეიძლება სხვაც დაავადოთ. ანტიბიოტიკით მკურნალობა მეტად სერიოზულია. ამიტომ სჯობს, წინასწარ გადაწყვიტოთ, საჭიროა თუ არა მათი მიღება. არ მოგერიდოთ და ჰკითხეთ ექიმს.

ხანდახან ანტიბიოტიკის მიღება ისევე საშიშია, როგორც გრიპით დაავადება.

***მერი კლერი***

## რომელი ჩაია გულის მკურნალი?



სამკურნალო მცენარეებს შორის კუნელს ნამდვილად შეიძლება ეწოდოს „გულის პური“.

კუნელს აქვს თეთრი ყვავილები, სისხლივით წითელი ნაყოფი, მომჟავო-მოტკბო გემო.

ახალგაზრდა საქმიან მამაკაცებს, რომელთა სამუშაო დღე ძალიან დატვირთულია და ხშირად სტრესთანაცაა დაკავშირებული, დაეხმარება კუნელის ჩაი, აარიდებს სერიოზულ გართულებებს. საპასუხისმგებლო თანამდებობის მქონე 40-50 წლის მამაკაცები ეწევიან სიგარეტს და არარეგულარულად იკვებებიან, რაც ინფარქტის წინაპირობაა. ამიტომ, ყოველდღე ორ-სამჯერ კუნელის კარგად გამხმარი ყვავილების და ფოთლების ჩაი უნდა სვან. მაგრამ არის ერთი მნიშვნელოვანი პირობა: როგორც ყველა ნატურალური ბალახით მკურნალობისას — აქაც შედეგის სწრაფი იმედი არ უნდა გვქონდეს. გულის მუშაობის გაუმჯობესება იწყება არანაკლებ 6 თვის შემდეგ — კუნელის ჩაის რეგულარული მიღებიდან. საერთოდ, ეს ჩაი შეიძლება სვათ წლობით.

***მეგაპოლის ექსპრესი №29***

# ლუდი მზით დამწვრობას შველის

თუ მზეს არ მოერიდეთ და დაიწვით, ზომები სასწრაფოდ უნდა მიიღოთ. არავითარ შემთხვევაში არ წაისვათ დამწვარზე ზეთი — კანი ვერ ისუნთქავს, დაგეწყებათ ანთება. გიშველით, რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ჩვეულებრივი ლუდი.

ჩაასხით ქილაში ნებისმიერი მარკის გრილი ლუდი, დაუმატეთ 3 ს/კ არაყანი, კარგად აურიეთ და მზით დამწვარ ადგილებზე ფრთხილად წაისვით. დაელოდეთ, ვიდრე კანი ნაყენს მთლიანად არ შეიწოვს.

თუ უსიამოვნო შეგრძნება — წვა, ტკივილი — გრძელდება, პროცედურა გაიმეორეთ.

**ოქროს ხელი! №32**

# კოქტეილი ცელულიტის წინააღმდეგ

ცელულიტს მოვიშორებთ, თუ გამოვიყენებთ ბოსტნეულის წვენებს. განსაკუთრებით ეფექტიანია კოქტეილი, რომელიც მზადდება 2 წილი ნიახურის, 1 წილი ჭარხლისა და 1 ჩ/კ ნიწმატის წვენისგან და ძალიან სწრაფად გამოდევნის ქსოვილებში დაგროვილ წიდებს. ნიახური, რომელიც შეიცავს კალიუმს, ამაგრებს სისხლძარღვებს, ასტიმულირებს ნივთიერებათა ცვლას. თუ ამ კოქტეილს 2 დღის განმავლობაში მიიღებთ მინერალურ წყალთან მონაცვლეობით, არა მარტო მოიშორებთ ზედმეტ ცხიმოვან უჯრედებს, შეიძლება 1, 2, 3 კგ-ითაც დაიკლოთ წონაში. ამ პროცედურას გააჩნია დიდი გამაჯანსაღებელი ზემოქმედება, რადგან ორგანიზმს, გასუფთავებასთან ერთად, აწვდის აუცილებელ ვიტამინებს.



თუ გაგიჭირდათ ამ სამკურნალო დიეტის გადატანა, დღის განმავლობაში შეიძლება შეჭამოთ 2-3 ნაჭერი შავი პური.

**ლიზა №31**


**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №10 პოლიკლინიკა, კაბ. №7, 10-13სთ-მდე

☎ 8(93) 31 42 35






**სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"**

**სექსოპათოლოგიის კლინიკა**

**ტელ.: 32 21 21**

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

*პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.*

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11


**იდუმალი სიცოცხლის ძალა.** ორი მიკროსკოპული უჯრედის შერწყმის შედეგად ადამიანის განვითარება სიცოცხლის ერთ-ერთი უდიდესი საიდუმლოებაა. მე-12 კვირიდან ნაყოფი აღწევს 9 სმ-ს. ამერიკელმა მეცნიერებმა შეადგინეს ჩანასახის ე.წ. „აზროვნების ტაბულა", რომელიც ორსულობის მე-4 კვირიდან იწყება. განვითარების მესამე თვეზე ჩანასახს უკვე აქვს ორგანოთა ყველა ის სისტემა, რომელიც აუცილებელი და საჭიროა შემდგომი ცხოვრებისთვის. მომდევნო 6 თვის განმავლობაში კი სისტემები „მწიფდება" და ეჩვევა ერთობლივ და შეთანხმებულ მუშაობას თავის ტვინის ზედამხედველობით. ფეხმძიმობის პირველი თვე ყველაზე აქტიურია. ამ დროს ნაყოფი იზრდება ძალიან სწრაფად, ბოლო თვეებში განვითარების სიჩქარე კლებულობს.

— 4 კვირის ჩანასახს უკვე ჰქონია გემოვნება და საკმაოდ დახვეწილიც, ძალიან უყვარს ტკბილი და საშინლად არ სიამოვნებს მწარე.

— პატარა ზუსტად იმეორებს დედის მოძრაობებს, მის გუნებაგანწყობილებას. თვლემს, როცა დედა იძინებს, იღვიძებს მასთან ერთად და იცინის კიდეც...

— ჯერ კიდევ სრულიად განუვითარებელს, იმდენად ეშინია ნიკოტინის, რომ საკმარისია დედას სიგარეტის მოწევის მხოლოდ სურვილი გაუჩნდეს, რომ მისი გული გამალებით იწყებს ძგერას;

— 30 კვირიდან ჩანასახს უვითარდება ნერვული სისტემის გამტარი გზები, რომლებითაც ტვინი სიგნალებს — ნერვულ იმპულსებს იღებს სხეულის სხვადასხვა ნაწილიდან და პირიქით. ამავდროულად, თავის ტვინის ქერქი უკვე საკმარისად მწიფდება, რათა აწარმოოს კონტროლი ცნობიერებაზე;

— ნაყოფს თავისებური დამოკიდებულება აქვს მუსიკის მიმართაც. ვერ ეგუება როკს, ძალზე სიამოვნებს კლასიკური მუსიკა.

— ჩანასახს რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება აქვს სინათლისადმი, ვიდრე ჩვენ.

დედის მუცლის პირდაპირი, ძლიერი განათებისას იგი ცდილობს, როგორმე დაემალოს მას.

**ნატურალური თაფლი** — ნატურალური თაფლი შეიცავს 35% გლუკოზას და 38% ფრუქტოზას, მცირე რაოდენობით თითქმის ყველა ვიტამინს, მინერალურ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს, ფერმენტებს. 100 გ თაფლი შეიცავს 308 კალორიას. დღე-ღამის დოზა არ უნდა აღემატებოდეს 80-100 გრამს, რომელიც რამდენიმე ულუფად უნდა მიიღოთ.

შაქრის შეცვლა თაფლით მიზანშეწონილია ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა: ათეროსკლეროზი, ტუბერკულოზი, ანემია, ღვიძლისა და ფილტვის პათოლოგიები, შაქრიანი დიაბეტი.

კუჭის დაავადებების დროს (მაღალი სეკრეციით) შეგიძლიათ მიიღოთ თბილ წყალში გახსნილი თაფლი ჭამის წინ 1,5-2სთ-ით ადრე, ხოლო დაბალი სეკრეციის დროს — ცივ წყალში გახსნილი.

თაფლი კარგად ინახება. ნატურალური თაფლი ხანგრძლივი შენახვისას კრისტალდება და სქელდება, იცვლის ფერს. თუ თაფლში გლუკოზა სჭარბობს, ის კრისტალდება, თუ ფრუქტოზა — არც კრისტალდება და არც სქელდება. თუ თაფლის გათხელება გინდათ, მოათავსეთ ჭურჭლიანად ცხელ წყალში, რომლის ტემპერატურა $60^0$-ს არ აღემატება. თაფლის შენახვა რეკომენდებულია მინის ჭურჭელში.

*როდის ინიშნება შარდმდენები:* კარდიოლოგები დიურეტიკებს ყველაზე ხშირად ნიშნავენ ჰიპერტონიული დაავადებისა და გულის უკმარისობის დროს. გარდა ამისა, ისინი წარმატებით გამოიყენება გლაუკომის, ღვიძლის ციროზის, თირკმლის პათოლოგიების, ენდოკრინული დაავადებების, ტვინის შერყევის დროს. გარდა ამისა, ქვედა კიდურების შეშუპების დროს. მაგრამ სანამ დიურეტიკს დალევდეთ, ძალზე მნიშვნელოვანია შეშუპების მიზეზების დადგენა. მაგ. ზოგჯერ ფეხების შეშუპება მიუთითებს გულის უკმარისობაზე. ამიტომ აუცილებელია კონსულტაცია ექიმთან, რომელიც შარდმდენებთან ერთად მკურნალობის ძირითად კურსსაც დანიშნავს.

დილით სახის შეშუპება შეიძლება იყოს თირკმლების მუშაობის დარღვევის შედეგი.

# ეს დაიმახსოვრეთ...

თაფლის ნატურალურობის შემოწმება თვითონვე შეგიძლიათ. ამისთვის 1 კოვზი თაფლი მოათავსეთ პატარა მინის ჭურჭელში, ჩადგით ცხელ წყალში, დაახურეთ სახურავი და 10 წთ-ის შემდეგ მოხადეთ — მკვეთრად შეიგრძნობთ იმ ყვავილის (აკაციის, სამყურას, ცაცხვის, მზესუმზირის, წაბლის და ა.შ.) სურნელს, რომლისგანაც თაფლია დამზადებული. ნატურალურ თაფლს ტკბილი, ოდნავ მწკლარტე, მაგრამ სასიამოვნო გემო აქვს. ის თხელი კონსისტენციისაა. თუ თაფლი ფალსიფიცირებულია, გახსნისას მინარევები ილექება, ხოლო დამატებულ სახამებელს და ფქვილს ადვილად გამოიცნობთ იოდის დაწვეთებით — ნალექი გალურჯდება.



**დიურეტიკები.** თანამედროვე მედიცინა იყენებს უამრავი დასახელების შარდმდენ საშუალებას. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან მოქმედების სიძლიერის მიხედვით. ძლიერმოქმედებს მიეკუთვნება: ფუროსემიდი, ეტაკრინის მჟავა და სხვა. საშუალო სიძლიერისაა ჰიდროქლორითიამიდი და სხვა. საგანგებოდ უნდა აღინიშოს კალიუმის დამზოგავი პრეპარატებიც, რადგანაც დიურეტიკების უმრავლესობა ორგანიზმიდან სითხესთან ერთად დევნის დიდი რაოდენობით კალიუმის, ნატრიუმის, ქლორის, მაგნიუმის იონებს. ეს კი საზიანოა ჯანმრთელობისათვის. თვით სახელწოდება — „კალიუმშემნახველი" იმაზე მიუთითებს, რომ ეს პრეპარატები ორგანიზმისთვის აუცილებელ ელემენტს — კალიუმს აკავებს. ასეთია: სპირინოლაქტონი-ვეროშპირონი, ტრიამპტერენი. ეს მედიკამენტები უფრო მეტი ეფექტით ხასიათდება.

მათ, ვისაც აქვს დიაბეტი, წითელი ქარი, სისხლში ცხიმების შემცველობის დაქვეითება, შარდმდენების მიღებისას სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ.

*დაიმახსოვრეთ!* ნებისმიერი დიურეტიკი აუცილებლად ექიმის მიერ უნდა იყოს დანიშნული, თვითმკურნალობა დაუშვებელია.

*სასარგებლო რჩევა:* ზოგჯერ შარდმდენების ხანგრძლივი მიღებისას სისხლში კალიუმის დონე მცირდება, რაც კრუნჩხვების განვითარებას იწვევს. გვერდითი ეფექტის თავიდან ასაცილებლად მიიღეთ კალიუმით მდიდარი პროდუქტები: ბანანი, კაკალი, შემწვარი კარტოფილი, გარგარის ჩირი, ქიშმიში. გარდა ამისა, შეზღუდეთ მარილის დღიური დოზა.

**მაია მუხიგული**

# კბილების გათეთრება სასარგებლოა?

ბევრი სტომატოლოგი არ ამართლებს ამ პროცედურას. ექიმები ადარებენ მას თმის გაუფერულებას. კარგი ესთეტიკური ეფექტის და თანამედროვე უმაღლესი ხარისხის მათეთრებლების გამოყენების დროსაც კი ეს პროცედურა არ არგებს კბილებს. შეიძლება მინიმუმამდე დავიყვანოთ ამ პროცესის პოტენციური ზიანი? გახსოვდეთ: ერთი კურსის ჩატარების დროს კბილები თეთრდება 1,5-2 ტონით და ერთი წლის შემდეგ მინანქარს ისევ უბრუნდება ბუნებრივი ფერი. პროცედურის ჩატარებამდე აუცილებელია ჯერ ყველა კბილის მკურნალობა. სტომატოლოგმა უნდა გამოგიცვალოთ ბჟენები, რომლებიც 2 წლის წინ არის გაკეთებული. ეს პროცედურა აუცილებელია, ვინაიდან დროთა განმავლობაში კბილსა და ბჟენს შორის ჩნდება პაწია ნაპრალები, რომლითაც გათეთრების დროს სითხე შეიძლება კბილში მოხვდეს და შიგნიდან გამოჭამოს. გახსოვდეთ, მინანქრის გათეთრება დაუშვებელია პაროდონტოზის შემთხვევაში. თუ კურსი დაასრულეთ, შეიძინეთ რბილი ჯაგრისი და ისარგებლეთ მხოლოდ სპეციალური პასტებით.

*ექიმი გირჩევთ:* კბილის მინანქრის გათეთრება არ შეიძლება: 1 წყალბადის ზეჟანგის კომპონენტებზე ალერგიულებისთვის; 2. დიდი რაოდენობით დაბჟენილი და კარიესიანი კბილებისათვის; 3. ორთოდონტული მკურნალობის დროს; 4. ჰიპერმგრძნობიარე მინანქრის ეროზიის დროს.

**ოჯი**

# მივანოდოთ ფრჩხილებს ცილა

ხშირია შემთხვევები, როცა ფრჩხილები გვითხელდება და გვემტვრევა. ამის მიზეზი ორგანიზმში ცილის, ე.წ. ბიოტინის ნაკლებობაა.

ჩვენს რაციონში უნდა ჩავრთოთ ნიგოზი, თხილი, არაქისი. ისინი შეიცავენ იმ არაჩვეულებრივ ნივთიერებას, რომლის წყალობითაც ფრჩხილები გაგვიმაგრდება.

ფრჩხილის ნორმალური ზრდისათვის საჭიროა ცილები, მაგრამ ორგანიზმი არ უნდა გადაიტვირთოს კალორიებით: მიირთვით უცხიმო იოგურტი, კეფირი და მაწონი. ისინი შეიცავენ მცირე რაოდენობით კალორიებს და ბევრ ცილას.

**ჯენტე**

# უებარი საბრის და სალბის ფოთლები

ოჯახური წამლის დასამზადებლად საჭიროა 5 წლის საბრი (ალოე). ის უნდა იდგეს ჩრდილში და 3 დღის მანძილზე არ უნდა მოირწყას. 250გ ფოთოლი გათქვიფეთ მიქსერით, დაასხით 1 ჩ/ჭ თაფლი. ნარევი თავდახურულ მინის ჭურჭელში გააჩერეთ ერთი კვირა, შემდეგ გაწურეთ და სვით 3-ჯერ დღეში, თითო სუფრის კოვზი. კანის ანთებას ასევე მკურნალობენ დაქუცმაცებული საბრის, სალბის და მრავალძარღვას კომპრესებით. უნდა აიღოთ თანაბარი რაოდენობით. პროცედურა გაიმეორეთ დილა-საღამოს.

**ოქროს ხელი! №30**

# გულისწვას შველის წიწიბურა

გულისწვა (ძმარვა) წარმოიქმნება კუჭის წვენის მჟავიანობის მომატებისას. დაავადებას ხშირად თან ახლავს კუჭის ტკივილი, გულძმარვა ზოგჯერ ნერვულ ნიადაგზეც იწყება.

უსიამოვნო სიმპტომებისგან თავის დასაღწევად ჯარაექიმები გვირჩევენ: მოვხალოთ წიწიბურა, სანამ არ გახდება მუქიყავისფერი, დავფქვათ, გავცრათ და მივიღოთ ეს ფხვნილი დანის წვერით 3-4-ჯერ დღეში.

**სანი**

# ხანი — ხანის წინააღმდეგ

*საველე მეთაურის, ამანულ-ხანის რაზმებმა ავღანეთის პროვინცია ღერათი დაიპყრეს და განდევნეს გუბერნატორი ისმაილ-ხანი. ამ უკანასკნელის დაცვას შეეცადნენ ამერიკის ჯარები და ქაბულის ხელისუფლება. ავღანეთში სამოქალაქო ომის გამწვავებამ საბოლოოდ გააქარწყლა მითი იმის შესახებ, რომ ქვეყანაში წესრიგი დამყარდა და ჰამიდ ყარზაის მთავრობა სიტუაციას აკონტროლებს.*

აღსანიშნავია, რომ ამანულ-ხანი ოფიციალურ ხელისუფლებას აშკარად არ უპირისპირდება. მისმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი ლოიალურად არიან განწყობილნი მთავრობისადმი და ქალაქს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიკავებენ, თუ ქაბულიდან მიიღებენ სათანადო ნებართვას. ქაბული კი, ცხადია, არა მარტო წინააღმდეგია ამანულ-ხანის პროვინციის დაკავებისა, არამედ ყველა ღონეს ხმარობს საველე მეთაურთან საბრძოლველად. ამ მდგომარეობით შეშფოთებულნი არიან ამერიკელებიც. „კოალიცია ეროვნულ მთავრობას დაუჭერს მხარს", — განაცხადა ავღანეთში ამერიკული შტაბის პრესმდივანმა სკოტ ნელსონმა.



ჰამიდ ყარზაი (მარცხნივ) საქმის დაქერას ისმაილ-ხანთან ამჯობინებს

ამ სიტუაციაში ყველაზე საშიში ის არის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი თვით ადრე ერთ-ერთი უმთავრესი რეგიონი პრაქტიკულად მოსწყდა ქვეყანას. პირველი საყოველთაო სახალხო არჩევნები ოქტომბრის დასაწყისშია დანიშნული. ახლანდელი პრეზიდენტი ჰამიდ ყარზაი ფავორიტია, თანაც აშშ-ისთვის — სასურველი; მაგრამ ვაშინგტონისთვის მნიშვნელოვანია, რომ არჩევნები, რომელიც ამერიკულ არჩევნებამდე ზუსტად ერთი თვით ადრე ტარდება, არ ჩაიშალოს. ამასთან, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ავღანეთის სხვა რაიონებშიც შეინიშნება არეულობა — ყანდაარში გახშირდა შეტაკება თალიბებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის. სამოქალაქო ომმა ღერათში შესაძლოა ჩაშალოს საჩვენებელი არჩევნები და ყარზაის ხელახალი არჩევა. ამერიკელები მასზე დებდნენ ფსონს, როგორც პუშტუნების უმრავლესობის კონტროლირებად წარმომადგენელზე, თანაც ამით აკნინებენ ტაჯიკურ თემს, რომელსაც ეკუთვნის ისმაილ-ხანი.

*კომერსანტი №150*

# უგო ისევ ბოსია

ვენესუელის ისტორიაში პირველად ჩატარდა ქვეყნის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის რეფერენდუმი, რომელიც პრეზიდენტის, უგო ჩავესის, გამარჯვებით დამთავრდა.

ვენესუელას მსოფლიოს ნავთობის ზესახელმწიფოთა რეიტინგში მეხუთე, ხოლო ამერიკის კონტინენტზე ნავთობის ექსპორტიორთა რიგში მეოთხე ადგილი უჭირავს. გეოპოლიტიკური



და ეკონომიკური ფაქტორების გამო რეფერენდუმს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. „ჩავესი თუ ბუში?" — ამგვარი პლაკატებით იყო აჭრელებული კარაკასი — რეფერენდუმის წინ პრეზიდენტის მომხრეები ფსონს პატრიოტიზმსა და ანტიამერიკანიზმზე დებდნენ, რეფერენდუმს „კონსტიტუციური გადატრიალების მცდელობას" უწოდებდნენ, მის უკან „ვაშინგტონის ხელს" ხედავდნენ და აცხადებდნენ, კარაკასში აშშ-ის საელჩო ოპოზიციის შტაბბინად იყო ქცეული. „აშშ-მა ომი წააგო", — ზეიმობდნენ პრეზიდენტის მომხრეები.

დამკვირვებლები ფიქრობენ, რომ ჯორჯ ბუშს ახლა ვენესუელის ლიდერთან კონკურენცია ხელს არ აძლევს — რადგან შეიძლება ამას ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ნავთობის გაძვირება მოჰყვეს. „მიუხედავად ოპოზიციის წყენისა, ჩემი ქვეყანა მსოფლიო სანავთობო ბაზრის სტაბილურობის გარანტიას იძლევა", — განაცხადა უგო ჩავესმა. როგორც ეტყობა, ვაშინგტონისთვის ეს პოზიცია ხელსაყრელია.

*ვლასტი*

# ამერიკელები სამხრეთისკენ მიემართებიან



აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ოჰაიოს შტატში წინასაარჩევნო მოგზაურობისას განაცხადა, რომ დაგეგმილია ევროპასა და აზიაში ამერიკული ჯარების მასშტაბური შემცირება.

დღეისთვის ევროპაში 100 ათასამდე ამერიკელი სამხედრო იმყოფება, დაახლოებით ამდენივეა აზიაში (ავღანეთის და ერაყის გარდა, სადაც 150 ათასი ამერიკელი ჯარისკაცია). აქედან — 70 ათასი ამერიკელი სამხედრო სამსახურს ეწევა გერმანიაში, 40 ათასი — იაპონიაში, 37,5 ათასი — სამხრეთ კორეაში. ამ გეგმის თანახმად, 70 ათასი სამხედრო დაუბრუნდება მშობლიურ კერას. სამხედრო კონტინგენტს პირველად გერმანიაში შეამცირებენ; თანაც ეს იქნება სასჯელი ბერლინისთვის, რომელმაც ერაყში ომზე უარი თქვა. ამერიკელების წასვლა — ათასობით სამუშაო ადგილის დაკარგვას ნიშნავს. დასავლეთ ევროპიდან სამხედრო კონტინგენტის უმეტესი ნაწილის გამოყვანის აუცილებლობა იმით აიხსნება, რომ ცივი ომისა და ორი ზესახელმწიფოს — რუსეთისა და აშშ-ის კონფრონტაცია ტერორიზმის გლობალურმა საშიშროებამ შეცვალა. მასთან საბრძოლველად კი მსოფლიოში მობილური ჯგუფების შექმნაა საჭირო, უპირველესად, იმ რეგიონების სიახლოვეს, საიდანაც პოტენციური საშიშროებაა მოსალოდნელი. გამოთავისუფლებული ძალები მზად იქნებიან ოპერაციების ჩასატარებლად ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. ავღანეთსა და ერაყში სამხრეთ კორეაში დისლოცირებული 37-ათასიანი ამერიკული ჯარების მესამედს შეიყვანენ.

„ცხელ წერტილებში" ჯარების გადასროლისას პენტაგონს თავისი „ახალი სამფლობელოების" — ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ობიექტების, ყოფილი საბჭოთა ბაზების იმედი აქვს — ისინი ხომ ახლა ნატოს წევრები არიან: სარაფოვოს აეროდრომი და ბურგასის პორტი — ბულგარეთში, კოგალნიციანუს სახელობის ავიაბაზა და კონსტანცის ბაზა — რუმინეთში, პოლიგონები და ბაზები — პოლონეთსა და უნგრეთში. მას შემდეგ, რაც საბჭოთა წყობა დაირღვა და აშშ ერთადერთი მსოფლიო სუპერსახელმწიფო გახდა, ჯორჯ ბუშის მიერ წარმოდგენილი ამერიკის შეიარაღებული ძალების რესტრუქტურიზაციის გეგმა ყველაზე ამბიციური პროექტია, — წერს ამერიკული პრესა.

*იზვესტია №150*

# მეამბოხე პარტაიგენოსე



ლაფონტენი (მარჯვნივ) აღარ უჭერს ტაშს შრედერს (ცენტრში)

გერმანიაში, გერჰარდ შრედერის მთავრობის ინიციატივით, ახალი სოციალური რეფორმები ტარდება, რომლის წინააღმდეგ ქვეყანაში მასობრივი დემონსტრაციები მიმდინარეობს. ამ რეფორმების პაკეტმა მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში სერიოზული კრიზისი გამოიწვია. პარტიის ყოფილი მეთაური ოსკარ ლაფონტენი შრედერს დაემუქრა — ახალ, მემარცხენე პარტიას შევქმნი და შენს პარტიას 2006 წლის ფედერალურ არჩევნებში მძლავრი მეტოქე ეყოლებაო.

რეფორმა 2005 წლის 1-ელი იანვრიდან შევა ძალაში. მისი ყველაზე არაპოპულარული ნაწილია დასაქმების სამსახურის რეფორმა. ის ითვალისწინებს უმუშევართა შემწეობის და სოციალური დახმარების შერწყმას. ამის შემდეგ უმუშევრები, რომლებსაც 1 წელზე მეტხანს არ ჰქონდათ მუდმივი შემოსავალი, მხოლოდ სოციალურ დახმარებას მიიღებენ და ისიც შემცირებულს. ახლა ისინი ასე ადვილად ვეღარ იტყვიან უარს დასაქმების სამსახურის მიერ შემოთავაზებულ ვაკანსიაზე. ვინც რამდენიმეჯერ იტყვის უარს, მისი დახმარება უფრო შემცირდება.

ახალმა კანონმა განსაკუთრებული უკმაყოფილება აღმოსავლეთ გერმანიაში გამოიწვია. აქ მრავალათასიანი დემონსტრაციები აგვისტოს დასაწყისიდან ტარდება, მაგრამ ბატონ შრედერს მეტი საფრთხე სოციალ-დემოკრატთა ბანაკიდან ემუქრება. ფინანსთა ყოფილი მინისტრი ლაფონტენი ამ რეფორმის გააფთრებული მოწინააღმდეგეა. ის თვლის, რომ დასაქმების სამსახურის ამგვარი რეფორმის მიღება პარტიას სახეს დაუკარგავს და ის არასწორი გზით წავა. „თუ გაისად სოციალ-დემოკრატები უარს არ იტყვიან ახალი რეფორმების გატარებაზე, ყველა ღონეს ვიხმართ, შრედერმა თანამდებობა დატოვოს", — განაცხადა მან.

შრედერის მთავრობიდან 1999 წელს მოულოდნელად წასულ ფინანსთა მინისტრ ოსკარ ლაფონტენს ახლა პოლიტიკურ არენაზე გარკვეული როლის თამაში შეუძლია. ის მოახერხებს ავნოს თავის პარტიულ კოლეგას და ძველ მეტოქეს გერჰარდ შრედერს მომავალი ფედერალური არჩევნების წინ.

შრედერმა კი ბრანდენბურგში გამოსვლისას საჯაროდ განაცხადა, რომ კვლავ აპირებს 2006 წელს ფედერალური კანცლერის პოსტზე კენჭის ყრას.

*დი ველტი*


მაგთიკომში ახალი აქციაა — მხოლოდ 5 ლარად კვლავ ჩვენს რიგებში

მაგთი MAGTI GSM

გეგულებათ სადმე გათიშული და მივიწყებული სიმ-ბარათი? მაშინ ეს აქცია დაგაინტერესებთ.

ორი კვირის განმავლობაში, 16-დან 31 აგვისტომდე შეგიძლიათ მობრძანდეთ ჩვენს ნებისმიერ ოფისში, ავანსზე შეიტანოთ მხოლოდ 5 ლარი და უფასოდ აღიდგინოთ მომსახურება.

მაგთი GSM — მუდმივი კავშირის სამყარო!

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
ქალაქის უფასო ნომრებზე: 25 00 00, 25 11 11
უფასო მობილურ ნომრებზე: 525, 25 00 00, 25 11 11


# პინოჩეტი ქურდიც ყოფილა...

ჩილეს ყოფილ დიქტატორს, აუგუსტო პინოჩეტს, მოსისხლე მტრებიც პატიოსან ადამიანად მიიჩნევდნენ. მთელ მსოფლიოში დამკვიდრდა აზრი, რომ მხოლოდ გენერლის წყალობით აყვავდა ჩილე, მაგრამ ახლა გაირკვა, რომ პინოჩეტს მრავალმილიონიანი საიდუმლო ანგარიში ჰქონდა გახსნილი ვაშინგტონის ბანკ „რიგსში", სადაც ფულის გათეთრება ხდებოდა. „რიგსს" დიდი ხნის კავშირი



აქვს ჩილეს სამხედროებთან. პინოჩეტი გადადგა 1990 წელს, ხოლო 1994-ში — ვაშინგტონში ანგარიში გახსნა. 1998 წელს მას წაუყენეს ბრალდება — ესპანელთა მკვლელობა ჩილეში მისი მმართველობის დროს. წელიწად-ნახევრის განმავლობაში, რომელიც პინოჩეტმა ლონდონში, შინაპატიმრობაში გაატარა, „რიგსმა" საიდუმლოდ გადარიცხა მილიონები ოფშორული კომპანიების ანგარიშებზე. ბანკირები ეხმარებოდნენ ყოფილ დიქტატორს ფულის გადამალვაში, რადგან გამოძიებასთან დაკავშირებით მისი ანგარიშები მსოფლიოს ბანკებში გაყინეს.

გენერალს თავისი ხელფასითა და პენსიით არ შეეძლო ამდენი ფულის დაზოგვა, შემოსავლის სხვა წყარო, ყოველ შემთხვევაში, ის, რაც საზოგადოებისათვის ცნობილი იქნებოდა, მას არ ჰქონია. თუ ეს ფული კერძო წყაროებიდან არის, მას უნდა გადაეხადა გადასახადი. თუ სახელმწიფო ხაზინიდან იყო მითვისებული, მაშინ ეს სისხლის სამართლის დანაშაულია.

ამერიკელი მკვლევარები დარწმუნებულნი არიან, რომ „რიგსში" აღმოჩენილი ფული არის ჩილეს ყოფილი მმართველის ქონების აისბერგის მხოლოდ მწვერვალი.

*ელ მუნდო*

## მოკლედ

**კალიფორნიის** უდაბნო მოჰავეში, რომელიც პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე ცხელი ადგილია, წყალდიდობა მოხდა. ამინდის ამგვარი უცნაურობით სწავლულები გაოცებას არიან. არის ადამიანთა მსხვერპლი. აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროდან წამოსულმა უძლიერესმა ქარიშხალმა უდაბნო წყლისა და სილის ნაზავად აქცია, კანიონები და გზები — ბობოქარ მდინარეებად. დანგრეულია აღმოსავლეთ სერის და ნევადის შემაერთებელი უდიდესი საავტომობილო მაგისტრალი. სიკვდილის ველისკენ მიმავალი ტურისტების მანქანები ქვიშამ შთანთქა.

**საფრანგეთის** ჩრდილოეთ სანაპიროზე, ბრეტანში, 3 დღის მანძილზე გრიგალი მძვინვარებდა. ხელისუფლებამ 70 ტურისტის ევაკუა-



ცია მოახერხა. სტიქიამ 9 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ბევრი მოჰყვა ხეებქვეშ, ბევრი ზღვამ წაიღო, 3 ადამიანი უგზოუკვლოდ დაიკარგა. მეტეოროლოგთა აზრით, ეს იყო გრიგალი „ბონი", რომელმაც ერთი დღით ადრე გადაუქროლა კუბას და აშშ-ს.

**თურქეთს** ტერაქტების, საავტომობილო და სარკინიგზო კატასტროფების გარდა სტიქიური უბედურებებიც არ აკლია. თავსხმა წვიმებმა სტამბოლის რამდენიმე რაიონი დატბორა. ბოლო 10 წლის მანძილზე ასეთი წყალდიდობა არ ახსოვს თურქეთს. უბედურების ზონაში აღმოჩნდა 2,5 ათასი შენობა. ხალხის გადასარჩენად მაშველები ნავებით დაცურავენ მდინარედ ქცეულ ქუჩებში.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

# ყველა ნარკომანი ერთნაირად უნდა დაისაჯოს, მიუხედავად „წარმომავლობისა“

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

**— საკრებულოში დაისვა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც ულირსებს გაუწია რეკომენდაცია — თქვენზე მიანიშნებდნენ?!**

— ყველა მე წარვადგინე თანამდებობაზე, მათ გაიარეს კონსულტაცია საკრებულოს ყველა კომისიასთან და საკრებულომ დაამტკიცა. რაკი მერიც, პრემიერიც და საკრებულოც ერთი გუნდი ვართ, ერთად ვიღებთ პასუხისმგებლობასაც ყველა საკითხზე.

**— ამბობენ, ჭიაბერაშვილი ბრეგაძეზე ნაწყენია, ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებებს და არაფერს მეკითხებაო.**

— ესეც ჭორია. იურიდიულად მნიშვნელობა არ აქვს, ვინ მოაწერს ხელს გადაწყვეტილებებს... ამის უფლება კანონმდებლობით მაქვს მონიჭებული. თუმცა ყველა საკითხს მე და ზურა ერთად განვიხილავთ. ყველა საკითხზე ერთნაირი აზრი, რა თქმა უნდა, არ გვაქვს, მაგრამ შეთანხმებამდე მივდივართ.

**მაია ნიკოლეიშვილი,** ექსპერტი: — როდესაც ტესტირება ნარკოტიკების რომელიმე ჯგუფზე დადებით შედეგს უჩვენებს, ლაბორატორიული კვლევა გრძელდება. ტესტების სარწმუნოობა აბსოლუტური არ არის და ტესტის პასუხით ადამიანის შერაცხვა ნარკოტიკის მომხმარებლად არ შეიძლება. ტესტირებაზე დადებითი შედეგი ავტომატურად ნიშნავს, რომ კვლევა უნდა გაგრძელდეს და გაირკვეს, კონკრეტულად რომელი პრეპარატი აქვს მიღებული. სამწუხაროდ, ეს არ კეთდება. არ ვიცი, რა სახის კვლევა ჩაუტარდათ მერიის თანამშრომლებს, მაგრამ თუ დასკვნა ტესტირების შედეგად არის გაკეთებული, ლაპარაკიც ზედმეტია მის სიზუსტეზე.

რა თქმა უნდა, თანამდებობის პირი არ უნდა იყოს არც ერთი ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი, მაგრამ ის ფაქტი, რომ შემოწმება ტარდება ნაჩქარევად და ხდება პოლიტიკური ანგარიშსწორების ბერკეტი, ძალზე შემაშფოთებელია. არ შეიძლება ნარკოლოგიური კვლევა არასასურველი პირების დევნის იარაღად იქცეს. კატასტროფაა ისიც, რომ საქართველოში ადამიანს არ გააჩნია ნარკოლოგიური კვლევის გადამოწმების უფლება. გამოდის, რომ ადამიანის წინააღმდეგ ვიყენებთ ბერკეტს, რაც საზოგადოებაში მის ავტორიტეტზე უარყოფითად მოქმედებს და მას თავის მართლების საშუალებასაც არ ვუტოვებთ. ნებისმიერ ტესტსა და თვისებრივ რეაქციაში შეიძლება მოხდეს შეცდომის დაშვება (ეს არ არის მარტივი პროცესი), თვით ლაბორატორიული კვლევის დროსაც არ არის ეს გამორიცხული. მახსოვს, ერთ-ერთი სამსახურიდან გათავისუფლებული ამბობდა, ნალველზე ვმკურნალობო. სხვათა შორის, ზოგიერთმა პრეპარატმა შესაძლოა მართლაც მოახდინოს გავლენა ტესტირების შედეგზე. თვით გასახდომმა საშუალება „ჰერბალაიფმაც“ კი შესაძლოა მოგვცეს ცვლილება. ამიტომ ლაბორატორიული კვლევა ბოლომდე უნდა ჩატარდეს და გაირკვეს, კონკრეტულად რა ნივთიერება და რა რაოდენობით აქვს ადამიანს ორგანიზმში. თუმცა, პირდაპირ გეტყვით, რომ იმ აპარატურით, რაც დღეს საქართველოში გვაქვს, საფუძვლიანი კვლევის ჩატარება შეუძლებელია.

სიმართლე გითხრათ, ბევრ მაღალჩინოსანზეც ამბობენ და გარეგნულადაც ეტყობათ ნარკოტიკის ზემოქმედება, მაგრამ რატომღაც მათზე პრეტენზია არავის უჩნდება. ყველა ნარკომანი ერთნაირად უნდა დაისაჯოს, მიუხედავად „წარმომავლობისა“ და აზროვნების არაერთგვაროვნებისა....

*იზო რიკაძე*

# ვინ არიან და რა გეგმები აქვთ რუს კაზაკებს სამაჩაბლოში?!

## „ხვალ თუ არა ზეგ გაქცეული ოსი და კაზაკი მობრუნდებიან და განაახლებენ ბრძოლას“

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

**— საქართველოში დღეს არსებულმა კაზაკების ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, პირადად თქვენ, რა ღონისძიებებს მიმართეთ, რათა სამაჩაბლოში დაქირავებული კაზაკები არ შესულიყვნენ?**

— მე რამდენჯერმე ვთხოვე სახელმწიფო მინისტრს, ბატონ გოგა ხაინდრავას, ცხინვალში შესვლის ნება დაერთო, რათა ზემოქმედება მომეხდინა კაზაკ ბოევიკებზე, მაგრამ უარი მივიღე და რა მექნა?!

**— როგორც გავიგე, თქვენს ორგანიზაციებს შორის განხეთქილება ყოფილა.**

— საქართველოში შექმნილი კაზაკების პირველი ორგანიზაციის ატამანი ვასილ კადინეცი გახდა. ატამანი არჩევითი თანამდებობაა. თავიდან კადინეცი საქმეს მართლაც აკეთებდა, მაგრამ მერე რუსებმა გააფუჭეს და კორუფციულ გარიგებებში ჩაერთო. დაუკავშირდა რუსეთის კაზაკების ატამან ივანე კონონოვს, რომელსაც ხელები აფხაზეთის ომში ქართველების სისხლით აქვს გასვრილი. კონონოვი დღესაც უშიშრად ჩამოდის თბილისში და კადინეცთან ერთად ყიდის გენერლის წოდებებს, ორდენებს, დოქტორის ხარისხებსა და დიპლომებს. „ოქროს ვარსკვლავის“ ორდენის ყიდვა 400 დოლარად შეიძლება. ოფიცერმა ნაყიდი ორდენი როგორ უნდა დაიკიდოს? ზოგიერთ კაზაკს იმდენი ორდენი და მედალი აქვს, გამოფენაში მონაწილე ძაღლი გეგონება.

კაზაკთა საერთაშორისო კავშირისა და კაზაკთა მსოფლიო გაერთიანების ატამანები ქართველები არიან — გენერალ-პოლკოვნიკი რომული ჯაფარიძე და გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ბაციკაძე. სინამდვილეში, მათი ატამანობაც და გენერლობაც აფერაა. ერთმანეთს მიანიჭეს წოდებები. ამ მხრივ კავკასიის კაზაკთა კავშირში ყველაფერი წესრიგშია. ჩვენს კავშირს დაწესებული აქვს ორი ორდენი: „წმინდა გიორგის“ და „კავკასიის არწივის“. მაგალითად, ამ ორდენებით დაჯილდოებული არიან: რუსეთის ფედერაციის ელჩი საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილი და მისი მეუღლე; ქალაქ მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი; საქართველოს ხელმძღვანელი პირები და კავკასიის კაზაკთა გენერლები, ოფიცრები და სხვ.



პეტრე ნეტკაჩოვი „კავკასიის არწივის“ ორდენით აჯილდოებს საქართველოში რუსეთის ელჩის მეუღლეს.

**„კაზაკი“ თურქული სიტყვაა და თავისუფალ, თავზეხელაღებულ, სამართლიანობისთვის თავდადებულ მებრძოლს ნიშნავს. რა არის ამაში ცუდი, თუ ქართველი კაზაკების რიგებში გაწევრდება? მაგალითად, ჩვენი კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი ლევან მამალაძეა. მისი ბაბუა კაზაკი იყო, გვარად მედვედი. კაზაკი ჰყავს წინაპარი ვალერი ჩხეიძესაც. ბევრ ქართველს სისხლის ანალიზი რომ აუღო, კაზაკი იქნება(!?).**

საქართველოს კაზაკთა კავშირის ატამანი **ვასილ კადინეცი**: — ჩვენი კავშირის წევრი და ჩემი მოადგილე იყო პეტრე ნეტკაჩოვი, მაგრამ კავშირიდან თაღლითობისთვის, გამოძალვისა და ოფიცრისთვის შეუფერებელი საქციელისთვის გავრიცხეთ. მან 1999 წელს კავკასიის კაზაკთა კავშირი დააფუძნა და თავი მის ატამანად გამოაცხადა. თავისივე დაწესებულ ორდენებსაც სარფიანად ყიდის(!). ეგ ისეთი კაცია, თავის სიბინძურეს სხვას რომ აბრალებს და მასზე ლაპარაკი არ მსურს.

რაც შეეხება რუსეთის, განსაკუთრებით, ჩრდილო კავკასიის კაზაკებს — ზოგიერთი საჯარისო შენაერთი მართლაც იღებს სეპარატისტების ძალაუფლების განმტკიცებაში მონაწილეობას. მაგალითად, წელს მაისში, სოხუმში ჩატარდა სამხედრო აღლუმი, რომელშიც ყუბანის კაზაკობა და მათი ატამანი გრომოვი მონაწილეობდნენ. აღლუმს კრასნოდარის მხარის გუბერნატორიც ესწრებოდა. ჩვენ საპროტესტო წერილები გავაგზავნეთ რუსეთის პრეზიდენტის აპარატში, კაზაკთა სხვა ორგანიზაციების ატამანებთან და ყუბანის კაზაკთა ატამანის საქციელი დავგმეთ... სამწუხაროდ, წარსულს ჩაჰბარდა კაზაკების ნაქები დისციპლინა. რუსეთის დუმა და პრეზიდენტის ადმინისტრაცია ცდილობს კაზაკები თავის კონტროლს დაუქვემდებაროს. ამიტომ შექმნეს რუსეთის კაზაკობის რეესტრი, რომელსაც პრეზიდენტის თანაშემწე, გენერალ-პოლკოვნიკი გენადი ბროშევი ხელმძღვანელობს. იმავდროულად, არსებობს უამრავი კაზაკური საზოგადოება, რომლებიც არავის ემორჩილებიან. მაგალითად, დონის კაზაკთა ორი გაერთიანებიდან ერთი რეესტრშია გატარებული, ხოლო მეორე, რომელსაც ატამანი კაზანცევი ხელმძღვანელობს, რაც სურს, იმას აკეთებს. ჩამოვა ატამანი კაზანცევი თბილისში, მეგობრობას გვეფიცება ქართველებს, წავა და ისევ ქართველების წინააღმდეგ აგზავნის შეიარაღებულ კაზაკებს.

**— შეუძლებელია რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის ცნობილი არ იყოს კაზაკების არარეესტრირებულ გაერთიანებათა ქმედებები.**

— მართალი ბრძანდებით... არ არის გამორიცხული, კაზაკთა ზოგიერთი გაერთიანება რუსეთის სპეცსამსახურების მიერ იყოს შექმნილი. მაინცდამაინც რუს კაზაკებსაც ნუ დავაბრალებთ ყველაფერს. მაგალითად, ალან კაზაკთა კავშირში სულ ოსები არიან. კაზაკები არიან ბურიატები, უკრაინელები, ბელორუსები. კაზაკთა კავშირებს ბევრი შემთხვევითი პირი ეტმასნება.

**— მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთი კაზაკთა საჯარისო ნაწილებს იყენებს ცხელ წერტილებში საომრად.**

— სამწუხაროა, რომ დღესაც იბრძვიან კაზაკები ქართველების წინააღმდეგ. ვცდილობ ჩემს გენერლებსა და ოფიცრებთან ერთად უშუალოდ ჩავება ცხინვალის რეგიონის კონფლიქტში, მოველაპარაკოთ ოსების მიერ დაქირავებულ კაზაკ მებრძოლებს, მაგრამ უსახსრობა ამის შესაძლებლობას არ გვაძლევს. მხოლოდ საპროტესტო წერილების წერით კი ვერაფერს ვაღწევთ. გადაწყვეტილი გვაქვს, მოსკოვში გავემგზავროთ და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ეს საკითხი მწვავედ დავაყენოთ...

ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა ე. წ. „კაზაკთა საზოგადოების ატამანთა და რუსეთის აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთთანამშრომლობის სქემატური რუკა“. რუკის მიხედვით, კაზაკების საზოგადოებებს რუსეთში ხელმძღვანელობენ რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე, რუსეთის პრეზიდენტის სამმართველოს უფროსი კაზაკების საკითხებში და მისი მოადგილე. კაზაკების მოქმედებას კოორდინირებას უწევს კაზაკთა სახელმწიფო განყოფილების უფროსი. კაზაკების ატამანები რუსეთის მხარეების გუბერნატორის მოადგილეების თანამდებობაზე ავტომატურად ინიშნებიან(!).

ჩვენ რუკაზე მინიშნებული სატელეფონო ნომრებით ვისარგებლეთ და ყუბანის კაზაკთა გაერთიანების ატამანის, ვლადიმირ გრომოვის შტაბში დავრეკეთ. თავი აფხაზეთის რადიოს ჟურნალისტად გავაცანით და ატამანთან დაკავშირება ვთხოვეთ:

— სამწუხაროდ, ატამანი რამდენიმე დღე ადგილზე არ იქნება, მოსკოვშია საქმეებზე წასული. მე ატამანის შტაბის ერთ-ერთი მორიგე ოფიცერი ვარ. რა გაინტერესებთ, იქნებ მე შემიძლია პასუხი გაგცეთ?

**— რამდენიმე დღის წინ, სამხრეთ ოსეთში ქართველები შეტევაზე გადასულან და უამრავი კაზაკი გაუჟლეტიათ. გადარჩენილებმა თავს გაქცევით უშველეს. თქვენ რას გვეტყვით?**

— იცოდეთ, რომ არც ყუბანელი და არც სხვა რეესტრული კაზაკების შენაერთები სამხრეთ ოსეთში ბრძოლებში არ მონაწილეობენ. ცხინვალში მოხალისეები იბრძვიან. არაოფიციალურად კი გაგიმხელთ, რომ ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი. დიდი ძალებით ცხინვალში წასვლა არ შეიძლებოდა, ამ ეტაპზე ასე იყო საჭირო. ყველაფერი საიდუმლო გეგმის ნაწილს წარმოადგენს. მალე დარწმუნდებით, რომ ოსი მეგობრები არ გაგვიწირავს — ქართველებს ცხინვალში დახოცილი ჩვენი ძმების სისხლს სანანებლად გავუხდით. დაამშვიდეთ აფხაზები, ნურაფრის ეშინიათ, არც თქვენ და არც ოსებს ქართველების საჯიჯგნად არ მიგაგდებთ(!!!).

P. S. ამ მცირე (მაგრამ მეტად ღვარძლიანი) ინტერვიუდანაც ცხადია, რომ სამაჩაბლოში წარმატებით ჩატარებულმა ერთმა სამხედრო ოპერაციამ ეიფორიაში არ უნდა ჩაგვაგდოს. რუსეთი სამაჩაბლოს (თუნდაც მისივე „მოგონილი“ კაზაკების ხელით) იოლად არ დათმობს. ალბათ მომავალი გვიჩვენებს, რამდენად მართებული იყო სამაჩაბლოდან ქართული შენაერთების გამოყვანის შესახებ გადაწყვეტილება.

*ზვიად ჩაკვეტაძე*


უნივერსიტეტი «საქართველო» და მასთან არსებული სამედიცინო კოლეჯი 2004-2005 სასწავლო წლისთვის აცხადებს აბიტურიენტების მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე

საქართველო SAKARTVELO

უნივერსიტეტში:
1. სამედიცინო
სამკურნალო
სტომატოლოგია
ფარმაცია
2. სამართალმცოდნეობა

კოლეჯში:
1. საერთო პროფილის მედდა
2. საბებიო საქმე
3. ორთოპედული სტომატოლოგია
4. ფარმაცია

თბილისი, ბუდაპეშტის ქ. 1ბ
☎ 29-40-70; 95-67-36; 37-18-29
E-mail: unisak@myoffice.ge http://unisak.myweb.ge

ევროპაში მოგზაურობისა და მანქანის ყიდვის მსურველებს
ფრანგული ფირმა დაგეხმარებათ საკონსულოდან ვიზების აღებასა და ავტომობილების მოძებნაში (100%-იანი გარანტია).
უნიკალური შანსი: პირდაპირი კავშირი ფრანგულ ფირმასთან, შუამავლის და ტურისტული ფირმის გარეშე.
დარეკეთ ტელეფონზე:
0033 6 32 13 54 30

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 21 აგვისტოდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,8150 |
| ევრო | 2,2444 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,3245 |
| რუსული რუბლი | 0,0621 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,2343 |

„ხლონტროვსის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

შპს „გეოკორი“ აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საბურთალოს სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

ფირმა „ფლორანი“
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები სხვადასხვა ფერები და საკეტები
უმაღლესი ხარისხის პროფილით
დაბალ ფასებში
☎ 38-08-14
26-44-77; 53-21-51
899 25-38-74; 899 20-57-32
მის: გამსახურდიას 44 (გაგარინის მოედანი, სასტუმრო „ხიბლი“-ს უკან)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. საჩრიანი მნახველი



მინდა შემოგთავაზოთ კურიოზი, რომელიც თავად გადამხდა დიდი ხნის წინ... 80-იან წლებში უკრაინის ერთ-ერთ დიდ ქალაქში, ჩემი ძალიან ახლობელი, ცოტა მოხ-ულიგნო ახალგაზრდა ბიჭი იჯდა ციხეში. მომიწია „პაემან-ზე" წასვლა „პერედაჩებით". ზამთარი ახლოვდებოდა და თბილი საცვლები წავუღე. შეხვედრისას მთხოვა, როგორმე ფულის შეგზავნაც მომეხერხებინა (რაც ყოვლად დაუშვე-ბელი იყო). ნათქვამია, „გაჭირვება მაჩვენეო" და დავიწყე ფიქრი. საგონებელში ჩავვარდი. მთელი ღამე არ მიძინია, და ბოლოს ვიპოვე გამოსავალი: გადავარღვიე თბილი საცვლის სათავე რამდენიმე სანტიმეტრზე, ასმანეთიანი დავკეცე წვრილად რეზინის სიბრტყეზე, ოდნავ დავანაოჭე და შევაცურე ნარღვევში, შემდეგ თავისივე ძაფით დავ-აგვირისტე და „საჩუქარი" მზად იყო, რომელსაც ეშმაკიც ვერ მიხვდებოდა. ახლა მეორე პრობლემა — როგორ გამეგებინებინა! „პაემანზე" ქართულად ლაპარაკის უფლე-ბა არ მოგვცეს, ისე, ნება დამრთეს რვეულები გადამეცა წერილებისთვის, სადაც თითოეული ფურცელი ისინჯებოდა. მას კი ვაითუ ვერ ენახა. ...და რვეულის პირველივე გვერდზე ასეთი ჩანაწერი გავაკეთე (ქართულად ვერ დავწერდი, არ შეიძლებოდა): „ირაკლი, ია ზაბილა სკაზატ ტებე, ჩტო ტვოია სიმპატია „ასიანი პულიკო", ვიშლა ზამუჟ ზა იურისტა ი ანი უეხალი რაბოტატ ვ პოსიოლოკ „საცვლისტავში". წაიკითხეს, დაკეცეს და საცვლიან-ფულიან-პროდუქტებიანად მიმღებს გადასცეს...

***ლამარა უძილაური, თბილისი***

## 2. „მასპინძლობა"



ერთხელ ამურიმ ზურა დაპატიჟა კახეთში, თავის სოფელში. კარგად მოილხინეს და, რა თქმა უნდა, ღვ-ინოც ბლომად დალიეს.

სტუმარი ბევრი ჰყავდათ და ზურა დასაძინებლად მეზობელთან მოათავსეს. საწოლი იდგა ფანჯარასთან.

შუაღამისას მუცლის ტკივილმა გააღვიძა ზურა. გაახ-ილა თვალები და რას ხედავს (არცთუ ისე ადვილი წარმოსადგენია), ცენტნერნახევრიანი მასპინძელი ცალი ფეხით ზურას მუცელზე ადგას, მეორე ფეხი ფანჯრის რაფაზე უდევს და...

— რას შვრები, შე შობელძაღლო! — იყვირა ზურამ.

— ჩემს ეზოში რასაც მინდა, იმას ვიზამ!.. — მშ-ვიდად უპასუხა მასპინძელმა.

— მერე, აიღე ფეხი ჩემი მუცლიდან, თორემ გავსკდი შუაზე...

— აქ ჩემი სახლია და ფეხს სადაც მინდა იქ დავდ-გამ!.. — იმავე ტონით დაიბუზღუნა კახელმა.

კიდევ კარგი, ამ „ამბავმა" დიდხანს არ გასტანა, თორემ ჩვენი ზურა ცოცხალი ვერ გადარჩებოდა.

***გი-ბრო, გლდანი***

## 3. – „გაის" ვენაცვალე!..



ის პერიოდია, არეულობის დროს რომ ვეძახით და კან-ტიკუნტად დადის გზაზე მანქანები. მორიგე ვარ კახეთის ტრასის კაჭრეთის საგუშაგოზე. საღამო ხანია, პოსტის წინ გაჩერდა ერთი ძველი „ვოლგა". გადმოვიდა ჭაღარა მძღოლი და შეშინებული მეუბნება, — უფროსო, ლაკბის ხიდის დასაწყისში ერთი ბორტავოი ზილი აბგონს უკეთებდა „ზაპოროჟეცს", გვერდი გაჰკრა და გაიქცა, „ზაპოროჟეცი" კი გადაბრუნდა და ხევში ჩაცურდაო..

სასწრაფოდ გავქანდი ავარიის ადგილზე, მივედი და ვხე-დავ, ხევში „ზაპოროჟეცი" გდია ამოყირავებული. გზაზე ტრაქ-ტორი დგას, იქვე ტრაქტორისტი შალიკოც ატუზულა და შეშინებული მეუბნება, — ბესო, მოდი ჩქარა, კაცია შიგ, ფართხალებს, გამოვიყვანოთო. დავეშვი თავდაღმა. მივუახლოვდით „ზაპოროჟეცს" და გვესმის: — ვა, „გაია", ძმაო? — დიახ, „გაია"! — ვუპასუხე გაოცებულმა. — ვახ, „გაის" ვენაცვალე, ნახე რა, „ზილმა" რა გააკეთა, რა მიყო, კაცო, ვაფშე დამშალა!.. ხანში შესული მძღოლი სომხურად უქცევს. სადაური კაცი ხარ-მეთქი. — ავლაბრელი ვარ, შენი ჭირიმე, ჰაერი არ არის, ვიხრჩობი, ჯიბეში ჩაყავი ხელი, ამოიღე, უნდა შევუბერო... — ყვირის გამწარებული. ვერ გამიგია, რას უნდა შეუბეროს, კიდევ რომ იგივე გაიმეორა, ჩავუყავი ჯიბეში ხელი და შემრჩა ასთმიანების პატარა ბალონი. მივხვდი, რომ შეტევა ჰქონდა და სასწრაფოდ დავეხმარე. მოხუცმა მადლიერების ნიშნად კიდევ დაიყვირა — „გაის" ვენაცვალე, „გაის"! მე და შალიკომ ვცადეთ მისი მანქანიდან გამოყვანა. მე უკნიდან ვაწვები, შალიკო ფეხებში დაებღაუჭა. ვეწევით გარეთ, მძღოლი ყვირის, ნელა, ფეხი წავიდა, ტო!.. ვერაფერს ვხვდებით, რა ფეხი წავიდა. შალიკომ ერთიც გასწია და... ვხედავ, ფეხი იღლიაში აქვს ამოჩრილი და გაოგნებ-ული მიყურებს. მივხვდი, რომ პროთეზი „გავაძრეთ" ავლაბრელს, შალიკოს ჰგონია ნაღდი ფეხი მოსძვრა და მაყვლის ბარდებში გაისროლა. შეშინებულმა სომეხმა, სად ისვრი, ტო, ფეხს, ორი თვე კახოვკაზე ვიჯექი მაგის გულისთვისო. მე კახოვკა რუსეთის ერთ-ერთი ციხე მგონია (თურმე თბილისში, კახოვკის ქუჩაზე საპროთეზო ყოფილა ინვალიდებისთვის). შალიკოც მიხვდა, პრო-თეზი რომ მოისროლა, მოძებნა და მოაქვს იღლიაში ამოჩრილი. ამ დროს ერთი „რაფი" გაჩერდა. შიგ სულ ქალები სხედან, ეტყობა დაკრძალვიდან მოდიოდნენ, რომ დაინახეს, შალიკოს ფეხი მოაქვს, ატეხეს წივილ-კივილი...

მოკლედ, ჩვენმა ავლაბრელმა ფეხი სასწრაფოდ აიბა, „ზაპოროჟეცი" ავტოპარკში მი-ვათრიეთ ტრაქტორით, ერთი ღვინის ცისტერნა გავაჩერე და ჩავსვი დაზარალებული. როგორც კი დაიძრა მანქანა, კიდევ ერთხელ დამიძახა: — „გაის" ვენაცვალე, „გაის"!..

***პოლიციის კაპიტანი ბესო დოიაშვილი, გურჯაანის რაიონი, სოფელი ჩალაუბანი***

## 4. შორეული ახლობელი...



ჩემს მეგობარს, ანდრო ახალკაცს, ახ-ლობელი გარდაეცვალა. ბიძა-ძმისშვილე-ბი შეიკრიბნენ და ერთად გაემგზავრნენ დაკრძალვაზე. მისამართი ზუსტად არ ახსოვდათ. სანზონაში, მეტროსთან ახ-ლოს რომ ცხოვრობდა, ეს იცოდნენ. ჰოდა, მიაგნეს სასურველ კორპუსს, რომელიც ცენტრალური მაგისტრალის პერპენდიკულარულად იდგა, სადღაც მეორე რიგში.

ეზოშიც უამრავ ხალხს მოეყარა თავი. მდუმარედ ჩაუარეს დამხვდურთ და სა-დარბაზოში შევიდნენ. ანდროს გულმა რეჩხი უყო — დამხვდურებში ვერც ერთ ნაცნობს ვერ მოჰკრა თვალი, მაგრამ ვიდრე თავისი ეჭვის გამოთქმას მოას-წრებდა, ბიძამისმა უკვე შერგო თავი პირ-ველ სართულზე, სადაც მიცვალებული ესვენა. ანდროს მესამე სართული ახსოვდა, მაგრამ უკან ხომ ვერ გამობრუნდებოდნენ. კიდევ ერთი უცნაურობაც — მათი გარდაცვლილი ახლობელი ქალი იყო, აქ კი მიცვალებულის თავთან იდგა გადიდებული სურათი, რომლიდანაც შავულვაშიანი მამაკაცი შემოჰყურებდათ. თანაც, არც ქართველი უნდა ყოფილიყო. უცხო ხალხის დანახვაზე ჭირისუფალმა ერთი ვაი-უშველებელი ატეხა, რა თქმა უნდა, ქართულად:

— აზიზა! რა კაი კასი იყავი, აზიზა!... რამდენმა დაგაფსეს (დაგაფასესო. — გ.მ.) გალსტუხიანებმა, აზიზა... სულ ერთმანეთზე ლამაზები და კარქები ჰკიდიათ (ჰალსტუხებიო. — გ.მ.)...

ქუჩაში რომ გამოვიდნენ, კორპუსებს შორის მათკენ მომავალი პროცესია შენიშნეს, რომელსაც წინ მათი ახლობელი ქალბატონის გადიდებული სურათი მოუძღოდა.

***გერონტი მესხი, თბილისი***

# ცნობილთა ხუმრობები

## 5. – რაც შემიძლია, ვბაძავ!..



უკანასკნელ ხანს ნოდარ დუმბაძე მეტისმეტად დაძაბუნდა. სიარულიც უჭირდა, სუნთქვაც, ლაპარაკ-იც, მაგრამ სიცოცხლის ხალისი და იუმორის გრძნობა ძველებურად ჰქონდა შერჩენილი.

იმ დღეებში პრესაში დაიბეჭდა, ყველამ მივბაძოთ ამხანაგ ჩერნენკოსო!

— მე რაც შემიძლია, ვბაძავ, ძამა, — ვერ დავდი-ვარ, ვერ ვლაპარაკობ და ვერ ვსუნთქავო!.. — გაიცინა და სხვებიც გააცინა ნოდარმა.

## 6. ფელეტონის გმირი



ნოდარ დუმბაძის რედაქტორო-ბის დროს „ნიანგში" ფელეტონი დაიბეჭდა, რომელიც ასე იწყებოდა: შაქრის ქარხნის დირექტორად ვირთხა დააწინაურეს და ა.შ.

ერთ მშვენიერ დღეს იღება რე-დაქტორის კაბინეტის კარი.

— ვის ეძებთ და რა გნებავთ, ბატონო? — თავი ასწია ქაღალდებ-ში ჩაფლულმა რედაქტორმა.

— მე ვირთხა გახლავართ! — იბღვირება ახალმოსული ახმახი.

ნოდარი უხსნის ფელეტონის გა-ნაწყენებულ „ლირიკულ გმირს", რომ ავტორი ზოგადად კიცხავს მექრ-თამეებსა და სახალხო ქონების დამტაცებლებს.

— ზოგადად მაშინ იქნებოდა, შაქრის ქარხანა ორი მაინც რომ იყოს საქართველოში! — ბრაზობს ფელეტონის გმირი.

— რა ვქნა, ბატონო, ვერ გამოგვსვლია ეგ საქმე კარგად. რა შემიძლია ახლა მე? თუ გნებავთ, ცნობას მოგართმევთ, რომ თქვენ ვირთხა არ ბრძანდებით! — ამშვიდებს ნოდარი ფელეტონის განაწყენებულ გმირს.

***შეკრიბა ზაზა სეფაშვილმა***

# ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ" მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გა-მოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკ-დოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 25 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 26 აგვისტოს 13 საათამდე.*

**კურიოზების კონკურსი**

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ________

________

თქვენი სახელი, გვარი

**კვირის პალიტრა №34**

# მიმართვა რუსეთის დუმას

**ÎÁÐÀÙÅÍÈÅ**

Òîâàðèùè! Óâàæàåìûå ïðîñèì ïðîÿâèòü ïðèñóùèå Âàì ìóäðîñòü, ãóìàíèçì, ÷åëîâåêîëþáèå è îñîáóþ çàáîòëèâîñòü î ñóäüáå ìàëûõ íàðîäîâ è ñðî÷íî âîññòàíîâèòü èñòîðè÷åñêóþ ñïðàâåäëèâîñòü — âåðíóòü Ñåâåðî-Ãðóçèíñêîìó Íàðîäó èñêîííî Ñåâåðî-Ãðóçèíñêèå çåìëè â ãîðîäå Ìîñêâå è ïðèíÿòü âñå íåîáõîäèìûå ìåðû äëÿ ñîçäàíèÿ òàì Íåçàâèñèìîé Ñåâåðî-Ãðóçèíñêîé Äåìîêðàòè÷åñêîé Ðåñïóáëèêè.

Ïîçâîëüòå íàïîìíèòü Âàì, ÷òî ðå÷ü èäåò î Êðàñíîïðåñíåíñêîì è Ôðóíçåíñêîì ðàéîíàõ ãîðîäà Ìîñêâû, òåððèòîðèÿ êîòîðûõ ñ 1695 ãîäà ïðèíàäëåæèò ïðîæèâàþùåìó â Ìîñêâå Ñåâåðî-Ãðóçèíñêîìó Íàðîäó.

Íàäååìñÿ, ÷òî ñïðàâåäëèâîñòü âîñòîðæåñòâóåò.

**Îò èìåíè ïðîæèâàþùåãî â Ãðóçèè:**

Þæíî-Ðóññêîãî Íàðîäà
Çàïàäíî-Àçåðáàéäæàíñêîãî Íàðîäà
Ñåâåðî-Àðìÿíñêîãî Íàðîäà
Þæíî-Îñåòèíñêîãî Íàðîäà
Þæíî-â êâàäðàòå Îñåòèíñêîãî Íàðîäà (ò.å. îñåòèí, ïðîæèâàþùèõ þæíåå Þãî-Îñåòèíñêîãî Íàðîäà)
Âîñòî÷íî-Ãðå÷åñêîãî Íàðîäà
Ñåâåðî-Âîñòî÷íî-Èçðàèëüñêîãî Íàðîäà
Öåíòðàëüíî-Ãðóçèíñêîãî Íàðîäà

***პატივისცემით, თენგიზ ჯიშკარიანი***

## მილოცვა



**მარიამ ქურდაძეს!**

ჩვენო საყვარელო მარიამ, ჩვენი ოჯახის მშვენებავ და სიყვარულო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელ სიცოცხლეს, ულევ სიხარულს და ბედნიერებას შენს ოჯახთან და დაიკო ანუკისთან ერთად. გკოცნით და გეფერებით ყველა. გფარავდეს მაღალი ღმერთი.

*შენი უსაყვარლესი მშობლები, ბებიები და ბაბუები*

ჭეშმარიტ ექიმს, ბატონ **დავით გაგუას**, ქალბატონ **ნანული დამენიას**, სამშობიარო სახლ **„ორიონის“** ყველა მუშაკს დიდი მადლიერების გრძნობით ვულოცავთ მარიამობას! „ორიონი“ ყოველთვის ბედნიერების სახლი ყოფილიყოს.

*ანა ილურიძე, გიორგი ჯიღაური, პატარა ალექსანდრე ჯიღაური*

ცნობილ კინოდრამატურგს, მწერალს, ტელეჟურნალისტს, შესანიშნავ ადამიანს, დიდი ოჯახის მამას **ვალერიან სულაკაურს** ვულოცავთ იუბილეს – **70** წლის შესრულებას. კიდევ მრავალ ბედნიერ დაბადების დღეს გისურვებთ.

*მეგობრები*

## ბინები

იყიდება ქობულეთში 2,5-ოთახიანი სუფთა ბინა საუკეთესო ადგილას, 9(7). ფასი: $8.500. ტელ: 899 77-53-35

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას ავსტრიაში, გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

ვითარდება ამერიკული პროგრამა. კადრების მომზადება ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით. გარანტირებულია დასაქმება. ტელ: 893 16-04-57. საყვარელიძე

**გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400 აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიღუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6.** ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

## მომსახურება

შპს „აკაცია“! პროექტირება, დიზაინი, მშენებლობა-რემონტი, ზამთრის ბაღები, მეტალო-პლასტიკის კარ-ფანჯარა, მეტალისა და ხის ნაკეთობები, ეზოების მოწყობა-გამწვანება. ტელ: 30-20-24; 899 70-37-70; 877 42-52-52

რბილი ავეჯის რესტავრაცია! სამეულები, ტახტები, სკამები, მატრასები; ქსოვილის შეცვლა, დარბილება. ტელ: 76-01-33. გია

რბილი ავეჯის რესტავრაცია, სამეულების აღდგენა-გადაკვრა-განახლება; სკამების, მატრასების გადაკვრა. ვღებავთ ტყავის სამეულებს. ტელ: 95-97-12; 893 37-70-97. ვალერი

ვისაც გსურთ წონაში დაკლება, უვნებლად და დიეტის გარეშე, თვეში 7-20 კგ-მდე, ასევე გასუქება თვეში 5-7კგ მომატებით და სიმაღლეში ზრდის ვიტამინები ერთთვიანი კურსით, მოიმატებთ 3-5 სმ. კონსულტანტი ინგა. მის. ჭოველიძის №2. IV სართ. ოთ. №415. ტელ: 93-38-46

## მკურნალობა

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 56-37-37; 899 54-64-81

პირველად საქართველოში! ალკოჰოლიზმისგან გათავისუფლება, ნარკოტიკებისგან დაბინძურებული ორგანიზმის გაწმენდა-გაჯანსაღება, მათგან გამოწვეული დაავადებების მკურნალობა: 1) ნევროზები; 2) ჰეპატიტები; 3) ჰალუცინაციები; 4) სისხლძარღვოვანი პრობლემები. კრემლის ყოფილი ლაბორატორიის პრეპარატები (აკად. ლიხარიოვის მეთოდებით). მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც. ტელ: 899 22-63-90. ნინო ექიმი

ალკოჰოლიზმი და მისგან გამოწვეული გართულებები – ნაბახუსევის სინდრომის („პახმელიის“) მოხსნა; აგრესიულობა, შიშები, უძილობა, ჰალუცინაციები, ჰეპატიტები, ნევროზები, ორგანიზმის გასუფთავება. მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან უჩუმრად. პრეპარატები უსაფრთხოა, მცენარეული და გაჯერებულია ვიტამინებით. ტელ: 53-08-02. თამრიკო

გაჯანსაღება სწრაფი და მაღალი ეფექტებით! საყლაპავის კარდიოსპაზმი, კოლიტი, ბუასილი, ენურეზი (შარდის შეუკავებლობა), შარდ-სასქესო სისტემის ანთებითი დაავადებები, ფსორიაზი (შედეგი პირველსავე კვირიდან), კლიმაქსი, თამბაქოს გადაგდება, მასტოპათია. საჭიროების შემთხვევაში კეთდება კომპიუტერული დიაგნოსტიკა. ტელ: 32-39-46; 899 43-97-34

ანტიალკოჰოლი და ანტითამბაქო, ნევროზი, უძილობა, შიშები, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, სოკო, ფსორიაზი, თვალის დაავადებები, ქრ. ბრონქიტი, ასთმა, ალერგია, კუჭის წყლული – სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნია – დამზადებულია მოსკოვში, აკადემიკოს ლიხარიოვის ლაბორატორიაში. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. კოსმეტოლოგ-ვიზაჟისტი; 2. მასაჟისტი; 3. საპარიკმახერო. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის №115, კაბ. №20(ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს.); 96-22-89 (ბინა)

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი გიწვევთ დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე: სამართალმცოდნეობა, ეკონომიკური, უცხო ენები. უმაღლესდამთავრებულები მიიღებიან II, III კურსებზე. ფასი 200 ლარი. ტელ: 32-06-97; 30-51-30; 893 93-38-15. მის: თოფურიას №12. 128-ე საშ. სკოლა (ვაჟა-ფშაველას III-IV კვარტალებს შორის).

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო ავტომობილით. მოდი, ისწავლე, აიღე მართვის მოწმობა! ჩვენი მისამართებია: ლადო ასათიანის №28; მუხიანის დასახლება, I მ-რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-10; 899 14-14-84

სიახლე! ერუდირებული და მონდომებული მოზარდებისათვის კომპიუტერის და ინგლისურის შესწავლა სპეციალური პროგრამით – „დამწყებიდან პროფესიონალამდე“. სწავლა 1-ელ სექტემბრიდან იწყება. ჩაწერა ყოველდღე, 12.00–15.00 სთ. მის: მეტრო „რუსთაველი, „კინოს სახლის“ შენობის უკან, გაბაშვილის ქ. №7. ტელ: 98-80-23; 877 41-87-33. I კურსი – საოფისე საქმიანობა + კომპიუტერული გრაფიკა; II კურსი – Web დიზაინი, ანიმაცია; III კურსი – პროგრამირება პრაქტიკული გამოყენებით.

შევასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail, საგამომცემლო და გრაფიკა: Page Maker, PhotoShop., CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; veb-dizaini: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის. მ. „რუსთაველთან“, რესტორან „სამოთხის“ უკან. გაბაშვილის ქ. 7. ტელ. 98-80-23

## იყიდება

იყიდება კოჯორში (ქოროღლის უბანი) საუკეთესო მიწის ნაკვეთი სასწრაფოდ – 1000კვმ. ფასი: $7000. ტელ: 893 64-26-32. ტარიელ კეკელია

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით, აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მაღაზია „ესთეტი“, 12-16 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

## სხვადასხვა

ეკოლოგიისა და განვითარების საერთაშორისო ფონდი „ამიანტი“ და შვეიცარიული ფირმა „NEWFO SA“ აცხადებს კონკურსს დევიზით: **„ინოვაციური პროექტები — საქართველოს ნაციონალური ეკონომიკური ინტერესები გლობალიზაციის ეპოქაში“.**

კონკურსი ეძღვნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის კათედრის 50 წლის იუბილეს.

*საკონკურსო თემატიკა:*

– წიაღისეულის საბადოების მარკეტინგი;
– ბუნებრივი და ტექნოგენური საცავების მარკეტინგი;
– სარეკრიაციო ზონების მარკეტინგი.

მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

სამი საუკეთესო პროექტისთვის დაწესებულია პრიზები – 600, 400 და 200 ლარის ოდენობით.

ფონდი „ამიანტი“ იზრუნებს ჟიურის მიერ რეკომენდებული პროექტებისთვის ინვესტიციის მოზიდვის შესაძლებლობებზე. ანოტაციის (არაუმეტეს ორი გვერდისა) წარმოდგენის ვადაა 1.09-17.09.2004; სრული პროექტის წარმოდგენის ვადაა 01.10.2004. კონფერენცია ჩატარდება 2004 წლის 16 და 17 ოქტომბერს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მესამე კორპუსში, პროფესორ გიორგი ჯაფარიძის სახელობის №432 აუდიტორიაში. დასაწყისი 11 სთ.

საორგანიზაციო კომიტეტი: კოსტავას ქ. №77. 0175 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი; III კორპ. III სართ. ოთ. №410. ტელ: 37-73-19; 36-41-67; ფაქსი: 22-53-08; მობ: 899 401-503; ელფოსტა: amianti@posta.ge





დედა მედეა; მეუღლე ანა; შვილები: ილია, მედეა; დები: ნანი, ნაირა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მერაბ ილიას ძე სიხოშვილი**

*პანაშვიდი:* 23 აგვისტოს, 17 საათზე;
*დაკრძალვა:* 24 აგვისტოს, სამშაბათს, 14 საათზე.
*მისამართი:* ვარკეთილი-3, მე-3 მ/რ, კორპუსი №310, მე-5 სადარბაზო, ბინა №112.

სიმამრი ალექსანდრე, სიდედრი ლუიზა, ცოლისდა დოდო, ცოლისძმა მალხაზ შარაბიძეები ოჯახებით იუწყებიან სიძის

**მერაბ ილიას ძე სიხოშვილის**

გარდაცვალებას.



მეუღლე ლამარა ლეჟავა; შვილები: ნაირა, ირაკლი ბალაშვილები; შვილიშვილები: თამარი, ანა, სიძე თემურ ბეგლარიშვილები; და ესმა; ძმა კარდინალი; ძმისშვილები: ლალი, არჩილი ბალაშვილები; დისშვილები: ნანა, ზაურ ტუხაშვილები; რძალი ლოლა ლიკლიკაძე; ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ივერი არჩილის ძე ბალაშვილი.**

### ზურაბ ქარჩავას გახსენება



მოულოდნელი იყო შენი ამ ქვეყნიდან წასვლა, ზურა. ჩვენს სამეგობროს კიდევ ერთი ალალი, ნაღდი თბილისელი ბიჭი გამოაკლდა. ერთგული მეგობრობა შეგეძლო, გამტანი და სიკეთით სავსე იყავი. სულ ცოტა ხნის წინ დედის გარდაცვალებით თავზარდაცემულს განუგეშებდით. დედის ერთადერთი იმედი იყავი...

ბევრი ტკივილი გადაიტანე ამ მძიმე წუთისოფელში. ძალზე ძნელია ახლა ჩვენთვის უშენობის განცდა. შენი ნათელი ხსოვნა ყოველთვის ჩვენთან იქნება. ხშირად მოვალთ შენს საფლავთან, ჭიქა ღვინით შენდობას გეტყვით და სანთელს აგინთებთ.

ნათელში იყავი, ძმაო...

*შენი მეგობრები*

### ვიტალი ოვსიანიკოვის ხსოვნას!



ქართველ გმირებს გამოაკლდა კიდევ ერთი უკეთილშობილესი ადამიანი. განსაცდელში მყოფთა გვერდით მდგომი, კეთილნათელი ვაჟკაცი და უშურველი სითბოსა და სიყვარულის გამცემი, 25 წლის სამშობლოს ჯარისკაცი ვიტალი ოვსიანიკოვი, რომელმაც თავისი ლამაზი სიცოცხლე მამულის კეთილდღეობას შესწირა.

უფალო, დაამკვიდრე მისი სული ნათელში.

*მეგობრები*



### ივანე ლომინაძის გახსენება

ორმოცი დღე სრულდება შენი გარდაცვალებიდან, ჩვენო ძვირფასო ადამიანო.

შენ არა მარტო შენს ოჯახს, არამედ მთელ ზეინდარს დააკლდი.

შენი ახლობლებისთვის სასურველი სტუმარი და თამადა იყავი. ყველას ხიბლავდა შენი მჭევრმეტყველება და იუმორი.

მუშაობდი საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, ხოლო ბოლო წლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდი. მიღებული გაქვს მრავალი ჯილდო, მათ შორის 2003 წელს, პედაგოგიური ღვაწლის დასაფასებლად, „ღირსების მედლით" დაგაჯილდოეს.

მხოლოდ ერთხელ გაგტეხა ცხოვრებამ, როცა შენი საყვარელი შვილიშვილი კახა კახაძე ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა. ცოტა ხნის წინ მიწას მიაბარე უმცროსი ძმა, ვაჟკაცი ნოდარ ლომინაძე, რომლის დაბადების დღეც შენი გარდაცვალების მე-40 დღეს დაემთხვა. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება.

გვიყვარხართ და თქვენს სახელს დავიწყება არ უწერია. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული. ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა კი გზა გაგინათოს სამუდამო სასუფეველში.

*შვილები, შვილიშვილები და შენი დაიკო ნუნუ*

### გოჩა ბაღბაიასა და რომა ფანგანის გახსენება



ერთი წელია, უშენოდ ვათენებთ შავბნელ დარდიან ღამეებს. უთქმელოდ გაუსაძლისია სიცოცხლე, მაგრამ შენს დაიკოს რა ვუყო?! შენი ერთადერთი ბიძა, რომელსაც 9 თვით დაშორდით, თან გაიყოლეს. დაგვტოვეთ უბედური ცხოვრებით. სურათებს ვეფერებით და ტკბილ წარსულს ვიგონებთ.

ახლა აღარაფერი დამრჩენია იმის გარდა, რომ ვისურვო, ნათელში ყოფილიყოს თქვენი ლამაზი სულები.

*უბედური დედა, დაიკო, დეიდები, დეიდაშვილები და შენი ახლო მეგობრები*



### მარიამ (მაია) ბეჟაშვილის გახსენება

რა საოცარი სისწრაფით გადიან დღეები. თითქოს გუშინ იყო, არადა უკვე ერთი წელი გასულა, რაც კახეთის მშვენიერმა ქალაქმა დაკარგა პატარა კოლორიტი – ბულვარზე მიმავალი ცისფერთვალება, ლამაზი გოგონა, პატარა გოგოთი ხელში. ალბათ ასეთ პატარა ქალბატონთან შეხვედრისას თუ წარმოთქვა ცნობილმა პოეტმა ეს საოცარი სტრიქონები:

*„გოგოს, თვითონ პატარას, გზად პატარა მოჰყავს,*
*შესცქაცინებს შავთვალას, ფრთხილად ახებს ლოყას.*
*შენ ხარ მწვანე ბალახი, პირველ რიგო-ჭრილოს*
*შემოგცქერის ქალაქი – დაგინახოს, ცდილობს."*

მართლაც ასეთი იყავი, ჩვენო მაიკო, ყველა შემოგხაროდა, კეთილ თვალს გაყოლებდა, ყველა გიყვარდა და ყველას უყვარდი.

მერცხალივით შემოფრინდი ამქვეყნიურ ცხოვრებაში. ბევრი მოასწარი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, ყველგან სიკეთე და სიყვარული დათესე, დიდი სიყვარულიც იპოვე, ორი შვილიც მოუვლინე ქვეყანას. სადაც მიდიოდი, ყველგან ხალისი და სილამაზე მიგქონდა, თითქოს კედლებიც შენს მხიარულ საუბარს უთმობდნენ ადგილს.

შენმა უეცარმა წასვლამ მოურჩენელი იარა დაგვიტოვა არა მარტო შენს ახლობლებს, არამედ ყველას, ვინც გიცნობდა.

გვჯერა, ამქვეყნად უკვალოდ არაფერი იკარგება. შენ წახვედი, მაგრამ ნუგეშად მშვენიერი გოგონა – პატარა მარიამი დაგვიტოვე. იქ კი შენს სამუდამოდ სამყოფელში, სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების სიმბოლოდ მოჩანს შენი სპეტაკი თეთრი კაბა და შენი საოცარი ღიმილი.

*ანა, ილია საგინაშვილები*



### მურად ედიშერაშვილის გახსენება

ჩვენო მურად! 28 აგვისტოს, მარიამობას, 6 წელი შესრულდება შენი გარდაცვალებიდან. ძალიან მძიმე და ტკივილიანი იყო ეს წლები შენი მშობლებისთვის. ახლაც ყურში ჩაგვესმის დედაშენის ტირილით ნათქვამი: „ჩემო ერთო, ჩამქრალო სანთელო". ალბათ დრო უძლურია, მოუშუშოს მათ შენი სიკვდილით მიყენებული ჭრილობა.

შენი ამ ქვეყნიდან წასვლით გაუნელებელი ტკივილი დაუტოვე შენს დებს, რომლებმაც წარმოუდგენელი შრომა გასწიეს შენი სიცოცხლის გადასარჩენად, მაგრამ ვერ გიშველეს. ახლა კი რუდუნებით უვლიან შენს საფლავს.

ძალიან დაგვწყვიტე გული შენს ნათესავებს, ბიძაშვილებსა და მამიდაშვილებს. თითქოს ჩვენი სანათესავოდან უდროოდ წასული დალი არ გვეყოფოდა ტკივილად და შენც დაგვემატე.

ჩვენო საყვარელო მურად! ძალიან გვაკლიხარ, გვენატრები, ხშირად გიხსენებთ. შენ ხომ მუდამ ხალისიანი, სიცოცხლითა და იუმორით სავსე, ნათესავების მოყვარული იყავი. როგორ გიხაროდა ხოლმე ჩვენი ჩამოსვლა ხოვლეში, განსაკუთრებით სააღდგომოდ, როცა ბაბოსა და პაპის საფლავზე ვიკრიბებოდით.

ახლა კი ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენთვის, ღმერთს შევთხოვოთ, სამუდამო სასუფეველი დაგიმკვიდროს და ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*ბიძაშვილები და მამიდაშვილები*

### გოჩა ჩხეტიანის ხსოვნას!



გოჩა, რა ლამაზი იყო შენთან ერთად წელიწადის 12 თვე, განსაკუთრებით კი – აგვისტო. 26-ში ხომ 34 წლის გახდებოდი. ულმობელი და მუხანათი ბედისწერა გერგოთ შენ და მამიკოს, ერთად წახვედით ამ ქვეყნიდან და დატოვეთ ნათელი და ლამაზი კვალი, როგორი ნათელი და ლამაზი სულის პატრონიც ახსოვხართ ყველა ახლობელს, მეგობარსა და მეზობელს.

დიდი ტკივილი და სიცარიელე დატოვეთ ყველა ჩვენგანის სულში, განსაკუთრებით კი ოჯახში, მაგრამ სიცოცხლე გრძელდება...

ჩვენს ოჯახს ახალი სიძე შემოემატა და მალე ახალი სიცოცხლეც გაჩნდება. სხვანაირად არც შეიძლება იყოს – ორი აშხელა ვაჟკაცის დანატოვარზე სიცოცხლე ყოველთვის უნდა გაგრძელდეს.

გოჩა – შვილო, ძმაო და მეგობარო, გილოცავთ დაბადების დღეს. ნათელში ყოფილიყოს შენი და მამიკოს სულები.

*გულდამწვარი და შენი ამაყი ოჯახი: დედა, დები და სიძეები*

### თემო ხატიაშვილის გახსენება



*არ დაიჯერო, წლები მიდის, მე ვფეუბა,*
*არ დაიჯერო, დრო რომ იყოს გლოვის საზომი,*
*არ დაიჯერო, რომ უშენოდ მქონდეს სიმშვიდე,*
*არ დაიჯერო, რომ უშენოდ არ ვარ ობოლი.*
*არ დაიჯერო, რომ დედები ცოცხლობენ მერე,*
*რაც რომ შვილები ტოვებენ დედის სამყაროს.*
*არ დაიჯერო, რომ ფუჭია ჩემი წუხილი,*
*ვერ ვიფიქრებდი, რომ უშენოდ მე ვიქნებოდი.*
*დუმილით ვფიქრობ, რომ დამჩაგრა ბედმა უწყალოდ,*
*თავს მომხვია უსაშველოდ დიდი ტკივილი,*
*მე არ გაკადრებ, დავიჩოქო ბედის წინაშე,*
*მე გიდარაჯებ, უსასრულოდ... გულისტკივილით.*

### გოგიტა ქინქარაშვილის მონატრება



მენატრები, გოგიტა, უსაშველოდ მენატრები. მოვიდა უშენოდ ჩემი არსებობის, ტანჯვისა და წამების მეორე ივლისი და შენი მესამე დაბადების დღე (შენ ხომ 26 აგვისტოს 28 წლის უნდა გამხდარიყავი), რომელსაც უშენოდ, ცრემლითა და გაუსაძლისი ტკივილით ვხვდები.

უსაშველოდ, ტკივილამდე მენატრები, უბედური დედის შვილო. მხოლოდ 25 ბედნიერი წელი მერგო შენთან ერთად ყოფნისა, ჩემო გაუხარელო, სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებულო შვილო. დღე-დღეზე ველოდით შენს გაბედნიერებას, მაგრამ ბედმა გიმუხთლა – შენ მარადიული სიჭაბუკე გარგუნა, მე კი – მარადიული ტკივილი, მწარე სიცოცხლე, ცივი ქვის ყურება და შენი ლამაზი სურათის მოფერება. ეს ჩემთვის მძიმე სასჯელია, მწარეა უშენოდ ყოფნა, შენ ხომ ჩემი პირველი სიხარული და დიდი იმედი იყავი, ჩემო თბილო და მოსიყვარულე შვილო.

დაველოდები ჩემს ცხოვრებაში იმ ერთადერთ ბედნიერ დღეს, როცა ღვთის ნებით მოვალ შენთან, გულში ჩაგიკრავ და ჩვენი სულები სასოებითა და რუდუნებით შეერწყმებიან.

26 აგვისტოს, შენი დაბადების დღეს მოვალ შენს საფლავზე, დაგინთებ წმინდა სანთლებს და ღმერთს შევთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი უბედური დედა*

### 27 აგვისტო მიშიკო ზუბადალაშვილის დაბადების დღეა!



ჩემო მიშიკო!

ჩემო საფიცარო ბიჭებო!

ყოველ ცისმარე დილას თქვენი სახელი ჰქვია. ღამეც თქვენიც ღამდება. გაუნელებელია ის მდუღარე ტკივილი, რასაც უთქვენობა ჰქვია... ძალიან ვცდილობთ, ჩვენი დიდი მწუხარებით სხვა არავინ შევაწუხოთ, მაგრამ არსებობს ოთხი წარუშლელი დღე, რომელიც გულში და სულში აღარ ეტევა, გრძნობა, რომელიც ამ სტრიქონებს მაწერინებს: ესენი თქვენი, ორივეს დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებია.

27 აგვისტო ჩვენი სიყრმის შვილის მიშიკოს დაბადების დღეა. ამ ღრმა და ყოვლისმომცველი ქართული სიტყვების – „სიყრმის შვილის" დაბადებით, მართლაც, მე და მამაშენმა ამ გიჟური, ახალგაზრდული სიხარულით, დავამთავრეთ „ყრმობა" და დაიწყო მშობლის პასუხისმგებლობის უდიდესი ტვირთი, რომელიც პირნათლად ვატარეთ და ვატარებთ დღემდე, უკვე თქვენი შვილების მიმართ.

ჩვენო სიყრმის შვილო მიშიკო! დაბადებიდან ჩქარობდი. სამშობიაროში მისვლაც კი არ გვაცალე, სახლში დაიბადე. ამბობენ, ვინც დაბადებას ჩქარობს, მისი ხასიათი სიჩქარეაო... და მართლაც, ყველგან მიიჩქაროდი. ჩქარობდი სიყვარულს... სიკეთეს... კაიკაცობის დამკვიდრებას; ძმობაში, მეგობრობაში ულალატობას, გულწრფელობას, ქველმოქმედებას ქიზიყში თუ სხვაგან.

ნეტავ სიკვდილში არ გეჩქარა... შენ ხომ ახალშექმნილი ოჯახი და ორი თოთო ქალიშვილი დაგრჩა... 10 წელია, ცრემლი არ შემშრალა. შენ ჩვენთვის ისევ იმ 27 წლის ჭაბუკად დარჩი.

არავინ თქვას, – დრო ყველაფრის მკურნალიაო. შვილის უდროოდ წასვლის ტკივილს არაფერი კურნავს.

შენს ერთადერთ საფიცარ ძმას, ზურიკოს უშენოდ სიცოცხლე რომ არ შესძლებია, თავადაც დარწმუნდი. ის შენთანაა. 10 წლის გლოვის შემდეგ ისევ დაგვეცა მეხი და მისი ტრაგიკული სიკვდილით არა მარტო მისი ერთადერთი ქალიშვილი დაობლდა, მეორედ დაობლდნენ შენი შვილები: დეა და ნია. ზურა ხომ ძმისშვილებს უმამობას არ აგრძნობინებდა.

ორად ორი საფიცარი ვაჟკაცის დამკარგავი მშობლების სიცოცხლე – მხოლოდ და მხოლოდ თქვენი დანატოვარი შვილების მიმართ პასუხისმგებლობა, მათი პატრონობაა და კიდევ ის – როგორც დღეს, ამ ოთხ გამორჩეულ დღეს, ქრისტიანული წესით ქართველმა დედამ სხვის გასაგონადაც უნდა ამოიგმინოს: მიშიკო, ზურა... ზურა, მიშიკო! რათა თქვენი სახელები დავიწყებას არ მიეცეს.

*მშობლები: დალი და ლაერტი ზუბადალაშვილები*

### ზაალ ალიოშას ძე ცერცვაძის მონატრება



*„გმადლობ, რომ გაჩნდი...*
*გმადლობ, რომ ასეთი ტკბილი იყავი..."*
*(შენი ნათია)*

ეს სიტყვები შენმა მეუღლემ წააწერა შენი საფლავის ქვაზე და რომ მართლაც ტკბილი და კარგი იყავი, ჩვენო მარადისობაში გადასულო, საყვარელო სიძევ. რა მწარე და მოუშუშებელი ჭრილობა ხარ ჩვენთვის: ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი, ახალგაზრდებისათვის საყვარელი, გვერდით მდგომი და ბავშვებისთვის ტკბილზე ტკბილი. ნებისმიერი გრძნობდა შენს გულწრფელ, დაუღალავ თანადგომას ჭირსა თუ ლხინში და რაც მთავარია, გრძნობდა უზადო სიკეთესა და სიყვარულს.

ფიზიკურად ძლიერ ვაჟკაცს არ გეგონა, რაიმე თუ გძლევდა, მაგრამ ულმობელი ყოფილა ბოროტი ხელი. სიმართლე იყო შენი ცხოვრების მეგზური და სიკვდილამდე მისი ერთგული დარჩი. არჩეული ცხოვრების ნარეკლიანი გზა უშეცდომოდ და კაცურად განვლე. სამწუხაროდ, ადრე დაიწვა შენი სანთელი, მაგრამ ისეთი სიკაშკაშით, რომ სხვისი სამი სიცოცხლეც კი არ ეყოფოდა.

ძალზე ძნელია შენზე წარსულში ლაპარაკი. ისევ დადგა ზაფხული, ისევ მოვიდა 24 აგვისტო – შენი დაბადების დღე...

შენ ის ტკივილი ხარ, დროსთან ერთად რომ იზრდება. ჯვარი, გოლგოთაზე რომ უნდა ავიტანოთ, ცრემლთა დუღილია. ჩვენ ვცოცხლობთ შენი ხსოვნისა და სიყვარულის გადასარჩენად. ჩვენ წელს პირველად ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს... ნეტავ შეგვძლებოდა, იმ საბედისწერო შემთხვევისთვის გამოგვეტაცა შენი თავი... არ ვიცოდით, დრო და შემთხვევა თუ განაგებდა ყველაფერს. თურმე „არავის ძალუძს ქარის შეჩერება, არავინ განაგებს დღეს სიკვდილისას..." ამ ქვეყნიდან შენი წასვლით დავინახეთ სინამდვილე – რისთვის მოვედით? ან რისთვის მივდივართ? ნეტავ კაცობრიობას 2003... გარიჟრაჟისთვის გადაებიჯებინა...

ჩვენ ვერასოდეს დავივიწყებთ ასე ნაადრევად დაფერფლილ შენს სიცოცხლეს. იმის გაფიქრებაც გვიჭირს, რომ სამუდამოდ დაგემშვიდობეთ...

ღმერთს შევთხოვთ, რომ ნათელში იყოს შენი ლამაზი სული, ჩვენო ზაალ.

*შენი სიდედრი და სიმამრი: ნუნუ და გიზო მანაგაძეები; ცოლისდა და ქვისლი: თეა და პაატა ჭიქაბერიძეები*

### მერი მღებრიშვილს!



პირველად შენი დაბადების დღე უშენოდ, ჩემო დედა. რა თავზარდამცემი, შემზარავი და წარმოუდგენელია უშენობა. რა ამაყი და თამამი ვიყავი, რა მყარად ვგრძნობდი თავს.

ახლა ყოველი დღე შენზე ფიქრში ღამდება და შენზე ფიქრში თენდება. მენატრები, უშენობამ გულში სიცარიელე და დარდი გამიჩინა. მიმძიმს, დედა, შენი წარსულში ხსენება. არ მინდა ვიფიქრო სიკვდილზე, რომ უნებურად ცოცხალთა შორის აღარ გიგულო.

ყურში დღესაც მწარედ ჩამესმის შენი სიტყვა: „მიშველე", მაგრამ ჩვენ ვერ გიშველეთ, უძლურნი აღმოჩნდით ვერაგი სიკვდილის წინაშე.

შენ ხომ ყოველთვის მელოდი შენს დაბადების დღეზე. მე ახლაც მოვალ, დედა, შენთან, შენს საფლავზე. ლამაზი ყვავილების თაიგულს მოგართმევ და მუხლმოდრეკით შევევედრები ღმერთს... ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*ნინო*

### ზაზა ბუხრიკიძის ხსოვნას!



ჩვენი ზაზა 40 წლის გახდებოდა...

ვერასოდეს ვიფიქრებდით, რომ მასზე ნეკროლოგის დაწერა მოგვიწევდა. იგი ხომ კლდესავით იყო: ძლიერი, შეუპოვარი და უშიშარი. ნამდვილ გაჭირვების ტალკვესად ედგა მხარში დიდსა თუ პატარას. თუკი შეეძლო, არავის დააამადლიდა სიკეთეს, გვერდში დგომას და ერთგულებას. მისგან არავის ახსოვს წყენა და ხინჯი. თუ რაიმე დააკლო, ისევ საკუთარ თავს, სხვა არავინ დაუზარალებია...

უსაშველოდ დააკლდა მისი ვაჟკაცობა და ალალი ღიმილი ოჯახს, უბანს, სანათესავოს, ქალაქს...

დააკლდა და თან წაიყოლა დიდი სევდა...

ნათელი დაადგეს მის ლამაზ სულს...

*ქ. რუსთავის კლდიაშვილისა და შევჩენკოს უბნის მცხოვრებლები*

### ანზორ ჩიქობავას ხსოვნას!



სადაცაა მიიწურება აგვისტო და გასრულდება საშინლად ტკივილიანი 1 წელი. მძიმეა აგვისტოს მიწურული ჩვენთვის, რადგან ყოვლადწმინდა მარიამის მიძინების დღეს შეწყდა შენი გულისძგერა და სულეთის მარადიულ სამყაროს შეუერთდი.

ძალიან ხანმოკლე გამოდგა შენთვის წუთისოფელი, განგებამ მხოლოდ 16 წელი გაიმეტა და მარადიული სიყმაწვილე გარგუნა. რატომ დაიფერფლა შენი ლამაზი სიცოცხლე? შენ ხომ უსაზღვროდ გიყვარდა იგი, მომავალზე ოცნებობდი და სამერმისო გეგმებს აწყობდი. მაგრამ, ვაგლახ, განგებამ წერტილი დაუსვა შენს ამქვეყნად ყოფნას. რატომ დატრიალდა ასე უკულმა ბედის ჩარხი? რისთვის? რატომ? – პასუხი კი არ ჩანს! მას შემდეგ ყველა ჩვენგანისთვის სამყარო გაფერმკრთალდა და დაცარიელდა. უშენოდ ჩვენი ყოფნა, ჩვენო ანზორიკო, არის მარადიული ტკივილი, გოდება, ცრემლი, ვაგლახი. ო, რა ძნელია შენზე წარსულ დროში ლაპარაკი.

რამხელა სიხარული იყო შენი დაბადება ჩვენთვის, რა ბედნიერები ვიყავით ყველანი. ვის შეშურდა შენი აქ ყოფნა, შენი მჩქეფარე სიცოცხლე? აწ უკვე ჩვენ ვართ სიცოცხლეგამწარებულნი, უბედურნი. მხოლოდ შენზე გოდებით, შენი სურათების ფერებით და შენთვის სანთლების დანთებით იწყება და ამითვე მთავრდება ყოველი დღე. ო, რა მწარეა უშენობა. მართლაც არარაობაა კაცის სიცოცხლე. ერთიღა გვანუგეშებს – ერთი დღეც იქნება და ჩვენც მოგივალთ იქ, ჩვენო ანზორიკო და იქ გავიხარებთ ალბათ, ერთად ყოფნით – იქ კი ვერავინ დაგვაშორებს ერთმანეთს. მანამდე კი შენ მაგივრად შენს საფლავს მივაკითხავთ და იქ მოგეფერებით და მოვიოხებთ გულს.

ყველა ჩვენგანის, ყველა შენიანის სიყვარული, მონატრება და შენს სახელზე აღვლენილი წირვა-ლოცვა გაგინათებს ცათა სასუფეველს, ჩვენო ანზორიკო, სადაც განგებამ გარგუნა მარადიულად ყოფნა აგრე ნაადრევად. ჩვენს გულებში შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

*შენი უბედური დედა, მამა, დები*

### მერაბ და კობა ანთიძეების მონატრება



ჩემო ლამაზო შვილებო – მერაბ და კობა, 24 აგვისტო თქვენი დაბადების დღეა. მერაბ, მეორე წელია შენი ლამაზი, თბილი სახის ნაცვლად ცივ ქვას ვეფერები.

დაბადების დღეს გილოცავენ შვილები, დისშვილები და ახლობლები.

იძინეთ ტკბილად, მერაბ და კობა. მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა თქვენს სულებს.

*შენი გამწარებული დედა და ბიცოლა ვენერა*

### გელა სამხარაძის მონატრება



სამი წელი გავიდა, შვილო... სამი ცრემლიანი და ტკივილიანი წელი. მე კი მგონია, გუშინ ჩემ გვერდით იყავი. შენს პერან[illegible]ვიელებ ხოლმე, იმ დღეს რომ გეცვა, როცა ამქვეყნად ყველაზე უბედური დედა გამხადე... ისეთი განცდა მაქვს, თითქოს შენ გელაპარაკები, ცოცხალს, საღ-სალამათს, ვაჟკაცურს. ჩემო ლამაზო ბიჭო, როგორ მეამაყებოდი – მაღალი, ათლეტური, სითბოთი და სიყვარულით სავსე თვალებით. ამ სამმა წელმა კიდევ უფრო მაგრძნობინა, რომ დროს ტკივილი კი არ მიაქვს, არამედ ახლობელ და ძვირფას ადამიანებთან ყოფნის დღეებს გაშორებს მხოლოდ... რა ბედნიერია მამაშენი, შენი მზის ჩაქრობას რომ არ შეესწრო. თუმცა კი მისი სული ალბათ როგორ წუხს, სრულიად ახალგაზრდა რომ მიუხვედი...

შენი შვილები, შენი გოგა და აჩიკო საზღვარგარეთიდან რომ დარეკავენ, მამას საფლავზე თუ იყავიო, მეკითხებიან... კარგი ვაჟკაცები გეზრდებიან, შვილო. ღმერთმა ქნას, ისინი მაინც იყვნენ ბედნიერები...

მე კი რაღა დამრჩენია შენს საფლავზე და შენს საყვარელ წილკანში სიარულის მეტი. იქ ხომ შენი ხელით უვლიდი ყველაფერს. უკვირდათ იქაურ მეზობლებს – ეს თბილისელი ბიჭი ჩვენზე კარგ ღვინოს აყენებსო...

ნათელში გამყოფოს უფალმა, შვილო...

*შენი დედა მერი (დესპინე) სამხარაძე*

### ვაჟა დათუაშვილის ტკივილიანი მონატრება



დრო რა უცბად გავიდა, რა უცბად გაიპარა ორი წელი, ბიჭო. მე მაინც არ მჯერა, ისევ სიზმარში მგონია თავი. როგორ დავიჯერო შენი სიკვდილი?! რა თავზარდამცემი, რა უბედურების მომტანი იყო 2002 წლის 20 აგვისტო ჩვენი ოჯახისათვის. სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული, ჯან-ღონით და ბედნიერებით აღსავსე ვაჟკაცი მყავდი, შვილო. ბიჭოს გეძახდი. რად მეძახი ბიჭოსო? – მკითხე. მოგეფერები-მეთქი, – გითხარი და აღარაფერი თქვი. ახლაც ბიჭოს დაგიძახებ და ბიჭოთი მოგეფერები სულ.

ვაი შენს უბედურ დედას, ბიჭო. ორი წელია არ მინახავს შენი ლამაზი სახე, ღიმილიანი და ბედნიერი, არ მსმენია შენი ტკბილი ხმა. ნეტავ როგორ ვცოცხლობ?! უძლური აღმოჩნდი შენ წინაშე, შვილო. მაშინაც და დღესაც მზად ვარ შენს სანაცვლოდ... მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ვაი შენს დედას, უშენოდ ყველაფერმა აზრი დაკარგა. ძალიან მძიმე და ტკივილიანია დღეები უშენოდ. მაინც ყოველთვის ჩემთან ხარ – შიგნით გულისგულში. რატომ გამწირე ასე?! რატომ იყავი ასეთი ჩუმი და უთქმელი?! იცოდი, რაც გჭირდა, რაც მოგელოდა და რატომ გაჩუმდი?! იქნებ მეშველა რამე?! მე უბედური რატომ ვერ ვხვდებოდი, რომ არაფერს იმჩნევდი?! როგორ გაუძელი? როგორი ჯანმრთელი იყავი, რას მოვიფიქრებდი, რომ ზეზეურად გამიქრებოდი, ჩუმად და უხმაუროდ წამიხვიდოდი. იმ ექიმს წაეკიდოს ცეცხლი – ჯერ შენი და მერე ჩემი ცოდვით, რომელ ექიმთანაც შენ იყავი და უთხარი, – უპატრონო ვარ და მითხარი, რა მჭირსო. ეს როგორ მოიფიქრე, ბიჭო, ან იმ გულდამწვარმა როგორ დაგიჯერა ეს და გითხრა, – შენი საშველი არ არის და მოკვდებიო. ნეტავ მანახვა, რომ ჩემი ხელით გავვლიეჯო.

ასეთ სიმძიმეს როგორ გაუძელი? როგორ გადაიტანე ის ორი თვე და არაფერი გვაგრძნობინე? ნეტავ არ გტკიოდა მაინც?! თუ გტკიოდა და ითმენდი? მოგიკვდეს დედა, რად ვარ ცოცხალი! სიზმარში რომ მითხარი, ეს მტკივაო, მერე რად მინდოდა, რატომ მაშინ არ თქვი, ეგებ მეშველა?! ვინ შეიცოდე?! ახლა არ გეცოდები? გამოიხედე, რა დღეში ვარ.

წახვედი და დამიტოვე უზომო ტკივილი და აუტანელი სიცარიელე, რომელსაც დრო ვერასოდეს ამოავსებს, ვერ განკურნავს. ვილას ვთხოვო შველა?! ძალიან მენატრები, ძნელი ასატანია უშენობა. მჯერა შენი სხვა განზომილებაში არსებობისა.

ყოველდღე ვანთებ სანთლებს და ვლოცულობ შენი სულის უკვდავსაყოფად. მჯერა, რომ ცათა სასუფეველში დაიმკვიდრე მარადიული ბინა.

ნეტავ ერთხელ მაინც მაჩვენა შენი თავი...

*უბედური დედა და ძმა*

*სანთლები იწვიან, მაგრამ არ ქრებიან,*
*და შენც ჩემს გულში სანთლად ანთიხარ,*
*ოცნებით გიყურებ და გეფერები,*
*შენ მელანდები, შენ მაგონდები.*
*ოჰ როგორ მენატრები, როგორ მენაღვლები,*
*როგორ მედარდები.*
*შენს მონატრებაში დღეები მძიმდება,*
*ხელებგაწვდილი დაგეძებ ყველგან,*
*მაგრამ ვერ გპოვებ ვერსად.*
*ცრემლი ხარ შეუშრობელი, ტკივილი მოურჩენელი,*
*შენმა სიკვდილმა ხომ ჩემს გულზე გადაიარა.*
*დაჟრდომილი, სნეული, უნუგეშოდ ვტირი მე,*
*რა ვილონო, არ ვიცი, მითხარ, შენი ჭირიმე.*
*უცეცხლოდ ვიწვი და ვიტანჯები,*
*სიცოცხლე მექცა ჯოჯოხეთად, ვაი ჩემი ბრალი!*
*გთხოვ წამიყვანო, შენთან მამყოფო.*
*რა დამრჩენია?! როგორ მოგეფერო?!*
*იმ მიწას ვეფერები, რაც რომ შენ გყრია*
*და იმ ადგილს, სადაც რომ გძინავს.*
*მიყვარს ის ცხოვრება, რითაც შენ ცხოვრობ.*
*როცა დაღამდება, მატულობს სევდა.*
*და გულიც როცა მძიმდება მეტად,*
*შენთან გამოვალ, დაგაყრი ცრემლებს,*
*სადა ხარ, ბიჭო, დაბრუნდი ისევ.*

*გამწარებული და უბედური დედაშენი*

ჩვენ გვწერენ

# სადაც უნდა იყო...

დიანა სუპერმარკეტში გავიცანი, გამყიდველად მუშაობდა. 22 წლის იყო, მაღალი, თხელი, ჩამოქნილი, უცნაურად მოციმციმე თაფლისფერი თვალები ჰქონდა. უკლებლივ ყველა კლიენტს, ყველაზე ჭირვეულსაც კი, ხალისიანად და ღიმილით ემსახურებოდა. გამონაკლისი არც მე გახლდით — მარდად ჩამიწყო პარკებში ნავაჭრი და სალარომდეც მიმაცილა. მართალია, სამსახურში მიმეჩქარებოდა, მაგრამ ფეხი ავითრიე და მომხიბლავ გამყიდველთან მუსაიფის გაბმა ვცადე. მან თავაზიანად მომიბოდიშა და მორიგ კლიენტს მიუბრუნდა. მეტი რა ჩარა იყო, გასასვლელს მივაშურე, თან უკან-უკან ვიხედებოდი და სწორედ ამ დროს მისი წკრიალა ხმა შემომესმა, — ფრთხილად, ბატონო! ამის თქმა იყო და — დავიფიცებ, ფეხი არაფრისთვის წამომიკრავს — ჩემი პარკებიანად ძირს გავიშხლართე. ერთ-ერთი პარკი, რომელშიც კვერცხები ეწყო და ძირს დანარცხებისას, რა თქმა უნდა, „ერბოკვერცხად“ იქცა, ზუსტად ჩემი პირისახის გასწვრივ აღმოჩნდა და ცხვირიც სწორედ ამ „ომლეტში“ ჩავრგე! მყიდველ-გამყიდველიანად, მთელი მაღაზია სიცილით გაიჭაჭა. მხოლოდ დიანამ მოირბინა ჩემთან, წამოდგომასა და პარკების აკრეფაში მომეხმარა, თავისი ცხვირსახოციც შემომთავაზა სახის გასაწმენდად. გიყვარდეთ, დრო არ დამიკარგავს და სასწრაფოდ სახელი და ტელეფონის ნომერი ვკითხე, მეორე საღამოს კი ყვავილებით ხელდამშვენებული უკვე რესტორნის შესასვლელთან ველოდებოდი...

თავიდან მეგონა, დიანასთან სასიამოვნო შეხვედრებითა და ტელეფონზე ლაქლაქით მხოლოდ თავს ვიქცევდი. მით უფრო, რომ ურთიერთობის გასაღრმავებლად სურვილს არ ამჟღავნებდა. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს მივხვდი, რომ მიყვარდა! აღარ დამიხანებია და ხელი და გული შევთავაზე. დიანა დამთანხმდა, თუმცა ქორწილის წინ პირობა ჩამომართვა — სიტყვა მომეცი, რომ არასოდეს მიღალატებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც მოგივა, მხოლოდ საკუთარ თავს დააბრალეო...

შევფიცე, სამარის კარამდე შენი ერთგული ვიქნები-მეთქი, თუმცა გუნებაში კი მეცინებოდა. მოკლედ, ხელი მოვაწერეთ და საქორწინო მოგზაურობაში წავედით. მშვენიერი თაფლობის თვე გვქონდა. მაგრამ მოგეხსენებათ, ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი მთავრდება... თბილისში დაბრუნების შემდეგ, უწინდებურად განვაგრძე მუშაობა. დიანამ სამსახურს თავი დაანება, რადგან, ჯერ ერთი, რომ მშვენიერი შემოსავალი მქონდა და, მეორეც, ახალი სიცოცხლის შემომატებას ველოდით. ექიმმა კი ჩემს ცოლს წოლითი რეჟიმი დაუნიშნა.

პირველ ხანებში, სამსახურის დასრულების შემდეგ, თავპირისმტვრევით გავრბოდი შინ, რათა მთელი საღამო საყვარელ მეუღლესთან გამეტარებინა — მარტონი ვცხოვრობდით. ნელ-ნელა პირველმა აღტყინებამ გამიარა და აღმოვაჩინე, რომ ოჯახური პრობლემების მოგვარებამ ერთგვარად დამქანცა და თავი მომაბეზრა. შესაბამისად, განტვირთვისა და რაიმეთი თავშექცევის სურვილი გამიჩნდა. ჰოდა, მეგობრებთან ერთად დროს ტარება დავიწყე. ერთ საღამოს კი, რესტორანში ლიკა გავიცანი... ძალიან ლამაზი, კისკისა გოგო იყო, თავქარიანი... მეც მეტი რა მინდოდა? დავატარებდი აქეთ-იქით და საჩუქრებითაც ვანებივრებდი. თუმცა, მისი ცდუნება მაინც ვერ შევძელი და გადავირიე! დამავიწყდა საღამოობით შინ მომლოდინე ფეხმძიმე ცოლი და ფიცი.

ერთ მშვენიერ თუ ავბედით დღეს, როგორც იქნა, დავიყაბულე... სასტუმროში ნომერი შევუკვეთე, ყვავილები და შამპანური ვიყიდე და ლიკასთან შესახვედრად მანქანით გავექანე. ის იყო, მის სადარბაზოსთან დავამუხრუჭე, რომ ჩემი მობილური აწკრიალდა — დიანა იყო. სად ხარ, — მკითხა ხმაჩავარდნილმა. მეგობარია ავად და მთელი ღამე საავადმყოფოში ყურყუტი მომიწევს-მეთქი. მატყუებ, — ხმა გაუცივდა, — ვიცი, სადაც ხარ და საით მიეშურები. სასტუმროს სახელწოდება და ადგილმდებარეობაც „მახარა“!

ელდა მეცა. „კეთილისმსურველებს“ რა გამოლევს ამ ქალაქში, ალბათ ვინმემ ჩაუკაკლა ჩემი ამბები-მეთქი და მდგომარეობის გამოსწორებას შევეცადე — რას ამბობ, ჩემო სიცოცხლევ, თუ გინდა, ახლავე შენთან გავჩნდები-მეთქი! სადარბაზოსთან ჩამოსულ ლიკას კბილების კრაჭუნით მოვუბოდიშე — შეხვედრა სხვა დროისთვის დავუთქვი და შინისაკენ გავქანდი. იმ საღამოს დიანას საყვედური არ დასცდენია. მაინც ვადროვე, რომ დამშვიდებულიყო. ერთი თუ ორი კვირის შემდეგ რის ვაი-ვაგლახით ხელახლა დავიყოლიე ლიკა. ისევ შევუკვეთე ნომერი სასტუმროში. ამჯერად დიანას ზარი მაშინ გაისმა, როცა დივანზე გუგულებივით ჩამომსხდარი მე და ჩემი ოცნების ქალბატონი შამპანურს ვწრუპავდით — ვიცი, სადაც ხარ, — დიანას ხმა კრაზანის ზუზუნივით ჩამესმა, — გვერდს ერთი თავქარიანი ლამაზმანი გიმშვენებს და მზად ხარ, მასში გამცვალოო. დამცეცხლა! თუმცა გამოსავლის მოძებნას მაინც შევეცადე, — საქმიან შეხვედრაზე ვარ და შენი ეჭვები სრულიად უადგილოა-მეთქი, — შეკამათება ვცადე. მაგ ქალბატონს ლიკა ჰქვია და შენი ოჯახის დანგრევაზე ოცნებობსო, — მომიგო. ახლავე შინ თუ არ გაჩნდები, თვალით ვერასოდეს მნახავო!

რაღას ვიზამდი? ამჯერადაც დავემორჩილე მის ახირებას და შინ მივტუსტუსდი. დიანამ უცნაურად შემომანათა მოციმციმე თვალები და კუდიანი დედაბერივით წამისისინა: — თუ კიდევ შეეცდები იმ როსკიპის ნახვას, თვალიც დაგევსებაო და ზურგი შემაქცია... რაკიღა ფეხმძიმედ იყო და მისი განერვიულება არ მინდოდა, აღარ ავყევი და ბოლმა გულში ჩავიკალი. თუმცა, ზუსტად ვიცოდი, რომ ლიკასთან შეხვედრაზე უარს არასგზით არ ვიტყოდი.

მესამე პაემანზე მობილური გამოვრთე! მთელი ღამე გული ვიჯერე ლამაზი ქალის ალერსით და როდის-როდის ჩამეძინა. არ ვიცი, დილა იყო თუ შუადღე, თვალი რომ გავახილე და დაჭრილი დათვივით ავღრიალდი — გარშემო ყველაფერი სიბნელეს მოეცვა, ვერაფერს ვხედავდი! ლიკას შიშით მეტყველების უნარი წაერთვა... ჩემი მობილურის ჩართვა და სახლის ტელეფონის ნომრის აკრეფა ვუბრძანე. აკრიფა და ხელში მომაჩეჩა. დიანას საოცრად მშვიდი ხმა ჰქონდა, — როგორა ხარ, საყვარელოო, — მკითხა. ეს რა ჩაიდინე, შე კუდიანო, — ავბღავლდი, — ახლა მოვალ და კატასავით მიგახრჩობ-მეთქი. ნუ გაირჯები, შენგან სამუდამოდ მივდივარო, — მომიგო და ყურმილი დაკიდა...

ასე დამენგრა ოჯახი. ლიკამაც მიმატოვა, — ბრმა და ხეიბარი რად ვჭირდებოდი. მართალია, დროთა განმავლობაში თვალისჩინი დამიბრუნდა, მაგრამ დიანას მოძებნა, მასთან შერიგება აღარ მიცდია და არც ახალ ოჯახს მოვკიდებივარ. მეშინია, კვლავ ისეთი ცოლი არ შემხვდეს, რომელიც სადაც უნდა ვიყო, ყველგან მომაგნებს. მეტადრე, თუ მის წყევლა-კრულვას ძალა ექნება...

***გ.გ., თბილისი***



# ბედისწერას ვერაფერს გაუგებ

ვალერი თ-ძე მართლაც ხიფათიანი კაცია, თუმცა ერთ-ორჯერ ლამის მანიაკად გამოაცხადეს, რადგან დატრიალებული უბედურებების ეპიცენტრში მოხვედრილი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს...

— 1995 წლის შემოდგომაზე ჩემი ტაქსით მგზავრები მიმყავდა თბილისიდან რაჭაში. მანქანა ორმა მამაკაცმა იქირავა — ოთხი ბიჭი უნდა ჩაიყვანო შოვამდეო. იმხელა თანხა შემომთავაზეს, ვერ ვთქვი უარი, თორემ რატომღაც არც დამქირავებლები მომეწონა და არც მგზავრები, მით უმეტეს რომ ჩემს გასაგონად არც ლაპარაკობდნენ და მთელი გზა თითქოს თვლემდნენ...

როცა შორს მივდივარ, სულ თან მიმაქვს „კანისტრებით“ ბენზინი. იმ დღესაც ორი „კანისტრა“ მედგა საბარგულში. მართლა ბედისწერა იყო ალბათ, რომ ერთ-ერთი წაქცეულა და ბენზინი დაღვრილა. მერე კი, როცა ერთმა მგზავრმა სანთებელა აანთო სიგარეტის მოსაკიდებლად, უცებ ავფეთქდით.... გონს რომ მოვედი, ცეცხლმოდებული მანქანიდან მოშორებით ვეგდე, აზრზე არა ვარ, გადმომაგდო რამემ თუ თავად გადმოვხტი...

*— რა იცით, რომ საბარგულში ჩაღვრილი ბენზინი აფეთქდა, იქნებ თქვენს თანამგზავრებს ჰქონდათ ხელყუმბარა?*

— მერე, თავი აიფეთქეს, კაცო?!. არა, ბენზინის ბრალი იყო, ექსპერტიზამაც ეს დაადასტურა. უკან მჯდომი სამივე მგზავრი დაიღუპა, ჩემ გვერდით მჯდომმა მძიმე დამწვრობა მიიღო, მე უმნიშვნელოდ დავშავდი. ჯერ იყო და, სასამართლოში მაწვალეს, სანამ ჩემი უდანაშაულობა დაამტკიცეს. მერე „შავი სამყარო“ დამდევდა მოსაკლავად — ის ბიჭები, რომელიღაც ყაჩაღური ბანდის წევრები ყოფილან, თანაც ძებნილები, რაჭაში დასამალავად მიდიოდნენ თურმე.

*— რამდენადაც ვიცი, ეს თქვენი პირველი ხიფათი არ ყოფილა?!*

— არც პირველი და არც უკანასკნელი. სწორედ ამიტომ ვერაფერი გამიგია ბედისწერის, თუ სასიკვდილო ვარ, მომკლას, თუ არადა, რამდენჯერ უნდა ჩავხედო სიკვდილს თვალებში?! პირველად 1971-ში გადავურჩი სიკვდილს. 14 წლის ვიყავი. ბიჭები მდინარეზე სათევზაოდ წავედით. დინამიტი ავაფეთქეთ და... ორი დაიღუპა მაშინ, მე მხოლოდ ნეკი წამგლიჯა ხელზე... ორი თვე ენა მქონდა შიშით ჩავარდნილი, ეგონათ, მოვკვდებოდი...

18 წლისა ჯარში გამიწვიეს, ციმბირში მოვხვდი და ორჯერ ისე მომეყინა ხელ-ფეხი, ერთხელ ფეხის ამპუტაცია დამიპირეს და ბოლო წუთს გადაიფიქრეს, 1% იყო იმ ფეხის გადარჩენის შანსი და იმას მოებღაუჭნენ ექიმები... მანამდე ტაიგაში დავიკარგე და ღამით მგლების ხროვა მოადგა იმ ფიჭვს, რომელზეც ავცოცდი... ისე ყმუოდნენ, შიშით თუ არ გავგიჟდებოდი, არ მეგონა.

...1979-ში გაზის ბალონი აგვიფეთქდა ოჯახში, რომელსაც ბებიაჩემი შეეწირა, მე კი იქვე, ტახტზე მძინარე, დღემდე არ ვიცი, რა ძალამ გამაგდო გარეთ. გონს მოსულს ხალხი მეხვია ირგვლივ...

1982-ში ცოლი შევირთე და არც ქორწილს ჩაუვლია უხიფათოდ. სანამ პატარძლის მოსაყვანად წავიდოდით, ბიძაშვილს ვთხოვე, თავის მოსაწესრიგებლად სალონში წავეყვანე. საჭესთან ბიძაშვილი იჯდა და... შემხვედრ ზოლზე გადავიდა რატომღაც, სატვირთო მანქანას შეუვარდა, ის ადგილზე დაიღუპა, მე კი ერთი ნაკაწრიც არ დამტყობია... ლხინის სუფრა გლოვით შეგვეცვალა, მაგრამ დანიშნული ქალი მაინც მოვიყვანე, ბუნებრივია...

1989 წელს აპრილის ცნობილ მოვლენებში ვმონაწილეობდი. ცოლისძმა არ მშორდებოდა გვერდიდან და ორივენი მოვიწამლეთ გაზით, არადა... მე გადავრჩი... ის დაიღუპა, მიუხედავად მკურნალობისა...

აფხაზეთის ომშიც ვაპირებდი წასვლას, მაგრამ გამგზავრებამდე ორი დღით ადრე ზუგდიდში წავედი ნათესავებთან ერთად ახლობლის დაკრძალვაზე. გარდაცვლილის „საძმომ“ სისხლიანი ანგარიშსწორება მოაწყო. პირდაპირ გასვენებაში ატეხეს სროლა, ვითომდა დაკრძალვაზე მოსული „მოსეირე მკვლელების“ დასასჯელად... არ ვიცი, რამ გადამარჩინა, ორი ტყვია დამაჭედეს მარჯვენა თეძოზე და უმძიმესი ოპერაცია გამიკეთეს, რომლის გამოც კარგა ხანს ვერ დავდექი ფეხზე...

1995-ში ერთ-ერთ მშენებლობაზე ატყდა სროლა და ჩემ გარდა ყველა (4 კაცი) იქ მომუშავე დაიღუპა. მოგვიანებით გაირკვა, რომ მკვლელს და მშენებლობის მეპატრონეს მიწის გამო ჰქონიათ დავა. რადგან მხოლოდ მე გადავრჩი, პოლიციამ კარგა ხანს მაწვალა — მკვლელთან ხომ არ იყავი შეთქმულიო.

2000-ში მეზობლების განზრახ მოწამვლაში დამდეს ბრალი და გაღიზიანებულებმა სულ მანიაკი მიძახეს, არადა, რას ჰქვია მანიაკობა?! — სოკოს შეგროვება მიყვარს, იმ დღესაც დამინახეს მეზობლებმა, რომ ორი ვედრო მოვიტანე და არ მიმეწოდებინა? ეზოში გავშალეთ სუფრა. თითქმის ყველა მოიწამლა, მარტო მე და ჩემი ოჯახის წევრებს არ მოგვსვლია რამე და ესეც სანანებელი გამიხდა, მარტო მე კი არა, ჩემს ცოლშვილსაც ეჭვით დაუწყეს ცქერა: — კუდიანები და ჯადოქრები არიანო, აღარ გველაპარაკებოდნენ და ამის გამო ბინაც გამოვიცვალეთ... აღარ ვიცი, რა ვქნა. ნეტავი იცოდეთ, რამდენჯერ მინატრია სიკვდილი!.. ეკლესიაშიც მივედი სალოცავად... მაპატიოს ღმერთმა და ნათელმხილველთანაც ვიყავი — იქნება ჯადო მაქვს და მიშველე-მეთქი რამე! ყველა მხრიდან ხიფათს ველი, არც გაზს ვეკარები სიახლოვეს, არც წყალს და არც მანქანას, მგონი ფსიქიკურადაც ველარ ვარ კარგად!..

...მართლაც უცნაური ამბები ხდება ბატონი ვალერის თავს...

***ინგა ჯაყელი***

# თოჯინების კუნძული



მეხიკოს მახლობლად, ტბის შუაგულში, პატარა კუნძულია, რომელიც პოპულარული გახდა და ტურისტულ ღირსშესანიშნაობად აღიარეს მოჩვენების წყალობით.

დაახლოებით 50 წლის წინ ამ ტბაში დაიხრჩო გოგონა. კუნძულის მკვიდრი ფერმერი სანტანა, ჩიოდა, — ბავშვის სული ხშირად სტუმრობს ჩემს სახლსო.

სანტანას ურჩიეს, მოჩვენებისგან თავის დასაღწევად ყველგან ჩამოკიდე თოჯინები, რომლებიც დააფრთხობენ ბოროტ სულებსო. ფერმერი ასეც მოიქცა და საოცრებაც მოხდა — მოჩვენებამ სახლი დატოვა.

ეს ამბავი გახმაურდა. მას შემდეგ, ყველა, ვისაც მოჩვენება შეაწუხებდა, ამ კუნძულზე გამორბოდა თოჯინით ხელში. მალე ყველა ხიდან თოჯინა იყურებოდა.

თურმე, მექსიკაში წესად ჰქონიათ, — თოჯინას შეწირვა ციური ღმერთებისათვის ადამიანს უბედურებასა და ავადმყოფობას აარიდებსო. ტურისტები ირწმუნებიან, — თოჯინებმა არაერთგზის გვიხსნეს ხიფათისა და სნეულებისგანო..

***სანი***

### „საზალდო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. ა) — 4); ბ) — 1); გ) — 2); დ) — 3).

II. არწივი.

III. **აბა, გამოიცანი:**

1) — დ); 2) — ა); 3) — გ); 4) — ბ); 5) — ბ); 6) — გ); 7) — დ); 8) — დ).

# კაკუნი განთიადისას

ერთხელ დამფრთხალი ჩიტი შემოფრინდა ოთახში. კარი დავხურეთ და მე და ჩემი ბიძაშვილი დავედევნეთ. საბრალო ხან ერთ კედელს მიაწყდებოდა, ხან მეორეს. ფანჯარას კი სულ გარს უვლიდა, ფრთხიალებდა, განწირული ხმით ჭყიოდა. ამ დევნაში რომ ვიყავით, ბებია შემოგვესწრო. დაგვტუქსა — ამ საბრალოს რატომ აწვალებთო და ფანჯარა გააღო. ჩიტუნამ თითქოს იგრძნო, რომ მხსნელი გამოუჩნდა, სასიამოვნოდ აჭიკჭიკდა. ოქროს ნისკარტი, ოქროს ნისკარტიო, — მიაძახა ბებიამ.... ჩიტმა გაილაღა და გაფრინდა.

ბებიამ დაგვარიგა: ოთახში ჩიტი რომ შემოფრინდება, რაიმე ამბავი მოაქვს, ამიტომ უნდა მიაძახოთ, — ოქროს ნისკარტი, ოქროს ნისკარტიო და გაუშვათ. აივნის ჩეროში მერცხლების ბუდე არ დაშალოთ, წყევლა იციანო. მეც ბებიას დარიგება მთელი ცხოვრება არ მავიწყდება.

ამის მერე დიდი დრო გავიდა.

თბილისის ერთ ძველ უბანში ვიქირავე ბინა. დიასახლისი ხნიერი ქალი იყო, ადრე მუსიკის მასწავლებელი ყოფილა. იმჟამად მარტოხელა პენსიონერი ერთთავად შინ იჯდა. მოკრძალებით განვეწყე მის მიმართ. მეგონა, სიკეთით სავსე იქნებოდა. დავუახლოვდი თუ არა, სათითაოდ დამიხასიათა მეზობლები. ყველას ლანძღავდა, აუგად იხსენიებდა — არ გირჩევ მათთან ურთიერთობასო. ბოლოს ისიც კი მითხრა, მეზობლებს ნუ ესალმებიო. მეზობლები კი პირიქით, მეფერებოდნენ, ყურადღებას არ მაკლებდნენ, თუ რამე დამჭირდებოდა, მაშინვე გააჩენდნენ ხოლმე... თავს მევლებოდნენ. რაღაცნაირად გაორებული ვიყავი. არც სახლის პატრონის განაწყენება მინდოდა და მეზობლებიც არაფერს მიშლიდნენ, პირიქით... მათთან სიახლოვემ და თბილმა დამოკიდებულებამ ჩემი სახლის პატრონი სულ გადარია. აღარ მესალმებოდა, უსაფუძვლოდ მლანძღავდა, თქვენ წარმოიდგინეთ, ეს თმადათოვლილი ქალი უშვერად იგინებოდა კიდეც. ამიტომ ყველა ცეცხლივით ერიდებოდა.

ასე გესლის ნთხევაში გადიოდა წლები.

ერთ დილით საშინელმა კაკუნმა გამომაღვიძა. თენდებოდა. კაკუნი რიტმული და ძლიერი იყო. წამოვხტი, კარს ვეცი, არავინ იყო. მივაყურადე და დიასახლისის ფანჯრის რაფაზე შემომჯდარი ჩიტი დავინახე. ერთი ციცქნა ფრინველი მოუთმენლად აკაკუნებდა... შემებრალა. მინდოდა ფანჯარა გამეღო, დიასახლისმა მიყვირა — ხელი არ გაანძრიოო. რაღას ვიზამდი, გამოვბრუნდი. ჩიტი კი კაკუნს განაგრძობდა. იმ დღიდან ლოგინად ჩავარდა ჩემი დიასახლისი. ცალკე მისმა ავადმყოფობამ დამღალა და ცალკე — კაკუნმა. ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა. ეს უბედურება დიდხანს გაგრძელდა.

საწყალ ქალს ბოლოს წამებასა და ტკივილში ამოხდა სული.

მას შემდეგ ჩიტი გაქრა და აღარც კაკუნი გამიგონია...

არ ვიცი, ვინ როგორ განსჯის, მე კი მგონია, ბოროტ დედაბერს იმ ჩიტის სახით ბედისწერა უკაკუნებდა.

***ნინო ა., თბილისი***

# ყველაზე მსმელი ერი

„ყველაზე მსმელი ერი ამქვეყნად რუსები კი არა... ჩინელები არიან. თანამედროვე ჩინეთის ტერიტორიაზე ღვინის დაყენების ტექნოლოგია ჯერ კიდევ 5000 წლის წინ იყო ცნობილი", — განაცხადეს ჩინელმა მკვლევარებმა. თუ ადრე მიაჩნდათ, რომ პირველი ღვინო ბერძნებმა და რომაელებმა დააყენეს და მხოლოდ შემდეგ მოხდა ამ სასმლის „იმპორტირება" ჩინეთში, ახლა ცხადი შეიქნა, რომ ჩინელები ევროპელებზე ადრე ამბობდნენ სადღეგრძელოებს. ამას ადასტურებს ქვეყნის ტერიტორიაზე ნაპოვნი უამრავი ჭურჭელი, რომლებიც ნეოლითურ ხანას ეკუთვნის და სწორედ ღვინის დასაყენებლად და შესასმელად მოიხმარება.

სხვათა შორის, დღესაც ჩინეთში ღვინოს უწოდებენ ყველა ალკოჰოლურ სასმელს, დამზადებულს არა მხოლოდ ყურძნისგან, არამედ ხილისა და ბრინჯისგანაც.

***ეხო პლანეტი №28***



# გიჟებს რა გამოლევს!

აუქციონზე გაიყიდა ბურთი, რომლითაც ევროპის ჩემპიონატზე ინგლის-პორტუგალიის მატჩისას ბექჰემმა ვერ გაიტანა გოლი. ესპანელმა პაბლო კორალმა, რომელმაც ბურთი ტრიბუნაზე დაიჭირა, უარი თქვა ერთ-ერთი ინგლისური გაზეთის წინადადებაზე, დაეთმო ნადავლი 18 ათას ევროდ და 12 ივლისს მოაწყო აუქციონი ინტერნეტით. მან დიდი სტრესი გადაიტანა, როცა უცნობი მსურველი 12 მილიონამდე ფსონს ჩამოვიდა. მაგრამ ინტერნეტ-აუქციონის ორგანიზატორებმა სერიოზულად გაამკაცრეს პირობები და საბოლოოდ ბურთი მხოლოდ 28,050 ევროდ გაიყიდა. პაბლო კორალმა აღიარა, რომ თავად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძენდა ამ ფასად ბურთს, „ჭკუიდან რომ გადამცდარიყო", რადგან მისი ნომინალური ღირებულება 90 ევროა.

***ოჯი***

# თოვლს პირველად ნახავენ!

მაროკოში ახლო მომავალში გაიხსნება სპორტული ცენტრი (მინის თაღის ქვეშ) — თოვლის პარკი, სადაც თქვენ თვალწინ გადაიშლება ყინულის სასრიალოები და თოვლის გორაკები. მაროკოელი ქალები, რომლებსაც არასოდეს უნახავთ თოვლი, უკვე ეწერებიან რიგში. ქალებს კვირაში მხოლოდ 2 დღეს შეუშვებენ პარკში, დანარჩენ დღეებში — მამაკაცები ინებივრებენ.

შეგახსენებთ, რომ მაროკოში, როგორც სხვა მუსლიმანურ ქვეყნებში, მამაკაცები მეტი პრივილეგიებით სარგებლობენ.

***სანი***

# ყველაზე, ყველაზე... ცუდი

ჟურნალმა „ნეშნელ ინქუაიერმა" ავტომოყვარულებს საინტერესო სია წარუდგინა. მასში ყველა დროის ყველაზე ცუდი მანქანებია შეტანილი.



პირველი ადგილი „იუგოს" უჭირავს — ეს რუსული „ზაპოროჟეცის" იუგოსლავიური ვარიანტია. მას „შევი ვეგა" მოჰყვება, რომელსაც სპეციალისტები „ჟანგისგან გაკეთებულ მანქანას" უწოდებენ. მესამე ადგილი გაინაწილეს „ფორდ პინტომ" და „შევი შევეტმა" — ავტომობილებმა, რომელთა პატრონებს თითქმის ყოველკვირა ავტოსახელოსნოებში უწევთ ყურყუტი. ბოლოდან მეოთხე ადგილზეა „რენო ლე კარი" — როგორც ამბობენ, მას მხოლოდ მგზავრების ან მხოლოდ ბაგაჟის გადატანა შეუძლია. მეხუთე ადგილს ინაწილებენ „დოჯ-ასპენი/პლიმუთ ვოლარე" — რეკორდსმენი მსხვრევადობის მიხედვით; „რენო დოფინი", რომელსაც „ველოსიპედისა და ორთვალის სინთეზს" უწოდებენ და „ფოლკსვაგენ ბუსი" — მეტსახელად „უძრავი ქონება, რომელსაც ზოგჯერ თავისით გადაადგილებაც შეუძლია".

საინტერესოა, რომ რუსული „ზაპოროჟეცი", რომლის სახელიც თითქმის ანეკდოტადაა ქცეული, სიაში არ მოხვდა.

***ოგონიოკი***

# იცით თუ არა, რომ...

...ინგლისელმა ფილოლოგებმა საინტერესო გამოკვლევა ჩაატარეს — ლინგვისტები ცდილობდნენ, გაერკვიათ, რომელი აქცენტია ყველაზე სექსუალური ბრიტანეთის სამეფოში. როგორც დადგინდა, ყველაზე ეროტიკულად ირლანდიელები ლაპარაკობენ — ინგლისელ ქალებს ირლანდიური შეუდარებლად სექსუალური ეჩვენებათ. ირლანდიელებს შოტლანდიელები მოსდევენ. სანიმუშო ინგლისური აქცენტი კი, რომლითაც ბუკინგემის სასახლეში ლაპარაკობენ, სექსუალურობის სკალის მიხედვით მხოლოდ მესამე ადგილზეა.

...ნორვეგიის სასტუმროების მომსახურე პერსონალი სასტუმროების ნომრებში პორნოარხების აკრძალვას ითხოვს. ქალები ჩივიან, კლიენტები პორნოარხებით გართობის შემდეგ უხამს რამეებს გვთავაზობენო. მეტიც, თურმე ბევრი შიშველი ხვდება მათ.

სასტუმროების პროფკავშირებმაც დაადასტურეს, რომ ბოლო დროს სულ უფრო მეტი სასტუმროს თანამშრომელი ქალი ჩივის, რომ კლიენტები ძალადობას მიმართავენ.

# თოჯინური „აბბა"



22 წლის წინ პოპულარული შვედური ჯგუფის „აბბა"-ს წევრები სამუდამოდ დაშორდნენ ერთმანეთს — 350 მილიონი დისკის გაყიდვის შემდეგ თითოეულმა მათგანმა თავისი გზა ნახა. მას შემდეგ მუსიკოსებს არ უმუშავიათ არც ერთ საერთო პროექტზე. ერთად არ მდგარან არც სცენაზე და არც ტელეკამერების წინ. და აი, აღდგა ლეგენდარული „აბბა", მაგრამ ამჯერად მომხიბვლელი თოჯინების სახით და თან ვიდეოკლიპში. რეზინის თოჯინებს უზარმაზარი კბილები და დიდი ლოყები აქვთ, ოთხივეს უზარმაზარი ჩექმა აცვიათ.

პროექტის გამო ლონდონში თავი მოიყარა ოთხივე მუსიკოსმა, რომლებიც 4 წლის მანძილზე თვალს ადევნებდნენ ვიდეოკლიპის გადაღებას, — თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ არა ერთად, არამედ ცალ-ცალკე. თითოეულს თავისი დღე ჰქონდა, რადგან ერთმანეთის ნახვის სურვილი არ გასჩენიათ.

***მირორი***

# ყოფილი საყვარლები განაწყენდნენ

ბილ კლინტონის მემუარებმა ძალიან გაანაწყენა მისი საყვარლები. 1024-გვერდიანი წიგნი, რომელიც 1,5-მილიონიანი ტირაჟით გამოიცა, ბესტსელერი გახდა, ამან უფლება მისცა იქ ნახსენებ მანდილოსნებს, საჯაროდ გაელანძღათ პოლიტიკოსი. პირველმა აღშფოთება გამოთქვა თეთრი სახლის პრაქტიკანტმა მონიკა ლევინსკიმ:



— ბილი მატყუარაა, რომელსაც ჩემი განადგურება სურსო, — განუცხადა ჟურნალისტებს.

მემუარებში ბილმა 10 მილიონი აიღო, ხოლო მისი პრაქტიკანტი დღემდე უმუშევარია. ის თავისი გვარითა და სახელით ალბათ უკვე ვეღარსად მოეწყობა.

მეტად აღშფოთებულია ღამის კლუბის 49 წლის მომღერალი ჯენიფერ ფლაუერსი. 1977 წელს ის რეპორტიორად მუშაობდა ტელეკომპანიაში და ინტერვიუს იღებდა ბილისგან, რომელიც მაშინ არკანზასის შტატის იუსტიციის მინისტრი იყო. მათი რომანი, როგორც ყოფილი ჟურნალისტი ამბობს, 1991 წლამდე გაგრძელდა.

კლინტონი თავის წიგნში, „ჩემი ცხოვრება", წერს, — საერთოდ არავისთან არ მქონია რომანიო. შეურაცხყოფილი ქალბატონი ფლაუერსი აპირებს სასამართლოში უჩივლოს მატყუარა საყვარელყოფილს და მას ამერიკის „ნაციონალური სირცხვილიც" კი უწოდა.

ერთი სიტყვით, ბილ კლინტონის ავტობიოგრაფიამ თავისი საქმე მაინც გააკეთა — ქვეყანამ კვლავ გაიხსენა თავისი გმირი.

***ნიუ ზუიქი***

# რა ვნახოთ, რომ...

შეყვარებული წყვილების ურთიერთობა, ჩვეულებრივ, კინოთეატრებში სიარულით იწყება. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ყველა ფილმი როდი უწყობს ხელს სიყვარულის გაღვივებას, ამიტომ მკვლევარები გვირჩევენ, კინოხელოვნების რომელი ჟანრია „სასარგებლო" ამ ფაქიზი „სფეროსთვის".

მეცნიერების აზრით, პირველი პაემნის დროს ჯობს, მელოდრამები ნახოთ და არავითარ შემთხვევაში, ბოევიკები. საქმე ის არის, რომ სენტიმენტალური სცენები ქალური ჰორმონის, პროგესტერონის დონეს მაღლა სწევს, ეს კი სექსუალურ ლტოლვას აძლიერებს. ბოევიკები კი თავიანთი სისხლიანი სცენებით მამაკაცური ჰორმონის, ტესტოსტერონის გამოტყორცნას უწყობს ხელს, რაც ინტიმური ურთიერთობების სურვილს თრგუნავს. ბოევიკების ნახვის შემდეგ მამაკაცი თითქოს მოძალადე ხდება, ცდილობს დომინანტის როლი მოიპოვოს პარტნიორთან, მელოდრამების ნახვის შემდეგ კი, პირიქით — მამაკაცი სითბოსა და ალერსს ეძებს.

სამაგიეროდ, ტრილერები პირველ ადგილზეა მამაკაცური პოტენციის ზრდის თვალსაზრისით. მამაკაცი ტრილერის ნახვის შემდეგ ენერგიული, ამტანი და უფრო ტემპერამენტიანი ხდება.

***ვოკრუგ სვეტა***

# კასტრირებულიც და პატიმარიც

28 წლის ბრიტანელმა დევიდ უოკერმა თანამეინახესთან ურთიერთობის გარკვევა სწორედ მაშინ გადაწყვიტა, როცა გვარიანად შეზარხოშდა. იფიქრა, არგუმენტირებული კამათისთვის ნამდვილად რაღაც მაკლიაო და შინ გავარდა იარაღის მოსატანად — გადაჭრილი თოფი ქამარში გაირჭო და საქმის გასარჩევად გაიქცა, მაგრამ პაბამდე ვეღარ მიაღწია — თოფმა დროზე ადრე გაისროლა. დაჭრილი უოკერი საავადმყოფოში გააქანეს და ოპერაცია გაუკეთეს — ახლა საბრალო არა მარტო ნახევრად კასტრირებული, პატიმარიცაა. იარაღის უკანონოდ ტარებისთვის მას 5 წელიწადს მოუწევს ციხეში ყურყუტი.

***ოკნა №30***

# ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში დანტე ალიგიერის სიტყვებს ამოიკითხავთ.




**დ.** პატარა სასადილო ძველ საქართველოში; **ა.** ბავშვის სარწეველა საწოლი; **ი.** ის, რაც გამოთქმის თანახმად, ყველაზე ბოლოს კვდება; **ს.** სამლოცველო; **ვ.** მამაკაცური პოტენციის ასამაღლებელი პრეპარატი; **ე.** რა ერქვა ჩე გევარას; **ნ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ე.** რა ერქვა მიზანა ბრეგვაძის ვაჟს (მხ. ფილმი „შერეკილები"); **კ.** საზღვაო მოგზაურობა; **ვ.** რა ერქვა გერმანიის რესპუბლიკას 1918-1933 წლებში; **ი.** მდინარე, რომელშიც მოინათლა იესო ქრისტე; **რ.** თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანი; **ი.** იაპონური მხატვრობა, ყვავილების, ფოთლებისა და ტოტებისაგან გამოსახულების შექმნა; **ს.** ტბა სომხეთში; **პ.** ჩეხეთის დედაქალაქი; **ა.** „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი გმირი ქალი; **ლ.** ძველებური ფრანგული ფულის ერთეული; **ი.** არგონავტების მეთაური; **ტ.** ქართული ტრადიციული საწებელი; **რ.** რისამე მარაგი; **ი.** ქართული ხალხური შეჯიბრი ცხენოსნობასა და უზუნიკო შუბის სროლაში; **ს.** ლუი არმსტრონგის მეტსახელი; **ფ.** ნაყოფიერების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; **ე.** სევდიანი შინაარსის ლირიკული ლექსი; **რ.** ბირმის დედაქალაქი; **ე.** ჯეკ ლონდონის ნაწარმოები „თეთრი ..."; **ბ.** ცურვის სტილი; **შ.** იარაღი, რომლითაც დავითმა მოკლა გოლიათი; **ი.** ვესტერნული ამპლუის მქონე ამერიკელი მსახიობი მამაკაცი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**გ.** გესტაპო; **ა.** ანცი; **ე.** ელე; **რ.** რანგუნი; **თ.** თეირანი; **ე.** ექსცესი; **დ.** დრაქმა; **ა.** აბრაზია; **დ.** დიანა; **ა.** აზნაური; **ი.** იპონი; **ს.** სირიუსი; **ვ.** ვიმპელი; **ე.** ეტალონი; **ნ.** ნილოსი; **ე.** ერუდიტი; **ჩ.** ჩაროზი; **ვ.** ვაიკულე; **ე.** ერშოვი; **ნ.** ნეი; **თ.** თუშეთი; **ა.** ათინათი; **ნ.** ნამქერი; **ე.** ერქვანი; **რ.** რიონი; **თ.** თუნგი; **ა.** აუდი; **დ.** დრაკონი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: სცენის არანორმალური შიში მქონდა.**




# „ზვიადაურის სახელი ბავშვმაც კი იცის მთაშია!..“



მაცნე მოიდა შატილსა: — „გამარჯვებიაო ზვიადაურსა!!!“ იამაყე ჩემო საქართველო!..

აღსრულდა! დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ზურაბ ზვიადაურმა პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა და საკუთარი სახელიც ოქროს ასოებით ჩაწერა მატიანეში.

აღსრულდა ის, რასაც ელოდა საქართველო! ელოდა დიდხანს, დაუინებული იმედითა და წრფელი ოცნებით. ელოდა და მიიღო კიდეც ღირსეული საზღაური: მისმა გაზრდილმა ოლიმპოს მწვერვალზე დაიდგა ფალავანთა-ფალავნის ტახტრევანი და თავი დაფნის გვირგვინით შეიმკო.

## „არ იდრიკება ვაჟკაცი, არ შეიხრიდა წარბსაო...“

ოლიმპიურ ტრიუმფამდე ახმეტელმა ფალავანმა ზურაბ ზვიადაურმა უმძიმესი გზა გაიარა და როცა 1996 წელს, საქართველოს ჩემპიონატზე 15 წლის ჭაბუკმა თავისი პირველი ჯილდო — მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა, ყველა მიხვდა: საქართველოს მომავალი დიდი ჩემპიონი ეზრდებოდა!

ზურაბმა იქვე მიიპყრო ნაკრების თავკაცთა ყურადღება და შოთა ხაბარელმა 17 წლის ბიჭი სტამბულის საერთაშორისო ტურნირზე იახლა მოზრდილთა „ა“ კატეგორიის ტურნირზე. შეგირდმა მწვრთნელის ნდობა გაამართლა, ორ წუთში ხუთი მეტოქე დასცა და მხოლოდ გამოუცდელობის გამო წააგო ფინალური შერკინება. მაშინ ანტიკური კონსტანტინოპოლის საჭიდაო არენას პირველად შეერია მომავალი ჩემპიონის ბავშვური ცრემლი, მაგრამ ხაბარელმა უკვე იცოდა, რომ ამ ბიჭს ხასიათში რკინა ჰქონდა და არაფერს დაზოგავდა ამის დასამტკიცებლად. ნაკრების თავკაცმა მტკიცე ხელი მოჰკიდა ზვიადაურს და დაიწყო მომქანცველი საჩემპიონო მარათონი:

**2000 წელი** — პირველი გამარჯვება ტუნისში, მსოფლიო ახალგაზრდულ ჩემპიონატზე. თავის ასაკში ზვიადაურის მომრევი ალარავინ იყო და ხაბარელმა მომდევნო წელს კაცთა მარაქაში უყოყმანოდ გარია 20 წლის ზურაბი. მიუნხენის მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველი ძიუდოისტი ფინალამდე ტრიუმფით მივიდა, სახელგანთქმული ათლეტები ერთმანეთის მიყოლებით გააკრა ბეჭებზე და გადამწყვეტ ბრძოლაში ფრანგ დემონფუკოს დაუპირისპირდა. გამოუცდელობამ და უიღბლობამ სწორედ ფინალში იჩინა თავი. ნაღდი ოქროს მედალი სენას ნაპირებიდან ჩამოსულმა ათლეტმა მოიტაცა. არა უშავს, დემონფუკოს კიდევ შეხვდება ზვიადაური და გერმანულ მარცხს ათენში შეახსენებს...

**2003 წელი.** ძიუდოს მექა — იაპონია. ოსაკას გადაჭედილი დარბაზი. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. ზვიადაური უპირობო ფავორიტია და ფინალამდე შთამბეჭდავად მიდის. გადამწყვეტი ბრძოლა კორეელ ტაი ჰვანგ ჰისთან. ქართველი დიდი უპირატესობით იგებს და თავგზააბნეულ აზიელს თავის ნებაზე ატრიალებს. ახლა მხოლოდ სიდინჯე და ფრთხილი ჭიდაობაა საჭირო, ამ თვისებებს კი ჯერ არ იცნობს ზვიადაური, საამისოდ ის მეტად ახალგაზრდაა ცივსისხლიან კორეელთან შედარებით. შერკინების დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე ზვიადაურის მეტოქე მოულოდნელ საჩუქარს იღებს. მუცოს ციხესავით შეუვალი ხევსური გაუფრთხილებლად გაიხსნა, კორეელმაც არ დააზანა და...

ოსაკას ტატამზეც იყო სინანულის ცრემლი, მაგრამ გამეხებული ქართველის სახეზე კუნთიც არ შერხეულა. ზურაბმა უძირო სევდა გულში ჩაიმარხა და ტატამის კიდეზე გაქვავებულ მწვრთნელს გახედა. აქედანვე ჩანდა, რომ შეგირდი ოსტატს მამაშვილურ მზრუნველობას არ დაუკარგავდა. სწორედ იქ, ოსაკაში, წაგებული ფინალის შემდეგ იშვა მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი. ზვიადაურს ყოველთვის თითო გამარჯვება აკლდა და ეს გამარჯვებაც იქ, ხაბარელის წინაშე დადებული ჩუმი ფიცისას მოიპოვა. ეს იყო გამარჯვება საკუთარ თავზე!

## „გახლავართ ზვიადაური! — ჩამოგვკიოდა გორითა...“

**2004 წელი.** ათენის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალი. საქართველოს მცირერიცხოვან დელეგაციას წინ მედროშე მიუძღვის და ამაყ მზერას სტყორცნის გადაჭედილ ტრიბუნებს. ფრიალებს ხუთჯვრიანი დროშა ქართველი ათლეტის მტკიცე მარჯვენით ზეაღმართული. მსოფლიომ ჯერ კიდევ არ იცის, რომ ეს მედროშე ოლიმპიურ მწვერვალს ჯიქურ უმიზნებს. ძველი ელადის ნაშიერებმა ჯერ არ უწყიან, რომ ძლევამოსილი ჰერაკლეს ნატერფალზე ილტოსა და ალაზნის ჩქერებში გამოწრთობილი გოლიათი მოაბიჯებს და რამდენიმე დღეში ამ დროშას უფრო მაღლა ააფრიალებს. ქართულ დელეგაციას სათავეში ლიდერი უდგას და საბერძნეთი ამაში მალე დარწმუნდება!..

## „მივიდა საქმე ხმალზედა...“

**2004 წლის 18 აგვისტო.** ათენის „ანო ლიოსიას“ ოლიმპიური საჭიდაო კომპლექსი. 90 კგ წონითი კატეგორიის ძიუდოისტთა შერკინება. ზვიადაურის ამქარში ტიტულოვან სპორტსმენთა მთელი კოჰორტაა შეყრილი: ევროპის ჩემპიონი, იტალიელი ლეპრე; ევროპის ვიცე-ჩემპიონი, რუსი ტაოვი; ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს მესამე პრიზიორი, ბრაზილიელი ონორატო; მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი, ფრანგი დემონფუკო; მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, კორეელი ჰვანგი ჰი; მსოფლიოს მესამე პრიზიორი, ბელორუსი კუხარენკო; ევროპის ჩემპიონი, უკრაინელი გრეკოვი; ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, ოლიმპიადის ტრიუმფატორი, ჰოლანდიელი ჰუზინგა...

ვერაფერს იტყვი, დიდებული თანავარსკვლავედია...

ლაშარის გორზე კი ლუხუმმა შემოუგრგვინა: — „ზვიადაურო, მივიდა საქმე ხმალზედა!..“

**პირველი შერკინება:** ქართველის მეტოქეა იტალიელი ფრანჩესკო ლეპრე. ზვიადაურმა ვეფხვივით შეაბიჯა ტატამზე, ევროპის ჩემპიონი ხელში მოიგდო, ამხელა გიგანტი დაითრია და ქართული, მადლიანი კისრულით ჰაერში აატრიალა. იპონი 48 წამში! ლეპრე თვალს არ უჯერებს. მეხის ძალა ჰქონია ქართველს!..

**მეორე შერკინება:** ზვიადაური-ხასანბი ტაოვი. ადიღეელი ათლეტი ზურაბის ძველი ნაცნობია. აკი შარშან ევროპის ვიცე-ჩემპიონმა მწარე მარცხი აგემა ქართველს. მცირე დაზვერვა, თითო გაფრთხილება და ზვიადაური წელში შეუვარდა ტაოვს. ერთხელ გაექცა ადიღეელი, მეორედ... ერთიც სჭიდა ქართველმა ქამარში, გრძელი მოგვერდით წაიღო მეტოქე და კინაღამ კისერი მოამტვრია! იპონი!..

**მესამე შერკინება:** ზვიადაური და ფედერიკ დემონფუკო — ფრანგთან ზურაბს ძველი ვალი აქვს გასასტუმრებელი. მასთან სხვა ტაქტიკაა საჭირო. ქართველი ფეხში შესვლით ცდილობს ფრანგის ძლევას. დემონფუკო ძალიან ფრთხილია და აქტიურობის იმიტაციას ქმნის. ზვიადაურს აფრთხილებენ, ფრანგს დრო ეფექტურად გაჰყავს, რეფერის კეთილგანწყობაც მის მხარეზეა. ქართველი აქტიურობს, ილეთების ჩატარებას ცდილობს, კოკასაც იმსახურებს ერთხელ, ორჯერ... მსაჯი არ აძლევს ქულას...

ამ დროს, ათენში ზვიადაურის საქომაგოდ ესპანეთიდან ჩასულ ცნობილ სამბისტს, თემურ შეთეკაურს ვუკავშირდები. მან ყველაზე უკეთ იცის ზურაბის ძალა და განწყობა. იგი ხომ მის ხელშია გაზრდილი. ტატამზე მცირე პაუზაა, თემო ლაკონურად მიხსნის: — შუამავალი მსაჯი „გვწვავს“, განაპირა არბიტრებმა ორჯერ ანიშნეს ზვიადაურის ილეთი, მაგრამ არ ჩათვალა... თუ მიაწვა, მოიგებს უეჭველადო...

ზვიადაურიც მიაწვა და როგორც იქნა, 4 წამით ადრე ტუნისელ არბიტრს მინავლებული სინდისი „გაეხსნა“ — დემონფუკო გააფრთხილა! ძირითადი დრო ამოიწურა და ახლა პირველივე ილეთი ან გაფრთხილება ყველაფერს გადაწყვეტს. შოთა ხაბარელის ხმა მთელ დარბაზს ფარავს: — იაქტიურე! ბრძოლა პარტერში გადადის! ეს ზვიადაურის სტიქია არ არის! შოთამ ერთიც შეუყვირა შეგირდს, ზვიადაურმა ფეხი „აუღო“ ფრანგს, კამეჩივით მიაწვა მკერდში, მარჯვენა გადაუქაჩა და იუკოზე გადააგდო! უმძიმესი შერკინება ქართველმა მოიგო...

**მეოთხე შერკინება:** ზვიადაური და ბრიტანელი გიგანტი გორდონი. ზანგი ათლეტი ილეთის ჩატარების საშუალებას არ აძლევს ქართველს, მაგრამ რუსი არბიტრი ტროფიმოვი სამჯერ აფრთხილებს გორდონს, რაც ვაზარის ტოლფასია. ეს ის ტროფიმოვია, რომელმაც ქევხიშვილს ბრინჯაო უნამუსოდ დააკარგვინა. ამჯერად მშვენივრად მსაჯობს, იცის ქართველთა ხასიათი...

ზვიადაური ისევ ჯიქურ ეტანება გორდონს. ბრიტანელს ტყვიასავით ეშინია ქართული ფანდების და თავის დაღწევის მცდელობისას კურდღელივით გარბის ტატამიდან. მსაჯები თათბირობენ და გორდონს მეორე გაფრთხილებით თითქოს ეუბნებიან: — წადი, რა, იკმარე რაც აქამდე მოიგე და ფინალში ღირსეულს დაუთმე გზაო!..

## აღსრულებული ფიცი

**ბოლო შერკინება:** ზვიადაურის წინაღმდეგ იაპონელი ჰიროში იზუმი(!). ზურაბი ტატამზე შედის, თვალებში ეტყობა, რომ სიცოცხლეს უფრო იოლად დათმობს, ვიდრე გამარჯვებას. იაპონელი პირველ გაფრთხილებას სტარტზევე იღებს. ზვიადაური არ ცხრება, შეტევა ნაღდქართული, ხევსურული სიმტკიცითა და სიმამაცით გაჯერებული. მასთან ერთად იმ წუთებში მთელი საქართველო ერკინება იზუმის. იაპონელი სარმის ჩატარებას ცდილობს, კულმინაციური მომენტი — ზვიადაური ელვასავით მოტრიალდება, ჩოჩიშვილის ქართულ ბრუნს უკეთებს მეტოქეს და იზუმი ჰაერში ფართხალებს. სუფთა გდებაა! სამი იპონი და სამივე ერთიმეორეზე უკეთესი. მსაჯის ზეაწეული მარჯვენა! ზვიადაურის ფერხთითაა გართხმული დამარცხებული იაპონელი, კიმონოს სახელოთი ჩაუბღუჯავს ქართველს და ზეაღმართული საჩვენებელი თითით ყურადღებას ითხოვს: — რაც შეგპირდით, ხომ აგისრულეთ, ქართველებო!..

— შენ უკვე ჩემპიონი ხარ! — ზარივით ჩამორეკა ამაღლებულმა განცდამ. ზვიადაურმა წამიერად თვალები დახუჭა, მერე დინჯად დაიძრა ტატამზე, მუშტად შეკრული მარცხენა ძლევამოსილად შეარხია, თავშეკავებული ღიმილით თვალი შემოატარა დარბაზს, ქართული დროშების ფრიალსააყოლა გულის ძგერა, ხაზგასმული ღირსებით დაუკრა თავი მაყურებელს და სიხარულითა და ემოციებით სავსე შოთა ხაბარელს ჩაეკონა!!! ქართველთა მედროშემ მწვრთნელს მიცემული ფიცი შეუსრულა!

## „მაცნე მოიდა შატილსა!..“

ამაღელვებელი წუთები დამოუკიდებელი საქართველოსა და ქართული სპორტის უახლეს ისტორიაში: ოლიმპიადის გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ადის ზურაბ ზვიადაური!!! ხუთჯვრიანი დროშა ქართული ჰიმნის თანხლებით ამაყად მიიწევს ზევით. ხევსური ვაჟკაცი ოქროს მედალს ეამბორება!..

იამაყე ჩემო ქვეყანავ! გულწრფელი სიხარულით იხარე საქართველოვ!.. შენს წიაღში ისევ იბადებიან გმირები და ისევ დგებიან ლაშარის გორზე!.. იზეიმე ალავერდის კურთხეულ ტაძარს ბურჯად შეფენილო ახმეტავ!.. არ შეგრცხვეს სიხარულის ცრემლების!.. შენმა აღზრდილმა ყველა სიხარულით აგვატირა!.. შენმა აღზრდილმა ჩაკლული სული გაგვიცოცხლა!.. შენმა შვილმა საქართველოს შვების მალამო წასცხო!..

შატილის გოროზო მთებო! — მაცნე გეწვიათ ბრძოლის ველიდან — „გაჰმარჯვებიაო ზვიადაურსა!!!“



# არც ერთი იყო ბერძენი და არც მეორე – გერმანელი

საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაგარი ათენის ოლიმპიადაზე ჯერჯერობით 2 ოქროს და 1 ვერცხლის მედალია. ორი უმაღლესი ჯილდო ისეთი შედეგია, რომლის მიღწევა ჯერაც ვერ მოუხერხებია მრავალმილიონიან ბრაზილიას, ესპანეთს, არგენტინას, ჩეხეთს, ინდოეთს...

ამასობაში კი სხვა ქვეყნების მედლების კოლექციას ამდიდრებენ საქართველოდან უცხოეთში გადახვეწილი სპორტსმენები. საბერძნეთის ძიუდოისტთა ნაკრებში, 81 კგ წონით კატეგორიაში შესანიშნავად იასპარეზა ჯარჯი ზვიადაურმა (ზურაბ ზვიადაურის ბიძაშვილი), რომელიც ბერძნებმა ილიას ილიადისად მონათლეს და ტატამზე ელადის სახელით გაიყვანეს. ახმეტელმა ფალავანმა ქვა ქვაზე არ დატოვა თავისი მეტოქეებისგან და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ამავე წონაში საქართველოს გრიგოლ მამრიკიშვილი წარმოადგენდა, რომელიც პირველივე წრეში დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა.

20 აგვისტოს ბატუტზე ხტომაში ოლიმპიური ოქროს მფლობელი ანა დოღონაძე გახდა, რომელიც ათენში გერმანიის ნაკრებს წარმოადგენდა. ქართველის გამარჯვება შთამბეჭდავი იყო და გერმანია საერთო ჩათვლაში მე-7 საფეხურამდე ავიდა. ბატუტისტთა შორის ქართული დელეგაციის წევრი რუსუდან ხოფერიაც ასპარეზობდა, რომელმაც ფინალში გაღწევა ვერ შეძლო და საბოლოოდ, მე-9 ადგილი დაიკავა.

ძიუდოისტ ქალთა ასპარეზობაში ბრინჯაოს მედალი მოიგო რუსეთის სახელით მოასპარეზე მძიმეწონოსანმა მოჭიდავემ, თეა დონღუზაშვილმა და ჩრდილოელთა ისედაც დიდ მარაგს კიდევ ერთი ჯილდო შეჰმატა.

ოლიმპიადის დამთავრებამდე ერთი კვირაა დარჩენილი და მიზეზთა გამო ახალი დროის მამლუქებად ქცეული ქართველი სპორტსმენები კიდევ არაერთხელ გამოვლენ ოლიმპიურ არენაზე. მათი უმრავლესობა მედლების კანდიდატია. მარტო სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის კახი კახიაშვილის დასახელებაც იკმარებს, რომელმაც ორი ოქრო ბერძნებს შესძინა და არ არის გამორიცხული, მესამეც მიუთვალოს საერთო ყულაბაში. არადა, დრო იყო, ბარსელონას ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი კახი კახიაშვილი თბილისში გაყინულ დარბაზში ვარჯიშობდა. ოლიმპიური ჩემპიონისთვის ვერ გამოიძებნა სახსრები, რაც მას ნორმალური ცხოვრების და წვრთნის საშუალებას მისცემდა. ყურიც არავინ შეიბერტყა. კახიაშვილი დილემის წინაშე დადგა: დარჩენა კარიერის შეწყვეტას უქადდა, წასულიყო და...

წავიდა, მაგრამ ბერძნებმა შტანგის აწევდაწევა კი არ ასწავლეს, უბრალოდ, პირობები შეუქმნეს და ახლა შედეგებსაც იმკიან.

ჩვენ კი წარსულს მივტირით...

ანა დოღონაძე იხვეწებოდა: — პირობები შემიქმენით და არსად წამსვლელი არა ვარო...

საბერძნეთის ძიუდოისტთა ნაკრებმა შვიდი მოჭიდავე გაიყვანა ათენის ოლიმპიადაზე, მათგან 4 ქართველი და 2 აქედან წასული ბერძენი გახლდათ. მწვრთნელიც ქართველი ბერძენი ჰყავდათ — ნიკოლოზ გარაქელოვი (ილიადისი). როგორც აღვნიშნეთ, საბერძნეთს ოლიმპიური ოქრო ქართველმა ჯარჯი ზვიადაურმა მოუტანა...

თითქოს გულგრილად ღებულობს საქართველო მათ ოქროს მედლებს, — ჩვენ რა, მათ რომ საბერძნეთს და გერმანიას მედლები მოუტანესო...



ჩვენ კიდევ დიდხანს ვიქნებით ასე „ცარიელ-ტარიელნი“, ვიდრე ნიჭიერ ქართველებს უცხოეთში გადასახვეწად გავიმეტებთ...

სხვათა შორის, საბერძნეთი გუნდურ ჩათვლაში სწორედ ზვიადაური-ილიადისის ოქროს მედლის წყალობით გვისწრებს, რომელიც ნამდვილი ქართული თავგანწირვით აჩუქა უცხო ქვეყანას ახმეტელმა მოჭიდავემ. ასევე, თავი არ დაზოგა ფინალურ სერიაში „გერმანელმა“ დოღონაძემ, მაგრამ ჩვენ მაინც ხომ ვიცით, რომ არც ერთია ბერძენი და არც მეორე — გერმანელი...

*გვერდი მოამზადა*
*ზვიად სეხნიაშვილმა*

# გიორგი ასანიძემ დიმასთან ანგარიში გაასწორა

## ყველამ იცოდა, რომ გაუტეხელი ქართველი შტანგას არ დაუშვებდა!



21 აგვისტოს საჩხერელი ძალოსანი გიორგი ასანიძე ოლიმპიური ჩემპიონი გახდა! ზვიადაურის შემდეგ კიდევ ერთი ქართველი ვაჟკაცი ავიდა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე.

85 კგ წონითი კატეგორიის ძალოსანთა შეჯიბრებაზე 21 სპორტსმენი ჩაება. ყველა აშკარად გრძნობს: ასანიძესა და დიმასს შორის უნდა გადაწყდეს ოქროს მედლის ბედი. სხვა ამ დავაში ვერ ჩაერევა. დიდი უპირატესობა აქვს დიმასს, ძალიან დიდი და ამ ფორას ის დარბაზიდან ღებულობს. მის ყოველ გამოჩენაზე ტრიბუნები ინგრევა — „HELLADOS"!.. მაყურებელი ოქროს ითხოვს, მეოთხე ოლიმპიურ ოქროს!..

ფიცარნაგზე გიორგი ასანიძე გამოდის. ატაცით იწყებს. პირველივე მისვლა დამაჯერებელია. შტანგა მის მტკიცე ხელებში ქვავდება. მსაჯები 177,5 კგ-ს აფიქსირებენ. ქართველი თავიდანვე ლიდერობს. გიორგი ასანიძე და მისი მწვრთნელი ვანო გრიქუროვი დიმასის გამოსვლებს აკვირდებიან. დიმასი კი ის აღარაა, სიდნეიში რომ იყო. მაშინ იღბალმაც გაუღიმა, თორემ ასანიძეს მისთვის არაფერი დაუთმია, ერთნაირი წონა ასწიეს, ოქრო კი ბერძენმა წაიღო. ახლა, 4 წლის შემდეგ, ასანიძეს ავსტრალიური ანგარიში აქვს „გასასწორებელი"...

აკვრაში პირველი დიმასი გამოდის, 202,5 კგ-ს გაჭირვებით სწევს. ასანიძე ტაქტიკურ ბრძოლას აღარ წააგებს და წონას არ მოუმატებს იქამდე, ვიდრე დიმასი არ შეუკვეთს უფრო მეტ სიმძიმეს. 202,5 კგ-ს თავისუფლად იღებს ქართველი ძალოსანი. დიმასი ბოლომდე ბრძოლასაა მიჩვეული და არბის ფიცარნაგზე, 205 კგ-ს ეჭიდება, მაგრამ ვერ ძლევს. ასანიძეც 205 კგ-ს ითხოვს, შტანგასთან მიდის, თითქოს რაღაცას ეჩურჩულება... მცირე გარინდება და რკინა უკვე გიორგის მკერდზეა. ახლა ერთი აკვრაც და... არის! 205 კგ დაძლეულია!..

დიმასის ბოლო ცდა. სხვა გზა არ რჩება, 207,5 უნდა აწიოს, სხვანაირად ქართველ მეტოქეს ვერ აჯობებს. გაირინდა გაგიჟებული დარბაზი. მათი კერპი მთელ ძალღონეს ახმარს წონის დაძლევას, მაგრამ ამაოდ, დიმასი ჩემპიონის პედესტალს ემშვიდობება!.. ჩინელი აიძუნილა დარჩა. თუმცა იმისთვის, რომ ქართველს ოქრო წაართვას, 215 კგ უნდა აჰკრას. აზიელი ეჯაჯგურება შტანგას და მკერდამდე გაჭირვებითააქვს, მაგრამ ვაი, ამ ატანას... ახლა აკვრაა მთავარი! მძიმეა, ძალიან მძიმე 215 კგ... აიძუნი ბედს შეურიგდა...

მორჩა! გიორგი ასანიძე ოლიმპიური ჩემპიონია!..

საოცრება ხდებოდა ათენის ძალოსნობის დარბაზში. იყო გამარჯვებულ ქართველთა სიხარულის ცრემლებიც და ბერძენთა კერპის — პიროს დიმასის, დიდი სპორტიდან ღირსეულად წასვლის სინანულიც. მივიდა ოლიმპიადის 3-გზის გმირი ასანიძესთან და ვაჟკაცურად მიულოცა გამარჯვება!..

არა, ნამდვილად ღირსეულად წავიდა პიროს დიმასი!...

გიორგი ასანიძე კი ოლიმპზე ავიდა!

მან გადალახა ყველა დაბრკოლება მწვერვალისკენ მიმავალ გზაზე — ტრავმები, დისკვალიფიკაცია, იმედგაცრუება...

გადალახა ისე, რომ ყველამ იცოდა: გაუტეხელი ქართველი თავს ზემოთ ატაცებულ შტანგას ძირს მანამდე არ დაუშვებდა, ვიდრე ყველაზე მაღალ ჯილდოს არ მოიპოვებდა!..

*ზვიად სეხნაშვილი*




# — ამხელა შტანგის მერე ჭიქის აწევა არ უნდა გამიჭირდეს!..

## — ყველას გეხვევით და გკოცნით! — თქვენი გიორგი ასანიძე

კიდევ ერთი ქართველი სპორტსმენი ავიდა ოლიმპიური დიდების კვარცხბეკზე. ძალოსანმა **გიორგი ასანიძემ** უმძიმეს ბრძოლაში აჯობა სახელოვან კონკურენტებს და საქართველოს მეორე ოქროს მედალი მოუტანა. მრავალწლიანი დაუღალავი შრომა საჩხერელმა ათლეტმა ბრწყინვალედ დააგვირგვინა და სანატრელი ჯილდო შეჰმატა თავის მდიდარ კოლექციას.

ბერძენი გულშემატკივრები თავიანთი კერპის, დიმასის ტრიუმფისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ ასანიძის შესანიშნავი გამოსვლის შემდეგ ისღა დარჩენოდათ, რომ ქართული დროშისათვის მოეხარათ ქედი.

გიორგი ასანიძეს ათენში მაშინ დავუკავშირდით, როდესაც სიხარულისგან გათენებული უძილო ღამის შემდეგ ოლიმპიურ სოფელში თავის თანაგუნდელ არსენ კასანბიევს ბრძოლის წინ აუცილებელ რჩევა-დარიგებებს აძლევდა.

**— გიორგი, გილოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას!**

— დიდი მადლობა! ამ მხარდაჭერას ყოველ წუთს ვგრძნობდი და უამისოდ ძალიან გამიჭირდებოდა.

**— მძიმე ბრძოლის პერიპეტიები ალბათ დიდხანს გემახსოვრებათ.**

— რა თქმა უნდა, ამის დავიწყება შეუძლებელია. ძალიან რთული ბრძოლა იყო. „ა" ჯგუფში გამოსული ყველა სპორტსმენი მედალზე აცხადებდა პრეტენზიას. უმთავრესი კონკურენტი პიროს დიმასი იყო, მაგრამ აქცენტი მარტო მასზე არ გადამიტანია. მშვენიერ ფორმაში იყო თურქი იზეთ ინჩე, რუსი და ავსტრალიელი ძალოსნებიც კარგად იყვნენ მომზადებულნი. მე და ჩემმა მწვრთნელმა ვანო გრიქუროვმა ისეთი ტაქტიკა შევიმუშავეთ, რომ შეცდომის მცირე შესაძლებლობაც კი გამოვრიცხეთ. ვიცოდით, დაახლოებით რა შედეგი მოგვიტანდა გამარჯვებას და შეჯიბრების რიტმიდან წუთითაც არ ამოვვარდნილვართ.

**— რიბაკოვის ჩაზმამ საჩემპიონო მარათონში ყველა გააკვირვა.**

— ოლიმპიადაზე ბევრი სიურპრიზი შეიძლება მოხდეს. რიბაკოვმა „ბ" ჯგუფი შეგნებულად აირჩია, რადგან უძლიერესთა შორის გამოსვლისას ნერვების მოთოკვა უჭირს, შედარებით დაბალ კატეგორიაში კი გაიხსნა და თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინა. თუმცა, ჩვენ ის სერიოზულ კონკურენტად არ მიგვიჩნევია, რადგან ვიცოდით მისი შესაძლებლობები. ისე კი, მშვენივრად გამოვიდა და უდავოდ, ქების ღირსია.

**— ატაცში 182,5 კგ-ის დაძლევა ვერ შეძელი, რის შემდეგ უჩვეულოდ გაბრაზებული ჩანდი. რა მოხდა?**

— საქმე ისაა, რომ შტანგა წყლით გაწმინდეს, ამის უფლება კი არ ჰქონდათ, ვინაიდან ამ დროს ძალოსანს ხელი უცურავს. ეს იყო ჩემი გაბრაზების უმთავრესი მიზეზიც.

**— როდის იგრძენი, რომ ჩემპიონობაში ხელს ველარაფერი შეგიშლიდა?**

— ბრძოლა ბოლო წუთამდე მიმდინარეობდა და პროგნოზის გაკეთება ძალიან რთული იყო. 205 კგ რომ დავძლიე, უკვე ვიცოდი, რომ ვერცხლის მედალი გარანტირებული მქონდა, მაგრამ ჩემი მიზანი ჩემპიონობა იყო და ამაში ხელს ჩინელი ძალოსანიღა მიშლიდა. როდესაც მესამე ცდაზე მან 215 კგ შეუკვეთა, ვიგრძენი, რომ უკვე ერთი ნაბიჯი მაკლდა გამარჯვებამდე. ჩინელს წონის დაძლევის თეორიული შანსი კი ჰქონდა, მაგრამ პრაქტიკულად, ეს შეუძლებელი იყო და ასეც მოხდა!

**— პირველად ვინ მოგილოცა ჩემპიონობა?**

— პირველი ზარი საჩხერიდან იყო, მაგრამ მერწმუნეთ, ნამდვილად არ ვიცი, ვინ მომილოცა(!). პირველ წუთებში ისე ვიყავი ემოციებისგან დაცლილი, რომ ვერც კი გამოვკითხე, ვინ იყო...

ცოტა ხანში ქვეყნის მთავრობამ მომილოცა. უამრავი ზარი იყო გულშემატკივრებისგან. ტელეფონი არ გაჩერებულა, ხანდახან ერთდროულად სამი „მობილურიდან" ვლაპარაკობდი...

პრესკონფერენციის შემდეგ გვიან ღამით დავბრუნდი სასტუმროში, გამარჯვება მცირე, მაგრამ მაინც ქართული სუფრით აღვნიშნეთ, თითო ჭიქით დავასველეთ ოლიმპიური ოქრო...

**— გამარჯვების შემდეგ მაინც არ მიეცი თავს ცოტათი მოდუნების უფლება?**

— არა, დღეს არ შეიძლება და მოგვიანებით კი აუცილებლად შევუერთდები ქართულ დელეგაციას. ამ სიმძიმის შტანგის მერე ჭიქის აწევა, მე მგონი არ უნდა გამიჭირდეს (იცინის)!..

**— როდის ბრუნდები საქართველოში?**

— 30-ში ჩამოვალ. დიდი მადლობა ყველას. ჩემი ოქროს მედალი საქართველოს ეკუთვნის. დიდიან-პატარიანად ყველას გეხვევით და გკოცნით თქვენი გიორგი ასანიძე...

*ზვიად სეხნაშვილი*

# რატომ ეძახიან ზვიადაურს კომბლეს?

## ჯარჯი ზვიადაურს სასამართლოში უჩივიან?!

(დასაწყისი იხ. გვ. 13)

**— როგორც ვიცი, ერთი ძმა ახმეტიდან გადევნებდა თვალს, მეორე კი ესპანეთიდან...**

— „ესპანელი" ძმა დიდი ხანია, არ მინახავს და გული დამწყდა, ათენში ჩამოსვლა რომ ვერ შეძლო. როცა დამირეკა და მითხრა, ძმაო, შენ გვერდით ვერ ვიქნები და, აბა, შენ იცი, ქედი არ მოიდრიკოო, მხოლოდ მაშინ ვთქვი, ოლიმპიური ჩემპიონი გავხდები და ამ გამარჯვებას შენ მოგიძღვნი-მეთქი. მე რომ მოჭიდავე ვარ, ჩემი ძმების დამსახურებაა, ორივე ჭიდაობდა.

**— ამბობენ, ზვიადაური ქართულსაც კარგად ჭიდაობს და თან სულ „პრიზების" გამო გადის საჭიდაო ხალიჩაზეო.**

— ხევსურმა, თანაც კახეთში გაზრდილმა, ქართული ჭიდაობა რომ არ ვიცოდე, შეიძლება? ხშირად ვჭიდაობდი ქართულს, სანამ მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონატებისთვის დავიწყებდი მზადებას ძიუდოში. 1997 წლიდან ყოველ შაბათს დავდიოდი ხოლმე ქარელში, სადაც ხშირად ეწყობოდა შეჯიბრი ქართულ ჭიდაობაში. რაც უნდა ცუდად ვყოფილიყავი, სადმე ქართული საჭიდაო მუსიკა რომ გამეგონა, სასწაული მემართებოდა, თითქოს იდუმალი ძალა მმართავდა. რაც შეეხება „პრიზებს", ვჭიდაობდი ცხვრებისთვის, ხარისთვის. შარშან მეტეხში ხარი მოვიგე. ჩემზე ამბობდნენ, ზვიადაური დიდი საბარგო მანქანით დადის და ცხვრებს აგროვებს კომბლესავითა, თუმცა, კომბლეებს არა თლის, თუ გააბრაზებ, მუშტს დაგცხებს თავშიო (იცინის).

**— თანაგუნდელი ძიუდოისტების გამოსვლას როგორ შეაფასებ?**

— გული დამწყდა, ნესტორ ხერგიანმა ოქრო რომ ვერ აიღო, მაგრამ მიხარია, პირველსავე დღეს საქართველოს დროშა რომააფრიალა და თავისი ვერცხლით ოქროსკენ გამიკვალა გზა. დიდი სტიმული იყო ჩემთვის მისი გამარჯვება. ჯიქურაულის, გუჯეჯიანის და სხვა ბიჭების მარცხმაც დამწყვიტა გული.

ქართველ მოჭიდავეებს ერთი უცნაურობა სჭირთ — ზოგიერთები გუნების მოჭიდავეები არიან. თუ არ ეზეიმებათ, ანუ გულით არ უნდათ ჭიდაობა, იმ დღეს არაფერი გამოსდით. ჩვენს გუნდშიც არიან ასეთი მოჭიდავეები. ეგეც ქართული თავისებურებაა ალბათ. მარცხის მიზეზი კი უფრო სხვა პრობლემები იყო, რომლებსაც ახლა ვერ დავაკონკრეტებ, მაგრამ ისედაც მიხვდება ქართული სპორტის დღევანდელი მდგომარეობის მცოდნე ხალხი.

**— ჯარჯი ზვიადაურის შესახებ რას გვეტყვი, შენი ბიძაშვილი ყოფილა.**

— ჩემი ბიძაშვილია, მაგრამ ათენში ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე უარვყავი მასთან ნათესაობა. ვთქვი, ჩემი ბიძაშვილი არ არის, საქართველოში ჩემს ნათესავთან ცხოვრობდა და იქიდან ვიცნობ. ჯარჯი ვისი სახელითაც უნდა ასპარეზობდეს, მაინც ქართველია-მეთქი.

**— რატომ უარყავი?**

— ჯარჯის აკრძალული ჰქონდა ქართველ ჟურნალისტებთან ურთიერთობა. თუ ამ მოთხოვნას დაარღვევდა, ჩემპიონობის შემთხვევაში საბერძნეთის მთავრობისგან დაპირებულ 270 ათას ევროს ველარ მიიღებდა. ვინ იფიქრებდა, რომ ოლიმპიადაზე სასწაული მოხდებოდა და დროის მოკლე ინტერვალში, ორი ზვიადაური გახდებოდა მსოფლიო ჩემპიონი. ან ქართველებს რა დააკავებდათ ქართველისთვის, თუნდაც სხვა ქვეყნის ჩემპიონისთვის, გამარჯვება არ მიელოცათ. იმ დღეს მსოფლიომ გაიგო, რომ ილიას ილიადისი ბერძენი კი არა, ქართველია. ბერძნებმა ჯარჯი ქართველებთან ერთად დაინახეს და ვერ აპატიეს. აბა, როგორ უნდა მოქცეულიყო? საშინელი სტატიები დაიწერა ჩემპიონის შესახებ. საყვედურობენ — ბერძნული არ იცის, ასაკსაც იტყუება, გარეგნულად უფრო დიდი ჩანს, ვიდრე ამბობსო. გიორგი ასანიძის საქომაგოდ მოგვყვებოდა. გზაში დაურეკეს, სასამართლოში გიჩივიანო(!). ვერ გავიგეთ, რას ერჩიან, მობილური ტელეფონი საეჭვოდ გამორთული აქვს. მოვლენები არასასიამოვნოდ ვითარდება და ვვარაუდობთ, ოლიმპიადაზე ჯარჯის გამო ბერძნები სერიოზულ სკანდალს მოაწყობენ. იქაური პრესა ხელისუფლებას ბერძენი ხალხის მოტყუებაში ადანაშაულებს. თითქოს ჯარჯია ერთადერთი ქართველი ან უცხოელი, რომელიც საბერძნეთის სახელით ასპარეზობს ამ ოლიმპიადაზე. ჩემი აზრით, მე რომ არ გავმხდარიყავი ჩემპიონი, არაფერიც არ მოხდებოდა. მას რომ საქმე არ გაფუჭებოდა, ამიტომაც უარვყავი, რომ ჩემი ბიძაშვილია. გული მტკივა ამის გამო. თქვენ მაინც დაწერეთ სიმართლე.

**— თუ საქართველოში დაბრუნებას შესთავაზებენ, დაბრუნდება?**

— ზუსტად არ ვიცი, მგონი კონტრაქტის პირობების თანახმად როცა სპორტს თავს დაანებებს, მაშინ დატოვებს საბერძნეთსაც. გული წყდება, საბერძნეთის სახელით რომ გამოდის, მაგრამ... ვნახოთ როგორ განვითარდება მოვლენები. აუცილებლად ყველაფერს შეგატყობინებთ...

**— ზვიადაურებში კიდევ გეზრდებათ ისეთი, მსოფლიო რომ გააოცოს?**

— ჯერ არავინ ჩანს ეგეთი, მაგრამ მე რომ დავქორწინდები და პირველი ვაჟი შემეძინება, ისიც პირველი იქნება. თუმცა, არ არის გამორიცხული, ჩვენს გვარში კიდევ გამოჩნდნენ საქართველოს გამხარებლები. ასეთი ლაპარაკი თავის ქებაში არ ჩამითვალოთ, თქვენი სიყვარულით გათამამებული სიტყვის თქმაშიც ლაღი ვარ.

**— უკვე უამრავი შენში შეყვარებული ქალი გელოდება საქართველოში. მათ შორის ისეთი არის, შენც რომ გიყვარს?**

— არის, არის. მხოლოდ „კვირის პალიტრას" გავუმხელ — საცოლე მყავს, სულ მალე დავქორწინდებით.

**— ე. ი. ოლიმპიური ჩემპიონის გული უკვე დაპყრობილია?**

— მაშ!.. ეგრე, კახურად დაწერეთ — ზვიადაური უკვე დაკავებულია-თქო. რა ვქნა, ერთი გული მაქვს და რამდენს გავუყო?!

ეჰ, იტყვიან, ზვიადაური რა კვერნას აუტანიაო, არადა, ეგრეა და რა ვქნა!..

*ეკა ლომიძე*

## №33 (411) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს 505 მკითხველი გამოეხმაურა. 4 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 203-მა ქალმა და 298-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ყველაზე მეტად რითი აფასებენ დღევანდელი ქალები მამაკაცებს?“**

შედეგების მიხედვით, რომანტიკოსებისთვის შემაშფოთებელ დასკვნამდე მივედით. თანამედროვენი მამაკაცის უმთავრეს ღირსებას ფინანსებში ხედავენ!

გამოკითხულთა 59%-მა „ფინანსები“ უმაღლესი 8 ქულით შეაფასა და **6,92** საშუალო ქულით იგი პირველ ადგილზეა. სამაგიეროდ, ფინანსების მოყვარულნი „ერთგულებას“ მეორე ადგილზე აყენებენ. თუმცა გამოკითხულთა 18% მას პირველ ადგილს აკუთვნებს.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, „პატიოსნება“ მკითხველთა 14%-მა მინიმალური 1 ქულით შეაფასა. არანაკლებ „დაჩაგრული“ გამოვიდა „ძალ-ღონე“ და „იუმორის გრძნობა“, რომლებიც, შესაბამისად, მკითხველთა 51-მა და 22%-მა მინიმალური ქულით შეაფასა.

„გარეგნობა“, „ხასიათი“ და „ინტელექტი“ კი ერთმანეთის მიყოლებით მოდიან III-IV-V ადგილზე.

ასე რომ, ვისაც ფული აქვს და ერთგულებაც შეუძლია, არც ძალ-ღონეზე უნდა იდარდოს და არც იუმორის გრძნობის უქონლობაზე...




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან წყალტუბოელი, 43 წლის **მათე სულწაძე** და თბილისელი, 19 წლის **ვანო გოგინაშვილი**.

საპრიზო ფონდი — **100 ლარი** მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 25 აგვისტოს, 17 საათზე.

## №34 (412) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგში* და უპასუხოთ **«მკითხველის პრემიას»**.

**№34 (412) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 25 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 26 აგვისტოს 13 საათამდე.**

©თბილისი

თემა №34(412) — ქალები

**თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რითი აფასებენ დღევანდელი მამაკაცები ქალებს** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№34(412) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | გარეგნობა | |
| 2 | ხასიათი | |
| 3 | ინტელექტი | |
| 4 | გემოვნება | |
| 5 | მეგობრები | |
| 6 | ერთგულება | |
| 7 | ფინანსები | |
| 8 | პატიოსნება | |

**მკითხველის რეიტინგი**

დაასახელეთ სამი ყველაზე გავლენიანი ადამიანი დღევანდელ საქართველოში

1. ____________
2. ____________
3. ____________

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________

____________
თქვენი სახელი, გვარი
____________
ქალაქი (რაიონი)
____________ ____________
ასაკი ტელეფონი

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.**

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

### როგორ უნდა გადაწყვიტოს სამხრეთ ოსეთის პრობლემა საქართველოს ხელისუფლებამ?

*სამხრეთ ოსეთის პრობლემა, ბუნებრივია, მკითხველთა დიდ ინტერესს იწვევს. გამოკითხულთა ნახევარზე ოდნავ მეტი (53%) მომხრეა პრობლემა გადაწყდეს მხოლოდ მშვიდობიანი გზით, 18%-ს პასუხის გაცემა უჭირს, ხოლო მკითხველთა არცთუ ისე მცირე ნაწილი, 29% სამხედრო მოქმედებებს უჭერს მხარს...*

***დამატებით კითხვას 453 რესპონდენტი გამოეხმაურა.***




## ფოტოანტიკვარი © ფოტოანტიკვარი



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

„თბილისის ქუჩებში ისევ პატარას მექახიან“

„კვირის პალიტრის“ წინა ნომერში, „ფოტოანტიკვარში“ გამოქვეყნებულმა მინიშნება: — იყო დრო, პეპლებს დავდევდი, მერე კი, „შეფმზარეულობა“ ამკიდესო, ზუსტი ორიენტირი აღმოჩნდა მკითხველისთვის, რომელთა 75%-მა ამ პატარა ბიჭუნაში ცნობილი მსახიობი და პოპულარული „ტელემზარეული“ **ბაადურ წულაძე** ამოიცნო.

დასახელებულ პირთა შორის არიან: კახა ბენდუქიძე, ზურაბ ჟვანია, კოტე გაბაშვილი, კახი კავსაძე, ბატონი ბაადურის შემცვლელი „ტელესამზარეულოში“ ზურაბ შარია და... ნუ გაგეცინებათ, ედუარდ კოკოითი...



*ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი*



ბაადურ წულაძე, 5 წლის




**ყურადღება!**

*„კვირის პალიტრა" აცხადებს კონკურსს ფოტოკორესპონდენტის თანამდებობაზე. აუცილებელია გამოცდილება (სასურველია პრესაში მუშაობის სტაჟი). გასაუბრება 1-ელ სექტემბერს, 14 საათზე. ნამუშევრების წარმოდგენა აუცილებელია.*

*საკონტაქტო ტელეფონი 893 35 71 44*

23/VIII ☽

პირველი მეოთხედი

მაგნიტური დღეები:

23/VIII 20-დან 23 საათამდე

24/VIII 19-დან 22 საათამდე

27/VIII 19-დან 21 საათამდე

**წინა ნომრის კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 1. დუგლასი; 4. მატრიცა; 6. ნუარე; 7. ლაიკა; 8. ცვარი; 9. აგუტი; 10. იაფეტი; 13. კრისტი; 16. სვავი; 18. დიადემა; 19. ზანდუკი; 20. ნუსხა; 22. იდილია; 23. ბაკარა; 25. ავაზა; 27. იმაგო; 28. ერესი; 29. ტესტი; 30. ინდოეთი; 31. ათეიზმი.

**შვეულად:** 1. დრომადერი; 2. ინფლაცია; 3. კარიკატურა; 4. მელანინი; 5. ამარკორდი; 11. ფრაკი; 12. ტრეკი; 14. რანდა; 15. საუნა; 16. სან; 17. იზა; 21. სკარაბეუსი; 22. ინტერვალი; 24. ალბატროსი; 25. ალიმენტი; 26. აბოლიცია.





**თარაზულად:** 1. ამაღლებული ადგილი ორატორისათვის; 4. ერთი ჩანაფიქრით გაერთიანებული ორი რომანი; 6. ინერტული გაზი; 7. კრება ძველ საბერძნეთში; 8. მარჯნის კუნძული; 9. თვალის ფერადი გარსი; 10. თვითმფრინავების სადგომი; 13. ადამიანის ქანდაკება, რომელიც ნატურალური ზომისაა ან მასზე დიდია; 16. არაბთა ხელისუფლების წარმომადგენელი საქართველოში; 18. ცდის გარეშე, ცდისგან დამოუკიდებლად; 19. ჯეკ ლონდონის ნამდვილი გვარი; 20. მაღალი თანამდებობის პირის მხლებლები; 22. დაუქორწინებლობა; 23. წინასწარმეტყველი ქალი ძველ რომსა და საბერძნეთში; 25. ჩეხური ავტომობილი; 27. საფეიქრო ბაზანი; 28. ტანზე შემოჭერილი სპორტული ტანსაცმელი; 29. სპირტიანი სასმელი; 30. დასასვენებელი ადგილი ქალაქგარეთ; 31. მათემატიკის ნაწილი.

**შვეულად:** 1. იტალიური ხალხური სწრაფტემპიანი ცეკვა. 2. მაგნიტი; 3. მანქანა, რომელიც მოძრაობს რკინიგზის ლიანდაგზე და განკუთვნილია მატარებლის შემადგენლობის ან ცალკეული ვაგონების წასაყვანად; 4. ფეთქებადი ნივთიერება; 5. ქირურგიული ოპერაცია, სხეულის დაავადებული ნაწილის მოკვეთა; 11. ნაძვის ყვავილედი; 12. მდინარე საქართველოში; 14. ფეხბურთის მატჩის ნახევარი; 15. ცენტრალური ნერვული სისტემა; 16. ძველი ქუთაისი; 17. დიდი გომბეშო; 21. ქვეყნის დასასრული; 22. მწვანე კონტინენტი; 24. ნახატის შექმნა სხვადასხვა ფერის ქაღალდის ან ქსოვილის ნაჭრების დაწებებით; 25. ბაგირი ან ჯაჭვი, რომლითაც გემს აბამენ ჯებირისადმი ან ნაპირზე; 26. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცოცხალი ორგანიზმის აგებულებას.

*შეადგინა ვანო კაჭახიძე*


# კეტზი – KETZY

**(კეტოროლაკის ტრომეტამინი)**

**არანარკოტიკული. არასტეროიდული. საუკეთესო ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება**

**სწრაფად მოგიხსნით ნებისმიერი სახის საშუალო და ძლიერ ტკივილებს**

სერტიფიცირებულია



- ოპერაციის შემდგომი ტკივილები
- ონკოლოგიური დაავადებების თანმდევი ტკივილი
- ძვლების და კუნთების ტკივილი (დაჭიმვა, ღრძობა, მოტეხილობა, რბილი ქსოვილების ტრამვა, მიალგია, იშიალგია, ოსტეოართროზის გამწვავება)
- თავის და კბილის ტკივილი



კეტზი №10 ტაბლეტი

კეტზი №1 ამპულა 1მლ. + 2მლ. შპრიცი

ეფექტი იწყება სწრაფად და გრძელდება 4-6 საათის განმავლობაში

**გისურვებთ ჯანმრთელობას**


**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

**(34) უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ______________

______________

______________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№34 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 26 აგვისტოს (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ჩოხატაური, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

**„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.**


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

[R] ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი ბუნიათიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54

რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com

www.kvirispalitra.ge

სარეგისტრაციო ნომერი © 1518

„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".